ჯიბრან ხალილ ჯიბრანი

იესო, ძე კაცისა
წინასწარმეტყველი
წინასწარმეტყველის წალკოტი
სიმღერები

ინგლისურიდან თარგმნა

მანანა გოგინეიშვილმა

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“

KAHLIL GIBRAN

JESUS THE SON OF MAN

THE PROPHET

THE GARDEN OF THE PROPHET

SONGS

Translated from English by

Manana Gigineishvili

დიზაინი: ლია მოსეშვილი
იანა დანელიანი

ყდაზე გამოყენებულია კასპარ დავიდ ფრიდრიხის ნახატი:
ჯვარი მთებში

© მანანა გიგინეიშვილი
© გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, 2014
ISBN 978-9941-16-387-6

მთარგმნელისაგან

ჯიბრან ხალილ ჯიბრანი (1883-1931) ორენოვანი მწერალია. ლიბანში, ქრისტიან არაბთა ოჯახში, დაბადებულსა და აღზრდილს 12 წლიდან ცხოვრება მოუწია ამერიკაში, სადაც მისი ოჯახი გადასახლდა უკიდურესი სიღატაკისგან თავის დასაღწევად. სწავლობდა ბოსტონში, შემდეგ რამდენიმე წლით დაბრუნდა სამშობლოში და სწავლა განაგრძო ბეირუთის უმაღლესი ტიპის სასწავლებელში, „სიბრძნის სკოლაში“.

ხალილ ჯიბრანი ბოსტონის ემიგრანტულ ჟურნალ-გაზეთებში არაბულ ენაზე აქვეყნებდა სტატიებს, მისტიკური და ფილოსოფიური ხასიათის ესეებს, იგავებს. თავის ძირითად მოწოდებად კარგა ხანს მიიჩნევდა მხატვრობას. ერთხანს სწავლობდა პარიზის ხელოვანთა სკოლაში. დაუახლოვდა როდენს, დებიუსის, როსტანს, რასელს, გოლზუორთის, იეიტსს, სარა ბერნარს. დახატა მათი პორტრეტები.

პირველი ნაწარმოებები – „ცრემლი და ღიმილი“, „დამსხვრეული ფრთები“, „ველის ნიმფები“, „მსვლელობა“ – არაბულად დაწერა. თხზულებებს არაბულიდან სახელდახელოდ ზეპირად უთარგმნიდა თავის მეგობარსა და მფარველს, რომლის აზრსაც განსაკუთრებით აფასებდა. ეს იყო მერი ჰასკელი – პედაგოგი, პოეტი, მეცენატი, საინტერესო და დახვეწილი პიროვნება, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ხალილ ჯიბრანის ცხოვრებაში. მერი ჰასკელის დღიურები და ხალილთან მიმოწერა შე-

სანიშნავი წყაროა მწერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესასწავლად. მათ ფაქიზი ურთიერთობა აკავშირებდა ერთმანეთთან. მერიმ არაბულის შესწავლა სცადა, მაგრამ ეს მცდელობა იმით დაგვირგვინდა, რომ ხალილ ჯიბრანმა იწყო ინგლისურად წერა და 1918 წლიდან იგი წერდა მხოლოდ ინგლისურად (აქვე შევნიშნავ, რომ სკოლაში შეცდომით დაწერილი მისი სახელი – Kahlil ნაცვლად Khalil-ისა შერჩა მის ინგლისურენოვან წიგნებს. სწორია: ხალილ ჯიბრანი ან სრულად – ჯიბრან ხალილ ჯიბრანი).

1912 წელს იგი დასახლდა ნიუ-იორკში და ჩაერთო იქაურ კულტურულ ცხოვრებაში. იქვე გარდაიცვალა 1931 წელს, 48 წლისა. მისი ანდერძისამებრ, გადაასვენეს ლიბანში და დაკრძალეს მშობლიურ სოფელ ბშარში, მონასტერში, რომელიც გადააკეთეს მის მუზეუმად. აქვე ინახება მისი ნახატების უმეტესობა.

ორენოვან მწერლებთან – რაბინდრანატ თაგორთან და ემინ რეიჰანთან – ერთად ხალილ ჯიბრანს მიიჩნევენ აღმოსავლურ და დასავლურ კულტურათა შორის ხიდის გამდებად.

როდენი ხალილ ჯიბრანს „მეოცე საუკუნის უილიამ ბლეიკს“ უწოდებდა, რადგან მისი მხატვრობისა და ლიტერატურული ნაწარმოებების სულისკვეთება დიდი ინგლისელი მისტიკოსი მწერლისა და მხატვრის მონათესავედ მიაჩნდა.

იუნესკომ 1983 წელს მთელი მსოფლიოს მასშტაბით აღნიშნა ჯიბრან ხალილ ჯიბრანის დაბადების 100 წლისთავი და მისი შემოქმედების ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა შეახსენა კულტურულ სამყაროს.

ეგებ იმის გახსენებაც ღირდეს, რომ ჯონ ფიცჯერალდ კენედი ინაუგურაციის დროს წარმოთქმულ თავის ცნობილ ფრაზას („ნუ იკითხავთ, რა მოგცათ თქვენმა ქვეყანამ; იკითხეთ, თავად რა მიეცით თქვენს ქვეყანას“) სწორედ ხალილ ჯიბრანს დაესესხა.

მსოფლიო საზოგადოებამ ხალილ ჯიბრანი დიდ მწერლად აღიარა 1923 წელს, როცა გამოქვეყნდა ინგლისურად დაწერილი მისი პატარა წიგნი – „წინასწარმეტყველი“. სალიტერატურო კრიტიკა აღფრთოვანებით შეხვდა წიგნს. იგი ათმილიონიანი ტირაჟით გავრცელდა და იმავე წელს ითარგმნა ოც ენაზე.

„წინასწარმეტყველს“ მწერალი კვლავ მიუბრუნდა რამდენიმე წლის შემდეგ და ინგლისურადვე დაწერა „წინასწარმეტყველის წალკოტი“. ამ ორ წიგნს შორის შუალედში ხალილ ჯიბრანმა გამოაქვეყნა „იესო, ძე კაცისა“, რომელმაც კიდევ უფრო დიდი აღიარება მოუტანა მწერალს.

სამივე თხზულება მსოფლმხედველობრივ-ესთეტიკურ მთლიანობად აღიქმება. „იესო, ძე კაცისა“, რომელიც სახარების თემისადმი მიძღვნილ ყველა დროის ქმნილებათაგან გამორჩული ნაწარმოებია, ამ მთლიანობის საფუძველს ქმნის და მასზე საუბრით დაწყება გვიჯობს (თარგმნილი ტექსტიც ასეთი თანმიმდევრობითაა წარმოდგენილი).

„იესო, ძე კაცისა“ იწყება იაკობ მოციქულის მონათხრობით, რელიგიის არსზე საუბრით: იესოს მთის მწვერვალზე აჰყავს თავისი მოწაფეები, გადმოახედებს, დაანახვებს ულამაზეს სანახებს, აღუწერს მშვენებას მიწისას და აუწყებს, რომ ყოველივე ხილულის მიღმა არის მისი სასუფეველი,

სადაც მასთან ერთად მეუფე იქნება ყოველი ადამიანი. ნაწარმოების დასაწყისშივე გაცხადებულია არსი რელიგიისა: ორი სამყარო – მიწიერი და ზეციური, მიწიერი მეუფება და სულიერი მეუფება; სულიერი ამაღლებით ადამიანი უკავშირდება სულის საუფლოს და წუთისოფლიდან თავის ღვთაებრივ სამშობლოში, ზენა სოფელში, გააღწევს („რელიგია“ ხომ ლათინურად ხელახალ კავშირს ნიშნავს). მოციქული გადმოგვცემს მაცხოვრის ნათქვამს: „ამა ქვეყნის მეუფენი არიან მონები, რომლებიც განაგებენ მონებს“. ღვთაებრივი ნაპერწკალია ადამიანში. ეს მისი „მე“ არის. ადამიანმა ნაპერწკალი ცეცხლად უნდა გააღვივოს, თავისი ღვთაებრივი არსი უნდა შეიცნოს, ამაღლდეს და მარადიული ღირებულებები დაამკვიდროს.

პირველსავე მონათხრობში გამოჩნდება იუდა, რომელიც იუდეის ამქვეყნიური დიდებით არის ატანილი და ამქვეყნიურ პატივს მოელის იესოს სასუფეველში. იესოს გზა სულიერი მეუფების გზაა. მას უპირისპირდება ამქვეყნიური მეუფების წყურვილი. ორი სამყარო იკვეთება და ისიც ნათლად ჩანს, რომ ყველა ცოდვა-მადლი, ყველა გამოვლინება სიკეთისა თუ ბოროტებისა იმას ეფუძნება, თუ რა მიმართებაშია ადამიანი ამ ორ სასუფეველთან, რომლისკენ მიილტვის.

ნაწარმოები 79 მონათხრობისგან შედგება. მთხრობელნი არიან: მოციქულები, ღვთისმშობლის დედა – ანა, იოანე ნათლისმცემელი, მარიამ მაგდალენელი, იოსებ არიმათიელი, კაიაფა, მღვდელთმოძღვარი ანა, პილატე პონტოელი, მისი ცოლი, სიმონ კვირინელი, ბარაბა, იუდას დედა, რომელიღაც ფილოსოფოსი, ვიღაც ლოგიკოსი, ჯარაექიმი,

პოეტი, მეწაღე, აფთიაქარი, ვაჭარი, ვიღაც ქვრივი და ა. შ.

ხსენებული ორი ფასეულობა – წარმავალი და წარუვალი, წუთისოფელი და ზეცის სასუფეველი – განსაზღვრავს ყოველი მთხრობლის ზნეობრივ ორიენტირს, პიროვნულ ღირსებასა თუ უღირსობას, განაპირობებს პიროვნების დამოკიდებულებას იესოსადმი – კაცად განსხეულებული ღმერთისადმი და, ამდენად,– საკუთარი არსისადმი, ადამიანის ფენომენისადმი.

მთხრობელნი იესოს მიმართ თავიანთ დამოკიდებულებას ავლენენ. ზოგი მეორე პირში მოგვმართავს, მაგრამ ყოველი მათგანი თითქოს საკუთარ თავთანაა დარჩენილი და ხმამაღლა ფიქრობს. გულწრფელია ყველა. გულწრფელია ისიც, ვინც შეიყვარა იესო და შეუდგა მას ეკლიან გზაზე, და გულწრფელია ისიც, ვინც მოიძულა იგი. მკითხველისთვის ნათელია, რომ სხვადასხვაგვარია ადამიანთა სულიერი წყურვილი. ზოგმა არც კი იცის, რომ სულს შეიძლება სწყუროდეს. და იხატება ორი ათასწლეულის წინანდელი საზოგადოება. მხოლოდ რამდენიმე მთქმელი მეორდება. მთხრობელთაგან ზოგს ახალი აღთქმიდან ვიცნობთ, ზოგი მწერლის მიერ გამონაგონი პიროვნებაა. კონკრეტული ადამიანები კონკრეტულ ამბებს, კონკრეტულ განცდებს გადმოგვცემენ. ესენი არიან პირველი საუკუნის მკვიდრნი, იესოს მხილველნი, მისი თანამედროვენი. მათი საშუალებით იხატება ზოგადად საზოგადოება, მისი ფართო სპექტრი. გულს გვიხსნიან სხვადასხვა ეროვნების, სხვადასხვა სოციალური ფენის, სხვადასხვა ხელობისა და ასაკის, სხვადასხვა ცნობიერების ადამიანები. იოანე

ღვთისმეტყველის წინასწარმეტყველური ხილვებიდან მოკიდებული იერუსალიმელი მეწაღის ბუნდოვანი აზრების ჩათვლით ნაჩვენებია ლამის ყველა შესაძლო ასპექტი ქრისტეს მიმართ ადამიანთა დამოკიდებულებისა.

ზოგს იესოს ნათქვამის აზრი არ ესმის და ხმის გაგონება სიამოვნებს; ზოგს ხმაც აღიზიანებს; ზოგს ჰგონია, რომ პავლე მოციქულზე უკეთ ესმის იესოსი, რადგან, პავლესგან განსხვავებით, უხილავს იგი და მოუსმენია მისთვის. არადა, ისიც კი ვერ გაუგია, მოციქული რატომ იმოწმებს ძველ წინასწარმეტყველთ, რა აკავშირებს მათ იესოსთან.

ღვთისმეტყველებაში უღრმეს განსწავლულობასთან ერთად ხალილ ჯიბრანის შემოქმედებითი ნიჭის მასშტაბურობა ნაწარმოების დიდ შემეცნებით ღირებულებას განაპირობებს და ძლიერი ემოციური ზემოქმედების ძალას ანიჭებს მას.

სახარებისეული მყარი შესიტყვებები და ენობრივი ფორმულები ძირითადად თავს იჩენს მოციქულთა მონათხრობში, სხვათა ამაღლებული სულიერებით დამუხტულ საუბარშიც. ჯიბრანის ხატოვანი ენა ძველი და ახალი აღთქმის სიმბოლოალეგორიებითაა ნასაზრდოები.

ქრისტიანულ სასულიერო მწერლობაში სიმბოლო აუცილებლობამ მოითხოვა. ჩვეულებრივი, თუნდაც მდიდარი და დახვეწილი ენა გრძნობადი სამყაროს გამოხატვას იყო მორგებული. დიდ სირთულედ ესახებოდათ ზეგრძნობადის გადმოცემა გრძნობადი აღქმისთვის შესაფერ ენობრივ ფორმებში. ამიტომ იყო, რომ არაერთი შემოქმედი ჩიოდა, სიტყვა ვერ იტევსო სათქმელს. „ბრძნად მეტყველება ვერცხლია წმინდა, ხოლო დუმილი – ოქრო

რჩეული“ – სოლომონ ბრძენიდან მომდინარე ამ აზრს სხვადასხვა დროის მრავალი შემოქმედი იმეორებდა სხვადასხვა ვარიაციით. სიმბოლო სულიერი მნიშვნელობით დატვირთული ტევადი ხატია და ითავსებს იმ შინაარსს, რასაც ჩვეულებრივი ენობრივი ქსოვილი ვერ იტევს. სიტყვა სადაც უძლურია, სადაც დუმილი უჯობთ, მაგრამ უჭირთ დადუმება, იქ ღვთისმეტყველნი და სულიერების ბჭეს მიმდგარი მწერლები სიმბოლოს მოიშველიებენ ხოლმე. „შროშანი“, „ლიბანის კედარი“, „გზა“, „ქორწილი“, „სიძე“, „მწყემსი“, „ფარა“, „მოძიებული ცხვარი“ და სხვა მრავალი – ბუნებრივი კუთვნილებაა ჯიბრან ხალილ ჯიბრანის მთხრობელთა მეტყველების კულტურისა.

ადრეულ ქრისტიანულ ლიტერატურულ-შემოქმედებით პროცესში ერთმანეთისგან გაუთიშველი იყო შემეცნებითი, ეთიკური და ესთეტიკური კატეგორიები. ღვთაებრივს რაც გვაახლოებდა, ის იყო სიკეთეცა და მშვენიერებაც. სახარების თემასთან ერთად ხალილ ჯიბრანმა თითქოს შემოქმედებითი მეთოდიც იმჟამინდელი შემოგვთავაზა. მსოფლმხედველობრივ-ეთიკურ-ესთეტიკურ იდეათა ამგვარი სინთეზია მის წიგნში, მაგრამ ამასთანავე თანამედროვე ლიტერატურისთვის დამახასიათებელი ხელით შესახები სიცხადე და თვალით დასანახი კონკრეტულობაც ახლავს თხრობას.

გოლგოთის მისტერიისადმი დამოკიდებულება სხვადასხვა გზით გამოვლინდა ისტორიის მანძილზე. მრავალი გენიალური ქმნილება, მრავალი შედევრი ლიტერატურისა, მხატვრობისა, ქანდაკებისა, მუსიკისა მიეძღვნა ამ თემას. და მაინც, ხალილ ჯიბრანმა შეძლო თანამედროვე ადამიანის წინაშე

ახალი ძალით გაეცოცხლებინა მაცხოვრის ღვაწ-
ლი, შეძლო ახალი ფიქრების, აზრების, ახალი
ემოციების აღძვრა. საღვთო წერილის განმარტე-
ბას სასულიერო მწერლობის სპეციალური დარგი
– ეგზეგეტიკა ემსახურებოდა. დიდი ღვთისმეტ-
ყველნი და წმინდა მამანი დიდი ეგზეგეტიკოსები
იყვნენ. ხალილ ჯიბრანი თანამედროვეობას მხატ-
ვრულ განმარტებას სთავაზობს თითქოს. ჯიბრანის
ეს წიგნი დახვეწილი ლიტერატურული ქმნილებაა
და თან თითქოს ხატოვანი განმარტებაა, მხატვრუ-
ლი ეგზეგეზეა კაცობრიობის სულიერი განვითარე-
ბის უმთავრესი საკითხისა.

ყოველი მთხრობელი საუბრობს თავისი პიროვ-
ნების, თავისი შინაგანი სამყაროს შესაფერისად;
ყოველი მათგანი თითქოს უნებურად მონახავს აზ-
რისა და გრძნობის შესაბამის ფორმას, სიმბოლოს,
ალეგორიას; ზოგჯერ რიტმი დაიმორჩილებს ფრა-
ზას, ზოგჯერ რიტმული პროზა ჰიმნის რიტმში გა-
დაიზრდება; ეს ხან სიყვარულის საგალობელია,
ხან მოთქმა და სამძიმარია, ხან ღვთის სადიდებე-
ლია. ზოგჯერ რიტმი რისხვას დაატრიალებს, ზოგ-
ჯერ გალობის ინტონაციასა და ჰანგს მოიყოლებს;
ზოგჯერ ვგრძნობთ სული ყელში რომ ებჯინება
მთხრობელს, ზოგჯერ ლამის მთქმელის შეკრულ
კოპებსა და ბოღმით გადმოკარკლულ თვალებს
ვხედავთ.

მახარებელნი სხვადასხვა გონებრივი და ზნეობ-
რივი დონის ადამიანთა სულებს ეხებიან. ვისაც მე-
ტის დატევა შეუძლია, სახარება მეტს ეტყვის;
სხვას კი ეტყვის იმდენს, რამდენის აღქმაც მას
შეუძლია.

ჯიბრან ხალილ ჯიბრანის წიგნიც ასეა, მაგალითისთვის: ვინმე ეფრაიმი, იერიქონის მკვიდრი, ვაჟის ქორწილში სტუმრად იწვევს იესოს, ემუდარება და თან დაატანს, ერთხელ ხომ ეწვიეო მექორწინეთ კანას გალილეაში. იესო მიუგებს: „მართალს იტყვი, ერთხელ ვიყავი სტუმრად ქორწილში, მაგრამ ამიერიდან მე აღარ ვიქნები სტუმარი, თავად მე ვარ სიძე“. ეფრაიმს არაფერი უთხრა ამ პასუხმა, ვერ მიხვდა, რომ თავად იესომ მიიწვია იგი, უხმო მას. და ეფრაიმი კვლავ შეევედრა სწვეოდა. მას არც ის ესმის, საყვედურით რატომ გაუღიმა იესომ. ერთნი ჩაიკითხავენ ნაწარმოების ამ მონაკვეთს და ეფრაიმივით განზე დარჩებათ ფრაზა: „თავად მე ვარ სიძე“. ამით ხომ იესომ ეფრაიმს უხმო ღვთაებრივი ქორწინებისკენ, სულის ამაღლებისკენ მოუწოდა. იერიქონელმა ვერ შეისმინა ხმობა, ამ შეხვედრამ ვერ შეძრა მისი სული. მაგრამ რაღაც მნიშვნელოვანი მაინც მოხდა მის ცხოვრებაში, უქმად მაინც არ ჩაუვლია იესოსთან შეხვედრას. ეფრაიმმა ეგებ პირველად შეაფასა კრიტიკულად თავისი თავი, „ალბათ მეორე სასწაულს ვეძებდიო“, – გაიფიქრა მან.

ფაქიზ ლიტერატურულ ალღოსა და ღვთისმეტყველებაში ღრმა განსწავლულობაზე დაფუძნებული ასეთი ქვეტექსტი უამრავია ნაწარმოებში. ქვეტექსტი იმის ქვეტექსტია, რომ იგი სიტყვათა შორის უნდა ამოიკითხოს მკითხველმა. სათქმელმა ზოგჯერ გონების თვალის გარეშე უნდა შეაღწიოს მკითხველის სულსა და გულში.

ყოველ სიმბოლოზე, ალეგორიასა და ქვეტექსტზე გამოწვლილვით საუბარი არაა ამ პატარა

შესავალი წერილის მიზანი. მკითხველი თვითონ იგრძნობს, რომ ამ საოცარ წიგნს დიდი შემეცნებითი და ესთეტიკური ზემოქმედების ძალა აქვს და პიროვნების გააქტიურებას იწვევს, ძლიერი ემოციური მუხტით აახლოებს და აკავშირებს მკითხველს კაცობრიობის სულიერი ცხოვრების ნიშანსვეტთან, გოლგოთის მისტერიასთან.

ლიტერატურული კრიტიკა აღნიშნავდა, რომ „ეს წიგნი სულის სიმშვიდის მაძიებელი ყოველი ადამიანის თაროზე უნდა იდოს, განურჩევლად იმისა, თუ რომელი რელიგიის მოსავია მკითხველი“.

ხალილ ჯიბრანის „იესო, ძე კაცისა“ ამ თემაზე დაწერილ ურიცხვ თხზულებათაგან ერთი საუკეთესო დამოწმებაა მაცხოვრის რეალური არსებობისა, ღვთის სიტყვის განკაცებისა. მასში გადმოცემულია მძაფრი ემოციით ნაამბობი იმათი, ვინც შეუდგა იესოს, ვისაც უყვარდა და ვისაც სძულდა იგი, ვინც უღალატა მას და ვინც გულგრილი დარჩა მისთა საქმეთა გამო, ვინც საკუთარი თავი იპოვა მისით და ვინც საქილიკოდ და საკიცხავად მიიჩნია იგი, ვინც ჯვარს აცვა და ვინც ეთაყვანა.

ნაწარმოები პატარ-პატარა თავებისგან შედგება. ყოველი მათგანი სხვადასხვა პიროვნებათა ინდივიდუალურ დამოკიდებულებას გამოხატავს. ვინც კიცხავს და ლანძღავს „ძეს კაცისას“, ის არა მხოლოდ საკუთარ პიროვნებას გვიჩვენებს, – ისიც თავისი გულგრილობით, სიძულვილითა და უდიერობით აცოცხლებს მაცხოვრის ხატს, ადასტურებს და ემოწმება მის სიდიადეს. მკითხველისთვის ნათელია, რომ ქრისტეა საზომი ყველაფრისა და ყოველივესი. მისდამი დამოკიდებულებაში ვლინდება ყოველი მთხრობელი და ხედავს მკითხველი,

ვინ ფხიზლობს, ვინ ღრმა ძილშია, ვის ცნობიერებაში რა ძალით კიაფობს ან ბჟუტავს ნათელი. გესმის, გეცოდება და ხედავ, რომ მათი პიროვნული ტრაგედიაა იესოს ვერ დანახვა: ღვთაებრივი არსი ადამიანისა, მისი „მე“, ვერ ცნობს სამყაროს ღვთაებრივ არსს. უარმყოფელნიც თავიანთი უარყოფით ადასტურებენ მის რეალურობას და ღვთაებრიობას. მათი მონათხრობიც, მათგან ქირდვაც და კილვაც არის დამოწმება და დადასტურება, რადგან მკითხველისთვის ცხადია, რომ ამ პიროვნების დამოკიდებულება სწორედ ასეთი უნდა იყოს. იესოს ძაგებითა და სიძულვილით ყოველი მათგანი ააშკარავებს საკუთარი სულის სიღატაკესა და იესოს დიდებულებას.

განსწავლულ მჭევრმეტყველს, ბერძენ და რომაელ რიტორთა მსმენელს, იესო მიაჩნია ყველაზე დიდ მჭევრმეტყველად, რომელიც „წელიწადის დროთაგან ქსოვდა სათქმელს“ და ისე ელაპარაკებოდა ხალხს, თითქოს „მთა ესაუბრებოდა ბარს“; ვიღაც სხვა ფიქრობს, რომ იესო იყო ყველა ხუროზე უკეთესი ხურო; ვაჭარს მიაჩნია, რომ იესოსავით არავინ იცოდა ვაჭრობა; ბარაბას აზრით, კეისარზე და პომპეუსზე უკეთესი წინამძღოლი იყო; ჯარაექიმი ფიქრობს, რომ იესოსავით არავის ემორჩილებოდა სასიცოცხლო ძალა; პოეტი გვარწმუნებს, რომ იესო უდიდესი პოეტია პოეტთა შორის.

სტუმრობის თემას რამდენიმე მონათხრობში ვხვდებით. იესოს სტუმრად იწვევენ გიორგი ბეიერუთელი, ანდრია და პეტრე მოციქულები, ეფრაიმი, ლევი და სხვანი. ყველა სტუმრობას თავისებური დატვირთვა აქვს. საერთო კი ისაა, რომ ქრისტე

სტუმრად უნდა იწვიო, საკუთარ სულში უნდა მიუ-ჩინო ადგილი. იგი ეწვევა იმათ, ვისაც „ღვთის საკურთხევლად აქვს თავისი გული“ გარდაქმნილი.

მარიამ მაგდალენელი სტუმრად იწვევს მას და, – როდესაც იესო მიუგებს: „მე უკვე ვარ შენს სახლში“, – მარიამი ხვდება, რომ მის სულს ეწვია ღმერთი და ეფრაიმივით კი არ უმეორებს მოპატი-ჟებას, ასევე სიმბოლოთა ენას შეაგებებს: „ხომ არ ინებებდი ჩემი ღვინის და ჩემი პურის გასინჯვას?“ მეორე მონათხრობშიც მარიამ მაგდალენელი სიმ-ბოლოთა ენით გვესაუბრება: „ერთ საღამოს ვიხი-ლე გზად მიმავალი. არა, იგი არ მიდიოდა, იგი თა-ვად იყო გზა და იყო გზაზე“. თვით ეს ნათქვამი მეტყველებს მარიამის არსებაში მომხდარ ძვრაზე. ასე მხოლოდ მას შეუძლია თქვას, ვინც იცის, რომ ადამიანის სული განვითარების გზას გადის; ვისაც სულიერი თვალი აეხილა და შეიცნო, რას ნიშნავს ქრისტეს სიტყვები: „მე ვარ გზა და მე ვარ ჭეშ-მარიტება“.

სწორედ იოანე ღვთისმეტყველს, ქრისტეს ყვე-ლაზე საყვარელ მოწაფეს, ალაპარაკებს მწერალი სამყაროს „შესაქმემდე“ არსებულ ღვთაებრივ სიტ-ყვაზე, ჟამზე ადრე შობილი, ანუ „უჟამო სიტყვის“, ჟამში მოქცევის საიდუმლოზე, ღვთის განსხეულე-ბაზე. იოანე მახარებელი გვესაუბრება ღვთაებრივი შემოქმედების კოსმიურ დღეებზე, ეონზე, პლერო-მაზე ანუ სავსებაზე, ღვთის სიტყვის განკაცების მარადიულ საიდუმლოზე, რომლის გამოხატულე-ბას ხედავს იგი სხვადასხვა ერების უძველეს კულ-ტურათა წიაღში. ბუნებრივია, ასეთი საუბრის მოს-მენა სწორედ იოანე მახარებლისგან, პნევმატური სახარების ავტორისგან, გვმართებდა. და მკითხვე-

ლი ხედავს, რომ „პირველითგან იყო სიტყვა“ – ეს პირველი მუხლი იოანეს სახარებისა – თურმე რა გრანდიოზული სიბრძნის დამტევია. სიტყვის განსხეულების ძველთაგანვე აღთქმული იდეა ასაზრდოებდა მრავალ სხვადასხვა რელიგიასა და ფილოსოფიურ აზრს. პირველ საუკუნეთა ქრისტიანი მამები, ქრისტიანობის აპოლოგეტები, სოკრატესა და პლატონს უწოდებდნენ „ქრისტიანებს ქრისტემდე“, რადგან ისინი კაცობრიობას მოძღვრავდნენ იმ ლოგოსის, იმ სიტყვის შესახებ, რომელიც ბეთლემში „ხორციელ იქმნა“. იოანე მახარებელი ახსენებს ინდოეთს, ეგვიპტეს, ორფევსს, პრომეთეს. იგი გოლგოთამდე ბევრად ადრე ხედავს შემოქმედი სიტყვის ძალის გამოვლინებას. და ეს ყველაფერი მიეწოდება მკითხველს უბრალოდ, ლაღად, ისე რომ ამ საკითხებში მეტ-ნაკლებად გათვითცნობიერებული მკითხველი გაოცდება ჯიბრან ხალილ ჯიბრანის განსწავლულობითა და მასშტაბური ხედვით; მაგრამ ვისთვისაც ეს სფერო არ ყოფილა ფიქრისა და განსჯის საგანი, იმათ ნაწარმოების მხატვრული ძალა და ემოციური მუხტი აგრძნობინებს სიტყვის განსხეულების დიად საიდუმლოს.

ვიღაც მწყემსის სიზმარს ზმანებათა სფეროში გადავყავართ. ძველი სამყარო, თვით ანტიკური საბერძნეთიც, ელოდა ქრისტეს, „ქრისტემდე ქრისტიანის“ იდეა აქაც იჩენს თავს. პანს თურმე ძველადვე მოუსმენია „ჩურჩულით გამხელილი სახელი ქრისტესი“.

ქრისტიანობის უნივერსალურ არსზე მიგვანიშნებს მოგვთა ნათქვამი: „ვიხილეთ ნათელი ჩვენი ღვთისა მის თვალებში და ღიმილი ჩვენი ღვთისა – მის ბაგეებზე“. და ამას ეხმიანება სპარსი ფილო-

სოფოსის მონათხრობი. მისთვის ახლობელია ღმერთი, რომელსაც იესო „მამად“ უხმობდა; მისთვის, ზარათუშტრას მიმდევრისთვის, მისაღებია ღმერთი, რომელიც არის „ნათელი ადამიანის სულში“.

თემა და მიზანი ჯიბრან ხალილ ჯიბრანის თხზულებისა ისეთია, რომ სიმბოლო-ალეგორიათა გარდა, მის ფრაზას დაჰყვება იდუმალი ძალა. ეს ხან სიტყვათა შორის უნდა იგრძნო, ხან – მცირე მინიშნებით, ხან – რიტმით. იესოს შობა და მოგვთა სტუმრობა იხატება ღვთისმშობლის დედის, ანას, მონათხრობით. ღვთისმშობლისა და მოგვების საუბარზე ნაწარმოებში არაფერია ნათქვამი, მაგრამ მათი წასვლის შემდეგ „მარიამი გაოცებული და გაოგნებული იყო“. იდუმალება თან ახლავს მოგვთა სტუმრობას და მკითხველის ყურადღებას ამ იდუმალებისკენ წარმართავს ღვთისმშობლის დედის ნათქვამი: „ეგებ ჩემმა ასულმა იცის რაღაც, რაც ჩემთვის უცნობია. ეგებ მეც გამიმხილოს“.

ნაწარმოებში სახარების იგავის განწყობილება შემოიჭრება მწყემსის ნაამბობით. იხატება ბუკოლიკური გარემო: ფარა, იალაღი, სალამურის ჰანგი, დაკარგული ცხვრის მოძიება. მწყემსის შინაგანი სამყარო გადმოიშლება მკითხველის წინაშე. იგი ვერ გაჰყვა იესოს, მისი სული სხვა გარემოსთვისაა მზად.

იოსებ არიმათიელი ადამიანს ბუნების ღვთაებრივი ჰარმონიის ნაწილად წარმოგვიდგენს. მკითხველს უმძაფრესი ემოციით ეუფლება აზრი, რომ ყოველი ჩვენგანის ხელი ურევია სხვათა ჩადენილ დანაშაულში, რომ ჩვენ თუ არ დავეცით, სხვა არ დაეცემა. მის მონათხრობში ჩაქსოვილი საღვთის-

მეტყველო სიმბოლოები („გრძელი დღე“, სისხლის ნაწვეთალიდან ამოზრდილი მუხა და ნეკერჩხალი, თესლის გავრცელება სხვა ქვეყნებში და სხვ.) პოეტური სიმსუბუქით მიეწოდება მკითხველს და გვიჩვენებს, რომ იესოს ცხოვრების რიტმი დედამიწის რიტმია, რომ მიწაში ჩაღვრილი მისი სისხლით დედამიწა გარდაიქმნება. ნაკადული რომ ზღვისკენ მიიკვლევს გზას, – ეს დედამიწის სიცოცხლის წესია. ადამიანიც ასევე უნდა მიისწრაფოდეს ღვთისკენ.

მწერალი გადმოგვცემს სტეფანე პირველმოწამის შესახებ ვინმე ნაამან გადარენელის მონათხრობს. არ არსებობს მოწამის ღვაწლის ამსახველი ნაწარმოები, რომელშიც არ ვლინდებოდეს მარტვილის შეუდრეკელობა. უმდიდრესი ლიტერატურა მიეძღვნა მოწამის მიერ სიკვდილის შიშის დათრგუნვას. და მაინც, ჯიბრან ხალილ ჯიბრანმა შეძლო ამ მრავალმხრივ დამუშავებული თემის ახალი ემოციური ძალით დამუხტვა. მოვუსმინოთ ნაამანს: „სტეფანე რომ მიწაზე დაეცა, ხელები გაშალა, თითქოს თავისი მოძღვარივით ჯვარზე მომკვდარიყოს. მკლავები ფრთებს მიუგავდა, თითქოს გასაფრენად იყო გამზადებული. და, როცა უკანასკნელი სხივი ჩაუქრა თვალებში, ჩემი საკუთარი თვალით ვიხილე ღიმილი მის ბაგეზე. ეს ღიმილი სიოს ჰგავდა, ზამთრის მიწურულს წამოქროლილ სიოს, გამოზაფხულების აღთქმასა და დაპირებასავით რომაა. აბა, როგორ აღგიწეროთ ეს ღიმილი? ამ ღიმილით სტეფანე თითქოს ამბობდა: „სხვა მხარეში რომ მოვხვდე, სხვა ხალხმა რომ მიმიყვანოს

ჩასაქოლად სხვა მოედანზე, მაინც ვაღიარებ იესოს, რადგან იგია ჭეშმარიტება და ეს ჭეშმარიტება არის ჩემშიც“.

რამდენიმე დედის განცდებია გადმოცემული ნაწარმოებში. ანდრია და პეტრე მოციქულების დედა ბედნიერია, რომ მისი ორი ვაჟი იესოს გზას გაჰყვა. მაგრამ იქვე მკითხველი მოისმენს გალილეველი ქვრივის რისხვას და ვაებას. მას სძულს იესო, რადგან ვაჟიშვილმა მიატოვა და იესოს გაჰყვა. და ამათ გვერდით იუდას დედის დარდს და ვარამსაც შევიტყობთ. იგი მკითხველს მიმართავს: „წადით, სხვა ქალს ჰკითხეთ, იუდას დედაზე უფრო პატივსაცემს. მიდით იესოს დედასთან. მასაც მახვილი აქვს გულში ნაძგერები. იგი გეტყვით ჩემზეც და თქვენ ყველაფერს უკეთ გაიგებთ“. ვეფხისა და მოყმის ბალადიდან სულისშემძვრელი სამძიმარი გაუცოცხლდება ქართველ მკითხველს.

ბაბილონელი ასტროლოგი გვესაუბრება სასწაულებზე, რომელთაც ისე მივეჩვიეთ, აღარც კი მიგვაჩნია სასწაულად. ასტროლოგი შეგვახსენებს რკოდან მუხის აღმოცენებას, რისი შემსწრეც ვართ ყოველ გაზაფხულზე; თესლში არსებულ ღვთაებრივ ნაპერწკალზე დაგვაფიქრებს და ადამიანის სულში ჩაბუდებული ღვთაებრივი ცეცხლის გაღვივებაზე გვესაუბრება, გვარწმუნებს, რომ ადამიანის სულშიც ხდება ასეთი სასწაული, რომელიც პაწია რკოს რტომრავალ მუხად გარდაქმნის. მას მიაჩნია, რომ იესოს სახით თვით სასწაულმოქმედი ჟამი გამოგვეცხადა კაცის ხატით.

უდაბნოდან მოსული კაცი შეესწრება იესოს მიერ იერუსალიმის ტაძრიდან მეკერმეთა და მოფარდულთა განდევნას. მას არაფერი სმენია იესო-

ზე და პირველად იხილა იგი. მაგრამ მის სულში აღძრული კითხვა – „ვინ არის ის კაცი, განმარტოებით რომ დგას სხვა ტაძარივით?“ – ამხელს, რომ მისი სულიც შეძრა იესოს ხილვამ. თუმცა მას არც „ტაძრის“ სიმბოლიკა ესმის და ვერც საკუთარ განცდებში გარკვეულა.

ვინმე იოთამი რომაელ ნაცნობს მიმართავს და ცხადად წარმოაჩენს ქრისტეს მოძღვრების საპირისპირო მისწრაფებებს რომის იმპერიისას: „შენ გირჩევნია მართო ქვეყნები, ვიდრე თავად შენ გმართავდეს სული. შენ ამჯობინებ დაიმორჩილო და დათრგუნო კაცთა მოდგმა და იყო კრული და გმობილი, ვიდრე დაეტიო შენს რომში და იყო კურთხეული, სვებედნიერი“. რომის იმპერიულ ამბიციებს – დაპყრობას, დაჯაბნას, სანახაობით მასების გაბრუებას – უპირისპირდება კაცთა გულებში სიყვარულისა და სიმართლის დამკვიდრება.

ვიღაც ბენიამინი ფიქრობს, რომ იესო „უფრო დიდი იყო, ვიდრე სახელმწიფო და ვიდრე კაცთა მოდგმა, – უფრო დიდი იყო, ვიდრე ჯანყი და ამბოხი. იგი იყო ერთადერთი და მარტომყოფი. და იგი იყო მღვიძარება სულისა“. ერთი მთხრობელი მეორეს ეპასუხება. სხვანი აკი ამბობდნენ, იესო ღატაკთა ამბოხებას ცდილობდაო ამა ქვეყნის ძლიერთა წინააღმდეგ. მთხრობელნი ერთმანეთს არ ეპაექრებიან, ერთმანეთის ნათქვამი არც იციან. მკითხველი კი ფიქრდება იესოსთან დაკავშირებულ ყველა შესაძლო თვალსაზრისზე და ხედავს პიროვნებათა ფართო სპექტრს, – არა მხოლოდ იმ ეპოქისთვის დამახასიათებელს, არა მხოლოდ დრო და ჟამით განპირობებულ ზრახვებს, აზრებს, ემო-

ციებს ადამიანებისას, არამედ – ზოგადსაც, უნივერსალურსაც.

იოანე ღვთისმეტყველი, რომელიც ერთხელ უკვე გვესაუბრა გონებამიუწვდომელ საღვთისმეტყველო საკითხებზე, ბიბლიურ კოსმოგონიაზე, კვლავ გველაპარაკება და გულწრფელად გვიმხელს, როგორ დაავიწყა შიმშილმა რიდი. სამყაროს დაბადებაზე მოსაუბრე უსაყვარლესი მოწაფე ქრისტესი ამჯერად გვიყვება ორი ვაშლი როგორ აჭამა მაცხოვარმა. იოანე მოულოდნელად საუბარს წყვეტს და გვეტყვის: „კიდევ ბევრი მაქვს სათქმელი, მაგრამ როგორ გითხრათ? დიდ სიყვარულს სიტყვა ვერ იტევს. წამლეკავი მოგონებანი მდუმარებას ითხვენ ჩვენგან“. და დაძაბულობით გაწყვეტილი მისი საუბარი მკითხველსაც ითრევს ამ მღელვარე მდუმარებაში.

სოსანა, ღვთისმშობლის ყმაწვილქალობის დროინდელი ნაცნობი, ჰაგიოგრაფიული მწერლობისთვის დამახასიათებელი მხატვრული გამომსახველობითი ხერხებით გვესაუბრება მარიამზე: „ნორჩი იყო, მაგრამ გონებით მხცოვანს ჰგავდა. ყვავილობის ჟამიც დასდგომოდა და თან რთვლობის ჟამიც. მისი სიცოცხლის გაზაფხული მწიფე ნაყოფით იყო დახუნძლული“.

ხალილ ჯიბრანი ჯვარცმის მთელ პროცესს აღწერს ღვთისმშობლის განცდათა ფონზე. სოსანას ცნობიერების დონე ვერ მოიცავს ღვთისმშობლის სიდიადეს. ეს თავადაც კარგად ესმის, მაგრამ მისი ნაამბობით მკითხველი ხვდება, რომ ესაა მხოლოდ ის, რაც სიტყვამ და ჩვეულებრივმა ცნობიერებამ შეძლო, რომ ამის მიღმა უნდა შეძლებისამებრ წარმოვიდგინოთ და შევავსოთ ღვთისმშობლის ხატება.

„ქალი მარად უნდა იყოს წიაღი და აკვანი, მაგრამ სამარე – არასდროს!“ – ასე დამოძღვრავს ღვთისმშობელი თავის თანამოასაკეს და ურჩევს, წინ არ აღუდგეს შვილის სურვილს, თავისუფლება არ შეუზღუდოს მას, რაკი დედის მიტოვება და შორს გაჭრა გადაუწყვეტია. ამ სიტყვებში ჩაატია ხალილ ჯიბრანმა დედაშვილობის მარადიული იდეალი.

ნაწარმოების დასასრულს კვლავ წამოიჭრება იუდას თემა. პირველი მონათხრობიდან ამქვეყნიური დიდების მაძიებელი იუდა ახსოვს მკითხველს. თვითმკვლელობამდე იუდას ათქმევინა ხალილ ჯიბრანმა: „იესოს სამეფო იყო გული კაცისა“. ბევრი დაწერილა ცოდვისა და ღალატის შესახებ. კვლავაც ბევრი დაიწერება, მაგრამ არ შენელდება ჯიბრანის სიტყვათა ძალა: „იუდამ დაასრულა თავისი უბადრუკი სიცოცხლე, რომელიც ნისლის კოტორივით თავს დასტრიალებდა რომაელთაგან დამონებულ მის ქვეყანას... კაცი ნატრობდა სამეფოს, რომელშიც თვითონ იქნებოდა წარჩინებული. იესოს სურდა სასუფეველი, რომელშიც ყოველი კაცი იქნებოდა წარჩინებული“.

მარიამ მაგდალენელი მესამედაც გაგვესაუბრება. იგი, ვინც პირველმა იხილა მკვდრეთით აღმდგარი ქრისტე, კიდევ ერთხელ ემოწმება მას: „ჩვენ, რომელთაც გვიყვარს იესო, ვიხილეთ იგი ჩვენი თვალით, მან რომ აგვიხილა, იმ თვალით. ხელით შევეხეთ მას“. მარიამის დამოწმებას სხვა დატვირთვა აქვს. „მეც ერთი თქვენგანი ვიყავი... თქვენ გძულთ იესო, რადგან იგი არის ძე ღვთისა... თქვენ ერთმანეთიც გძულთ, რადგან ყოველ თქვენგანს თავი მიაჩნია სხვებზე აღმატებულად. თქვენ არ შეგიძლიათ ემოთ სხვა ადამიანს“, – ამბობს

იგი. მარიამ მაგდალენელია ის პიროვნება, რომელმაც პირველმა განიცადა ქრისტიანული სასწაულებრივი გარდასახვა. სინანულით წმინდანად გარდაქმნილი მარიამ მაგდალენელის ნათქვამს განსაკუთრებული ძალა აქვს.

იესოს თანამედროვეთა 78 მონათხრობს ერთვის 79-ე. იგი ეკუთვნის 19 საუკუნის შემდეგ მცხოვრებ ვინმე ლიბანელს, რომელიც თავად ავტორად აღიქმება. რიტმს დამორჩილებული მისი მონათხრობი მაცხოვრისადმი მიმართული ჰიმნივითაა. ლიბანელი გონების თვალს ავლებს კაცობრიობის მიერ გოლგოთის მისტერიის შემდგომ განვლილ გზას. კაცთა მოდგმამ ცოტა რამ შეიგნო. კაცობრიობა ისევ დგას მარადიული პრობლემის წინაშე: იუდა საშოვარზეა გადაგებული, მაცხოვრის სახელი ისევ სალოცავად ან საკიცხავად აქვთ ადამიანებს, სიმონ კვირინელი ისევ ეზიდება ჯვარს, ისევ მოისმის ლურსმნებზე ჩაქუჩის ხათქუნი, ჯვარცმა გრძელდება, ხელისბანაც ისევ გრძელდება; ოღონდ ანა, კაიაფა, პილატე, მწიგნობარნი თუ ფარისეველნი, იუდა თუ ლონგინოზ ასისთავი – ეს ჩვენ ვართ, ვინც არ მივყვებით იესოს გზას.

ტაძრები მრავლადაა აღმართული. ადამიანები დიდი მოწიწებით სცემენ თაყვანს უხილავ ღმერთს, იდეას ღვთისას, რომელიც მათი ყოველდღიური საქმიანობისგან გარიდებულად მიაჩნიათ. მათთვის ნუგეში არაა „ღმერთი, მათსავით კაცი. მას ხომ სიკეთით და სიწმინდით უნდა ემსგავსონ, სიყვარული და მიტევება მასავით შეძლონ“. და ამიტომ „არ ცნობენ სიტყვას, ღვთის ძეს, კაცად მოვლენილს, შემოუსაზღვრელს, შემოსაზღვრულს ჩვენი სხეულით“.

და სრულიად ცხადი ხდება, ჯიბრან ხალილ ჯიბრანმა სათაურად რატომ აირჩია „იესო, ძე კაცისა“, თუმცა ნაწარმოებში ნათლად ჩანს, რომ იესო არის ბიბლიურ წინასწარმეტყველთაგან აღთქმული მესია, მაცხოვარი, ცხებული, „პირველითგან ყოფილი სიტყვა“, ძე ღვთისა, ჟამზე ადრე შობილი და ჟამში მოქცეული, კაცად მოვლენილი ღმერთი. „ძე კაცისა“ – ეს ასპექტი ქრისტეს ბუნებისა გვაუწყებს, რომ კაცთათვისაც შესაძლებელია მასავით ცხოვრება, მისი ბაძვა.

და ლიბანელი მიმართავს უფალს, მიმართავს გულისტკივილით, რადგან მისი სახელით ფუჭ დიდებას წაეპოტინა ბევრი, ბევრი დახარბდა გვირგვინსა და კვერთხს – ამქვეყნიურ პატივს; გვიხატავს სულიერ მიუსაფრობას იმ ადამიანებისას, რომელნიც მრავალრიცხოვანი ჯალაბით არიან გარშემორტყმულნი, მაგრამ საკუთარი სულისგან არიან გაგარეულებულნი. ასეა, როცა ღვთაებრივი არსი ადამიანისა, მისი „მე“, უარყოფს ღვთაებრივ არსს სამყაროსას – ქრისტეს, კაცად განსხეულებულ ღმერთს.

მაგრამ ლიბანელის მიმართვაში დიდი იმედიც ღვივის: მარიამ მაგდალენელისა და მარჯვენა ავაზაკის გზას ბევრი გაივლის. ბევრს უკვე გაუვლია. ლიბანელს უნახავს თავისუფალი, საკუთარ ბორკილთაგან თავდახსნილი, მაცხოვრის ბაძვით ამაღლებული მრავალი ადამიანი. ღვთისმშობლის თვალთა ნათელია თურმე ყოველი დედის ალერსიან გამოხედვაში; „და უფლის დედის ხელი არწევს ყველა ყრმის აკვანს, და ჩვრებში ახვევს ის

სათუთად ყველა პატარას“; თურმე „ხელის ფათურით რომ მიიკვლევს გზას, უფლის თვალია იმ ბრმის თითებში“. ადამიანი არ არის მიტოვებული, ჯვარცმა და აღდგომა არა მხოლოდ აწმყოში ხდება ყოველ წამს, ყოველ წუთს, – ქრისტე მომავალშიც წაუძღვება კაცობრიობას. „შენი სიტყვები ჩურჩულია მომავლის მკვიდრთა“, – ამბობს ლიბანელი და გვაუწყებს, რომ მარადიულია მისი ღვაწლი, რომ მაცხოვრის სიტყვებით ისაზრდოებს მომავლის მოდგმა; ქრისტე იშვება იმათ სულებში, ვინც ჯერ არ დაბადებულა, და მიჰმადლებს მათ მღვიძარებას სულისას.

ლიბანელმა გვითხრა, რომ ქრისტიანობა მხოლოდ მოძღვრება როდია, რომელიც ზოგს ასე ესმის და ზოგს სხვაგვარად, არამედ ფაქტია, რომელიც მხოლოდ სულიერად შეიძლება გავიგოთ, ფაქტია, რომელიც სამყაროს ნაწილი გახდა.

ჯიბრან ხალილ ჯიბრანის ამ წიგნში ცოცხლად დგანან ჩვენ წინაშე იესოს მოყვასნი და მოძულენი. და მოგვითხრობენ ისე გულწრფელად, ისეთი ძალით, ისეთი სიყვარულითა თუ სიძულვილით, რომ მონაწილე და შემსწრე ვხდებით მონაყოლისა.

“წინასწარმეტყველსა“ და „წინასწარმეტყველის წალკოტში“ ერთხელაც არ არის ნახსენები ქრისტე, მაგრამ ჯიბრან ხალილ ჯიბრანი გვესაუბრება ღვთაებრივ სიტყვაზე, ღვთაებრივ სიყვარულზე, სხვათა ცოდვების ტვირთვაზე, მოყვასის სიყვარულზე; შეგვახსენებს, რომ ყველა ბოროტმოქმედი ჩვენი ძმაა, რომ ყოველ ჩვენგანს წვლილი მიუძღვის სხვის ჩადენილ დანაშაულში.

ორივე ეს ნაწარმოები მრავალმხრივ ეხმიანება „იესო, ძე კაცისას“. ორივე დაფუძნებულია ქრისტიანუ ყოვლისმომცველ სიყვარულზე. ხალილ ჯიბრანმა ქრისტიანული იდეები გადმოსცა უნივერსალური ფორმით: ნაწარმოებში არც დროა განსაზღვრული, არც ადგილი. პირობითია ქალაქის სახელწოდება „ორფალესი“ და რომელიმე კონკრეტულ ადგილს არ მიგვანიშნებს. როგორც ჩანს, მწერალმა მიზნად დაისახა თავისი „წინასწარმეტყველითა“ და „წინასწარმეტყველის წალკოტით“ დალაპარაკებოდა განურჩევლად ყველა მრწამსის ადამიანს, ყველასთვის მისაღები გაეხადა ქრისტესმიერი სიყვარულის საიდუმლო.

წინასწარმეტყველმა გამოსცადა ყარიბობა, უცხო მხარეში გაჭრა, რაც თვითჩაღრმავების აუცილებელ პირობად მიიჩნეოდა ტრადიციულად. სამშობლოში დაბრუნებისას მის წინაშე წამოიჭრება კითხვა: თუ აინთება მისი ლამპარი? სახარებისეული ამ სიმბოლური ხატის თანახმად, ადამიანმა ზეთი უნდა დააგროვოს, რათა ანთებული ლამპრით შეხვდეს ღვთაებრივ სიძეს – ქრისტეს, და ღირსი გახდეს ღვთაებრივი ქორწინებისა. იგავის აზრი ნათელია; ადამიანმა სულიერი საზრდოსთვის უნდა იზრუნოს, რათა ამაღლდეს, მისმა ღვთაებრივმა „მე“-მ ლამპარივით გამოანათოს და სულიერ სრულყოფას, ანუ ქორწინებას, ღვთაებასთან შერწყმას, მიაღწიოს. სახარების ამ იგავით (იგავი ათი ქალწულის შესახებ, მათე. 25, 1-13) გამოხატავს თავის საფიქრალს ჯიბრან ხალილ ჯიბრანი „წინასწარმეტყველის“ წასაწყისშივე. ხოლო „წინას-

წარმეტყველის წალკოტში“ კვლავ უბრუნდება ამ იგავს: „თქვენ ხართ სული, სხეულში მოქცეული. ზეთი რომ იწვის და ანათებს სიბნელეში, თქვენც ასევე ცეცხლი ხართ, ლამპარში მომწყვდეული... საქორწინე სარეცელი გელით“, – ამბობს წინასწარმეტყველი. ლამპრის სიმბოლიკა ერთ მთლიანობად კრავს ორივე ნაწარმოებს. ამ ორ თხზულებას შორის კი არის „იესო, ძე კაცისა“, თვით ღვთაებრივი სიძე, რომლის წვეულიც არის ლამპარჩაუმქრალი ყველა ადამიანი.

წინასწარმეტყველი ყველა დროისა და ყველა მრწამსის ადამიანთა ცნობიერებაში არის ყოფიერების მიღმა მზირალი მოძღვარი, ბრძენი, რომლის დამოძღვრა ღვთაებრივ ნებად, ღვთაებრივ იმპერატივად აღიქმება. ჯიბრან ხალილ ჯიბრანის წინასწარმეტყველი განსხვავებულია ძველ წინასწარმეტყველთაგან. მას პირობითად აღმოსავლური სახელი აქვს – „ალმუსტაფა“, რაც რჩეულს ნიშნავს, მაგრამ იგი არ არის აღმოსავლური სამყაროს გურუ. „განა მე გმოძღვრავდით? მე ხომ თავად ვიყავი მსმენელი“, – ამბობს იგი. მან შეიცნო, რომ „ადამიანი არის გზა და ამასთანავე არის მგზავრი“, და თავის თანამგზავრთ უადვილებს გზის გაგნებას. ძველ წინასწარმეტყველთაგან განსხვავებაზე საგანგებოდ მიგვანიშნებს მწერალი: „ბრძენნი მოდიოდნენ თქვენთან, რათა გადმოეცათ თავიანთი სიბრძნე. მე მოვედი, რათა თქვენგან მივიღო სიბრძნე... ეს სიბრძნეა თქვენი მგზნებარე სული... ესაა უსაზღვროება თქვენი“, – ასე მიმართავს წინასწარმეტყველი ხალხს. ქალაქის მკვიდრნი კი მას „მი-

უწვდომელის მაძიებელს“ უწოდებდნენ. იგი მიუწვდომელის, ღვთაებრივის მაძიებელი იყო და, რასაც ეძიებდა, იპოვა ადამიანში.

განშორების ჟამს ხალხი თხოვნით მიმართავს წინასწარმეტყველს: „დაგვანახვე ჩვენი თავი და გვითხარ ყოველივე, რისი ხილვაც მოგენიჭა და რაც ხდება შობიდან სიკვდილამდე“. და წინასწარმეტყველი იწყებს საუბარს სიცოცხლის აზრზე, ზნეობაზე, ჭეშმარიტებასა და მშვენიერებაზე, სიკეთესა და ბოროტებაზე...

საუბრის პირველი თემაა სიყვარული. ქრისტიანული სიმბოლოები მკითხველს უმალვე მიანიშნებს, რომ ქრისტესმიერ სიყვარულზეა საუბარი: „სიყვარული გვირგვინსაც დაგადგამთ და ჯვარსაც გაცვამთ... სიყვარული არცა რას ფლობს და ვერც მას ფლობს რაიმე, რამეთუ სიყვარულისთვის კმა არს სიყვარული. თუ გიყვართ, ნუ იტყვით: „ღმერთია ჩემს გულში“, უმჯობესია თქვათ: „მე ვარ ღვთის გულში...“ სიყვარულს არა აქვს რაიმე სხვა სურვილი, გარდა თვით სიყვარულის სრულქმნისა“.

ამ სიყვარულს ქრისტემ აზიარა კაცობრიობა. ეს ის სიყვარულია, რომლის შესახებ გვითხრა იოანე მახარებელმა: „ღმერთი არის სიყუარული“. ხოლო პავლე მოციქულმა გვაუწყა: „აწ ესერა ჰგიეს: სარწმუნოებაჲ, სასოებაჲ და სიყუარული, სამი ესე. ხოლო უფროჲს ამათსა სიყუარული არს“.

იოანე მახარებლის კიდევ ერთი დამოწმება გავიხსენოთ: „ამით ცნან ყოველთა, ვითარმედ ჩემნი მოწაფენი ხართ, უკუეთუ იყუარებოდით ურთიერთას“, – ასე მიმართა ქრისტემ მოწაფეებს. და ჩვენც

უნდა „ვცნათ“, ვისი მოწაფენი არიან თავად ჯიბრან ხალილ ჯიბრანი და მისი წინასწარმეტყველი. სიყვარულზე საუბრით იწყება „წინასწარმეტყველი“ და შემდეგ ნაჩვენებია, რომ ყველა დანარჩენი თემა, ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის ყველა გამოვლინება სიყვარულს უნდა ეფუძნებოდეს. მაშინ შევიცნობთ, რომ ქორწინება სულთა ერთობაა და არა – უღელი; რომ შვილი არაა ჩვენი საკუთრება, ჩვენით მას ეძლევა სხეული და არა – სული; შრომაში თუ სულის სუნთქვას ჩატოვებ, შეიცნობ, რომ „შრომა თვალით სახილველი სიყვარულია“; რომ ყიდვა-გაყიდვაც ადამიანის ამამაღლებელია, თუ მას სიყვარული და სამართლიანობა წარმართავს; რომ სწავლება სიყვარულის გაცემაა; რომ მეგობრობაში სიყვარულის იდუმალება გაცხადდება და რომ მეგობრობა დროის მოკვლა კი არა, დროის გაცოცხლებაა; რომ ადამიანთა მიერ შექმნილი კანონებით კაცს სინდისის ქენჯნას ვერ მიუსჯი და სინანულს ვერ დააკისრებ. ნათელი ხდება, რომ ყოველდღიურ ყოფაში ჩართვა ადამიანს კი არ აშორებს ზენა სამყაროსგან, არამედ აახლოებს და ამქვეყნად ადამიანის ქცევა, ფიქრი, განცდა „სიყვარულის მარადიულ საგალობლად“ შეიძლება იქცეს.

ხალილ ჯიბრანი, მართალია, დროითა და სივრცით არ შემოფარგლავს წინასწარმეტყველის სათქმელს, თანაც კაცთა მოდგმის მარადიულ სწრაფვაზე მოგვითხრობს, მაგრამ ერთი რამ მაინც ნათელია: წინასწარმეტყველი თანამოძმეთ ესაუბრება იმ ეპოქაში, როცა ღვთის სიტყვა უკვე ხორციელქმნილია, „ღმერთი არის სიყვარული“ უკვე ნათქვამია, ჯვარცმული ღმერთის სისხლი ჩვენი

დედამიწის წიაღში უკვე ჩაღვრილია, კაცობრიობისთვის ხსნის გზა დასახულია. და ჯიბრან ხალილ ჯიბრანის წინასწარმეტყველი არის ადამიანი, რომელმაც ამ გზით იარა და ახლა სხვა ადამიანებს მიუძღვის ამავე გზაზე.

ორივე ნაწარმოებს – „წინასწარმეტყველსაც“ და „წინასწარმეტყველის წალკოტსაც“ – გასდევს სახარებისეული სიმბოლოები: „ვენახი“, „ლოდი თავსაკიდურთა“, „ფარა“, „მთა“, „ჭრილობებში თითების ჩაყოფა“, „გზა“... ორივე მათგანს და მათთან ერთად „იესო, ძე კაცისას“ კიდევ ერთი სიმბოლო გაჰყვება: ადამიანის ღვთაებრივი ბუნება სამივე ნაწარმოებში შედარებულია ზღვასთან, ოკეანესთან; ადამიანის სწრაფვა თვითშემეცნებისა და ამაღლებისკენ გამოხატულია ნაკადულის სწრაფვით „უკიდეგანო ზღვისკენ“, „გარეშეუწერელი ოკეანისკენ“. ამ მეტაფორა-სიმბოლოს სამივე თხზულებაში განსაკუთრებული ფუნქცია ენიჭება და მის არაერთგზის გამეორებასაც გარკვეული სტილური დატვირთვა აქვს.

„რა არის სიტყვაში დატეული ცოდნა, თუ არა ჩრდილი სიტყვაში დაუტევნელი სიბრძნისა“, – ამბობს წინასწარმეტყველი და ხალილ ჯიბრანი სწორედ „სიტყვაში დაუტევნელს“ გვაზიარებს სიმბოლოებით, მეტაფორებით, მრავლისმომცველი ხატებით. ეს ყველაფერი არაა „სამკაული“ ჯიბრანის სტილისა. ეს არის მისი მედიტაციის, მისი პოეტური ხილვებისა და თეოლოგიურ-ფილოსოფიური აზრების გამოხატვის ერთადერთი შესაძლებელი ფორმა. დიდი პოეტი და დიდი მოაზროვნე თავისი პოეტური ჭვრეტით მიგვაახლოებს ენით გამოუთქმელ სიბრძნესთან. „როგორც ნამი არის

შროშანის წიაღში, ასეა ადამიანი ღვთის წიაღში“, – ასე ლაღად და გასაგებად გვესაუბრება ხოლმე ურთულეს იდეებსა და აზრებზე. მაგალითად, ადამიანის მარადიულ არსზე და სიკვდილ-სიცოცხლის მონაცვლეობაზე ასე უბრალოდ დაგველაპარაკა: „ნისლი, გარიჟრაჟზე რომ იცრიცება და ცვარს შეატოვებს მინდვრებს, ავა მაღლა, ღრუბლად შენივთდება და წვიმად ჩამოიქცევა... განა არ ჩამოვგავარ ნისლს?“

სიმბოლო-ალეგორიათა გარდა, თემამ სხვაფრივაც მოითხოვა სახარების ენასთან სიახლოვე: სულიერი შინაარსით დატვირთული თხრობის რიტმი, ინტერვალები, ფრაზის ინტონაცია სახარების მუხლებს მოგვაგონებს. „და“, „ხოლო“, „რამეთუ“ – კავშირები თავისი სახარებისეული ფუნქციით და კიდევ სახარებისეული ენობრივი ფორმულები – „მიუგო და უთხრა“ – აქაც ისევე გვხვდება, როგორც „იესო, ძე კაცისაში“.

სიკვდილი ბოლო თემაა წინასწარმეტყველის საუბრისა. ხალილ ჯიბრანისთვის სიკვდილი არ არის დასასრული. იგი ერთი ეტაპია ადამიანის განვითარებისა. მწერალი სიკვდილს ადარებს სუნთქვას, რომელიც გაიჭრება, რათა შეუფერხებლად ეძიოს ღმერთი. სიკვდილი ახალი დღის დასაწყისია. რეინკარნაციის იდეა, რომელსაც პირველსაუკუნეთა ღვთისმეტყველნი გამოხატავდნენ, როგორც „გუამითი გუამად ცვალებას სულისას“, – ხალილ ჯიბრანისთვის მარადიული სრულყოფის საწინდარია.

“წინასწარმეტყველის წალკოტში“ მშობლიურ კუნძულზე დაბრუნებული წინასწარმეტყველის ფიქრებია გამხელილი. „სამშობლოც“ სიმბოლურია

და იგი ზენა სოფლად, სულის საუფლოდ მოიაზრება. სიმბოლური დატვირთვა აქვს წალკოტსაც და ბიბლიური სამოთხის მსგავს სამყოფელად აღიქმება.

მშობლიურ კუნძულზეც ხვდება წინასწარმეტყველს „სიმრავლე ერისა“, რომელსაც იგი გამოცდილებას უზიარებს. მის წინაშე წამოიჭრება კითხვა: თუ შეძლო თავისი გატყორცნილი ისრით ზეცისთვის რკალის შემოვლება? თურმე ადამიანმა თავისი ცხოვრებით კვალი უნდა დატოვოს ზეცაშიც.

წინასწარმეტყველი თავის მოწაფეებს ესაუბრება სიცოცხლის თეოლოგიურ-ფილოსოფიურ ასპექტებზე, სამყაროს იდუმალებაზე, ჭეშმარიტებისა და მშვენიერების მარადიულობაზე.

ადამიანმა „მარტომ უნდა დაცალოს ღვთაებრივი სასმისი“, თვითშემეცნება სულიერ სიმარტოვეს ითხოვს, მაგრამ ეს არ ნიშნავს მოყვასისგან გარიყვას. და წინასწარმეტყველის წინაშე წამოიჭრება საკითხი ადამიანთა თანაცხოვრებისა, ერის მისიისა. იგი კიცხავს ერს, რომელსაც არ აქვს ერთიანი სარწმუნოება, რომელიც არ არის დამოსილი თავისი მოქსოვილი სამოსით და არ ჭამს თავის მოწეულ პურს; რომელსაც გმირად მიუჩნევია ტრაბახა ხეპრე, გოროზი დამპყრობელი კი – ქველად; ვისაც მელა ჰყავს მოხელედ და ოინბაზი – ფილოსოფოსად; ვისი ბრძენნი დაუძლურებულან, გმირები კი ჯერ აკვანში წვანან. და ბოლოს დასძენს: „ვაი ერს, დაშლილ-დაწიაწებულს, რომლის ყოველ ნაწილს ერად მოაქვს თავი“. მათეს სახარებიდან

(23, 13-29) მაცხოვრის რისხვა გაგვახსენდება ("ვაი თქვენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო" ...).

ხალილ ჯიბრანის თანახმად, ერი მაშინაა ღირსეული, როცა მისი ყოველი წევრი იღვწის შინაგანი თავისუფლებისთვის. უამისოდ ერი მონაა. რა მნიშვნელობა აქვს, ადამიანი მონაა უცხო დამპყრობლისა, თუ თავისივე თანამოძმისა, ან თავისივე ქვენა ბუნებისა?

ხალილ ჯიბრანი გვესაუბრება კოსმოსისა და დედამიწის რიტმზე, ღვთაებრივი ევოლუციის კოსმიურ დღეებზე, ეონზე. ეს ის თემატიკაა, რომლის შესახებაც იოანე ღვთისმეტყველი, ქრისტეს უსაყვარლესი მოწაფე, გველაპარაკა „იესო, ძე კაცისას" ერთ-ერთ თავში.

სამყაროს ქმნადობის პროცესს გადასწვდება ხალილ ჯიბრანის შინაგანი მზერა და მედიტაციით მოიცავს იმ პერიოდს, „როცა დედამიწამ არც ჩვენ გვიცოდა და არც თავი თვისი ... როცა დედამიწას ქმნადობის ჟამი ედგა და ბორგავდა". ამ ირაციონალურ ჭვრეტაში წინასწარმეტყველი თანამოძმეთაც სამყაროს ჰარმონიის ნაწილად მიიჩნევს: „თქვენ ხართ სული, სხეულში მოქცეული... ცეცხლი ხართ, ლამპარში მომწყვდეული... თქვენ რომ მხოლოდ სხეული იყოთ, მაშინ თქვენთან ჩემს ყოფნას და საუბარს აზრი არ ექნებოდა... ყველაფერი, რაც უკვდავია თქვენში, თავისუფალია ... მისი არც შეზღუდვა შეიძლება, არც დაბორკვა, რამეთუ ასეთია ნება უზენაესისა. თქვენა ხართ უზენაესის სუნთქვა. ქარივით ხართ, რომელსაც ვერც მოიხელთებ და ვერც დაამწყვდევ. და მეც აგრეთვე ფშვინვა ვარ უზენაესის სუნთქვისა".

ხალილ ჯიბრანმა ამ ნაწარმოებში ისიც გვითხრა, რომ ადამიანს თვალებზე რიდე აქვს წაფარებული და ყურები აქვს დაცობილი. მაგრამ ეს ეტაპი უნდა გაევლო მას. დადგება დრო, როცა ადამიანი სიბნელეს ისევე დალოცავს, როგორც ლოცავდა სინათლეს, რადგან „სიბნელე განთიადია, ჯერ არ-შობილი“. ადამიანი მიხვდება, რომ მას ჰმართებს ჰარმონიაში ცხოვრება სხვა ადამიანებთან კი არა მხოლოდ, ჯიბრანის აზრით, ჰარმონიაში ცხოვრება გვმართებს ყველაფერთან, ქვასთანაც კი, რადგან ყველაფერი ჰანგს გამოსცემს და ღვთაებრივ ჰარმონიაში ქვის სიმღერაც ისევე ისმის, როგორც ვარსკვლავისა. ყველაფერი ერთმანეთს ეხმატკბილება სრულქმნილ თანხმიერებაში.

წინასწარმეტყველმა თანდათან მიიყვანა ადამიანები ღვთის ძიებამდე. „თქვენ მუდამ ეძიებდით საკვებსა და თავშესაფარს, სამოსელსა და ყავარჯენს. ამიერიდან ეძიეთ იგი, ერთადერთი“, – ეუბნება თავის მსმენელებს და კვლავ ღვთაებრივი სიყვარულისკენ წარმართავს მათ: „თქვენში აღძრული კითხვები მიგიძღვეთ სიყვარულთან და სიბრძნესთან უზენაესი ერთისა, რომელსაც ადამიანები ღმერთს უწოდებენ“. ამასთანავე ადამიანებს ურჩევს, რომ ნაკლები ილაპარაკონ ღმერთზე, რომლის შეცნობა ჩვენს ძალას აღემატება და მეტი ისაუბრონ ერთმანეთზე, რადგან ერთმანეთის გაგების ძალა შეგვწევს. ადამიანის გაგება სამყაროს იდუმალების წვდომასაც იწვევს, რადგან „უკიდეგანო და უსაზღვრო სიყვარული ჩაბუდებულია კაცთა გულებში“.

„წინასწარმეტყველის წალკოტი“ აგვირგვინებს სამწიგნიან ამ ციკლს და მთავრდება „საღვთო ნის-

ლში“ წინასწარმეტყველის შეღწევით. „საღვთო ნისლი“ ქრისტიანულ ღვთისმეტყველებაში „უცნაური და უთქმელი“ (შეუცნობელი და ენით გამოუთქმელი) ღმერთის დამფარავ რიდედ აღიქმებოდა. ასეა ქრისტიან პირველმამათა სახისმეტყველებაში. ხოლო დიონისე არეოპაგელმა საღვთისმეტყველო ტრაქტატი – „საიდუმლო ღვთისმეტყველებისთვის“ უძღვნა საღვთო ნისლთან, საღვთო ბნელთან მიახლოებას.

ხალილ ჯიბრანი მეგობარს სწერდა: „რა გითხრა „წინასწარმეტყველზე“? ეს წიგნი ჩემი მეორედ დაბადება და პირველი ნათლობაა. ეს წიგნი მხოლოდ მცირე ნაწილია იმისა, რასაც ვხედავ ადამიანთა დადუმებულ გულებში და ღვთაებრივ სიტყვას მონატრებულ მათ სულებში“.

ხალილ ჯიბრანმა უთხრა ადამიანებს: „რომელი თქვენგანი არ გრძნობს, რომ უსაზღვროა ნიჭი თქვენი სიყვარულისა? ეს უსაზღვრო და უკიდეგანო სიყვარული შემოსაზღვრულია თქვენით“. და სწორედ ამ სიყვარულის, ღვთაებრივი სიყვარულის გაჩაღებას ემსახურება მისი შემოქმედება.

ჯიბრან ხალილ ჯიბრანის თხზულებები ყველა დონის მკითხველს აწვდის სულიერ საზრდოს. ზოგს მეტს ეტყვის, ზოგს – ნაკლებს, მაგრამ გულგრილს არავის ტოვებს. მის წიგნებს საოცარი ზემოქმედების ძალა აქვს, მკითხველს შეძრავს მისი ფრაზის ძლიერი ემოციური მუხტი და სიტყვაში ჩატეული აზრის მასშტაბურობა.

ხალილ ჯიბრანი ყოველდღიურობაში ჩაკარგვის საშუალებას არ გვაძლევს. სხვა მხერით ვჭვრეტთ

ჩვენს ფიქრებს, გრძნობებს, ნაბიჯებს; იგი ადამიანის ფენომენზე დაგვაფიქრებს, იდუმალ სიღრმეთა ძიებისკენ გვიბიძგებს.

სხვათა შორის, ერთმა ცნობილმა ამერიკელმა კარდიოლოგმა წიგნი უძღვნა ხალილ ჯიბრანის შემოქმედებას და თავის პაციენტებს მისი თხზულებების სისტემატური კითხვა ურჩია გამოსაჯანმრთელებლად.

ხალილ ჯიბრანს მიიჩნევენ არა მხოლოდ დიდ მწერლად, არამედ XX საუკუნეში მოვლენილ კაცობრიობის დიდ ინსპირატორადაც.

* * *

წიგნში შევიტანე ჯიბრან ხალილ ჯიბრანის „სიმღერები“, რომლებიც მან არაბულად დაწერა. მივიჩნიე, რომ ქართველი მკითხველისთვის საინტერესო იქნება მათი გაცნობა ამ ნაწარმოებებთან კონტექსტში. ჯიბრან ხალილი ხომ არაერთხელ მიგვაპყრობინებს ყურადღებას ნაკადულებისა და ყვავილების ღიღინზე, – მთების, ტყე-ჭალების, ზღვების იდუმალ ხმიანობაზე და ცდილობს გაგვაგონოს „ღვთაებრივი ჰანგი, რომელშიც ქვის სიმღერაც ჟღერს და ვარსკვლავისაც“.

არაბულის არცოდნის გამო ისინი ვთარგმნე ცნობილი არაბისტის აკად. ი. კრაჩკოვსკის რუსული თარგმანიდან.

მანანა გიგინეიშვილი

იესო, ძე კაცისა

სიტყვანი და საქმენი მისნი, თქმულნი და დამოწმებულნი მისთა მხილველთაგან

იაკობი, ძე ზებედესი

სასუფეველთა შესახებ

გაზაფხულის ერთ დღეს იდგა იესო იერუსალიმის მოედანზე და ცათა სასუფეველზე ესაუბრებოდა სიმრავლეს ერისას.

და კიცხავდა იგი მწიგნობართა და ფარისეველთ, რომელნიც მახეს უგებენ და გზაზე ხნარცვს უთხრიან სასუფევლის მაძიებელ კაცს. იესო იმათი ძვირის ხსენებაში იყო და იქადნებოდა.

ბრბოში ერივნენ ფარისეველთა და მწიგნობართა ქომაგნი. და სურდათ ხელი აღემართათ იესოზეც და ჩვენზეც.

ხოლო მან აირიდა მათი რისხვა, გაეცალა იქაურობას და ქალაქის ჩრდილოეთის კარიბჭისკენ გაემართა.

და გვითხრა ჩვენ: „ჟამს ჩემსას არ მოუწევია ჯერ. მრავალი მაქვს სათქმელი თქვენდა და მრავალი მაქვს საქმნელი, ვიდრე მივეცემი სოფელსა ამას“.

და მერმე თქვა მან, და იყო სიხარული და ხალისი მის ხმაში: „წავიდეთ ჩრდილო მხარეში და შევეგებოთ გაზაფხულს. გამომყევით მთებში. ზამთარი მიილია და ლიბანის მთებიდან თოვლი მოიწევს ბარად, რათა თავისი ხმა შეუზავოს გალობას ნაკადულებისას.

ხეხილის ბაღებმა და ვენახებმა ძილს წაართვეს თავი და გამოფხიზლდნენ, რათა მიესალმონ მზეს

და ძღვნად მიართვან მომწვანო ლეღვები და ჩაქარვებული მტევნები“.

და წაგვიძღვა იგი, და მივსდიეთ ჩვენ. გავყევით იესოს იმ დღესაც და შემდეგაც. მესამე დღეს, ნაშუადღევს, ჰერმონის მთის წვერზე ავედით. და იდგა იესო და დაჰყურებდა ბარის ქალაქებს.

მისი სახე სხივს ისროდა ბაჯაღლო ოქროსავით. და გაშალა მკლავები და გვითხრა: „იხილეთ მიწა, მწვანე ქათიბით მოკაზმული, და იხილეთ ნაკადულები და ჩქერები, ვერცხლის არშიებად რომ შემოვლებიან მისი სამოსის ნაწიბურებს.

ჭეშმარიტად მშვენიერია მიწა და მშვენიერია ყოველივე, რაც არის მას ზედა.

ხოლო რასაც უმზერთ თქვენ, ყოველივე ამისმიღმა არის სასუფეველი. და იქ იქნება მეუფება ჩემი. და თუ ამჯობინებთ, და თუ ნამდვილად ისურვებთ, შეგიძლიათ გამომყვეთ და თქვენც მეუფებდეთ ჩემთან ერთად.

თავს დარქმული არ გვექნება მუზარადი, ხელთ არ გვექნება ხმალი, არც კვერთხი. ქვეშევრდომთ ვეყვარებით და არ ექნებათ ჩვენი შიში“.

ასე იტყოდა იესო. და თვალი ჩემი დავსებული იყო მიწიერ სამეფოთათვის, ყველა ქალაქის, ყველა გალავნისა და გოდოლ-ბურჯისათვის. და სურდა ჩემს გულს გაჰყოლოდა მოძღვარს მის საუფლოში.

და მერმე გამოჩნდა იუდა ისკარიოტელი. იგი წარუდგა იესოს, მიმართა მას და უთხრა: „იხილე, ვრცელნი არიან სამეფონი სოფლისანი. იხილე ქალაქები დავითისა და სოლომონისა. მათ უნდა დაჯაბნონ რომაელები. იყავ მეუფე ჰურიათა, მხარში

დაგიდგებით ფარითა და მახვილით... და გავიმარ-ჯვებთ“.

იესომ მოისმინა და მოუბრუნდა იუდას. და სახე მისი რისხვას აფრქვევდა. და თქვა მან გრგვინ-ვასავით ზარდამცემი ხმით: „განვედ ჩემგან, სატა-ნავ! ხომ არ გგონია, მისთვის ჩავერთე ჟამთა სვლაში, რომ ორიოდე დღით განვაგო ჭიანჭვე-ლების ბუდე?!

ტახტი ჩემი, საყდარი ჩემი, უხილავია შენი მზე-რისათვის. მან, ვისი ფრთებიც დედამიწას გარე-შემოწერს, სავანედ და თავშესაფრად ვით ეძიოს მიგდებულ-მივიწყებული ბუდე?!

ცოცხალს პატივი ვით მიაგოს და ცოცხალი ვით აღამაღლოს შესუდრულმა მკვდარმა?!

სასუფეველი ჩემი არა არს ამა სოფლისა. და ტახტი ჩემი არ აღიმართება თქვენთა წინაპართა თავის ქალებზე.

თუ ეძიებ შენ რაიმეს სხვას და არა – სასუფე-ველს სულისას, უმჯობესია შენდა, დამტოვო მე აქ და დაეშვა შენთა მიცვალებულთა მღვიმეებისკენ, სადაც გარდასულ დროთა გვირგვინოსნებს დარ-ბაზობა გაუმართავთ, რათა თავიანთ სამარხებში პატივი მიაგონ მამა-პაპათა ძვლებს.

როგორ ბედავ მაცთუნო ფუჭი დიდების გვირ-გვინით, როცა შუბლი ჩემი ვარსკვლავთა ხომლის გვირგვინს ეძიებს და თან ეძიებს გვირგვინს ეკ-ლისას!

გარდასულ მოდგმათაგან ნალოლიავები ოცნება რომ არა, არ მოვევლინებოდი სოფელს, მზეს არ მოუწევდა ჩემი მოთმინების ხილვა, მთვარეს არ მოუწევდა ჩემი ჩრდილის დაფენა თქვენს გზებზე.

დედის სურვილი რომ არა, არ გავიკარებდი ჩვილის სახვევებს და ცათა სივრცეში დავრჩებოდი.

ყოველი თქვენგანის დარდი რომ არა, რა მქონდა სავალალო და სატირალი?!

ვინ ხარ შენ, და რა გსურს, იუდა ისკარიოტელო? რატომ გინდა მაცთუნო მე?

ნუთუ ნამდვილად გამზომე და ამწონე, და დარწმუნდი, რომ სწორედ მე უნდა წარვუძღვე ჯუჯათა ლაშქარს და ზეციური ლაშქრის უხილავი ეტლები წარვმართო იმ მტრის წინააღმდეგ, რომელიც დაბანაკებულია მხოლოდ თქვენს სიძულვილში და დათარეშობს მხოლოდ და მხოლოდ თქვენს შიშში.

ბევრი მღილი დაღოღავს ჩემს ფერხთით. და მე როდი ვაპირებ მათთან შებმას. თავი შემაწყინეს მქირდველთაც და შემბრალებელთაც, რომელნიც ლაჩრად მიმიჩნევენ, რადგან ალყად არ შემოვადგები ქალაქებს, მათთან ერთად არ შევუტევ გალავნებსა და გოდოლ-ბურჯებს.

ჭეშმარიტ სიბრალულს ბოლომდე უნდა გატანა. შეიძლებოდა ჩემი სვლა წარმემართა სხვა სამყაროსკენ, სადაც სხვა სულიერნი მკვიდრობენ. მაგრამ ვით შევძლო?!

თქვენს მღვდელთმოძღვრებსა და თქვენს მეფეებს სწყურიათ სისხლი ჩემი. და მიიღებენ, ვიდრე ვარ ამა სოფლად. მე არ გარდავალ ღვთაებრივ განჩინებას. ჩემი მეუფება არ წარიმართება განუგებლად.

აცალეთ, უმეცრებამ იბოგინოს, ვიდრე არ მოიმკის შედეგს.

აცალეთ ბრმებს, გაუძღვნენ ბრმებს ხნარცვისაკენ. აცალეთ მკვდრებს, დაფლან თავიანთი

მკვდრები, ვიდრე მიწა არ შეიძვრება თავისი ნაყოფის სიმწარით.

მეუფება ჩემი არა არს ამა სოფლისა. იქ იქნება სუფევა ჩემი, სადაც სიყვარულითა და სიხარულით შეხვდება ერთმანეთს სიცოცხლის სილამაზით აღტაცებული ორი ან სამი კაცი, და სადაც გამიხსენებენ მე.

მერმე უეცრად მიუბრუნდა იუდას და უთხრა: „უკან დაიხიე. სუფევა შენი არასდროს იქნება ჩემს სასუფეველში“.

ბინდდებოდა. და მოგვიბრუნდა იესო და გვითხრა: „ქვევით ჩავიდეთ. ღამდება. ვიაროთ ნათელში, ვიდრე ნათელი არის ჩვენთან“.

მერმე იგი მთიდან დაეშვა და ჩვენ გავყევით მას. და შორიახლო მოგვდევდა იუდა.

და ბარად რომ ჩამოვედით, უკვე დაღამებული იყო.

და თომამ, დიოფანეს ძემ, უთხრა იესოს: „მოძღვარო, უკვე ბნელა და გზას ვერ ვიგნებთ. თუ ინებებ, წაგვიძეხ, აგერ, ლამპრები რომ ციმციმებენ, იმ სოფლისკენ, საზრდელს და თავშესაფარს ვიპოვით იქ“.

და მიუგო იესომ თომას და უთხრა: „მაღლა რომ აგიძეხით, გშიოდათ. ბარად ჩამოგიძეხით და კიდევ უფრო გშიათ. მაგრამ ამაღამ ვერ დავრჩები თქვენთან. უნდა განვმარტოვდე“.

მაშინ სიმონ-პეტრე წამოიწია წინ და თქვა: „მოძღვარო, ნუ მიგვატოვებ ამ სიბნელეში. ნება გვიბოძე, დავრჩეთ შენთან აქ, ამ შარაგზაზე. ღამე და მწუხრის აჩრდილები დიდხანს არ გასტანს. ინათებს და დილა სწრაფად მოგვაგნებს, შენ თუ იქნები ჩვენთან“.

და მიუგო იესომ: „ამ ღამეში მელს სორო აქვს და ფრინველთ ცისათა – ბუდე. ხოლო ძესა კაცისას მიწაზე არა აქვს ადგილი, სადაც თავს მიიდრეკს. ახლა უნდა განვმარტოვდე. თუ ისურვებთ, ისევ მიხილავთ ტბასთან, სადაც პირველად შეგხვდით“.

მერმე ჩვენ წავედით გულდამძიმებულნი, რამეთუ მისი დატოვება არ იყო ჩვენი ნება.

ბევრჯერ შევჩერდით და მივიხედეთ მისკენ. და ვიხილეთ იგი, ძალმოსილი და მარტომყოფი, მაღრიბისკენ მიმავალი.

ერთადერთი ჩვენ შორის, ვისაც არ გაუხედავს მისკენ და არ უხილავს მისი სიმარტოვე, იყო იუდა ისკარიოტელი.

იმ დღიდან იუდა გულჩათხრობილი ჩანდა, გაგვინაპირდა და, ვფიქრობ, შიში ჩაუდგა თვალის უპეებში.

ანა, დედა მარიამისა

იესოს შობის შესახებ

იესო, ძე ჩემი ასულისა, აქ დაიბადა, ნაზარეთში, იანვრის თვეში. მისი შობის ღამეს სამი მგზავრი გვეწვია აღმოსავლეთიდან. სპარსნი იყვნენ, ეზდრაელონში ჩამოჰყოლოდნენ მიდიელთა ქარავანს, ეგვიპტისკენ გზად მიმავალს. ფუნდუკში ოთახი აღარ რგებოდათ და ჩვენთან მოვიდნენ, თავშესაფარს ეძებდნენ.

მივესალმე და ვუთხარი: „ამ ღამით ასულმა ჩემმა შვა ძე. იმედია, მომიტევებთ, კეთილ მასპინძელს რომ ჰმართებს, ისე თუ ვერ მოგემსახურებით“.

მერმე მათ მადლი მითხრეს თავშესაფრისთვის და ნავახშმევს მთხოვეს, ახალშობილის ხილვას ვისურვებდითო.

მშვენიერი სანახავი იყო ძე მარიამისი. და მშვენიერი იყო მარიამიც.

და, როცა მათ იხილეს მარიამი და ჩვილი, აბგებიდან ამოალაგეს ოქრო-ვერცხლი, მური და გუნდრუკი და ჩვილს დაუწყვეს ფერხთით.

მერმე მუხლი მოიდრიკეს და ილოცეს ჩემთვის გაუგებარ ენაზე.

და შევუძეხი ოთახში, სადაც მათთვის ლოგინი მქონდა გაშლილი. მოწიწებით მომყვებოდნენ, ნანახით გაოგნებულნი ჩანდნენ.

როგორც კი ინათა, დაგვტოვეს და ეგვიპტის გზას დაადგნენ.

ხოლო წასვლისას მომმართეს და მითხრეს: „ჩვილი სულ ერთი დღისაა, მაგრამ ვიხილეთ ნათელი ჩვენი ღვთისა მის თვალებში და ღიმილი ჩვენი ღვთისა – მის ბაგეებზე.

გევედრებით, დაიფარეთ იგი, რათა მან დაგიფაროთ თქვენ ყოველნი“.

ესა თქვეს და შესხდნენ თავიანთ აქლემებზე. და მერმე აღარ გვიხილავს ისინი.

ხოლო მარიამი გახარებული აღარ ჩანდა თავისი პირმშოთი, გაოცებული და გაოგნებული უფრო იყო.

და დიდხანს დასცქეროდა თავის პატარას. მერმე თავს შეატრიალებდა სარკმლისკენ და იხედებოდა შორს, ზეცაში, თითქოს ხილვა სწვეოდეს.

და უკიდეგანო ველები აშორებდა მარიამის გულს ჩემი გულისგან.

და იზრდებოდა ბავშვი ტანად, იზრდებოდა და მაღლდებოდა სულით. და გამოირჩეოდა სხვა ბავშვებისგან, განაპირება უყვარდა. იოლად ვერ დაიყოლიებდი.

ხელი არასდროს დამიკარებია მისთვის.

და იგი ყველას უყვარდა ნაზარეთში. და ჩემს გულში ვიცი – რატომაც.

საჭმელს გაუტანდა ხოლმე ვიღაც გამვლელს. ტკბილეულს მივცემდი და... ბავშვებს ჩამოურიგებდა, თვითონ არც კი გასინჯავდა.

ჩემს ხეხილის ბაღში ხეებზე ადიოდა, ნაყოფს ჩამოკრეფდა, მაგრამ თვითონ არ ჭამდა.

და იყო ფეხმარდი. მაგრამ ბიჭუნები ერთმანეთს რომ ეჯიბრებოდნენ, ზოგჯერ განგებ შეყოვნდე-

ბოდა, რათა ბიჭებს მასზე ადრე მიერბინათ დათ-ქმულ პალოსთან.

და ზოგჯერ, საწოლში რომ ჩავაწვენდი, მეტყო-და: „უთხარი დედას, უთხარი სხვებსაც, მხოლოდ ჩემი სხეული დაიძინებს; ჩემი გონება მათთან დარჩება, ვიდრე მათი სული მოვა ჩემთან, ჩემს განთიადთან“.

ბევრი რამ გასაკვირი სხვაც უთქვამს იესოს სიყრმისას, მაგრამ მოვხუცდი და ველარ ვიხსენებ. ახლა მეუბნებიან, რომ ველარასოდეს ვიხილავ მას. მაგრამ როგორ დავიჯერო და შევეგუო ამას?

ახლაც ჩამესმის, როგორ კისკისებდა და დარ-ბოდა ამ სახლში. და ღაწვს რომ ვუკოცნი ჩემს ასულს, იესოს კეთილსულნელებას გრძნობს გული ჩემი, თითქოს იგი მყავდეს მკერდში ჩაკრული.

მაგრამ, განა საკვირველი არაა, რომ ასული ჩემი არაფერს მეუბნება თავისი პირმშოს შესახებ?

ზოგჯერ მგონია, რომ მე უფრო მენატრება იესო, ვიდრე დედამისს. მარიამი ურყევად დგას ბრინჯაოს ძეგლივით. მე კი გული მელევა და ცრემლი ღვარად მდის.

ეგებ ჩემმა ასულმა იცის რაღაც, რაც ჩემთვის უცნობია. ეგებ მეც გამიმხილოს.

ასაფი, ტვიროსელ მჭევრმეტყველად წოდებული

იესოს ქადაგებათა შესახებ

რა გითხრათ იესოს ქადაგებათა შესახებ? ალბათ რაღაც იყო მის პიროვნებაში ისეთი, ძალას რომ შთაბერავდა მის სიტყვებს და იმორჩილებდა იმათ, ვინც ყურს მოჰკრავდა მის ნათქვამს. იგი იყო ქმნულკეთილი. დღის ნათელი ბრწყინვალებას ჰმატებდა მას.

ყველას – ქალსა თუ კაცს – მისი აზრების გაგებაზე უფრო მისი ხილვა სურდა. სულით შთაგონებული ლაპარაკობდა და სული მეუფებდა მისთა მსმენელთა ზედა.

ჩემს ყმაწვილკაცობაში ყური დამიგდია რომაელ, ათენელ, ალექსანდრიელ მჭევრმეტყველთათვის. ჭაბუკი ნაზარეველი არ ჰგავდა მათ.

ისინი დიდი ხელოვნებით არჩევდნენ სიტყვებს და ყურს სიამოვნებდა მათი ნათქვამი. იესოს რომ უსმენდი, გული ამოგივარდებოდა საგულედან და მოივლიდა აქამდე არნახულ მხარეებს.

იგი მოჰყვებოდა ამბავს ან იგავს. და მისი მონაყოლის მსგავსი ამბავი ან არაკი მანამდე არვის გაეგონა სირიაში. თითქოს წელიწადის დროთაგან ქსოვდა ამ ამბებს, როგორც ჟამი ქსოვს და ქსელავს წლებსა და თაობებს.

იგი ასე იწყებდა ამბავს: „გამოვიდა მთესველი თესლის დასათესად“;

ან: „იყო ერთი მდიდარი კაცი, ვენახის პატრონი“;

ან: „მწუხრის ჟამს გადათვალა მწყემსმა თავისი ფარა და ნახა, რომ ერთი ცხვარი აკლდა“.

ასეთი სიტყვები ხალხს აბრუნებდა თავის უბრალო და ნაღდ ადამიანურ ბუნებასთან, გარდასულ დღეებთან.

გულის სიღრმეში ჩვენ ყველანი მხვნელ-მთესველნი ვართ და ჩვენ ყველას გვიყვარს ვენახი. ჩვენი მეხსიერების სანახებში მწყემსიც არის, ფარაც და დაკარგული ცხვარიც.

აქვეა სახნისიც, საწნახელიცა და კალოც.

იესო ხედავდა დვრიტას ჩვენი ძველთაძველი არსებისას და ისიც იცოდა, რა გამძლე ძაფით ვართ ნაქსოვნი.

ბერძენი და რომაელი რიტორები თავიანთ მსმენელთ სიცოცხლეზე ისე ესაუბრებოდნენ, როგორც ამას შესწვდებოდა გონება. ნაზარეველი კი ლაპარაკობდა კაცის გულში დავანებულ სწრაფვაზე.

ისინი სიცოცხლეს უმზერდნენ თქვენს და ჩემს თვალზე ოდნავ უფრო მახვილი მზერით. იესო კი ღვთის ნათელში ხედავდა სიცოცხლეს.

ხშირად ვფიქრობ, იგი ისე მიმართავდა თავშეყრილ ხალხს, აი, ვთქვათ, მთა რომ გაესაუბროს ბარს.

მის სიტყვაში იყო ძალა, რომელიც არ მოსდგამდათ ათენელ და რომაელ მჭევრმეტყველთ.

მარიამ მაგდალენელი

იესოსთან პირველი შეხვედრის შესახებ

ივნისი იყო, პირველად რომ ვიხილე იგი. თავთუხის ყანაზე გადმოდიოდა, როცა ჩავიარე ჩემი მსახურებითურთ. მარტო იყო.

მისი ნაბიჯების რიტმი განსხვავდებოდა ყველასგან. და მიმოსვლა მისი არაფერს ჰგავდა, ჩემგან აქამდე ნანახს.

ადამიანები ასე არ დაიარებიან მიწაზე. დღესაც არ ვიცი, ჩქარი იყო თუ ნელი ნაბიჯი მისი.

ჩემმა მოახლეებმა მისკენ გაიშვირეს თითი და კრძალვით გადაულაპარაკეს ერთმანეთს. წამით შევდექი და ხელი შევმართე მისასალმებლად. თავი არ მოუბრუნებია, არც გამოუხედავს ჩემკენ. ვიწყინე, ბოღმა მომეძალა. გულში ჩავიხვიე წყენა. სიცივემ ისე ამიტანა, თითქოს თოვლის ნამქერს წავექირსლე და ზედ წამფარებოდა. ავცახცახდი.

იმ ღამეს სიზმრად ვნახე იგი. თურმე ძილში ვკვნესოდი და ვბორგავდი.

აგვისტო იყო, ისევ რომ ვიხილე. სარკმლიდან დავინახე. ჩემი ბაღის კიდეში, კვიპაროსის ჩრდილში, იჯდა გარინდებული; ქვისგან გამოქანდაკებულ ძეგლს ჰგავდა, ანტიოქიაში ან ჩრდილო მხარის რომელიმე სხვა ქალაქში აღმართულს.

ეგვიპტელი ჩემი მონა მეახლა და მაუწყა: „ის კაცი ისევ აქაა, შენი ბაღის განაპირას ზის“.

შევხედე. და შეიძრა სული ჩემი, რადგან იესო მშვენიერი იყო.

ყველასგან განსხვავებული სხეული ჰქონდა, ყოველ ნაკვთს მისას თითქოს უყვარდა დანარჩენი ნაკვთები.

და შევიმოსე დამასკური შესამოსელით, და გავედი სახლიდან, და გავემართე მისკენ.

არ ვიცი, ჩემი სიმარტოვე მიბიძგებდა, თუ მისი საოცარი კეთილსურნელება მიზიდავდა? ჩემს თვალებს სწყუროდათ მშვენიერების ხილვა, თუ მისი მშვენება ეძიებდა თვალთა შუქს ჩემსას?

ახლაც არ ვიცი.

სურნელებანაპკურები სამოსითა და რომაელი მხედართმთავრის ნაჩუქარი ოქროს ქოშებით მივაბიჯებდი მისკენ. მივეახლე და ვუთხარი: „დილა მშვიდობისა შენდა“.

და მომიგო მან: „მშვიდობის დილა შენდა, მარიამ“.

შემომხედა. ღამესავით ღრმა თვალთა მზერა მომაპყრო. ასეთი მზერა არვის მოუპყრია ჩემთვის. და მყის ვიგრძენი სიშიშვლე. და შემრცხვა.

მან კი მხოლოდ ეს თქვა: „მშვიდობის დილა შენდა“.

და მერმე ვუთხარი: „ეგებ შემოსულიყავი ჩემს სახლში“.

და თქვა მან: „მე უკვე ვარ შენს სახლში“. მაშინ არ ვიცოდი, რას გულისხმობდა, მაგრამ ახლა ვიცი.

და ვკითხე მე: „ხომ არ ინებებდი ჩემი ღვინის და ჩემი პურის გასინჯვას?“

და მომიგო მან: „კი, მაგრამ ახლა არა“.

„ახლა არა, ახლა არა“, – თქვა მან. ზღვის ზავთი, ქარის ქროლა და ხეთა შრიალი დაიტია ამ

ორმა სიტყვამ. ეს მითხრა და... სიცოცხლე გაესაუბრა სიკვდილს.

გამიგონე, მოყვასო ჩემო, მე მკვდარი ვიყავ. მე ვიყავ ქალი, საკუთარ სულს გაყრილი და განშორებული. მე ვცოცხლობდი, მაგრამ დაცილებული ვიყავ ჩემს საკუთარ არსს, რომელსაც შენ ხედავ ახლა. მე ვეკუთვნოდი ყველა მამაკაცს და – არცერთს. მეძავს მიწოდებდნენ, შვიდთა ეშმათაგან შეპყრობილს. კრული ვიყავ და განკიცხული.

ხოლო როცა მან განთიადის სხივჩამდგარი თვალებით ჩამხედა თვალებში, ჩემთა ღამეთა ყველა ვარსკვლავი ჩაქრა. და მე გარდავისახე მარიამად, მხოლოდ და მხოლოდ მარიამად, ქალად, რომელმაც თავი დაკარგა ჩვეულ ნიადაგში, სხვა ადგილას გადაენერგა და იპოვა თავისი თავი.

და კვლავ ვუთხარი იესოს: „შემოდი ჩემს სახლში და გაიზიარე ჩემი პურ-ღვინო“.

და მკითხა მან: „რატომ გინდა გესტუმრო?“

და მივუგე მე: „გევედრები, მეწვიე შინ.“ და ყველაფერი, რაც ზეციური იყო ჩემში, შეიძრა და უხმობდა მას.

მერმე შემომხედა, შუადღის მზესავით სხივთამფრქვევი თვალები შემომანათა და მითხრა: „ბევრი გყავს მოყვარული. და მაინც მხოლოდ მე მიყვარხარ. სხვებს საკუთარი თავი უყვართ შენს სიახლოვეს. მე თვით შენ მიყვარხარ. სხვა კაცებს ხიბლავთ სილამაზე შენი, რომელიც წარმავალია და დაჭკნება მათთა დღეთა აღსასრულამდე. ხოლო მე შენში ვხედავ მშვენიერებას, რომელიც უჭკნობია. და როცა მოაწევს შენთა დღეთა შემოდგომა, არ

შეგაცბუნებს შენი ანარეკლის ხილვა. წარუვალი მშვენება შენი შემოგანათებს სარკიდან.

მხოლოდ მე მიყვარს ის, რაც უხილავია შენში.“

მერმე თქვა მან ხმადაბლა: „წადი ახლა. ეს კვიპაროსი თუ შენია და თუ არ გსურს, რომ მის ჩრდილში ვიჯდე, წავალ ჩემი გზით.“

და შევღაღადე, ვუთხარი: „მოძღვარო, შემოდი ჩემს სახლში. გუნდრუკი მაქვს, მინდა გიკმიო და ვერცხლის საბანელში დაგბანო ფეხი. შენ უცხო ხარ და არცა ხარ უცხო. გემუდარები, მეწვიე.“

მაშინ წამოდგა იგი და შემომხედა. ასე ალბათ წელიწადის დრონი შეჰყურებენ ველს. და გაიღიმა. და კვლავ თქვა: „ყველა კაცს უყვარხარ თავისთვის. მე მიყვარხარ შენთვის.“

და წავიდა იგი.

არავინ დადის მასავით. ჩემი ბაღიდან აღმოსავლეთით დაძრული სიოს ქროლა თუ იყო, ან ეგებ გრიგალი იყო, ყველაფრის შემძვრელი და შემარყეველი?

მაშინ არ ვიცოდი, მაგრამ... დაისის სხივჩამდგარ თვალთა მისთა მზერამ იმ დღეს მოაშთო დრაკონი, ჩაბუდებული ჩემში. და მე გავხდი ქალი, გავხდი მარიამი, მარიამ მაგდალენელი.

ფილიმონი, ბერძენი ჯარაქიმი

იესო – ჩინებული მკურნალი

ნაზარეველი ჩინებული მკურნალი იყო თავისი ხალხისა. მასავით არვინ იცოდა ჩვენი სხეული, მისი თავისებურება, მისი ყოველი ნაკვთი.

იგი ისეთი სნებისგან კურნავდა ხალხს, ბერძნებს და ეგვიპტელებს გაგონილიც რომ არ ჰქონიათ. ამბობენ, მკვდარიც აღადგინაო. არ ვიცი, ეს სიმართლეა თუ არა, მაგრამ მაინც მოწმობს მის ძალას: მხოლოდ იესოსთვის, დიად საქმეთა მოქმედისთვის, შეიძლებოდა მიეწერათ ეს უდიდესი სასწაული.

ამბობენ, იესო ინდოეთს და შუამდინარეთს ეწვიაო, და იქ ქურუმებმა გაუმხილესო ჩვენი სხეულის სიღრმეში ჩაბუდებული საიდუმლო.

ეგებ ეგ სიბრძნე თვით ღმერთებისგან ებოძა და არა – ქურუმთაგან. ის, რაც ჟამთა დასაბამშივე დაფარულ იქნა კაცთათვის, შეიძლება ადამიანს გამოეცხადოს წამში. აპოლონს ხელეწიფება შეეხოს ბნელი კაცის გულს და ბრძენად აქციოს.

იდუმალებათა ბევრი ბჭე შეაღეს ტვიროსელებმა და თებეელებმა. იესოს წინაშეც განიხვნა დაბეჭდულნი ბჭენი. მან შეაბიჯა სულის ტაძარში. ეს ტაძარია სხეული კაცთა. იგი ხედავდა ბოროტ ძალებს, მალულად რომ მტრობენ ჩვენს მყესებს. და ხედავდა კეთილ სულებს, რომლებიც ქსოვენ და კემსავენ ჩვენს სხეულს. ვფიქრობ, სნებისთვის გაძლებისა და გაძალიანების ძალას ჰმატებდა იგი

და ასე კურნავდა დავრდომილთ; ჩვენთა ბრძენთათვის უცნობი იყო,– როგორ. იგი აცხრობდა სიცხეს თავისი გრილი ხელის შეხებით; გაშეშებულ ხელ-ფეხს მოქნილობას ანიჭებდა და სიცოცხლეს შთაბერავდა.

მან იცოდა, რომ მერქანს ქერქი ჩამოყეფილი თუ აქვს, იკლებს წვენის სასიცოცხლო ძალა. მაგრამ არ ვიცი, თითებით როგორ ეხებოდა სიცოცხლის ძალას. ჟანგის ქვეშ მტკიცე ფოლადი რომ იყო, იცოდა იესომ, მაგრამ ჟანგმოდებული ხმალი მის ხელში ელვას როგორ კვესავდა და შუქს როგორ ისროდა, – ამას კაციშვილი ვერ იტყვის.

ზოგჯერ მგონია, რომ გრძნობდა მზისქვეშეთში ყველა სულდგმულის ტკივილსა და ჩივილს. წამოაყენებდა მათ, ეხმარებოდა, მაგრამ მხოლოდ თავისი ცოდნით კი არა, – თვალწინ გადაუშლიდა, აგებინებდა, რა ძალას ფლობდნენ თავად ისინი, საკუთარი ძალით როგორ გაჯანსაღებულიყვნენ და ამაღლებულიყვნენ.

თანაც, იესოს მთავარი საქმიანობა არ იყო ექიმობა. იგი უფრო რელიგიითა და ქვეყნის პოლიტიკით იყო მოცული. რა საწყენია, ყველაზე მეტად რა გვჭირდება და... საღ-სალამათი სხეული.

მაგრამ ეგ სირიელები, სნება რომ შეეყრებათ, წამალს კი არა,– მიზეზს ეძებენ.

სავალალოა, რომ ყველა მკურნალზე უდიდესმა მკურნალმა ექიმობას ამჯობინა ბაზრის მოედნებზე ქადაგება.

სიმონი, რომელსაც ეწოდა პეტრე

ოდეს იგი და ძმა მისი ხმობილ იქმნენ

პირველად გალილეის ტბის პირას ვიხილე იესო, უფალი ჩემი და მოძღვარი ჩემი.

ძმა ჩემი, ანდრია, ჩემთან ერთად იყო და სათხეველს ვისროდით.

ვეება შმაგი ზვირთები ასკდებოდა ნაპირს. თევზი ცოტა მოჰყვა ბადეს. და გული გვქონდა დამძიმებული.

უეცრად იესო აღიმართა ჩვენ წინაშე, თითქოს იმ წამში შესხმოდეს ხორცი. არ შეგვინიშნავს ჩვენკენ მომავალი.

ჩვენ-ჩვენი სახელებით გვიხმო და გვითხრა: „თუ შემომიდგებით, მიგიყვანთ უბეში, სადაც ბევრი თევზი იცის“.

ვიხილე მისი სახე და ბადე გამეშვა ხელიდან: ალი აკიაფდა ჩემს არსებაში და მე შევიცანი იგი.

ძმამ ჩემმა, ანდრიამ, მიუგო და უთხრა: „ჩვენ კარგად ვიცით ამ ნაპირებზე ტბის ყველა უბე. ისიც ვუწყით, დღევანდელ ქარიან დღეს თევზი ეძიებს სიღრმეს, სადაც ვერ უწევს ჩვენი სათხევლები“.

და მიუგო იესომ: „მომყევით უფრო დიდი ზღვის ნაპირებისკენ. მე თქვენ გაგხდით მებადურებად კაცთა. სათხეველი თქვენი არასოდეს იქნება ცარიელი“.

და ჩვენ დავაგდეთ ნავი ჩვენი და სათხეველი ჩვენი, და შევუდექით იესოს.

და აღმიტაცა უხილავმა ძალამ, რომლითაც მოცული იყო იესო.

ახლოს მივყვებოდი სუნთქვაშეკრული და გაოცებული. ძმა ჩემი, ანდრია, უკან მოგვდევდა გაოგნებული და განცვიფრებული.

ქვიშიან ნაპირზე მივაბიჯებდით. გავბედე და ვუთხარი: „უფალო, მე და ძმა ჩემი ვივლით შენს კვალზე, მოგყვებით ყველგან, სადაც წახვალ. მაგრამ თუ ინებებ და ამაღამ შინ გვეწვევი, დიდად გავიხარებთ შენი სტუმრობით. სახლი ჩვენი არაა დიდი, და ჭერი ჩვენი არაა მაღალი, და ღარიბული იქნება სუფრა ჩვენი. და მაინც, თუ შემოხვალ ჩვენს საყუდელში, იგი სასახლედ იქცევა ჩვენთვის. და პურს თუ გატეხ ჩვენთან, შემოგვნატრებენ ამა ქვეყნის უფლისწულები“.

და თქვა იესომ: „მე თქვენ გესტუმრებით ამაღამ“.

გულით გავიხარე. და უკან გავყევით იესოს. და უჩუმრად ვიარეთ ჩვენს სახლამდე.

ზღურბლს რომ მივადექით, თქვა მან: „მშვიდობა სახლსა ამას და მშვიდობა მკვიდრთა მისთა“.

მერმე იგი შინ შევიდა და შევყევით ჩვენ.

ცოლი ჩემი, და დედა ჩემი ცოლისა, და ასული ჩემი წამოიჭრნენ და თაყვანი სცეს იესოს. მერმე დაიჩოქეს და მისი სახელოს არშიას ემთხვივნენ.

უკვირდათ, რომ იგი, რჩეული და ყოველთა უსაყვარლესი, ჩვენ გვეწვია სტუმრად. იესო მათ ნანახი ჰყავდათ მდინარე იორდანეზე, როცა იოანე ნათლისმცემელმა აღიარა იგი წინაშე კაცთა.

ცოლი ჩემი და დედა ჩემი ცოლისა უმალვე ვახშმის სამზადისს შეუდგნენ.

ანდრია, ძმა ჩემი, მოკრძალებული კაცი იყო, მაგრამ იესოსადმი მისი რწმენა სიღრმით წააჭარ-ბებდა ჩემსას.

ასული ჩემი, იმხანად სულ თორმეტი წლისა, იდგა იესოსთან, ხელი ჩაევლო მისი სამოსისთვის, თითქოს შიშობდა, არ მივეტოვებინეთ, გარეთ არ გასულიყო, არ გაუჩინარებულიყო ღამეში. ასული ჩემი ჩაეკონა იესოს, თითქოს დაკარგულ კრავს მიეგნო თავისი კეთილი მწყემსისთვის.

მერმე სუფრას მიუჯდა იესო, პური გატეხა და ღვინო ჩამოასხა... მოგვიბრუნდა და გვითხრა: „მოყვასნო ჩემნო, კურთხევით მიიღეთ საზრდელი ჩემთან ერთად, ვითარცა მამამან ჩვენმან კურ-თხევით გვიბოძა იგი ჩვენ“.

ეს თქვა, ვიდრე ლუკმას იგემებდა. და აღასრუ-ლა უძველესი ადათი, რომელიც საპატიო სტუმარს მასპინძლობას აკისრებს. ასული ჩემი, პეტრონე-ლა, იმჟამად ყრმა და განუსწავლელი, თვალს არ აცილებდა სახეს მისას და მოძრაობას მისი ხელე-ბისას. და მე ვიხილე ცრემლი გოგონას თვალზე.

სუფრიდან რომ წამოდგა, გავყევით, გარშემო შემოვუსხედით მას ვაზის თალარქვეშ.

და იტყოდა იგი, და ვისმენდით ჩვენ, და გული ჩიტივით გვიფართხალებდა.

იგი საუბრობდა ადამიანის მეორედ შობაზე, ზე-ცის ბჭეთა გახსნაზე, ანგელოზებზე, – დაბლა რომ ეშვებიან, მშვიდობა და სიხარული რომ მოაქვთ კაცთათვის, და მაღლა რომ მიიწევენ, ზეციური საყდრისკენ, კაცთა მისწრაფებანი და სურვილები რომ მიაქვთ უფალ ღმერთთან.

მერმე თვალებში ჩამხედა იესომ და მოიხილა სიღრმენი ჩემი გულისანი და თქვა მან: „მე გამოგარჩიეთ შენ და ძმა შენი. და თქვენ გამომყვებით მე. თქვენ შრომობდით და დიდ ჯაფაში იყავით. მე დაგასვენებთ. იტვირთეთ უღელი ჩემი და შემიცანით მე, რამეთუ ჩემს გულში სუფევს მშვიდობა და სული თქვენი მოიმკის ხვავს და იპოვის სავანეს“.

ეს თქვა და... მე და ძმა ჩემი წამოვდექით და ვუთხარით მას: „მოძღვარო, გამოგყვებით სოფლის დასასრულამდე. ტვირთი შენი ამ მთასავით მძიმე რომც იყოს, შენთან ერთად ვზიდავთ სიხარულით და რომც დავეცეთ გზის განაპირას, გვეცოდინება, რომ დავეცით ზეცისკენ მიმავალ გზაზე, და ვიქნებით კმაყოფილნი“.

და მიუგო და თქვა ძმამ ჩემმა, ანდრიამ: „მოძღვარო, ჩვენ ძაფი ვიქნებით შენს თითებსა და საქსოვ დაზგას შორის. თუ ინებებ, ჩაგვაქსოვე ქსელში, რათა ჩვენც ვერიოთ ნაწილად უზენაესის კვართში“.

და ცოლმა ჩემმა ასწია თავი. და ღაწვებზე ღვარად ჩამოსდიოდა ცრემლი და სიხარულით ამბობდა: „კურთხეულ ხარ შენ, უფლის სახელით მოვლენილო. კურთხეულია წიაღი, რომელმაც გიტვირთა შენ, – და კურთხეულია ძუძუ, რომელმაც გაწოვა შენ“.

და ასული ჩემი, რომელიც მხოლოდ თორმეტი წლისა იყო, იჯდა იესოს სიახლოვეს, მის ფერხთით.

და დედა ჩემი ცოლისა ზღურბლთან ჩუმად იცრემლებოდა, თავშალი ცრემლით დალტობოდა.

მაშინ მივიდა მასთან იესო, წამოაყენა, სახე სახესთან მიუტანა და უთხრა: „შენა ხარ დედა

ამათ ყოველთა. შენ ტირი სიხარულით და მე მემახსოვრება ცრემლი შენი“.

მერმე ცის კიდეში ამოიწვერა მცხრალი მთვარე. და იესომ შეავლო მას თვალი. მერმე ჩვენ მოგვიბრუნდა და გვითხრა: „გვიანია. საწოლს მიაშურეთ. დაე, იყოს უფალი თქვენთან განსვენების ჟამს. მე განთიადამდე აქ დავრჩები, ამ თალარქვეშ. დღეს მოვისროლე ბადე და ორი კაცი მოვიპოვე. კმა არს ჩემდა. და ახლა კი მშვიდობის ღამეს გისურვებთ“.

მაშინ დედამ ჩემი ცოლისამ თქვა: „ჩვენ ლოგინი შინ გაგიშალეთ, გევედრები, შემოდი და მოისვენე“.

და მიუგო მას იესომ: „მე ნამდვილად მოვისვენებ, მაგრამ ჭერქვეშ – არა. ნება მიბოძე, ამაღამ დავწვე ვაზის თალარქვეშ, ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ქვეშ“.

და მან გარეთ გამოუტანა ლეიბი, და ბალიშები, და წასაფარებელი. და გაუღიმა იესომ და უთხრა: „იხილე, მე დავწვები ორჯერ გაშლილ ლოგინში“.

მერმე დავტოვეთ იგი და შინ შევედით. ასული ჩემი სულ ბოლოს შემოვიდა და თვალი არ მოუცილებია იესოსთვის, ვიდრე კარი არ მივხურე.

პირველად ასე ვნახე და ასე ვიცანი უფალი ჩემი და მოძღვარი ჩემი.

ეს იყო დიდი ხნის წინათ. და მაინც მგონია, რომ ეს მოხდა დღეს.

კაიაფა, მღვდელთმოძღვარი

იმ კაცზე, იესოზე, და მის სიკვდილზე რომ ვლაპარაკობთ, ორი რამ უნდა გვახსოვდეს: თორა შეურყვნელად უნდა დავიცვათ ჩვენ, ხოლო ქვეყანა უნდა დაიცვას რომმა.

ის კაცი გვეურჩებოდა ჩვენც და რომსაც. მან ტვინი აურია უბირ ხალხს და რაღაც ჯადოქრული გრძნებით ააბორგა ჩვენ წინააღმდეგაც და კეისრის წინააღმდეგაც.

ჩემი მონები – ქალებიცა და კაცებიც – მოედანზე მის ქადაგებას რომ მოისმენდნენ, იბოღმებოდნენ და ჯანყდებოდნენ. ზოგმა კიდეც მიატოვა ჩემი სასახლე და გაიჭრა უდაბნოში, საიდანაც იყო შემოხიზნული.

გახსოვდეთ, რომ თორა არის საფუძველთა საფუძველი და ბურჯი ჩვენი ძლიერებისა. და იერუსალიმს ვერვინ შეარყევს, სანამ მისნი ზღუდენი ეფუძნებიან დავითის ჩაყრილ ძველ ბალავარს.

აბრაამის თესლმა თუ გვინდა ნამდვილად იხაროს და აღორძინდეს, ეს მიწა არ უნდა წაიბილწოს.

და ის კაცი, იესო, იყო წამბილწავი და ხელმყოფი სიწმინდეთა. ჩვენ იგი მოვაკვდინეთ შეგნებულად და სუფთა სინდისით. და ასე დავხოცავთ ყველას, ვინც მოსეს მცნებებს გარდავა და დაამცრობს ჩვენს წმიდათაწმიდა ადათებს.

ჩვენ და პონტოელმა პილატემ ვიცოდით, საში-ში იყო ის კაცი, და ბრძნულადაც მოვიქეცით, ბოლო რომ მოვუღეთ მას.

მოვესწრები, ასეთივე აღსასრული ექნებათ მის მიმდევრებსაც და ჩაჩუმდება მისთა სიტყვათა გამოძახილი.

იუდეას თუ სიცოცხლე უწერია, უნდა გაცამტვერდეს ყველა მისი მტერი და ორგული. ხოლო თუ იუდეას სიკვდილი ელის, ჩემს ჭაღარაზე ნაცარს დავიყრი სამოელ წინასწარმეტყველივით, ტანზე შემოვიხევ ამ შესამოსელს აარონისას და ჯვალოში ვივლი ჩემთა დღეთა აღსასრულამდე.

იოანა, ჰეროდეს ეგოსმოძღვრის ცოლი

ბავშვების შესახებ

იესო არ დაოჯახებულა, მაგრამ იგი ქალების დიდი მეგობარი იყო და მშვენივრად იცნობდა მათ, როგორც გულითად მეგობართ, თბილ და ტკბილ მოყვასთ.

და უყვარდა ბავშვები, ესმოდა მათი და ენდობოდა მათ.

მისთა თვალთა ნათელში იხილვებოდა მამაც, ძმაც და ძეც.

მუხლზე დაისვამდა ბავშვს და იტყოდა: „ეგევითართა არის ძალა შენი და თავისუფლება შენი. და ეგევითართა არის სასუფეველი სულისა“.

ამბობენ, იესო არ იცავდაო მოსეს კანონს, რამეთუ უსაზღვროდ მიმტევებელი იყოო იერუსალიმელი თუ გარეუბნელი მეძავების მიმართ.

მაშინ მე თვითონაც მეძავად მიმიჩნევდნენ, რადგან მიყვარდა კაცი, რომელიც არ იყო ჩემი ქმარი. იგი სადუკეველი იყო.

ერთ დღეს, როცა ჩემი საყვარელი ჩემთან იყო, სადუკეველნი მომიხტნენ სახლში, მტაცეს ხელი და გამაკავეს. ჩემი სატრფო წავიდა, მიმატოვა.

მერმე ბაზრის მოედნისკენ წამიყვანეს. იქ იესო მოძღვრავდა ხალხს. მიმგვარეს იესოს. მისთვის მახის დაგება სურდათ და სცდიდნენ.

ხოლო იესომ არ განმსაჯა. და მან შეარცხვინა ისინი, ვისაც უნდოდა შერცხვენა ჩემი. გაკიცხა ისინი.

და მიბრძანა, შენი გზით იარეო.

მას მერმე სიცოცხლე დატკბა ჩემთვის. და მეტი ძალით ვგრძნობ აფეთქებული ყვავილნარის სურნელებას. მე გარდავიქმენ ქალად, ზნეკეთილ ქალად. და გავხდი ჩემი თავის უფალი და თავჩაქინდრული აღარ დავიარები.

რაფქა, პატარძალი კანიდან გალილეისა

ეს ამბავი რომ მოხდა, იესო ჯერ კიდევ არ იყო საქვეყნოდ ცნობილი.

ჩემს დედულეთში, ბაღში, ვარდის ბუჩქებს თავს დავსტრიალებდი, იგი რომ შეჩერდა ჩვენს ჭიშკართან.

და თქვა მან: „მწყურია, მასმევ წყალს შენი წყაროისას?“

გავვარდი და ვერცხლის ფიალა მოვურბენინე, წყლით ავუვსე და შიგ იასამნის რამდენიმე წვეთიც ჩავუწურე.

იგი დაეწაფა. სული მოითქვა.

მერმე თვალებში ჩამხედა და მითხრა: „კურთხეულ იყავ ჩემგან“.

ეს თქვა და... თითქოს ქარმა დაქროლა და გამიარა ტანში. სიმორცხვეს ვძლიე და ვუთხარი: „ბატონო, დანიშნული ვარ ერთ კანელ გალილეველზე. დამდეგი კვირის მეოთხე დღეს ვაპირებთ დაქორწინებას. ხომ არ მეწვეოდი ქორწილში? შენი სტუმრობით ხომ არ დაგვამშვენებდი?“

და მომიგო მან: „მოვალ, შვილო ჩემო“.

წარმოგიდგენიათ, მან თქვა: „შვილო ჩემო,“ თუმცა იგი ჭაბუკი იყო, მე კი ლამის ოცი წლისა ვიყავი.

მერმე გზას გაუყვა თავდაღმართში.

კარგა ხანს ვიდექი ჩვენი ბაღის ჭიშკართან, ვიდრე დედჩემმა არ შემიხმო შინ.

მომდევნო კვირის მეოთხე დღეს სასიძოს სახლში წამიყვანეს და ვიქორწინეთ.

და გვეწვია იესო და მასთან ერთად – დედა მისი და ძმა მისი იაკობი.

და მიუსხდნენ ისინი ჩვენს სტუმრებთან საქორწინო სუფრას. ქალწულები, ჩემი მაყრები, გალობდნენ სოლომონ მეფის საქორწინო საგალობლებს. და იგემა იესომ საზრდელი ჩვენი, და შესვა ღვინო ჩვენი, და გამიღიმა მე, და გაუღიმა სხვებს.

და იესო გულისყურით უსმენდა ყველა სიმღერას, რომელსაც შეყვარებული ვაჟკაცი უმღეროდა თავის ჭერქვეშ სატრფოს; და კიდევ – სიმღერას ვენახის მუშაკი ჭაბუკისას, რომელსაც ვენახის პატრონის ასული შეჰყვარებოდა და თავის დედულეთში მიჰყავდა; და კიდევ უსმენდა სიმღერას უფლისწულისას, რომელმაც ღარიბ-ღატაკი გოგო მიიყვანა თავის სასახლეში და მამა-პაპათა გვირგვინი დაადგა თავზე.

და ასე მგონია, იესო ყურს უპყრობდა კიდევ სხვა რაღაც სიმღერას, სხვა ჰანგს, რომლისთვისაც ყური ჩემი დახშული იყო.

საღამოჟამს სიძის მამა მივიდა იესოს დედასთან და ჩასურჩულა: „ღვინო აღარ გაგვწვდება, არადა, ქორწილი ჯერ კიდევ გრძელდება“.

იესომ ყური მოჰკრა ჩურჩულს და თქვა: „მწდემ იცის, რომ ღვინო საკმარად არის“.

მერმე იესო გაგვესაუბრა. იგი ლაპარაკობდა მიწისა და ზეცის საოცრებათა შესახებ, ზეციურ ყვავილებზე, რომლებიც იფურჩქნებიან, როცა დედამიწაზე ღამე ჩამოწვება; და საუბრობდა მიწის

ყვავილებზე, რომლებიც გულს იღეღავენ, როცა ვარსკვლავებს მალავს დღის ნათელი.

მან მოგვითხრო ამბები და იგავები. და დაგვატ-ყვევა მისმა ხმამ. შევყურებდით და გვეგონა, რომ ხილვები გვეწვია. და დაგვავიწყდა სასმისიცა და ფეშხუმიც.

ვუსმენდი და მეგონა, სადღაც შორეულ და უცხო მხარეში ვიყავი.

მცირე ხნის შემდეგ წვეულთაგან ერთმა უთხრა სიძის მამას: „ქორწილის ბოლოსთვის შემოგი-ნახავს უკეთესი ღვინო. სხვები ასე არ იქცევიან“.

ყველამ ირწმუნა, რომ იესომ სასწაული მოგვივ-ლინა, რათა ქორწილის დასასრულისთვის ბლომად გვქონოდა უკეთესი ღვინო.

მეც ასე ვფიქრობდი და არც გამკვირვებია, რადგან თვით მისი ხმა მაუწყებდა სასწაულს.

მერმე კარგა ხანს, პირმშო სანამ შემეძინებოდა, გულში მქონდა ჩარჩენილი მისი ხმა.

ჩვენს სოფელშიც და მახლობელ სამოსახლოებ-შიც დღესაც ახსოვთ ჩვენი სტუმრის სიტყვები და ამბობენ: „იესო ნაზარეველის სული არის საუც-ხოო ძველებური ღვინო“.

სპარსი ფილოსოფოსი დამასკოდან

ძველი ღმერთები და ახალი ღმერთი

ვერაფერს ვიტყვი იმ კაცის ბედზე და ვერც იმას მოგახსენებთ, რა ელის მის მოწაფეებს.

ვაშლის გულში დამალული პაწაწინა თესლი ხეხილის უხილავი ბაღია, მაგრამ ეს თესლი თუ კლდეზე დაეცა, ვერ იხარებს.

ერთს კი ვიტყოდი: ძველი ღმერთი ისრაელისა სასტიკია და ულმობელი. ისრაელს სხვა ღმერთი უნდა ჰყავდეს, – ღმერთი, რომელიც მწყალობელია, მიმტევებელია და სიბრალულით გადმოხედავს მათ, – ღმერთი, რომელიც მსაჯულის ტახტზე კი არ იქნება დაბრძანებული მათ შეცოდებათა ასაწონად და მათ ცთუნებათა ასაწყავად, არამედ მზის სხივებთან ერთად ჩამოეშვება და მოიხილავს მათ გასაჭირს, და მოივლის მათ ხიფათიან ბილიკებს.

ისრაელს უნდა მოვლენოდა ღმერთი, რომელიც გულში არ ჩაიხვევდა წყენას, მათ შეცოდებებს დაივიწყებდა, შურს არ იძიებდა მესამე თუ მეოთხე თაობამდე.

ადამიანი აქ, სირიაში, ისეთივეა, როგორც ყველგან. იგი იყურება თავისი ცნობიერების სარკეში და იქ პოულობს თავის ღვთაებას. იგი წარმოიდგენს თავის მსგავს ღმერთებს და ეთაყვანება ღმერთს, რომელიც ადამიანის ხატის ანარეკლია.

სინამდვილეში კაცი ლოცულობს და შესთხოვს თავისსავე სულის სწრაფვას, რომ მომძლავრდეს და აისრულოს ნატვრა.

არ არსებობს სიღრმე ადამიანის სულის გარეშე. და სულია ის სიღრმე, თავის თავს რომ უხმობს და ეძიებს. ეს სულია, ხმას რომ იღებს სალაპარაკოდ და სულია, რომ ისმენს.

ხოლო ჩვენ სპარსეთში ჩვენს სახეებს ვხედავთ მზის დისკოში და ეს ჩვენი სხეულები როკავენ საკურთხევლებზე დაგზნებულ ცეცხლში.

იესოს ღმერთი, რომელსაც იგი მამად უხმობდა, არ უნდა იყოს შორეული იესოს ხალხისთვის. იგი შეუსრულებს მათ სურვილებს.

ეგვიპტის ღმერთებმა მოიშორეს ქვების ტვირთი და ნუბიის უდაბნოს მიაშურეს, რათა განთავისუფლებულიყვნენ იმათგან, ვინც მწყრალადაა ცოდნასთან.

საბერძნეთის და რომის ღმერთების მზე ჩაესვენა. ისინი ძალიან ჰგვანდნენ შმაგი განცდებით ატანილ ადამიანებს. კორომები და ტყე-ჭალები, სადაც იშვა მათი მაგია, სწორედ ათენელთა და ალექსანდრიელთა ნაჯახებით გაიკაფა.

ამ ქვეყანაში ბორცვები და გორაკები გადაასწორეს და დაავაკეს ბეირუთელმა მსაჯულებმა და ანტიოქიელმა ჭაბუკმა განდეგილებმა.

მხოლოდ დახრონცილი ბერიქალები და დაჩაჩანაკებული ბერიკაცები აკითხავენ თავიანთ წინაპართა ტაძრებს. ქანცგაწყვეტილები გზის დასასრულში ეძიებენ დასაწყისს გზისას.

ხოლო ეს კაცი, იესო, ეს ნაზარეველი, ქადაგებდა ღმერთს, რომელიც იმდენად ყოვლისმომცველია, რომ ჰგავს ყოველი ადამიანის სულს; იმდენად ყოვლისმცოდნეა, რომ არ არის დამსჯელი ღმერთი; იმდენად მოყვარულია, რომ არ იმახსოვ-

რებს თავის მიერ შექმნილ არსებათა ცოდვებს. და ეს ღმერთი ნაზარეველისა გადააბიჯებს დედამიწის შვილთა კარის ზღურბლს, ჩამოჯდება მათ კერიასთან, ჭერქვეშ კურთხევას მიუტანს და გზას გაუნათებს მათ.

ხოლო ჩემი ღმერთი არის ღმერთი ზარათუშტრასი. ჩემი ღმერთი არის მზე – ცათა შინა, ცეცხლი – ქვეყანასა ზედა და ნათელი – ადამიანის სულში. მე მისით კმაყოფილი ვარ და არ მჭირდება სხვა ღმერთი.

დავითი, ერთი მიმდევართაგანი

იესოს სიტყვათა ხორცშესხმა

ვიდრე იგი ჩვენ შორის იყო, ვერც მისი ნათქვამის აზრს ჩავწვდი და ვერც მის იგავებს გავუგე რამე. მეტიც, ვერაფერს მივხვდი, ვიდრე მისი სიტყვები არ გაცოცხლდნენ ჩემს თვალწინ, ხორცი არ შეისხეს და არ ჩაერთნენ ჩემთა დღეთა მდინარეებში.

ნება მიბოძეთ, ერთი ამბავი მოგითხროთ: ერთ ღამეს სახლში ვიჯექი ფიქრებში წასული. ვიხსენებდი მის სიტყვებსა და მის საქმეებს, რათა ჩამეწერა და წიგნად მექცია. ამასობაში სამი ქურდი შემოიჭრა ჩემს სახლში. ვიცოდი, მოვიდნენ, რათა ჩემგან წარეტაცათ მონაგები ჩემი. და ისიც ვიცოდი, ან მახვილით უნდა დავხვედროდი, ან უნდა მეკითხა მაინც: „აქ რა გინდათ-მეთქი?“

ხოლო მე განვაგრძე მოძღვრის შესახებ მოგონებათა წერა. მპარავნი რომ წავიდნენ, მერმე გამახსენდა იესოს ნათქვამი: „ვისაც შენი კვართის წართმევა უნდა, გაატანე შენი სხვა შესამოსელიც“.

და მე გავიგე მისი ნათქვამის აზრი.

მისი სიტყვების გახსენებითა და ჩაწერით ისე ვიყავი ატანილი, მთელი ჩემი ქონება რომ გაეზიდათ, მაინც ვერაფერი მომაცდენდა.

მართალია, უნდა დამეცვა ჩემი თავიცა და მონაგარიც, მაგრამ ხომ შევიტყვე, რა ყოფილა ყველა განძზე უდიადესი განძი?!

ლუკა

მზაკვართათვის

იესოს სძულდა, ეჯავრებოდა მზაკვარნი. და მისი რისხვა ქარიშხალივით თავს ატყდებოდა მათ. მისი ხმა გრგვინვა იყო ფლიდთა ყურისთვის და მისი შიშით იყვნენ დაზაფრულნი.

ეშინოდათ იესოსი და მის სიკვდილს ეძიებდნენ. თხუნელებივით უთხრიდნენ ფეხქვეშ მიწას, მაგრამ იესო არ ვარდებოდა იმათ გათხრილ ხნარცვში.

იესოს ღიმილს ჰგვრიდა მათი ძალისხმევა, რადგან კარგად იცოდა, რომ სულს ვერც მასხრად აიგდებ, ვერც ხაფანგში მოიმწყვდევ.

მას თითქოს ხელთ ეპყრა სარკე და მასში ხედავდა უქნარებს, უნდილთ და მერყევთ, იმათ, ვინც ბორძიკობს და ეცემა მწვერვალისკენ მიმავალი გზის განაპირას.

და მას ეცოდებოდა ისინი. ბევრჯერ წაშველებია, გვერდში ამოუყენებია და ტვირთის ზიდვაშიც შეჰხიდებია; უძლურთათვის შეუთავაზებია, რომ მის ძალას დაყრდნობოდნენ.

მას არ გაუწირავს ცრუნი, მპარავნი თუ მკვლელნი. მაგრამ იგი სასტიკად განსჯიდა მზაკვართ, რომელთაც სახეზე ნიღაბი აქვთ აფარებული, ხელი კი – ხელთათმანში დამალული.

ბევრჯერ მიფიქრია მასზე, რომლის გული თავშესაფარი იყო ყველასთვის, ვინც უდაბური ადგილიდან სულის სავანისკენ მიეშურებოდა. მაგრამ მზაკვართათვის ეს სავანე დახურული და დაბეჭდილი იყო.

ერთხელ, როცა იესოსთან ერთად ვისვენებდით ბროწეულის ბაღში, ვუთხარი მას: „მოძღვარო, შენ

მიუტევებ და ანუგეშებ ცოდვილთ, უძლურთ და ძალადაშრეტილთ – ყველას, მზაკვართა გარდა“.

და თქვა იესომ: „შენ მიაგენი ზუსტ სიტყვებს, როცა ცოდვილი მოიხსენიე უძლურად და ძალადაშრეტილად. მე მათ მივუტევებ სისუსტეს სხეულისას და უძლურებას სულისას. მათ სისუსტე მოსდგამთ მამა-პაპათაგან, ან მათი უძლურება მეზობელთა სიხარბის ბრალია.

ხოლო მზაკვართ ვერ შევიწყალებ, რადგან ისინი უღელში აბამენ გულმართალ და მიმნდობ ადამიანებს.

ჯაბანი, რომელსაც შენ ცოდვილს უწოდებ, შეუბუმბლავ ბარტყს ჰგავს, ბუდიდან გადმოვარდნილს. მზაკვარი კი სვავია, კლდის ქიმზეა დადარაჯებული და ელოდება მსხვერპლის სიკვდილს.

სუსტი და ჯაბანი – ესაა უდაბნოში გზააბნეული ადამიანი. მზაკვარი არ არის დაბნეული, მან იცის გზა და მაინც ფეხს ითრევს, უდაბნოს ქვიშასთან და ქართან ლაზღანდარობს“.

ასე იტყოდა მოძღვარი ჩვენი. და მე არ მესმოდა მაშინ. ახლა კი მესმის.

მერმე მზაკვართა ამა ქვეყნისათა ხელი აღმართეს მასზე და დაუწესეს სასჯელი. და მიაჩნდათ, რომ მართალი სამართალი ქმნეს, რადგან უხუცესთა შესაკრებელში ისინი მოიხმობდნენ მოსეს მცნებებს დასტურად და სამხილად იესოს წინააღმდეგ.

მისი სიკვდილი კანონიერად მიიჩნიეს იმათ, ვინც არღვევდა კანონს ყოველ ცისმარე დღეს, ყოველი განთიადისას თუ მწუხრის ჟამს.

მათე

მთის ქადაგება

მკათათვის ერთ დღეს იესომ გვიხმო ჩვენ და თავის სხვა მოყვასთ და მთებისკენ წაგვიძღვა. მიწას სურნელი ასდიოდა და თითქოს ყველა თავისი სამკაულით გამობრწყინებულიყო, როგორც ასული მეფისა ქორწინების დღეს. ზეცა სასიძო იყო მიწისა.

მწვერვალს რომ მივაღწიეთ, იესო შეჩერდა დაფნარში და თქვა: „შეისვენეთ აქ, დაიუნჯეთ გონება და დაიმშვიდეთ გული, რამეთუ მრავალი მაქვს სათქმელი თქვენდა“.

მაშინ ჩვენ დავსხედით მოლზე. ზაფხულის ყვავილები ირწეოდნენ ირგვლივ. და დაჯდა იგი ჩვენთან.

და თქვა იესომ:

„ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა.

ნეტარ იყვნენ, რომელნი არ არიან შეპყრობილნი მოხვეჭის სურვილით, რამეთუ ისინი მოიპოვებენ თავისუფლებას.

ნეტარ იყვნენ ტანჯულნი, რამეთუ ტანჯვა შეეცვლებათ სიხარულად.

ნეტარ იყვნენ მშიერნი სიმართლისა და მშვენიერებისათვის, რამეთუ მათი შიმშილით მოიპოვება პური და მათი წყურვილით – ანკარა წყალი.

ნეტარ იყვნენ კეთილნი, რამეთუ ისინი ნუგეშინისცემულ იქნებიან თავიანთი სიკეთით.

ნეტარ იყვნენ წმინდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ.

ნეტარ იყვნენ გულმოწყალენი, რამეთუ შეწყალებულ იქნებიან მათივე გულმოწყალებისამებრ.

ნეტარ იყვნენ მშვიდობისმყოფელნი, რამეთუ მათი სული დაივანებს ბრძოლის ველზე და თიხნარს ბაღნარად გადააქცევს.

ნეტარ იყვნენ დევნილნი, რამეთუ ნაბიჯი მათი აჩქარდება და ფრთა შეესხმებათ.

გიხაროდენ და იშვებდეთ, რამეთუ თქვენ მოიპოვეთ სასუფეველი ცათა თქვენსავე თავში. გარდასულ დროთა მგალობელნი დევნეს, როცა უგალობდნენ სასუფეველს. დევნილ იქნებით თქვენც. და ესაა ღირსება თქვენი. და საზღაური მოგეზღვებათ.

თქვენ ხართ მარილი ქვეყნისა. უკეთუ მარილი განქარდეს, რით დამარილდეს საზრდელი კაცთა გულისა?

თქვენ ხართ ნათელი სოფლისა. ნუ შედგამთ სანთელს ხვიმირის ქვეშ. ინათოს მან სასანთლესა ზედა, და გაუნათოს ყველას, ვინც ეძიებს ქალაქს ღვთისას.

ნუ გგონიათ, რომ მოვედი, რათა დავხსნა სჯული მწიგნობართა და ფარისეველთა; დათვლილნი არიან დღენი თქვენთან ჩემი ყოფნისა და აღრიცხულნი არიან სიტყვანი ჩემნი. მცირე დრო დამრჩა, რათა სრულვყო ახალი სჯული და განვაცხადო ახალი აღთქმა.

ითქვა თქვენდა მიმართ: „არა კაც კლა“. ხოლო მე გეტყვით თქვენ: ნუ განურისხდები მოყვასს უმიზეზოდ.

წინაპართაგან დაგეკისრათ შეწირვა ზვარაკისა, კრავისა, მტრედისა, – და მათი დაკვლა ტაძრის საკურთხეველზე, რათა ყნოსვას უფლისას მისწვდეს იმათი ქონის სუნი და თქვენ მიგეტეოთ შეცოდებანი თქვენნი.

ხოლო მე გეტყვით თქვენ: ნუთუ ღმერთს აძლევთ იმას, რაიც მისი იყო დასაბამითვე? ნუთუ ამით მოიგებთ გულს ღვთისას, რომლის საყდარი მდუმარების სიღრმეთა მიღმაა და რომლის ხელი სივრცეებს შემოწერს?

უმჯობესია, მოიკითხე ძმა შენი და შეირიგე იგი, ვიდრე ტაძარს მიაკითხავდე; სიყვარული მიაგე მოყვასს შენსას, რამეთუ მათ სულებში ააგო უფალმა ხელთუქმნელი ტაძარი. და ტაძარი იგი არ დაინგრევა; და მათ გულებში აღმართა მან საკურთხეველი. და საკურთხეველი იგი არ დაემხობა.

ითქვა თქვენდა მიმართ: „თვალი თვალისა წილ და კბილი კბილისა წილ“. ხოლო მე გეტყვით თქვენ: არა წინააღდგომად ბოროტისა, რამეთუ წინააღდგომა საზრდოა ბოროტებისა და ძალას მატებს მას. მხოლოდ სუსტნი იძიებენ შურს, სულით ძლიერნი მიუტევებენ. და ღირსებაა თქვენი, შეურაცხმყოფელს თუ მიუტევებთ.

მხოლოდ მსხმოიარე ხეს არხევენ ან ესვრიან ქვას ნაყოფის ჩამოსაბერტყად.

ნუ ზრუნავთ ხვალინდელ დღეზე. დღევანდელი დღეც კმარა სასწაულად.

დაივიწყე თავი შენი, როდესაც გასცემ. გახსოვდეს იგი, ვისაც დახმარება სჭირდება. რამეთუ მამისგან ებოძება ყველას, ვინც გასცემს. და ებოძება უფრო უხვად, ვიდრე თავად გასცა.

ყოველს მისცემდე საჭიროებისამებრ. მამა ხომ არ მისცემს მარილს მოწყურებულ შვილს, ან ქვას ხომ არ მისცემს მშიერს; რძესაც კი არ მიაწვდის ძუძუსმოწყვეტილ ბალღს.

ძაღლთათვის შესაფერს ნუ მისცემ კაცთ. ნურც ღორებს დაუყრი მარგალიტებს. ასეთი საბოძვრით დასცინი მათ. და ისინიც გაგიქელავენ შენს ძღვენს, შეგიძულებენ და გაგანადგურებენ.

ნუ დაიუნჯებ სიმდიდრეს, რომელიც განქარდება ან მპარავი წარგტაცებს. დაიუნჯე განუქარველი და წარუპარველი სიმდიდრე, რომლის მშვენება იმატებს, რაც მეტი თვალი შეჰყურებს მას. რამეთუ სადაც არის საუნჯე შენი, იქ არის გული შენი.

ითქვა თქვენდა მიმართ: „მკვლელი მახვილით უნდა განიგმიროს, ქურდი უნდა ჯვარცმულ იქნეს, მეძავი უნდა ჩაიქოლოს“. ხოლო მე გეტყვით თქვენ: თქვენც მიგიძღვით წვლილი მკვლელის, ქურდისა და მეძავის ცოდვაში. ოდეს ისჯება სხეული მათი, ბნელდება სული თქვენი.

ჭეშმარიტად, არცერთი დანაშაული არ ჩაუდენია ერთ კაცს, ან ერთ ქალს. ყოველი ცოდვა ჩადენილია ყველას მიერ. როდესაც ვინმე იხდის სასჯელს, ეგებ მაშინ წყდება რგოლი იმ ჯაჭვისა, რომელიც თქვენც გაქვთ კოჭებზე შემოჭდობილი. ეგებ თავისი ტანჯვით იგი იხდის საფასურს თქვენი სწრაფწარმავალი ბედნიერებისთვის“.

ასე იტყოდა იესო. და მე მინდოდა მუხლებზე დავმხობილიყავი და თაყვანი მეცა მისთვის. სიმორცხვით ვერ გავინძერი, ვერც ხმა დავძარი. ბო-

ლოს შევიძელ ლაპარაკი და ვთქვი: „მინდა ვილოცო და... ენა არ მემორჩილება. მასწავლე ლოცვა“.

და მომიგო იესომ: „როცა ილოცებ, სწრაფვა შენი გამოხატე სიტყვებით. ჩემი სურვილია ვილოცო ასე:

„მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი.

მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა.

პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ დღეს.

და მოგვიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მივუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა.

და ნუ შეგვიყვანებ განსაცდელსა, არამედ გვიხსენ ბოროტისაგან.

რამეთუ შენია სუფევა, ძალი და დიდება საუკუნეთა მიმართ. ამინ“.

მწუხრი ჩამოწვა. იესო მთიდან დაეშვა და ჩვენ ყველანი უკან მივყევით. მივდიოდი და ვიმეორებდი მის ლოცვას. მახსოვდა ყველაფერი, რაც თქვა. და ვიცოდი: მისი სიტყვები, ახლა ფანტელებივით რომაა, გამყარდება და დაკრისტალდება. და ფრთები, ჩვენს თავს ზემოთ რომ ფათქუნობს, ერთ დღეს რკინით დაჭედილი ფლოქვებივით მიუხათქუნებს მიწას.

იოანე, ძე ზებედესი

იესოს სახელთათვის

შეამჩნევდით, რომ ზოგი ჩვენგანი იესოს უწოდებს „ქრისტეს," ზოგი – „სიტყვას," სხვანი „ნაზარეველს" უწოდებენ, სხვანი კიდევ – „ძეს კაცისას".

შევეცდები ცხადად განვმარტო ეს სახელები ჩემთვის ღვთით ბოძებული ნათლის შუქზე.

ქრისტე, რომელიც იყო უწინარეს ჟამისა, უწინარეს დღეთა, – არის ღვთიური ძალი. იგი ცოცხლობს ადამიანის სულში. იგია სუნთქვა სიცოცხლისა. იგი თვისთა თანა მოვიდა, და ხორციელ იქმნა, და მიიღო ჩვენი მსგავსი სხეული.

ქრისტე არის ნება ღვთისა.

იგია დასაბამშივე მყოფი სიტყვა, იგია პირველი სიტყვა, რომელიც წარმოითქვა ჩვენი ხმით და რომელიც ცოცხლობს ჩვენს ყურთასმენაში, რათა მივაპყროთ გულისყური და გულისხმავყოთ.

და პირველქმნილმა სიტყვამ უფლისამ, ღმერთმა ჩვენმა, ააგო ტაძარი ხორცითა და ძვლებით და განკაცდა შენ და ჩემ მსგავსად.

განკაცდა, რადგან ჩვენ ვერ შევძლებდით უსხეულო სულის გალობის სმენას, ვერც ჩვენსავე უზენაეს არსს ვიხილავდით, ზეციურ ნისლში მოარულს.

ქრისტე ბევრჯერ ყოფილა ამა სოფლად და მრავალი მხარე მოუვლია. და ყოველთვის იგი მიაჩნდათ უცხოდ და შეშლილად.

მაგრამ ღვთის სიტყვა ამაოდ არ ჩამოგვესმის ზეციდან. ადამიანის სული მაინც იუნჯებს იმას,

რის შენახვასა და დამახსოვრებაზე დიდად არ ირ-ჯება გონება მისი.

ქრისტეა იგი – იდუმალი და უზეშთაესი, – ვინც მიუძღვის ადამიანს მარადისობისკენ.

ნუთუ არ გსმენიათ მის შესახებ ინდოეთის გზა-გასაყარებზე?! ან – მოგვთა მხარეში და ეგვიპტის ქვიშნარებში?!

ან აქ, ამ ჩვენს ჩრდილოეთის მხარეში, ძველად მგოსნები რომ მღეროდნენ პრომეთეზე, ცეცხლის მომტანზე?!

აღსრულდა კაცთა ნატვრა. მიჯაჭვული იმედი ახსნილია! გაგეგონებათ ორფევსი, გალობითა და ქნარით რომ მოვიდა ამა სოფლად, რათა შეერხია სული ადამიანისა და პირუტყვისაც კი.

ნუთუ არ იცით მითრა – ხელმწიფე, და ზარათუშ-ტრა – წინასწარმეტყველი სპარსთა, რომელიც უძვე-ლეს დროშივე გამოფხიზლდა კაცთა მოდგმის ძილი-დან და კაცობრიობის ოცნებათა სათავეში ჩადგა?!

ჩვენ კურთხევას ვიღებთ, როცა ყოველ ათას-წლეულში უხილავსა და უზეშთაესს ვხვდებით ტა-ძარში. იგი სხეულით გვევლინება და მაშინ ჩვენი დუმილი გალობით იცვლება.

და მაინც, ყური ჩვენი ყოველთვის მზად არ არის სასმენად. და თვალი ჩვენი ყოველთვის მზად არ არის სამზერად.

იესო ნაზარეველი იშვა. და გაიზარდა იგი ჩვენს მსგავსად. მისი დედა და მისი მამა ჩვენი მშობ-ლების მსგავსნი იყვნენ. და იგი იყო კაცი.

ხოლო ქრისტე არის სიტყვა, რომელიც პირ-ველითგან იყო. იგი არის სული, რომელიც სიცოც-ხლეს გვანიჭებს. და გარდამოვიდა იესოზე ქრისტე და იყო მასთან.

და სული არის ყოვლისშემძლე ხელი უფლისა, და იესო არის ქნარი. სული არის ფსალმუნი, და იესო არის მისი ჰანგი. და იესო, კაცი ნაზარეთიდან, არის ზეციური ძალი, რომელშიც განცხადდა ქრისტე. იგი დაიარებოდა ჩვენ შორის და მეგობრებად გვრაცხდა ჩვენ.

იმხანად გალილეის მთა-ბარად მხოლოდ მისი ხმა გაისმოდა. ჭაბუკი ვიყავ მაშინ. და მის გზას მივყვებოდი, და მის ნაკვალევზე დავდიოდი.

მის ნაკვალევზე დავდიოდი და მის გზას მივყვებოდი, რათა ქრისტეს სიტყვები მესმინა იესო გალილეველის ბაგეთაგან.

ახლა კი გაიგებდით, ზოგი ჩვენგანი რატომ უწოდებს მას „ძეს კაცისას“.

თავად მას სურდა, რომ ასე ეწოდებინათ მისთვის, რამეთუ მან უწყოდა შიმშილი და წყურვილი კაცისა და ხედავდა ადამიანს, თავისი უზენაესი არსის მაძიებელს.

ძე კაცისა არის ქრისტე მწყალობელი და იგი ჩვენთან იქნება მარად.

იგი არის იესო ნაზარეველი, რომელიც თავის ყველა ძმას მიუძღვის უზეშთაესი ერთისკენ, სიტყვისკენ, რომელიც პირველითგან იყო ღმრთისა თანა.

ჩემს გულში ცოცხლობს იესო გალილეველი – უზეშთაესი ადამიანი ადამიანთა შორის, უზეშთაესი პოეტი პოეტთა შორის, რომელიც პოეტად გარდაგვქმნის ჩვენ ყველას; იგია სული, რომელიც კარზე გვიკაკუნებს, რათა გავიღვიძოთ, აღვიმართოთ და შევეგებოთ ჭეშმარიტებას, მარტივსა და უბრალოს.

ახალგაზრდა მოძღვარი კაპერნაუმიდან

იესო – მოგვი

იგი მოგვი იყო, გრძნეული იყო და ჯადოქარი. ეგ კაცი უბირ ხალხს აცთუნებდა თილისმითა და ჯადოთი, აყალბებდა ჩვენს წინასწარმეტყველთა სიტყვებს და აბუჩად იგდებდა ჩვენთა მამა-პაპათა წმინდა ადათებს.

დიახ, იგი მკვდრებსაც კი იმოწმებდა და საფლავებს მოუხმობდა თავის უფლებამოსილ მაცნეებად.

იგი მზაკვრულად ცდილობდა მოენადირებინა იერუსალიმელი და გარეუბნელი ქალები. ობობა რომ თავის ქსელში ხლართავს ბუზს, ქალებიც ასე ებმებოდნენ მის დაგებულ მახეში.

ქალები ცერცეტები არიან და ქარაფშუტები. იოლად აჰყვებიან ხოლმე კაცს, რომელიც ტკბილი და თბილი სიტყვებით დაუამებს მათ დაუხარჯავ ვნებებს. რომ არა ის ქალები, მისი ბოროტი სულით ატანილი თავქარიანი ქალები, დღეს იესოს სახელი კაციშვილს აღარ ემახსოვრებოდა.

ვინ იყვნენ ის კაცები, მას რომ გაჰყვნენ?

ეს იყო მონობის უღელში შებმულთა და დათრგუნვილთა ხროვა. ეგ უვიცები და მშიშრები ურჩობას ვერასდროს შეჰბედავდნენ თავიანთ კანონიერ პატრონებს, მაგრამ, როცა იესო მათ დაჰპირდა საპატიო თანამდებობებს თავის წარმოსახულ სასუფეველში, ისინი ისე დაჰყვნენ მის ზმანებებს, როგორც თიხა – მექოთნეს.

ხომ იცით, მონა რომ თავის ოცნებებში ყოველთვის ბატონია, სუსტი კი ლომია.

ეგ გალილეველი მჩხიბავი იყო და ყალბისმქმნელი მაგ კაცმა ყველა ავაზაკს შეუნდო ცოდვები, რათა საქებარი შეძახილები და „ოსანა“ მოესმინა იმათ უწმინდურ ბაგეთაგან. ეგ კაცი დაპირებებით კვებავდა უსასოთა და უბადრუკთა გულებს, რათა მის ხმას გამგონე ჰყოლოდა და მის დაძახილზე ამალა შეყრილიყო.

მან დახსნა შაბათი დღე, რათა უსჯულოთა და კანონის ხელმყოფთა მხარდაჭერა მოეპოვებინა. სულ მღვდელთმოძღვართა ძვირისხსენებაში იყო, რათა სიონის ყურადღება მიეპყრო და თავი განედიდებინა.

ბევრჯერ მითქვამს, ვერ ვიტანდი მაგ კაცს. ჰო... რომაელები, ჩვენს ქვეყანაზე რომ ბატონობენ, ხომ მძულს და მძულს, მაგრამ ის რომაელებზე უფრო მძულს. თანაც ნაზარეთიდან რომ იყო?! ჩვენი წინასწარმეტყველებისგან დაწყევლილი ქალაქიდან, რომელიც ნეხვის გროვად მიაჩნია ყველა წესიერ ადამიანს, და საიდანაც არასდროს არანაირი სიკეთე არაა მოსალოდნელი!

მდიდარი ლევიტელი ნაზარეთის შემოგარენიდან

იესო – შესანიშნავი ხურო

შესანიშნავი ხურო იყო. მისი ნაკეთები კარი არასდროს შეუტეხიათ მპარავთ, მისი ჩასმული სარკმლები გაიღებოდა და ეგებებოდა მაშრიყისა თუ მაღრიბის ნიავს.

და ამზადებდა იგი სკივრებს კედრის მერქნისგან, მტკიცედ კრავდა და აკრიალებდა. მისი გამოთლილი ხელნა თუ ფიწალი გამძლეც იყო და ხელშიც ადვილად მოგყვებოდა.

და თუთის ოქროსფერი მერქნიდან თლიდა ამბიონებს ჩვენი სინაგოგებისთვის. მერხის ორივე მხარეს, იქ, სადაც წმინდა წერილი ასვენია, მაღლა ატყორცნილ ფრთებს გამოაკოპიტებდა ხოლმე. ქვემოთ საყრდენის ფუძეს ამკობდა მტრედებითა და ხარებით, დიდთვალება ირმებით. მისი ყველა ნახელავი ქალდეველთა და ბერძენთა ყაიდაზე იყო ნაკეთები, მაგრამ მის ნამუშევარში იყო რაღაც განსაკუთრებული, მისეული, რაც არც ქალდეური იყო და არც ბერძნული.

აი, ეგ ჩემი სასახლე ბევრმა ხელმა აშენა ამ ოცდაათი წლის წინათ. გალილეის ყველა ქალაქიდან მოვიხმე მშენებლები: ქვითხურონი, ხითხურონი. ყოველი მათგანი გაწაფულიც იყო და ხელმარჯვეც. და მე კმაყოფილი ვიყავი.

მაგრამ, მოდი ახლა, შეხედე ამ ორ კარსა და სარკმელს. იესო ნაზარეველის ნახელავია. ჩემი

სახლის ყველა კარ-ფანჯრისგან გამოირჩევა სიმ-ტკიცით. ხომ ხედავ, ეს ორი კარი სულ სხვაა. და ეს სარკმელი, აღმოსავლეთით რომ გადის, განა არ განსხვავდება სხვა სარკმელთაგან?

ჩემს ყველა კარ-ფანჯარას კვალი დაატყო დრომ და ჟამმა. მხოლოდ იესოს ნახელავმა გაუძ-ლო სტიქიათა შემოტევას.

ან ეს წირთხლები როგორ ჩასვა, ან ეს ლურსმნე-ბი როგორაა ჩაჭედებული ფიცრის ძგიდეში, რო-გორ მჭიდროდ იჭერს და ამაგრებს მეორე კი-დესთან.

და გასაოცარია, რომ ხელოსანმა, ორი კაცის გასამრჯელოს ღირსმა, მხოლოდ ერთის საფასური იკმარა. და თურმე იმ ხითხუროს ისრაელის წინას-წარმეტყველად აღიარებენ ახლა.

ნეტა მცოდნოდა, რომ ის ხერხიან-შალაშინიანი ყმაწვილი კაცი წინასწარმეტყველი იყო. ვთხოვდი, მეტი ელაპარაკა და ნაკლები ეშრომა. და უხვადაც გადავუხდიდი წინასწარმეტყველებისთვის.

ახლაც ბევრი მოჯამაგირე მყავს ჩემს კარ-მიდამოშიც და მინდვრებშიც. მაგრამ როგორ გა-ვარჩიო კაცი, რომელსაც ხელთა აქვს დურგლის იარაღი, იმ კაცისგან, ვინც იარაღია ღვთის ხელში.

როგორ უნდა ვიცნო ხელი ღვთისა?

მწყემსი სამხრეთ ლიბანიდან

იგავი

ზაფხული იწურებოდა, იგი და სამი სხვა კაცი პირველად რომ გამოჩნდნენ აგერ ამ გზაზე. ბინდდებოდა. იგი შეჩერდა და ერთხანს იდგა იქ, იალაღის კიდეში.

სალამურს ვუკრავდი. ფარა ძოვდა ჩემ შორიახლოს. იესო შედგა. გავწიე მისკენ და წინ გავუჩერდი.

და მკითხა მან: „სად არის ელიას სამარე? აქ ხომ არაა სადმე?“

და მივუგე მე: „აქაა, ბატონო, ამ ქვების გროვის ქვეშ. ყოველ გამვლელს დღემდე მოაქვს თითო ქვა და უმატებს ამ გროვას“.

დამიმადლა და წავიდა. და მისი მეგობრები გაჰყვნენ უკან.

სამი დღე გამოხდა და მწყემსმა გამალიელმა თქვა, აქ რომ ჩამოიარა, ის კაცი იუდეის წინასწარმეტყველიაო. არ დავიჯერე. და მაინც რამდენიმე თვეს ვფიქრობდი იმ კაცზე.

გაზაფხული იყო, იესომ კიდევ ერთხელ რომ ჩამოიარა საძოვრებზე. მარტო იყო.

იმ დღეს აღარ ვუკრავდი სალამურს. ცხვარი დამეკარგა, დავლონდი, გული მიწუხდა.

გავემართე და ჩუმად გავჩერდი მის წინ. ნუგეშს ვეძებდი.

შემომხედა და მითხრა: „დღეს არ აკვნესებ სალამურს. რატომ გაქვს ნაღვლიანი თვალები?“

და მივუგე მე: „ჩემი ფარიდან ერთი ცხვარი დამეკარგა. ბევრი ვეძებე და ვერ ვიპოვე. და ახლა არ ვიცი რა ვქნა“.

ერთხანს დუმდა. შემდეგ გამიღიმა და მითხრა: „დამელოდე აქ, ვიპოვი შენს ცხვარს“. და წავიდა, გაუჩინარდა, მთებს მიეფარა.

ასე, ერთი საათის მერმე დაბრუნდა. ჩემი ცხვარი გვერდით მოჰყვებოდა. ჩემ წინ გაჩერდა. მერმე ცხვარმა თავი ააღირა და, მე რომ შევყურებდი იესოს, ცხვარიც სწორედ ასე შეაჩერდა მას. მერმე გახარებულმა გულში ჩავიკარი ცხვარი.

იესომ ხელი დამადო მხარზე და მითხრა: „დღეიდან ეგ ცხვარი შენი ფარის ყველა ცხვარზე უფრო გეყვარება, ვინაიდან დაკარგული გყავდა და ახლა დაგიბრუნდა“.

და გახარებულმა ისევ ჩავიხუტე ცხვარი. იესო უფრო ახლოს მოვიდა ჩემთან. და მე ვდუმდი.

ხოლო თავი რომ ავწიე მადლობის სათქმელად, იგი უკვე შორს იყო. და მე ძალა არ მეყო, უკან გავყოლოდი იესოს.

იოანე ნათლისმცემელი

დილეგში ესაუბრება თავის მოწაფეს

რა დამადუმებს ამ ბინძურ სოროში, ვიდრე იესოს ხმა აღწევს ბრძოლის ველიდან. ვერ შემაბრკოლებენ და ვერ გამაჩუმებენ, ვიდრე იგი არ შეუპყრიათ.

ამბობენ, ასპიტები დასარსალებენ და წელზე ეგრაგნებიანო მას.

მაგრამ პასუხად ვამბობ: ეს შემატებს მას ძალას და ქუსლით თავს გაუჭეჭყავს ასპიტებს.

მე ოდენ ქუხილი ვარ მისი ელვისა. მასზე ადრე ვთქვი, მაგრამ მისია სიტყვა და მისია მიზანი.

უეცრად შემიპყრეს. უთუოდ მასზეც აღმართავენ ხელს, მაგრამ მას შემდეგ, როცა სრულად იტყვის თავის სათქმელს. და იესო დათრგუნავს მათ.

იესოს ეტლი მათ გადაუვლის, და მისთა ბედაურთა ფლოქვები გადაქელავენ მათ, და მძლეთა-მძლე იქნება იგი.

შუბითა და მახვილით მიეჭრებიან. ხოლო იგი მტრებს შეაგებებს ძალას სულისას.

სისხლი მისი დაითხევა მიწაზე. მაგრამ თვითვე დაიჭრებიან და დაიტანჯებიან. და თავიანთი ცრემლის გუბეში მოინათლებიან, და განიბანებიან შეცოდებათაგან.

ყოლბნი და ყოლბნი ლაშქართა ძალაყინებითა და ურნალებით დაიძვრებიან იესოს ქალაქებისკენ, მაგრამ გზად იორდანეში ჩაიხრჩობიან.

მისი გალავნები და მისი გოდლები უფრო და უფრო ამაღლდებიან და მოლაშქრეთა მისთა ფარები მეტი ძალით გამობრწყინდებიან და გამოანათებენ მზეზე.

მეუბნებიან, მასთან ხარ შეთქმული და განზრახული გაქვთ, ხალხი ააბორგოთ და ააჯანყოთო იუდეის სამეფოს წინააღმდეგ.

პასუხად ვიტყვი, თან მინდა ცეცხლი შევუნთო ჩემს სიტყვებს: „თუ ჰგონიათ, რომ განუკითხაობის და ბოროტების ეს მთხრებლი სამეფოა, დაე, დაემხოს იგი და აღიგავოს პირისაგან მიწისა! დაე, სოდომისა და გომორის ბედი ხვდეს წილად, ეს მოდგმა დაჰვიწყდეს ღმერთს და ნაცარტუტად იქცეს ეს ქვეყანა!

დიახ, ამ დილეგიდან მე ნამდვილად შეთქმული ვარ იესო ნაზარეველთან. და იგი წაუძღვება ჩემს ლაშქარს, ჩემს მხედრებსა და ქვეითებს. ხოლო თავად მე, თავკაცი მათი, არა ღირს ვარ, რომ გავხსნა საბელი იესოს ხამლთა.

მიდით მასთან და უთხარით ნათქვამი ჩემი. და ჩემი სახელით შესთხოვეთ კურთხევა და წყალობა. დიდხანს არ მომიწევს აქ ყოფნა: ღამით ძილღვიძილში ვგრძნობ ფრთხილ, მოზომილ ნაბიჯებს, ამ ჩემს სხეულს გვემს ვიღაც. მივაყურადებ და... აწვიმს ჩემს სამარეს.

მიდით იესოსთან, მიდით და უთხარით, რომ იოანე კედრონის ხევიდან, იოანე, რომლის სული განთავისუფლდა ზმანებათაგან, ლოცულობს მისთვის, მაშინ როცა მესაფლავე აქვეა და მტარვალს აღმართული აქვს მახვილი აღთქმული გასამრჯელოს მოლოდინში.

იოსებ არიმათიელი

იესოს უმთავრეს მიზანთა შესახებ

გსურთ იცოდეთ, რა არის იესოს უმთავრესი მიზანი. სიამოვნებით გეტყვით, ოღონდ ვის ძალუძს ხელით შეეხოს სიცოცხლეს, კურთხეულ ღვინოში რომ ჩქეფს? ვინ იხილოს მაცოცხლებელი წვენი, ვაზის ლერწებს რომ ასაზრდოებს?

და თუმცა ყურძნის გემოც ვიცი და საწნახლიდან ახალდაწურული წვენიც შემისვამს, მაინც გამიჭირდება ყველაფრის თქმა.

მე მხოლოდ იმას ვიტყვი, რისი გაგებაც შევძელი.

მოძღვარმა ჩვენმა და საყვარელმა ჩვენმა მხოლოდ სამ წინასწარმეტყველურ დროში იცხოვრა. ეს იყო გაზაფხული მისი გალობისა, ზაფხული მისი ნეტარებისა და შემოდგომა მისი ვნებისა. ყოველმა მათგანმა ათას წელს გასტანა.

მისი გალობის გაზაფხული გალილეაში გამოიკვირტა. იქ შემოიკრიბა მოციქულები. და იქ, ლურჯი ტბის ნაპირას, პირველად ახსენა მამა, – ღმერთი ჩვენი, და ხსნა ჩვენი, და თავისუფლება ჩვენი.

გალილეის ტბასთან დავკარგეთ ჩვენ ჩვენ-ჩვენი თავი, რათა გვეპოვა მამისკენ მიმავალი გზა. ო, რა უმნიშვნელოა ეს დანაკარგი, თან რომ ნეტარებად შემოგვიბრუნდა!

სწორედ იქ ყურში ჩაგვესმა გალობა ანგელოზებისა. და გვაუწყეს მათ, მიატოვეთ ეგ უნაყოფო მიწა, რათა თქვენი გულის მისწრაფებათა წალკოტი გააშენოთო.

იესო საუბრობდა ველებზე, ლორთქო ბალახით გადამწვანებულ საძოვრებზე, თეთრ შროშანებზე, – ლიბანის ბორცვებზე რომ ღაღანებენ და არც კი ამჩნევენ ქარავნებს, დაბლა რომ მიირწევიან და მტვრის ბუქს აყენებენ.

ლაპარაკობდა იესო მინდვრის მანანებზე, რომლებიც მზეს შესცინიან და თავიანთ სურნელს თან ატანენ შემოქროლილ ნიავს.

იგი ამბობდა: „შროშანები და მანანები ერთ დღეს ცოცხლობენ, და მაინც მათთვის ეს დღე მარადისობაა, თავისუფლებაში გატარებული“.

ერთ საღამოს, ნაკადულის პირას რომ ვისხედით, იესომ თქვა: „შეხედეთ ამ ნაკადულს და ყური მიუგდეთ მის ჰანგს. იგი მარად ეძიებს ზღვას. რა ძნელი გზა აქვს ზღვამდე ნაკადულს! და თუმცა მარად ძიებაშია, მღერის და გალობს თავის საიდუმლოს განთიადიდან მწუხრამდე, მწუხრიდან განთიადამდე.

თქვენც ისე უნდა ეძიოთ მამა, როგორც ნაკადული ეძიებს ზღვას“.

შემდეგ დადგა ზაფხული მისი ნეტარებისა და გვეწვია ჟამი იესოს სიყვარულისა. იგი საუბრობდა სხვა ადამიანებზე: მოყვასზე, თანამგზავრზე, უცნობზე, ბალღობისდროინდელ მეგობარზე.

იესო ლაპარაკობდა მწირზე, რომელიც აღმოსავლეთიდან ეგვიპტისკენ მიემართებოდა, – დამაშვრალ მხვნელზე, რომელიც თავისი ხარებით შინ ბრუნდებოდა საღამოჟამს, – გზაგავლით კარს მომდგარ სტუმარზე, რომელსაც მწუხრმა უწია.

და იტყოდა იგი: „მოყვასი თქვენი თქვენივე შეუცნობელი „მეა“, რომელიც თვალით დასანახი

გამხდარა თქვენთვის. მის სახეს აირეკლავს თქვენი მდორე წყლები. თუ ჩაიხედავთ წყალში, იხილავთ თქვენსავე ხატს.

ყური მიუპყართ ღამეს და მოისმენთ მოყვასის ნათქვამს. მის სიტყვებს გაიგონებთ თქვენივე გულის ძგერაში.

იყავით ისეთი თქვენი მოყვასისთვის, როგორიც ის გინდათ იყოს თქვენთვის.

ეს არის სჯული ჩემი და კანონი ჩემი. და მე გეტყვით თქვენ და თქვენს შვილებს, და ისინი ეტყვიან თავიანთ შვილებს, ვიდრე აღსრულდება ჟამი და აღარ იქნება თაობათა ცვლა“.

და სხვა დროს მან თქვა: „განცალკევებით თქვენ ვერ შეიცნობთ საკუთარ თავს. თქვენა ხართ სხვა კაცთა ნაღვაწში და ისინი არიან თქვენთან თქვენი სიცოცხლის ყოველ დღეს, თუმცა თავად არ უწყიან ეს.

ისინი ვერ ჩაიდენენ დანაშაულს, თქვენი ხელიც რომ არ ერიოს მასში.

ისინი ვერ დაეცემიან, თქვენ თუ არ დაეცით. და ისინი ვერ ამაღლდებიან, თქვენ თუ არ ამაღლდით მათთან ერთად.

თქვენი მოყვასის გზა ტაძრისაკენ – ეს თქვენივე გზაა. და როცა ისინი ეძიებენ უშენ მიწას დასამკვიდრებლად, თქვენც ეძიებთ მათთან ერთად.

შენ და მოყვასი შენი ორი მარცვალი ხართ, ველად დათესილი. ერთად იზრდებით და ერთად გარწევთ ქარი. ნურცერთი ნუ გაუნაწყენდებით ველს. რამეთუ მარცვალი ისე იზრდება, არც ველს ემდურის, არც მიწას და არც თავის საკუთარ ძალას.

დღეს მე თქვენთან ვარ. ხვალ მზის დასავალისკენ გავწევ. და ვიდრე წავალ, მე გეტყვით თქვენ: მოყვასი თქვენი არის თქვენივე შეუცნობელი არსი, თქვენთვის ხილულად ქცეული. ეძიეთ იგი სიყვარულით, რათა შეიცნოთ საკუთარი თავი. რამეთუ მხოლოდ თავის შეცნობით გახდებით ძმანი ჩემნი“.

მერმე დადგა შემოდგომა მისი ვნებისა.

და იესო ისევე გვესაუბრებოდა თავისუფლებაზე, როგორც ადრე – გალილეაში მისი გალობის გაზაფხულზე. მაგრამ ახლა მისი სიტყვები უფრო ღრმა გააზრებას ითხოვდა.

იგი ლაპარაკობდა ფოთლებზე, რომლებიც მხოლოდ მაშინ გალობენ, როცა სიო აათრთოლებთ; ლაპარაკობდა ადამიანზე, რომელიც მფარველი ანგელოზის წყალობით გალიცლიცებული სასმისივითაა, რათა წყურვილი მოუკლას სხვა ანგელოზს. სწორედ ეს სასმისი, ბროლივით კრიალა – სავსე თუ ნაკლული – უნდა იდგეს უზეშთაესის წინაშე.

და იტყოდა იესო: „თქვენ ხართ სასმისი და თქვენვე ხართ ღვინო. ბოლო წვეთამდე დაცალეთ თქვენივე თავი. უკეთუ არაა, – გახსოვდეთ: წარიწყმიდებით“.

სამხრეთისკენ რომ გავემართეთ, გვითხრა მან: „იერუსალიმი, რომელიც ამაყად წამომართულა, ჩაეშვება გეჰენიის ბნელი ხევის სიღრმეში და მე ვიქნები ერთადერთი მოწამე მისი იავარქმნისა.

ტაძარი მიწასთან გასწორდება. სტოასთან ნანგრევებიდან მოგესმებათ ქვრივ-ობლის ქვითინი. სიჩქარეში ძმა ძმას ვერ იცნობს. შიშის ზარი დაეცემა ყველას.

და მაშინაც კი, თუნდაც ორი თქვენგანი თუ შეხვდება ერთმანეთს, და ახსენებს სახელს ჩემსას, და მზის დასავალისკენ წარმართავს მზერას, – მიხილავთ მე და ეს ჩემი სიტყვები ისევ მისწვდება თქვენს სმენას“.

და როცა მივუახლოვდით ბეთანიის ბექობს, იესომ თქვა: „გავწიოთ იერუსალიმისკენ, ქალაქი გველის. მე შევალ ქალაქის კარიბჭეში სახედარზე შემომჯდარი და მივმართავ სიმრავლეს ერისას.

მრავლად არიან იქ ისინი, ვისაც ჩემთვის ხუნდების დადება უნდა, და მრავლად არიან, რომელთაც სურთ ჩააქრონ ალი ჩემი. მხოლოდ ჩემი სიკვდილით მოგენიჭებათ ცხოვრება და მოიპოვებთ ხსნას.

ისინი ძიებას დაუწყებენ ფშვინვას სიცოცხლისას, რომელიც მიმოიქცევა გულსა და გონებას შორის, როგორც მერცხალი – თავის ბუდესა და ველ-მინდორს შორის. მაგრამ ჩემი სუნთქვა უკვე განერიდა მათ. და ისინი ვერ დამამარცხებენ.

ზღუდენი, რომელნიც მამამან ჩემმან აღმართა ჩემ ირგვლივ, არ დაემხობიან და წმინდა სამარე არ წაიბილწება.

გათენდება და მზე ნიმბად დამადგება თავზე. და მე თქვენთან ერთად თვალს გავუსწორებ ნათელ დღეს. და დღე იქნება გრძელი. და სოფელი ვერ იხილავს მის დაღამებას.

მწიგნობარნი და ფარისეველნი ამბობენ, რომ მიწას სწყურია ჩემი სისხლი. მიწის წყურვილს მე დავაცხრობ და ჩემი სისხლის ნაწვეთალებზე ამოიზრდება მუხა და ნეკერჩხალი. აღმოსავლეთიდან დაუბერავს ქარი და თესლს წაიღებს სხვა ქვეყნებში“.

და მერმე თქვა მან: „იუდეას უნდოდა მეუფე ჰყოლოდა და რომის ლეგიონებს წინ აღდგომოდა.

მე არ ვიქნები მეუფე ჰურიათა. სიონის გვირგვინი უფრო ვიწრო შუბლისთვისაა გამოჭედილი. და ბეჭედიც სოლომონისა მომცროა ჩემი თითებისთვის.

შეხედეთ ჩემს ხელს. ნუთუ ვერ ხედავთ, რომ კვერთხის საპყრობად მეტისმეტად ძლიერია და ხმლის საქნევად – მეტისმეტად ღონიერი.

მე არ წარვუძღვები სირიელთა მოდგმას რომის წინააღმდეგ. ჩემი სიტყვებით თქვენ გააღვიძებთ ამ ქალაქს, და სული ჩემი შეეხმიანება რომის ახალ განთიადს.

ჩემი სიტყვები უხილავი ლაშქარი იქნება უხილავი ცხენებითა და ეტლებით. უჩუგლუგოდ და უშუბოდ მე დავამარცხებ იერუსალიმის მღვდელთმოძღვართ და რომის კეისართ.

მე არ ავალ ტახტზე, სადაც ისხდნენ მონები და ბატონობდნენ სხვა მონებზე. არც იტალიის შვილთა მიმართ შევიმართები.

მე ვიქნები ქარიშხალი მათ ცაზე და გალობა ვიქნები მათ სულებში.

და მე ვემახსოვრები მათ.

ისინი მე მიწოდებენ ცხებულ იესოს, ქრისტეს“.

ამას ყოველივეს იტყოდა იგი იერუსალიმის გალავანთან, ვიდრე ქალაქში შევიდოდა.

და სიტყვანი მისნი გამოკვეთილნი არიან საჭრეთლით.

ნათანაელი

იესო არ იყო ჯაბანი

ამბობენ, იესო ნაზარეველი ბეჩავი და გაუბედავი იყოო.

ამბობენ, სამართლიანი და უმწიკვლო კი იყო, მაგრამ უსუსური და უძლურიც იყოო, და ბევრჯერ შეცბუნებულაო ძლიერთაგან და ძალმოსილთაგან. და ხელისუფალთა წინაშე იგი კრავს ჰგავდაო ლომთა შორის.

მაგრამ მე ვამბობ: „იესოს მეუფება ჰქონდა კაცთა ზედა, და მან იცოდა თავისი ძალა, და ამას აცხადებდა საჯაროდ გალილეის ბორცვებზე და იუდეისა თუ ფინიკიის ქალაქებში.

რომელი ხათრიანი და დამყოლი კაცი იტყოდა: „მე ვარ სიცოცხლე და მე ვარ გზა და ჭეშმარიტება“?! რომელი თავმდაბალი და დამთმობი კაცი იტყოდა: „მე ვარ მამაღმერთთან და მამაღმერთი არის ჩემ თანა“?!

რომელი კაცი, არად ჩამგდები თავისი ძალისა, იტყოდა: „ვინც არ მაღიარებს მე, იგი არ აღიარებს არც სიცოცხლეს ამას და არც სიცოცხლეს მარადიულს“.

რომელი კაცი, ხვალინდელი დღის უიმედო რომელი კაცი განაცხადებს: „უმალ ეს სოფელი გარდავა და ფერფლივით გაიფანტება, ვიდრე გარდავა სიტყვა ჩემი“.

განა ყოყმანობდა იესო, როცა მეძავი წარუდგინეს და უთხრა მისი განსჯის მსურველთ: „მან,

ვინც უცოდველია თქვენ შორის, დაჰკრიბოს ქვა პირველი“.

განა იესო ძრწოდა ხელისუფალთა წინაშე, როცა ტაძრიდან გაყარა მეკერმენი და მოვაჭრენი, თუმცა ტაძარში ვაჭრობის ნება დართული ჰქონდათ მღვდელთმოძღვართაგან?!

ნუთუ ფრთაშეკვეცილი გეჩვენათ იესო, როცა ხმა აღიმაღლა და თქვა: „თქვენს მიწიერ სამეფოზე მაღლაა სასუფეველი ჩემი!“

როგორ გგონიათ, თავისი თავის დანდობას ლამობდა, როცა ისევ და ისევ იმეორებდა: „დახსენით ტაძარი და მე აღვადგენ მას სამ დღეში.“

ნუთუ ჯაბანი იყო იგი, ვინც ცხვირწინ კადნიერად თითს უქნევდა ძლიერთ ამა ქვეყნისა, კიცხავდა და უწოდებდა „ცრუს“, „მდაბიოს“, „უწმინდურსა“ და „იქედნეს მოდგმას“?!

იუდეის განმგებელთ ვინც ამას თამამად ეუბნებოდა, იგია აბუჩი ვინმე, ბეჩავი და გაუბედავი?!

არა! არწივი ბუდეს არ გამართავს მტირალი ტირიფის რტოებში, ლომი გვიმროვანში არ მოიწყობს ბუნაგს!

მაზიდებს, შიგანი მეწვის და ტანში მზარავს, როცა ეს სულმდაბალნი იესოს ჯაბანსა და ლაჩარს უწოდებენ. ამით ხომ საკუთარ სიბეცეს ამტკიცებენ. ჩაგრული ადამიანები კი ნუგეშისა და თანადგომისათვის ნათლის სხივს ადარებენ იესოს.

გული მემღვრევა ასეთ კაცთა შემყურეს. მე ვიტყოდი, რომ იესო არის სწორუპოვარი მონადირე, მთების უძლეველი სული.

საბა ანტიოქიელი

სავლე ტარსელის შესახებ

დღეს სავლე ტარსელს მოვუსმინე, ქრისტეზე ქადაგებდა იერუსალიმელ ებრაელებთან.

ახლა თავის თავს მოიხსენიებს პავლედ, წარმართთა მოციქულად.

ჩემს ყმაწვილკაცობაში ვიცნობდი. მაშინ ნაზარეველის მიმდევრებს სდევნიდა. რა დამავიწყებს, როგორი კმაყოფილი იყო, მისმა კაცებმა რომ ჩაქოლეს სტეფანე – ჭაბუკი, რომელსაც სახეზე ნათელი გადასდიოდა.

ეგ პავლე დიდი უცნაური კაცია. არ არის თავისუფალი სულიერი.

ზოგჯერ ტყის ნადირსა ჰგავს, მარეკთაგან გამოდევნილი და მონადირისგან დაჭრილი თითქოს დაეძებს ეხს, სადაც თავს შეაფარებს და დამალავს თავის სატკივარს.

იგი იესოზე არ ლაპარაკობს, მის სიტყვებსაც არ იმეორებს. სავლე ქადაგებს მესიაზე, რომლის მოსვლასაც გვაუწყებდნენ წინასწარმეტყველნი გარდასულ დროთა.

თავად იგი განსწავლული ებრაელია. ჭაბუკ ებრაელებს მიმართავს ბერძნულად, თუმცა ბერძნულში საკმაოდ მოიკოჭლებს, სიტყვებს ძლივს პოულობს, ჯახირ-ჯახირით ლაპარაკობს.

მაგრამ მის არსებაში არის რაღაც ფარული ძალა. ამას ადასტურებენ ისინიც, ვინც თავს იყრის

მის გარშემო. ზოგჯერ მათ ისეთ რამეში არწმუ-
ნებს, რაშიც თავადაც არ არის დარწმუნებული.

ჩვენ, ვინც ვიცნობდით და ვუსმენდით იესოს, ვამბობთ: იგი გვმოძღვრავდა, რათა ადამიანს და-
ემსხვრია მონობის ბორკილები და განთავისუფ-
ლებულიყო გუშინდელი დღისგან.

ხოლო პავლე ბორკილებს ჭედავს ხვალინდელი ადამიანისთვის და თავის უროს გრდემლზე სცემს
იმისი სახელით, ვისაც თვითონ არ იცნობდა.

ნაზარეველს სურდა განცდებითა და აღმაფ-
რენით სავსე ყოფილიყო ჩვენი ცხოვრება.

ტარსელი კი მოითხოვს ძველ წიგნებში ჩაწერი-
ლი კანონების პატივისცემას.

იესომ თავისი სუნთქვა შთაბერა მკვდარს. ჩემი
მარტოობის ღამეებში მე ვფიქრობ მასზე, მწამს
და მესმის მისი.

იესო სუფრასთან იჯდა და ყვებოდა ამბებს, რომლებიც ბედნიერებას ჰგვრიდა მეინახეებს, და
საჭმელ-სასმელს საკმაზად ურთავდა სიხარულს.

ხოლო პავლეს უნდა დაგვიწესოს, რა ვჭამოთ
და რა ვსვათ.

ჰოდა, ნება მიბოძეთ, სხვა გზა ვარჩიო.

სალომე

აუხდენელ ოცნებას უმხელს მეგობარ ქალს

მცხუნვარე მზეში მოციმციმე ვერხვს ჰგავდა იგი. მთებში ჩაკარგულ, მზეში მბზინავ ტბას ჰგავდა იგი. სპეტაკ თოვლს ჰგავდა, მოქათქათეს მთათა მწვერვალზე.

და ჭეშმარიტად ჰგავდა იგი ამას ყველაფერს. მიყვარდა იგი და მაკრთობდა მე ხილვა მისი, შიში მზარავდა და მბოჭავდა მე კდემა დიდი. მსურდა მკლავები შემომეჭდო ფეხთა მისთათვის. და ვერ შევიძელ, ვერ გავბედე, მიმტყუნა ძალამ.

მინდოდა მეთქვა: „გონს გადავცდი, მოვაკვლევინე გახელების ჟამს შენი თვისი, წინამორბედი. მომფინე მადლი, მომიტევე ეგ შეცოდება, იხსენი ჩემი სიყმაწვილე სიბრმავისაგან, რომ გზა გავლიო შენს ნათელში, შენს სიყვარულში“.

და ვიცი, იგი შემინდობდა, მომიტევებდა სატანურ როკვას წმინდა თავის გამოსათხოვნად. ჩემს არსებაში ის განჭვრეტდა მოწაფეს თვისას და სიკეთისას ჩემში დვრიტას დაინახავდა.

თუ არის სადმე უნაყოფო, ხრიოკი ველი, ანდა უდაბნო დაშაშრული, მოწყურებული, – იესოს რომ არ მოევლო, არ მოეხილა?

იგი ვერხვს ჰგავდა და ჰგავდა ტბას, მთებში ჩაკარგულს; ლიბანის მაღალ მთათა სპეტაკ თოვლს ჰგავდა იგი.

მხურვალე ბაგეთ დავიცხრობდი და ნეტარებით მე ვემთხვეოდი იესოს კალთის ნაოჭს და ქობას.

მაგრამ, ვაი რომ, იგი ძლიერ შორს იყო ჩემგან და შემაკავა, შემაფერხა მე დედამ ჩემმა, ჩემს სულს როდესაც მიახლება სწყუროდა მისი.

თვალს მოვკრავდი მას, მარტოდმარტოს, ველად მიმავალს. გულს მიკოდავდა მარტოობა მისი სულისა. დედაჩემი კი სარკმელს უმალ მომაცილებდა, შუბლს შეჭმუხნიდა, ბრდღვინავდა და თან გაჰკიოდა:

„ვინ არის იგი, რის მაქნისია კალიის კიდევ ერთი მჭამელი, ვიღაც ბოგანო, უდაბნოს მკვიდრი?! ვინ არის იგი? ვიღაც მკრეხელი, ვიღაც მოჯანყე და მეამბოხე!

წარგვტაცებს გვირგვინს, დაგვამხობს და სკიპტრასაც წარგვგლეჯს, თვისი ქვეყნიდან მოგვისევს მგლებს, მოგვისევს ტურებს; და იყმუვლებენ პალატებში, ჩვენს დარბაზებში, და უპოვარნი ამ ჩვენს ტახტზე დაბრძანდებიან.

გასწი, დამალე სახე შენი და დაელოდე: დადგება ის დღე, დღე მოაწევს მისი სიკვდილის! ოღონდ ფეშხუმზე არ იდება თავი იესოსი“.

ასე იტყოდა დედაჩემი რისხვით და ბოღმით. და გული ჩემი სიტყვებს მისას არ იკარებდა. მიყვარდა იგი კრძალვით, რიდით, იდუმალებით. და ძილშიც ალი მწვავდა მისი მონატრებისა.

წავიდა იგი. და მასთან ერთად რაღაც მთავარი წავიდა ჩემგან. ეგებ ეს იყო სინორჩე ჩემი და ეგებ ჩემმა ყმაწვილქალობამ ველარ გასტანოს აქ, ამ მიწაზე: ჯვარს აცვეს რადგან გოლგოთის ბორცვზე იესო – ღმერთი სიჭაბუკისა.

რაქელი, მოწაფე იესოსი

იესო – ზმანება თუ კაცი

ხშირად ვფიქრობ გაოცებული: იესო ადამიანი იყო, სისხლი და ხორცი ჰქონდა ჩვენსავით, თუ იყო უსხეულო, აზრი – გონებისმიერი, ან – იდეა, ზმანებაში რომ ეწვევა კაცს.

ხშირად მგონია, რომ იგი სიზმარი იყო, და რომ ეს სიზმარი უთვალავმა კაცმა და ქალმა ერთდროულად ვიხილეთ ძილზე უღრმეს ძილში, გამთენიისას, ყველა აისზე უმშვიდესი აისის ჟამს.

ასე მგონია, სიზმარს რომ ვუამბობდით ერთმანეთს, ზმანება სინამდვილედ მივიჩნიეთ და დავიჯერეთ, რომ ყველაფერი ცხადში მოხდა. ჩვენს წარმოსახვაში იესოს სხეულიც მივანიჭეთ და ჩვენთვის სასურველი ხმაც. და ჩვენი საკუთარი არსის მიხედვით შევძინეთ მას არსი.

მაგრამ, თუ სიმართლე გინდათ, იესო არ ყოფილა ზმანება. ჩვენ მას ვიცნობდით, სამ წელიწადს მზის სინათლეზე ვუმზერდით მას ამ ჩვენი ფართოდ გახელილი ფხიზელი თვალით.

ჩვენი ხელით ვეხებოდით მის ხელებს, დავყვებოდით ერთი ადგილიდან მეორეზე, ვისმენდით მის ქადაგებას და შევესწარით მის სიკვდილს. როგორ ფიქრობთ, ჩვენც აზრი ვიყავით და უფრო დიდ აზრს ვეძებდით? თუ ჩვენც სიზმარი ვიყავით ზმანებათა საუფლოში?!

დიად მოვლენებს, შესაძლოა, ფესვი ღრმად ჰქონდეს გადგმული ჩვენს არსებაში, მაგრამ ისინი მაინც გვეუცხოება ამ ჩვენს სადღეხვალიო ყოფაში. უეცარი და მოულოდნელია მათი გამოჩენაც და გაქრობაც, მაგრამ მათი შედეგი წლებსა და თაობებს გადასწვდება.

იესო ნაზარეველი თვითონ იყო დიადი მოვლენა. ეგ კაცი, რომლის მამას, დედას, ძმებს ვიცნობდით, – თავად იყო იუდეაში მომხდარი სასწაული. დიახ, თავისი ჩადენილი ყველა სასწაული ფერხთით რომ დაუხვავოთ იესოს, კოჭებამდეც ვერ მისწვდება.

ყველა დროის ყველა მდინარე ერთად ვერ გადარეცხავს და ვერ წაშლის ჩვენი ხსოვნიდან იესოს.

იგი მთა იყო, ღამის წკვარამში ალავარდნილი მთა! თან იგი რბილი შუქი იყო მთების მიღმა ამონათებული! იგი ბობოქარი ქარიშხალი იყო და თან განთიადისას ნისლის გაფაჩუნება იყო.

იგი ცათა სიმაღლიდან ბარად ჩამოქცეული დელგმა იყო, ყველაფერს რომ დააქცევს თავის გზაზე. თან იესო ბავშვის ღიმილს ჰგავდა.

ყოველ წელს ველოდი გაზაფხულს, თვალს შევავლებდი ველ-მინდვრებს, ვეგებებოდი შროშანებსა და ყოჩივარდებს. მერმე თანდათან სული დამიდარდიანდა. დამიძვირდა გაზაფხულით გახარება.

ხოლო, როცა იესო შემოვიდა ჩემი სიცოცხლის დღეთა ბრუნვაში, იგი თვით იყო ნამდვილი გაზაფხული. და მასში იყო დაპირება მომავალ გაზაფხულ-

თა. მან ამივსო გული სიხარულით. და მე მორცხვ იასავით ვხარობდი მის ნათელში.

ჩვენთვის ჯერ შეუცნობელ სამყაროთა დროის ბრუნვა ამა სოფლიდან ვერ წარხოცავს მის მშვენებას.

იესო არ იყო ზმანება, იგი არც პოეტური წარმოსახვა ყოფილა. იგი კაცი იყო თქვენსავით და ჩემსავით, ჩვენსავით ხედავდა, ეხებოდა, ესმოდა. სხვაფრივ არ გვგავდა.

იგი თავად იყო სიხარული. სწორედ სიხარულის გზაზე შეხვდა ის სევდას ყოველთა კაცთა. და თავისი სევდის სიმაღლიდან განჭვრიტა მან სიხარული ყოველთა კაცთა.

ჰქონდა მას ხილვები, ჩვენთა თვალთათვის ვერსახილველი, და ესმოდა ხმები, ჩვენთა ყურთათვის ვერგასაგონი. ლაპარაკობდა და... თითქოს მიმართავდა უხილავ სიმრავლეს ერისას. და ხშირად იგი ჩვენთან ნათქვამით ესაუბრებოდა კაცობრიობის ჯერ არშობილ მომავალ მოდგმას.

და მარტო იყო იესო ხშირად. ჩვენ შორის იყო და არ იყო ერთი ჩვენგანი. იყო მიწაზე, და მაინც იგი ზეცისაგანი იყო. და ოდენ ჩვენი მარტოობის ჟამს შევძლებთ ვეწვიოთ საუფლოს მისი სიმარტოვისას.

ჩვენ მას ვუყვარდით დიდი სიყვარულით. მისი გული საწნახელივით იყო. ჩვენ შეგვეძლო თასით ხელში მივახლებოდით და შეგვესვა.

ერთი რამ არ მესმოდა იესოს ბუნებაში: იგი სიხარულს ჰგვრიდა მსმენელთ. იესო ხუმრობდა, იტყოდა მოსწრებულ სიტყვას, გულიანად იცინო-

და. ამ დროს მის თვალებში შორეთი იყო ჩასახლებული და ხმაში – სევდა... მაგრამ ახლა მესმის.

ხშირად ვფიქრობ, რომ დედამიწა ფეხმძიმე ქალს ჰგავს, პირმშოს მომლოდინეს. იესო რომ იშვა, იგი პირველი შვილი იყო დედამიწისა. იგი რომ მოკვდა, – ეს პირველი სიკვდილი იყო ადამიანისა.

ნუთუ არ ფიქრობთ, რომ დედამიწა გაოგნდა იმ ბნელ პარასკევს და რომ ცანი ეკვეთნენ ცათ?!

ნუთუ ვერ იგრძენით, მისი სახე როგორც კი თვალს მიეფარა, თითქოს ვიქეცით ბურუსით მოცულ მოგონებად?!

კლეოპა ბეთროუნიდან

სულისა და წინასწარმეტყველთა შესახებ

იესო რომ საუბარს იწყებდა, მთელი სამყარო ყუჩდებოდა მის მოსასმენად.

მისი სიტყვები არ იყო მხოლოდ ჩვენთა ყურთათვის გასაგონი, უფრო სტიქიათათვის იყო, ოთხთა კავშირთათვის, რომელთაგან შექმნა ღმერთმა ქვეყანა.

იგი ესაუბრებოდა ზღვას, – უკიდეგანოს, დედას, მშობელს ჩვენსას. ესაუბრებოდა მთას, – ჩვენს უფროს ძმას, რომლის მწვერვალი დაპირებაა იდუმალი.

შორეთში, ზღვათა და მთათა მიღმა, იესო ესაუბრებოდა ანგელოზებს, რომელთაც ჯერ კიდევ მაშინ მივანდეთ ჩვენი ოცნებები, ვიდრე თიხა ჩვენი სხეულისა მზეზე გამოხურდებოდა და შემტკიცდებოდა.

სიყვარულის მივიწყებული ჰანგივით თვლემენ ჩვენს მკერდში იესოს სიტყვები და ზოგჯერ ჩვენი მეხსიერების სიღრმეთაგან თავისით ამოენთებიან და ამოკიაფდებიან.

მისი ნათქვამი უბრალო იყო და სასიხარულო. გადახრუკულულ უდაბნოში ანკარა ცივი წყაროს რაკრაკსა ჰგავდა მისი ხმის ჟღერა.

ერთხელ ხელი გაიწოდა ზეცისკენ, მისი თითები ნეკერჩხლის რტოებს ჰგავდა. და იტყოდა იესო ხმამაღლა:

„გარდასულ დროთა წინასწარმეტყველებმა გითხრეს თქვენ, და ყურთასმენა გადავსებული გაქვთ მათი ნათქვამით. ხოლო მე გეტყვით თქვენ: გამოიფერთხეთ ყურებიდან ყოველივე ადრე სმენილი“.

და ეს სიტყვები იესოსი – „ხოლო მე გეტყვით თქვენ“ – არ იყო ჩვენი მოდგმის კაცის წარმოთქმული, არც ამა სოფლის კაცის ნათქვამი. ხმიანობა თუ იყო ზეციურ ძალთა, სერაფიმთა დასისა, რომელნიც დაქრიან იუდეის ცაზე.

ისევ და ისევ მოიხმობდა კანონსა და წინასწარმეტყველთ და მერმე დაატანდა: „ხოლო მე გეტყვით თქვენ“.

ო, რა ცეცხლოვანი სიტყვებია! უკიდეგანო ზღვის რა ბობოქარი ტალღებია, რომლებიც ვერ სწვდებიან ჩვენი გონების ნაპირებს! – „ხოლო მე გეტყვით თქვენ“!

ეს რა ვარსკვლავები ეძიებენ სიბნელეს სულისას! ეს მარადმღვიძარი რა სულები ეგებებიან განთიადს!

იესოს სიტყვები რომ გადმოსცე, მისებრ თქმა უნდა შეგეძლოს, ან ექო მაინც უნდა იყო მისი.

მე არც სიტყვის ძალი მაქვს, არც ექო ვარ იესოსი.

მომიტევეთ, რომ დავიწყე ამბავი, რომლის დასრულებაც ვერ შევძელი. დასასრული არ ებოძა ჩემს ბაგეებს. დასასრული სიყვარულის ჰანგად იღვრება ჰაერში.

ნაამან გადარენელი

სტეფანეს წამების შესახებ

მისი მოწაფეები დაიფანტნენ. ვიდრე ჯვარს ეცმებოდა, იესომ ტანჯვა დაუწესა მათ. მის მიმდევრებზე ნადირობენ, როგორც ირმებზე, და კაპარჭი მონადირისა ახლაც გაძეძგილია ისრებით.

იესოს მიმდევრებს სდევნიან და ხოცავენ. ისინი სიხარულით ეგებებიან სიკვდილს, სახე გაცისკროვნებული აქვთ, როგორც სიძეს – ქორწილში. იესომ სიხარულიც დაუწესა მათ.

ერთი მოკეთე მყავდა, ჩრდილო ქვეყნიდან იყო, სტეფანე ერქვა. და, ვინაიდან იესოს აღიარებდა ძედ ღვთისა, გაიყვანეს ბაზრის მოედანზე და ჩაქოლეს.

სტეფანე რომ მიწაზე დაეცა, ხელები გაშალა, თითქოს თავისი მოძღვარივით ჯვარზე მომკვდარიყოს. მკლავები ფრთებს მიუგავდა, თითქოს გასაფრენად იყო გამზადებული. და როცა უკანასკნელი სხივი ჩაუქრა თვალებში, ჩემი საკუთარი თვალით ვიხილე ღიმილი მის ბაგეზე. ეს ღიმილი სიოს ჰგავდა, ზამთრის მიწურულს წამოქროლილ სიოს, გამოზაფხულების აღთქმასა და დაპირებასავით რომაა.

აბა, როგორ აღგიწეროთ ეს ღიმილი?

ამ ღიმილით სტეფანე თითქოს ამბობდა: „სხვა მხარეში რომ მოვხვდე, სხვა ხალხმა რომ მიმიყვანოს ჩასაქოლად სხვა მოედანზე, მაინც ვაღიარებ

იესოს, რადგან იგია ჭეშმარიტება. და ეს ჭეშმარიტება არის ჩემშიც“.

შევნიშნე, რომ ვიღაც კაცი იდგა შორიახლოს და კმაყოფილებით ადევნებდა თვალს სტეფანეს ჩაქოლვას.

ეს იყო სავლე ტარსელი. და სწორედ მან გადასცა სტეფანე ჩასაქოლად მღვდელთმსახურთ, რომაელთ, ბრბოს.

სავლე დაბალი იყო, მელოტი და ბეჭებში მოხრილი. უშნო ნაკვთები ჰქონდა. არ მომწონდა მე ეგ სავლე.

მითხრეს, ახლა საქვეყნოდ ქადაგებსო ქრისტეს. ძნელად დასაჯერებელია.

სამარემ ვერ შეაფერხა იესოს შეღწევა მტრულ ბანაკში, მოარჯულა და მოათვინიერა წინააღმდგომნი.

და მაინც, გულზე არ მეხატება ეგ ტარსელი კაცი. თუმცა, ისიც მითხრეს, სტეფანეს წამების შემდეგ დამასკოს გზაზე მოექცა და შეინანაო. ამ კაცს თავი გულზე ბევრად დიდი აქვს. და არა მგონია, იესოს ნამდვილი მოციქული იყოს.

არ ვიცი, ეგებ კიდეც მეშლება, მე ხომ ხშირად ვცდები.

თომა

ეჭვი, რომელიც მამა-პაპათაგან მოსდგამდა

პაპაჩემი მსაჯული იყო. ერთხელ მითხრა: „მოდი, ვიმსჯელოთ ჭეშმარიტების შესახებ. ოღონდ ჯერ იგი უნდა განცხადდეს ჩვენ წინაშე“.

იესომ რომ მიხმო, დავაკვირდი, ეჭვი შემიჯდა, მაგრამ მისი სიტყვის ძალმოსილება აღემატებოდა ჩემს ნებას, თუმცა პაპაჩემის რჩევაც არ დამვიწყებია.

იგი რომ ლაპარაკობდა და სხვები თრთოდნენ, როგორც რტოები ქარში, – მე უძრავად გარინდებული ვუსმენდი. თუმცა მიყვარდა იგი.

სამი წლის წინ დაგვტოვა მოწაფენი და ჩვენ ვიწყეთ მიმოსვლა სხვადასხვა მხარეში, რათა გვექადაგა სახელი მისი და სხვადასხვა ერთა წინაშე დავმოწმებოდით მას.

იმხანად ურწმუნო თომას მიხმობდნენ, პაპაჩემის აჩრდილი თავს დამტრიალებდა და ყოველთვის მსურდა ჭეშმარიტება დადასტურებულიყო, განცხადებულიყო ჩემ წინაშე.

ჩემსავე ჭრილობასაც კი სანამ ხელით არ მოვსინჯავდი და სისხლს არ შევეხებოდი, საკუთარ ტკივილს არ ვენდობოდი.

კაცი, რომელსაც გულში სიყვარული უღვივის, გონებას კი ეჭვი უღრღნის,– გალერაზე მიჯაჭვული მონაა, ნიჩაბთან ჩასძინებია და ვიდრე პატრონის მათრახი დაუფრთხობდეს ძილს, ესიზმრება თავისუფლება.

სწორედ ის მონა ვიყავი. თავისუფლება მეზმანებოდა, მაგრამ პაპაჩემის ძილქუში მაწვა და ჩემი

ცხოვრების დღეთაგან მათრახის გადაჭერა მაკლდა.

თვით ნაზარეველის გვერდითაც კი ვხუჭავდი თვალებს და მელანდებოდა, რომ ხელები ხოფზე მქონდა მიჯაჭვული.

ურწმუნოება ტკივილია, მიუსაფრობისა და სიმარტოვის სატანჯველია, როცა ვერ შეგიტყვია, რომ რწმენა არის ურწმუნოების ღვიძლი ძმა, ძმა ტყუპისცალი.

ეჭვი უპატრონო ბავშვს ჰგავს, გაუბედურებულ-გაგარეულებულსა და გზასაცდენილს. მშობელმა დედამ რომც იპოვოს და გულში ჩაიკრას, არ მიენდობა, დაფრთხება და შორს გაიჭრება.

ეჭვი ვერ გაინამდვილებს ჭეშმარიტებას, ვიდრე თავის ჭრილობებს არ მოიშუშებს.

მე ვერ ვირწმუნე ქრისტე, ვიდრე თავად არ გამომეცხადა, ვიდრე ხელით არ შევეხე მის ჭრილობებს. მაშინ კი ნამდვილად ვირწმუნე. და თავი დავაღწიე ჩემს გუშინდელ დღეს და ჩემთა მამა-პაპათა გუშინდელ დღეს.

ყველაფერმა, რაც მკვდარი იყო ჩემში, დაასამარა ის, რაც მკვდარი იყო ჩემს წინაპრებში. ხოლო რაც ცოცხალია ჩემში, იგი იცოცხლებს ცხებული მეუფისთვის, რომელიც არის ძე კაცისა.

გუშინ მითხრეს, რომ უნდა წავიდე და ქრისტე ვუქადაგო სპარსთ და ჰინდუსთ.

გავემართები. და ამიერიდან ჩემი აღსასრულის დღემდე, განთიადისას თუ მწუხრის ჟამს, ვიხილავ უფალს ჩემსას დიდებით ამაღლებულს და გავიგონებ სიტყვას უფლისას.

ელმადამი, ლოგიკოსი

იესო – ბოგანო

მთხოვ, გესაუბრო იესო ნაზარეველზე. და მართლაც ბევრი მაქვს სათქმელი, მაგრამ ჯერ არ დამდგარა ჟამი. და მაინც, რასაც ახლა გეტყვი, სრული სიმართლეა. თქმას, აბა, რა აზრი აქვს, ნათქვამი თუ ჭეშმარიტებას არ ღაღადებს.

ა, ბატონო: კაცი – თავგასული, ყოველგვარი წესისა და რიგის უარმყოფი; კაცი – ბოგანო, თავად უპოვარი და წინააღმდგომი ყოველგვარი ქონებისა; მემთვრალე, თაღლითებთან და ნაძირლებთან მომლხენი.

იესო არ ყოფილა ქვეყნის საამაყო შვილი, იმპერიისგან დაცული ღირსეული მოქალაქე. ჰოდა, ამიტომაც სძულდა ორივე: თავისი ქვეყანაც და იმპერიაც.

ჩიტივით ლაღად და უზრუნველად ცხოვრობდა. და სწორედ ამიტომაც მიწას დაენარცხა მონადირეთა ისრით განგმირული.

ისე ვერვინ დაანგრევს გუშინდელ ციხე-ბურჯებს, ნანგრევებში რომ არ მოჰყვეს.

ისე ვერვინ მოშლის წინაპართაგან აღმართულ ჯებირს, დახრჩობას რომ გადაურჩეს. ეს კანონია. და რადგან ნაზარეველმა ხელჰყო კანონი, ის და მისი უტვინო მიმდევრები განადგურდნენ.

ბევრი სხვაც იყო მისნაირი, სურდათ შეეცვალათ ჩვენი ბედი.

ისინი თვითონ შეიცვალნენ და თავიც წააგეს.

უსურვაზია გასული ქალაქის გალავანზე. მტევანს არ ისხამს. მიცოცავს მაღლა-მაღლა, ქვებს ებღოტება და ეტმასნება. ამ ველურ ვაზს რომ გულში გაევლო, – ჩემი ძალითა და ჩემი სიმძიმით დავანგრევ გალავანსო, – რას იტყოდნენ სხვა მცენარეები? ნამდვილად მასხრად აიგდებდნენ მაგ ბრიყვს, მაგას.

ჰოდა, ბატონო ჩემო, ისღა დამრჩენია, დავცინო იმ კაცსაც და მის თავგზააბნეულ მოწაფეებსაც.

მარიამთაგან ერთი

მისი სევდისა და მისი ღიმილის შესახებ

თავაწეული დადიოდა. თვალებში ღვთიური შუქი ჰქონდა ჩამდგარი.

ხშირად იყო სევდიანი, მაგრამ მისი სევდა – ეს იყო სინაზე შეჭირვებულთა მიმართ და თანაგრძნობა მიუსაფართა მიმართ.

გაიღიმებდა და... ღიმილი მისი ჰგავდა წყურვილს, – შეუცნობელის შეცნობით ატანილ ადამიანთა წყურვილს. ღიმილი მისი ვარსკვლავებიდან ჩამოცვენილ მოციმციმე ცახეს ჰგავდა, ბავშვის ქუთუთოზე შერჩენილს. მისი ღიმილი პურის ლუკმას ჰგავდა მოშიებული კაცისას.

იგი სევდიანი იყო. ეს იყო სევდა, მისი არსების სიღრმიდან ბაგეებამდე გამოღწეული და ღიმილად გარდაქმნილი.

მისი სევდა ოქროსფერ რიდეს ჰგავდა, რომლითაც ტყეს შებურავს ხოლმე შემოდგომა. ზოგჯერ მისი სევდა მთვარის ნათელს ჰგავდა, ტბის ნაპირზე ჩაღვრილს.

იღიმოდა და... მისი ბაგეები თითქოს საქორწინო ჰანგს გალობდნენ.

მისი სევდა იყო ფრთაშესხმული სევდა. და ეს ის ფრთები იყო, ფრენისას მოყვასს უკან რომ არ ჩამოიტოვებენ.

რომანოსი, ბერძენი პოეტი

იესო – პოეტი

იგი პოეტი იყო. ხედავდა და... ჩვენთა თვალთათვის ხედავდა. ისმენდა და... ჩვენთა ყურთათვის ისმენდა. და ჩვენგან უთქმელი სიტყვები მის ბაგეებს სწყდებოდა. თითებით ეხებოდა იმას, რასაც ჩვენ ვერ ვგრძნობდით.

მისი გულიდან ჩრდილოეთისა თუ სამხრეთისკენ იფრქვეოდა უთვალავი ჩიტის გალობა. მთის კალთებზე მიმოფანტული პაწაწკინტელა ყვავილები ნაბიჯს შეანელებინებდნენ ხოლმე ზეცისკენ მიმავალს.

ბევრჯერ მინახავს, დაიხრებოდა და ბალახის წბილას მიესათუთებოდა. ჩემი გულისა და გონების ყურით მსმენია, რომ უთქვამს: „პაწია მწვანე არსებანო, ბესანის მუხებთან და ლიბანის კედრებთან ერთად თქვენც იხარებთ ჩემს სასუფეველში.

მას უყვარდა ყველაფერი, რაც მშვენიერია: მორცხვი ბავშვის გამოხედვა, სამხრეთული მური და გუნდრუკი.

უყვარდა ბროწეული და ფიალით შეთავაზებული ღვინო. არ დაგიდევდათ, ვინმე უპოვარი მიაწოდებდა სადმე ფუნდუკში თუ – შეძლებული მასპინძელი.

უყვარდა ნუშის ყვავილობა. მინახავს, ყვავილის ფურცელს რომ იგროვებდა მუჭში და სახეში შეიპნევდა, თითქოს უნდოდა ჩახვეოდა ყოველ ხეს ამ ჩვენს დედამიწაზე.

იცოდა ზღვა და იცოდა ზეცა. ლაპარაკობდა მარგალიტებზე, რომლებიც სხივს იტყორცნებიან არაამქვეყნიურს. საუბრობდა ჩვენი ღამეული ცის შორეთში მოციმციმე ვარსკვლავებზე.

მთა ისე იცოდა, არწივმა რომ იცის; ბარი ისე იცოდა, წყარომ რომ იცის და ნაკადულმა. უდაბნო იყო მის მდუმარებაში და წალკოტი – მის საუბარში.

დიახ, პოეტი იყო იგი. გული მისი ბინადრობდა შორეულ სიმაღლეთა სავანეში. და ჰანგი მისი, თუმც ჩვენს გასაგონად იყო ნამღერი, სხვა ყურთათვისაც იყო მოსასმენი, – მკვიდრთათვის სხვა ქვეყნისა, სადაც სიცოცხლე მარადიული სიჭაბუკეა და მარად ჟამია განთიადისა.

ერთ დროს მეც პოეტად მიმაჩნდა თავი. ბეთანიაში მის წინ რომ ვიდექი, მაშინ შევიტყვე, თურმე რა ყოფილა, ხელთ გეპყრას ერთძალიანი ქნარი იმის წინაშე, ვის ხელშიც შეწყობილად ჟღერს ყველა ქნარი, ყველა საკრავი. მის ხმაში ქუხილი იცინოდა, წვიმა იცრემლებოდა, ქარით დარწეული ხეების ხალისიანი ფერხული მოისმოდა.

მას შემდეგ, რაც მივხვდი, რომ ქნარს ჩემსას მხოლოდ ერთი სიმი ჰქონია, რომ ხმა ჩემი არც წარსულის ხსოვნას აცოცხლებდა და არც იმედს ხვალისას, განზე გადავდე ქნარი. ამიერიდან დავდუმდები და ყოველი მწუხრისას ყურს მივუპყრობ პოეტს, რომელიც მეუფეა ყოველთა პოეტთა.

ლევი, მოწაფე

იმათ შესახებ, ვისაც იესოს გამტყუნება სურდა

საღამოხანი იყო, ჩემს სახლთან რომ ამოიარა და შეიძრა სული ჩემი.

მომმართა და მითხრა: „მოდი, ლევი, გამომყევი“.

გავყევი იესოს იმ დღეს.

მეორე დღეს, მწუხრის ჟამს, ვთხოვე შემოსულიყო ჩემს სახლში, ყოფილიყო სტუმარი ჩემი. და გადმოაბიჯეს ჩემი სახლის ზღურბლს მან და მისმა მეგობრებმა, და დაგვლოცეს მე, და ცოლი ჩემი, და შვილები ჩემი.

და წვეული მყავდა სხვა სტუმრებიც: მეზვერენი და მწიგნობარნი. მათ იესოს მტრობა ედოთ გულში.

და როცა სუფრასთან ვისხედით, მეზვერეთაგან ერთმა ჰკითხა იესოს და უთხრა: „მართალია, რომ შენ და შენი მოწაფეები არღვევთ კანონს და შაბათ დღეს აჩაღებთ ცეცხლს?“

და მიუგო იესომ და უთხრა: „ნამდვილად ვანთებთ ცეცხლს შაბათობით. ჩვენ უნდა ალში გავახვიოთ შაბათი დღე და ჩვენი ლამპრებით უნდა დავწვათ გამხმარი ნამჯა და ფშუტი ნარჩენი ყოველი დღისა“.

და თქვა სხვა მეზვერემ: „ფუნდუკში თურმე ღვინოს სვამ უწმინდურებთან“.

მიუგო იესომ: „ხშირად. იმათაც სჭირდებათ გამხნევება ჩვენგან. განა იმიტომ მოვედით სოფლად, რომ კაცთა შორის უგვირგვინონი და უხა-

მურნი გაგვერიყა, მათთან ერთად არ გაგვეტეხა პური და არ აგვეწია ჭიქა?!

ცოტაა, ყოველთვის ძალიან ცოტაა შეუბუმ-ბლავი ბარტყი, რომელიც ქარს არ ეპუება და არ უფრთხის; მაგრამ ბევრია შებუმბლული, დაფრ-თიანებული და მაინც ბუდეში შეყუჟული.

ნისკარტით უნდა ვკვებოთ ყველანი: უსუსურ-ნიც და წამოჩიტულნიც“.

და თქვა სხვა მეზვერემ: „ისიც ხომ მითხრეს, იერუსალიმელ მეძავებს იცავ თურმე!“

მაშინ იესოს სახეზე ლიბანის პიტალო ქარაფები ვიხილე თითქოს. და თქვა მან: „ეს სიმართლეა. განკითხვის დღეს ეს ქალები წარდგებიან საყ-დარზე დაბრძანებული ჩემი მამის წინაშე და განი-წმინდებიან საკუთარი ცრემლით. თქვენ კი დაით-რგუნებით თქვენივე სამართლით დაბორკილნი.

ბაბილონი არ დამხობილა თავის მეძავთა გამო. ბაბილონი ნაცარტუტად იქცა, რათა მზაკვართ, ფლიდთ ვეღარ ეხილათ სინათლე დღისა“.

და კიდევ სხვა მეზვერე აუხირდა და უპირებდა შეკითხვას, მაგრამ ვანიშნე, რომ გადაეფიქრებინა. ვიცოდი, იესო გააწბილებდა. ისინიც ხომ ჩემი სტუმრები იყვნენ და არ მინდოდა შერცხვენი-ლიყვნენ.

ნაშუადღევს მეზვერეებმა დატოვეს ჩემი სახ-ლი. სულით შეჭირვებულნი იყვნენ.

მერმე დავხუჭე თვალები და მეწვია ხილვა: თეთრით მოსილი შვიდი ქალი გარს შემორტყმოდა იესოს. გულხელდაკრეფილთ თავი დაბლა დაედრი-კათ. და მე ჩავიხედე ჩემი ზმანების დანისლულ

სილრმეში და ვიხილე სახე შვიდთაგან ერთი ქალისა. მან განანათლა სიბნელე ჩემი.

ეს იყო სახე იერუსალიმელი მეძავისა. მერმე თვალი გავახილე და შევხედე იესოს. იგი მიღიმოდა მეც და სხვებსაც, სუფრასთან შემორჩენილთ.

ისევ დავხუჭე თვალები და ნათელში ვიხილე: თეთრით მოსილი შვიდი კაცი გარს შემორტყმოდა იესოს. და მე ვიხილე სახე შვიდთაგან ერთისა.

ეს იყო სახე ავაზაკისა, რომელიც შემდეგ ჯვარს აცვეს იესოს გვერდით.

მერმე იესომ და მისმა მოყვასებმა დატოვეს ჩემი სახლი და გაუდგნენ გზას.

გალილეველი ქვრივი

იესო უკეთურებაა

ჩემი ვაჟი იყო პირმშო ჩემი და მხოლოდშობილი ჩემი. ყანაში მუშაობდა და ბედს არ ემდუროდა, ვიდრე არ მოუსმინა იმ კაცს, იესო რომ ერქვა, ხალხში რომ ქადაგებდა.

მას მერმე ჩემი შვილი გადასხვაფერდა, თითქოს სხვა სული, უცხო, უკეთური სული, ჩაუსახლდა სულში.

მიატოვა ყანა და ბაღჩა. და მეც მიმატოვა. ერთი უმაქნისი გახდა.

ის კაცი, იესო ნაზარეველი, ბოროტი იყო. რომელი კეთილი კაცი დააშორებს ვაჟიშვილსა და დედას?!

უკანასკნელად, რაც ჩემმა შვილმა მითხრა, ეს იყო: „მის ერთ მოწაფესთან ერთად მივდივარ ჩრდილოეთის ქვეყანაში. ჩემი ცხოვრება დაეფუძნა ნაზარეველს. შენ მშვი და ამისთვის მადლობელი ვარ. მაგრამ მე უნდა წავიდე. ხომ გიტოვებ ჩვენს ბარაქიან მიწას, ჩვენს ოქროსა და ვერცხლს? არაფერი მიმაქვს, ერთი ხელი სამოსი და ეს კომბალი მხოლოდ“.

ეს თქვა ჩემმა ვაჟმა და წავიდა.

და ახლა რომაელებმა და მღვდელთმოძღვრებმა შეიპყრეს იესო და ჯვარს აცვეს. და ძალიან კარგიც ქნეს.

კაცი რომ დედა-შვილს დააშორებს, ღვთისნიერი როგორ იქნება!

კაცი, რომელიც ჩვენს შვილებს გზავნის წარ-მართთა ქალაქებში, ვერ იქნება ჩვენი მოკეთე.

ვიცი, ჩემი ვაჟი აღარ დამიბრუნდება. მე ეს დავინახე მის თვალებში. და ამისთვის მძულს იესო ნაზარეველი. მისი ბრალია, რომ მარტოდმარტო ვარ ამ მოუხნავ-დაუთესავი ნაყანევისა და ჩამომ-ჭკნარ-ჩამომღრალი ბაღის შემყურე.

მეჯავრება ყველა, ვინც მას ადიდებს.

ამას წინათ გავიგე, ერთხელ თურმე იესოს უთქვამს: ჩემი მამა, და ჩემი დედა, და ჩემი ძმები არიან ისინი, ვისაც ესმის ჩემი სიტყვა და მე გა-მომყვებაო.

მაგრამ რატომ უნდა მიატოვონ შვილებმა დე-დები და რატომ უნდა დაადგნენ მის კვალს?!

ჩემი ძუძუს რძე რატომ უნდა დავიწყებოდა და რატომ უნდა იყოს იმ წყაროს მოიმედე, რომლის ერთი ყლუპიც კი არ მოუსვამს?! და ჩემი მკლავე-ბის სითბო რატომ უნდა დაეთმო ცივი და უჟმური ჩრდილოეთის გამო?!

დიახ, მძულს ნაზარეველი. და ეს სიძულვილი გასტანს ჩემთა დღეთა აღსასრულამდე. მან წა-მართვა ჩემი პირმშო, ჩემი მხოლოდშობილი ძე.

იუდა, ბიძაშვილი იესოსი

იოანე ნათლისმცემლის სიკვდილის შესახებ

აგვისტოს ერთ ღამეს მოძღვართან ერთად მინდორში ვიყავით, ტბის შორიახლოს. ეს ვერანი ადგილი მამა-პაპათაგან იწოდებოდა თხემის ველად.

და მიწვა იესო მოლზე და ვარსკვლავებს მიაჩერდა.

უეცრად მოვარდა აქოშინებული ორი კაცი. სულს ძლივს ითქვამდნენ, სულთმობრძავს ჰგვანდნენ. მიწას განერთხნენ იესოს ფერხთით.

იესო წამოდგა და იკითხა: „საიდან მოხვალთ?“

კაცთაგან ერთმა მიუგო: „მაქერუზიდან“*.

იესომ შეხედა მას და შეწუხებულმა იკითხა: „რას იტყვით იოანეზე?“

და მიუგო მან: „იგი მოკლეს დღეს. თავი მოჰკვეთეს დილეგში, თავის სენაკში“.

მაშინ იესომ ასწია თავი. შემდეგ ოდნავ განზე გადგა. ცოტა ხანში ისევ ჩვენ შორის იყო.

და თქვა მან: „მეფეს ადრეც შეეძლო წინასწარმეტყველის მოკვლა. მეფეს ნამდვილად ჰგვრის სიამოვნებას, ქვეშევრდომთა ბედს რომ განაგებს. გარდასულ დროთა მეფეები ასე არ აყოვნებდნენ

---

* მკვდარი ზღვის აღმოსავლეთით, მდინარე იორდანეს შესართავის შორიახლოს ჰეროდეს მიერ მთაზე აღმართული ციხე-დარბაზი. იოსებ ფლავიუსის თანახმად, მაქერუზის ციხე-დარბაზში გამართა ჰეროდემ წვეულება და აქვე მოკვეთეს თავი იოანე ნათლისმცემელს.

წინასწარმეტყველთა მოკვეთილი თავის გადაცემას ავისმზრახველთათვის.

ვწუხვარ არა იოანესთვის, არამედ ჰეროდესთვის, რომელმაც მახვილის მოქნევა ბრძანა.. საწყალობელი მეფე, ნადირივით ქამანდითაა გამოჭერილი და ყულფიანი საბელით დაატარებენ.

საცოდავი და უბედური ტეტრარქები თავიანთი სიბნელით არიან წარწყმედილნი, ბორძიკობენ და ეცემიან. მკვდარ ზღვაში რას ნახავთ მკვდარი თევზის მეტს?

მე არ მძულს მეფეები. დაე, მართონ ადამიანები, ოღონდ მათზე ბრძენნი უნდა იყვნენ“.

და მოძღვარმა შეხედა მწუხარე სახეებს იმ ორისას, მერმე ჩვენ მოგვაპყრო მზერა და თქვა: „იოანე ჭრილობით იშვა და სისხლი ნაჭრილობევიდან იღვრებოდა მის სიტყვებთან ერთად. იგი თავად იყო თავისუფლება, ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებული საკუთარი თავისაგან. და იგი შეიწყნარებდა მხოლოდ განუდრეკელთა და მართალთ.

ჭეშმარიტად იგი იყო ხმა მღაღადებლისა ყრუთა ქვეყანაში. და მე მიყვარდა იგი თავისი ტკივილითა და თავისი სიმარტოვით.

მიყვარდა, რადგან ღირსებით იყო აღსავსე. მიწამდე თავის დადრეკას ამჯობინა მახვილის წინაშე მოედრიკა თავი.

ჭეშმარიტად გეტყვით თქვენ: იოანე, ძე ზაქარიასი, უკანასკნელი იყო წინასწარმეტყველთა მოდგმიდან და თავის წინამავალთა დარად მოკლეს ტაძრის ზღურბლსა და საკურთხეველს შუა“.

და იესო ისევ ოდნავ გაგვშორდა.

მერმე მობრუნდა და თქვა: „ასეა მუდამ: ვინც ერთი საათით არის მმართველი, ანგრევს წლობით დამკვიდრებულ წესებს. მარად განსჯიან კაცს და განაჩენი გამოაქვთ მის დაბადებამდე და სიკვდილს უსჯიან დანაშაულის ჩადენამდე.

ძე ზაქარიასი იცოცხლებს ჩემთან, ჩემს საუფლოში და იქნება იგი მარად დღეგრძელი“.

მერმე იგი მიუბრუნდა იოანეს მოწაფეებს და უთხრა: „ყოველ ღვაწლს აქვს ხვალინდელი დღე. თავად მე ვიქნები ამ ღვაწლის ხვალინდელი დღე. დაბრუნდით ჩემი მეგობრის მეგობრებთან და აუწყეთ, რომ მე ვიქნები მათთან“.

და ის ორი კაცი წავიდა ჩვენგან. ნაღველი შემსუბუქებოდათ თითქოს.

მერმე იესო ისევ მიწვა მოლზე და გაშალა მკლავები. და ისევ მიაპყრო მზერა ვარსკვლავებს.

გვიანი იყო. მის შორიახლოს ვიწექი. დასვენებას ვაპირებდი, მაგრამ ძილის კარიბჭეს ჩემსას ვიღაცის ხელი უკაკუნებდა და ვფხიზლობდი, ვიდრე იესოს და ალიონის ხმობით ისევ არ გავუდექით გზას.

უდაბნოდან მოსული კაცი

მეკერმეთა გამო

მე უცხო ვიყავ იერუსალიმში. წმინდა ქალაქში ამოვედი. მსურდა მომეხილა დიდებული ტაძარი და საკურთხეველზე მსხვერპლი შემეწირა სამადლობელად, რადგან ცოლმა ჩემმა ტყუპი ვაჟი შეჰმატა გვარტომს ჩემსას.

შესაწირავის გაღების შემდეგ ტაძრის კარიბჭესთან ვიდექი და თვალს ვადევნებდი მეკერმეებს და სამსხვერპლო მტრედებით მოვაჭრეთ. თან ყურს ვუპყრობდი ტაძრის ეზოში ატეხილ ჩოჩქოლს.

ვიდექი იქ და... უეცრად მეკერმეთა და მტრედებით მოვაჭრეთა შორის გამოჩნდა ვიღაც კაცი.

და იყო იგი კაცი დიდებით მოსილი. და მოვიდა იგი მშვიდად.

ხელთ ეპყრა თხის ტყავის მათრახი. და იწყო მან მეკერმეთა ტაბლების აყირავება და მათრახი გადაუჭირა მტრედების მოფარდულთ.

და გავიგონე ხმამაღლა ნათქვამი მისი: „გაუშვით ფრინველნი ცაში, მათ სამყოფელში“.

მისი მრისხანე სახის ხილვაზე ქალებმა და კაცებმა გაქცევით უშველეს თავს. ისე დაერია მათ, როგორც – ქარბორბალა ქვიშის ბორცვებს.

და ამან მხოლოდ ერთ წამს გასტანა. და ტაძრის ეზო დაიცალა მეკერმეთაგან. მხოლოდ ის კაცი იდგა განმარტოებით. და შორიახლოს იყვნენ მისი მიმდევრები.

თავი მივაბრუნე და ტაძრის სტოაში ვიხილე ვიღაც სხვა კაცი. მისკენ გავწიე და ვკითხე: „ბატონო, ვინ არის ის კაცი, განმარტოებით რომ დგას სხვა ტაძარივით?“

და მომიგო მან: „ეს არის იესო ნაზარეველი, წინასწარმეტყველი. ამ ბოლოხანს მოევლინა გალილეას. აქ, იერუსალიმში, ყველას სძულს იგი“.

და ვთქვი მე: „გული ჩემი ისე მტკიცეა, რომ იწონებს მათრახის მოქნევას. და გული ჩემი ისე დამყოლია, რომ მთხოვს განვერთხა იესო ნაზარეველის ფერხთით“.

და მიუბრუნდა იესო თავის მიმდევართ, იქვე მომლოდინეთ. და ვიდრე მიუახლოვდებოდა, სამი მტრედი მოფრინდა. ერთი დააჯდა იესოს მარცხენა მხარზე, ორი – ტერფებზე. იგი სათუთად შეეხო მტრედებს და მერმე განაგრძო გზა. ნაბიჯი მისი იყო შეწყობილი.

მითხარით, ნეტა რა ძალას ფლობდა, ასობით კაცსა და ქალს რომ შეუტია და ისე გაფანტა, რომ სიტყვის შებრუნება ვერ შებედეს?! მითხრეს, იმათ ყველას ეჯავრებაო. და მაინც, წინ ვერვინ აღუდგა იმ დღეს. ნუთუ იესომ სიძულვილის ფესვები ამოძირკვა თავის გზაზე ეზოდან ტაძრამდე?

პეტრე

იესოს მიმდევართა ხვალინდელი დღე

ერთხელ, შეღამებისას, იესო შეგვიძღვა სოფელ ბეთსაიდაში. დაქანცულნი ვიყავით და შარაგზის მტვერში ამოგანგლულნი.

და მივადექით ბაღიან დიდ სახლს. და იქვე იყო სახლის პატრონი, ჭიშკართან იდგა.

და უთხრა იესომ: „ეს კაცები დაღლილნი არიან და ფეხებგადაყვლეფილნი, დააძინე შენს სახლში. სუსხიანი ღამეა, მათ სითბო და დასვენება სჭირდებათ“.

და მიუგო მდიდარმა იესოს: „მე მათ ვერ დავაძინებ ჩემს სახლში“.

და უთხრა იესომ: „მაშინ ნება მიეცი ღამე გაათიონ შენს ბაღში“. და მიუგო მდიდარმა იესოს: „ვერც ჩემს ბაღში გავათევინებ ღამეს.“

მერმე იესო მოგვიბრუნდა და გვითხრა: „ასეთი იქნება თქვენი ხვალინდელი დღე. დღევანდელ დღეს ემგვანება მომავალი თქვენი. ყველა კარი ჩაიხურება თქვენ წინაშე. და ვარსკვლავქვეშეთში ბაღიც კი არ იქნება შემფარებელი თქვენი.

ხოლო, თუ აიტანთ სიმძიმეს გზისას და შემომიდგებით, ეგებ გზად წყაროსაც წააწყდეთ და სასთუმალსაც, ეგებ – პურსაც და ღვინოსაც. მაგრამ, თუ ისე მოხდა, რომ ვერაფერს გადაეყარეთ, გახსოვდეთ: თქვენ გადალახეთ ჩემთა უდაბნოთაგან ერთი.

ახლა გავწიოთ, გავუდგეთ გზას“.

შეძლებული კაცი შეცბა, ნირი შეეცვალა, თავისთვის რაღაც ჩაიბურტყუნა, მაგრამ მე ვერ მოვკარი ყური. და გაგვეცალა, შებრუნდა თავის ბაღში.

და ჩვენ გავუყევით იესო ნაზარეველის გზას.

მელაქი ბაბილონელი, ასტროლოგი

იესოს სასწაულები

თქვენ გინდათ იესოს სასწაულებზე მოგითხროთ.

ყოველ ათასწლეულში მზე, მთვარე, და ჩვენი დედამიწა, და მისი დობილი პლანეტები ერთ სწორ ხაზზე ლაგდებიან და ბჭობენ ერთად.

მერმე ნელ-ნელა დაშორიშორდებიან და ელიან სხვა ათასწლეულს.

არ არსებობს სასწაული დრო-ჟამის მონაკვეთთა მონაცვლეობის გარეშე. და რა მოხდება, თვით დრო რომ გამოგვეცხადოს კაცის ხატით?

იესოს არსებაში ჩვენთა სხეულთა ოთხნი კავშირნი და ჩვენი ოცნებანი შეირწყნენ კანონის შესაბამისად. ის, რაც უჟამო იყო იესომდე, ჟამიერი გახდა მის არსებაში.

ამბობენ, იესომ თვალის ჩინი უბოძაო ბრმას, განრღვეულს სვლა შეაძლებინაო და ავი სულები განასხაო ეშმაკეულისგან.

ეგებ სიბრმავე ოდენ ბნელი აზრებია, რომელთა გაცისკროვნება შეიძლება ცეცხლოვანი აზრით. ეგებ შემხმარი ფეხი უქნარობისაა და შეიძლება განედლდეს სიცოცხლის ძალით. და ეგებ ეშმაკები – ეს დადარაჯებული ფორიაქა ძალები – განიდევნებიან მშვიდობისა და ნათლის ანგელოზთაგან.

ამბობენ, იესომ მკვდარი გააცოცხლაო. თუ მეტყვით, რა არის სიკვდილი, გეტყვით, რა არის სიცოცხლე.

მინდორში რკოს ვაკვირდებოდი, ასეთ უჩუმარსა და ერთი შეხედვით არაფრის მაქნისს. გაზაფხულზე ვიხილე: რკოს ფესვი გაედგა და აღმოცენებულიყო. მზისკენ მიისწრაფოდა მუხის ეს პაწია საწყისი.

თქვენ უთუოდ სასწაულად მიიჩნევთ ამას. და მაინც, ეს სასწაული ხდება მრავალჯერ, ყოველ მთვლემარე შემოდგომასა და ყოველ მღელვარე გაზაფხულზე.

რატომ არ შეიძლება იგი მოხდეს ადამიანის გულშიც?!

ხომ შეიძლება, წელიწადის დრონი ერთმანეთს შეხვდნენ ღვთის რჩეული კაცის ხელში ან ბაგეებზე?!

უფალმა ღმერთმა ხომ უბოძა მიწას უნარი, შეყუჟული ჰყავდეს თესლი, რომელიც უსიცოცხლოს ჰგავს. უფალ ღმერთს რატომ არ უნდა ებოძებინა კაცის გულისთვის უნარი, სიცოცხლე შთაებერა სხვა გულისთვის, თუნდაც მკვდრად რომ გვეჩვენება, იმ გულისთვის?!

მე მოგახსენებთ იმ სასწაულებზე, რომლებიც უმნიშვნელოდ მიმაჩნია უდიდესი სასწაულის გვერდით. ეს დიადი სასწაული არის თვით კაცი იგი, მეგზური კაცთა, ვინც ჟანგი ჩემი სულისა ოქროდ მიქცია; ვინც მასწავლა, როგორ მიყვარდეს მოძულე ჩემი; ვინც შვება მომგვარა ყოველივე ამით და ტკბილი სიზმრებით დამიამა ძილი.

ეს არის სასწაული ჩემი საკუთარი სიცოცხლისა. სული ჩემი ბრმა იყო, სული ჩემი ხეიბარი იყო.

შეპყრობილი ვყავდი ფორიაქა სულებს. მკვდარი ვიყავი.

ხოლო ახლა თვალი ამეხილა და გამართული დავდივარ. მშვიდობაა ჩემ თანა და მე ვცოცხლობ, რათა ყოველდღე, ყოველ წამს ვიყო მოწმე და მაღიარებელი ჩემი საკუთარი ღვთაებრივი არსისა.

მე არ ვარ იესოს მიმდევართაგანი. მე ერთი ბებერი ასტროლოგი ვარ. წელიწადში ერთხელ მოვივლი ხოლმე არემარეს, გულისყურით ვაკვირდები სამყაროს წესრიგსა და სასწაულებს.

ჩემთა დღეთა დაღამებას ვარ მიწევნილი და, როცა სიცოცხლის განთიადს ვეძიებ, იესოს სიყრმეს ვეძიებ თურმე.

სიბერე მარად ეძიებს სიჭაბუკეს. ახლა მაქვს ცოდნა. ესაა ჭვრეტა შემეცნებითი.

ფილოსოფოსი

საკვირველებისა და მშვენიერების შესახებ

ვიდრე ჩვენთან იყო, იესო გაკვირვებული გვიმზერდა ჩვენ და უმზერდა ამა სოფელს, რადგან მის თვალებს არ ბურავდა რიდე წლებისა და ყოველივე, რასაც უმზერდა, მისი სიჭაბუკის სხივით იყო გაცისკროვნებული.

იცოდა სიღრმე და იდუმალება მშვენიერებისა და მაინც მუდამ აკვირვებდა მშვენიერებაში დავანებული სიმშვიდე და დიდებულება. და იდგა იესო მიწაზე, როგორც პირველი კაცი სამყაროს პირველ დღეს.

ჩვენ დაგვიჩლუნგდა გრძნობები. დღის სინათლეზეც ვეღარ ვხედავთ ხეირიანად. ხელებს ვიშვერთ და შეხება არ ძალგვიძს. რაც მთელ არაბეთში გუნდრუკია, ერთად რომ აკმიონ, ისე ჩავივლით, საკმევლის სურნელებას ვერ ვიგრძნობთ.

ვერ ვხედავთ მხვნელს, მწუხრის ჟამს მინდვრიდან რომ ბრუნდება. აღარც სალამურის ხმა მოგვესმის, როცა მწყემსი ფარეხისკენ მიუძღვება ფარას. აღარც მზისკენ ვიწვდით ხელებს, რათა შევეხოთ დაისს. ჩვენს ყნოსვას აღარ ენატრება შარონის ვარდთა სურნელი.

ჩვენ არ მივაგებთ პატივს მეფეს, სამეფო თუ არ აქვს. ქნარის ხმიანობა არ გვესმის, ვიდრე თითები არ აატოკებს სიმებს. ვერ ვამჩნევთ ბავშვს, ჩვენს ზეთისხილის ჭალაში რომ თამაშობს, თითქოს ისიც ზეთისხილის მორჩი იყოს. და გვეს-

მის მხოლოდ სიტყვა, ხორციელ ბაგეთაგან წარმოთქმული. სულის სიტყვათათვის ყრუნი ვართ და მუნჯნი.

თვალს ვავლებთ და... ვერ ვხედავთ, ყურს ვუპყრობთ და... არ გვესმის. ვჭამთ და ვსვამთ და... გემოს ვერ ვატანთ. და აქაა სხვაობა იესო ნაზარეველსა და ჩვენ შორის.

მისი გრძნობები განუწყვეტლივ ახლდებოდა და სამყარო მისთვის მარად ახალი იყო.

ბალღის ტიტინი არ იყო მისთვის მთელი კაცობრიობის ღაღადისზე უმნიშვნელო, ჩვენთვის კი მხოლოდ ტიტინია.

ბაიას ფესვი მისთვის ნიშნავდა ღვთის მონატრებას და ღვთისკენ სწრაფვას. ჩვენთვის კი მხოლოდ ფესვია და სხვა არაფერი.

ურია, ბერიკაცი ნაზარეთიდან

იგი უცხო იყო ჩვენთვის

იგი უცხო იყო ჩვენთვის და ცხოვრება მისი ბნელი საბურველით იყო დაფარული.

იგი არ დაადგა ჩვენი ღვთის გზას. და მიჰყვებოდა ბილწთა და სირცხვილეულთა გზას.

მან სიყრმიდანვე უარყო და განაგდო ჩვენი ბუნების ტკბილი დვრიტა.

ბნელ ღამეში თივა რომ იწვის ბრიალით, ასე წამში აალდა მისი სიყრმე და ჩაიფშუკა.

დაკაცდა და... ხელი აღმართა ჩვენ წინააღმდეგ.

ასეთი ადამიანები ჩასახულნი არიან კაცთა სიკეთის დაკნინებისას. და შობილნი არიან ეშმაკეული გრიგალის ჟამს. და ერთხანს ცოცხლობენ შემზარავ ქარიშხალში. და მერმე სამარადჟამოდ დაინთქმებიან.

ნუთუ არ გაგონდებათ გოროზი ბიჭი, ჩვენს სწავლულ უხუცესებს რომ ეტოლებოდა და ეტოქებოდა, და მასხრად რომ იგდებდა ღირსებას მათსას?!

არ გაგონდებათ მისი სიჭაბუკე, როცა ხერხითა და საჭრეთლით გაჰქონდა თავი? იგი თავს არ უყადრებდა ჩვენს ვაჟებსა და ასულებს, არ გაერეოდა მათ გართობასა და დროსტარებაში.

სალამზე სალამს არ მოგაგებებდა, თითქოს რითიმე უკეთესი ყოფილიყოს ჩვენზე.

ერთხელ მინდვრად შევხვდი და მივესალმე. მან მხოლოდ გამიღიმა. და მის ღიმილში დავინახე მედიდურობა და კიდევ რაღაც შეურაცხმყოფი.

მცირე ხანი გამოხდა და ასული ჩემი თავის კბილა გოგო-ბიჭებთან ერთად ზვრებში წავიდა ყურძნის საკრეფად. გამოელაპარაკა იესოს ასული ჩემი, მაგრამ მან ხმა არ გასცა.

იესო მიმართავდა მთელ მამითადს, ყურძნის მკრეფავებს – ყველას ერთად, თითქოს ჩემი ასული არც ყოფილიყოს იმათ შორის.

თავისი ხალხი რომ მიატოვა და ხეტიალს შეუდგა, ნამდვილ ყბედად იქცა. მისი ხმა მარწუხებივით გვერჭობოდა სხეულში. და დღემდე მისი ხმა მწარე სატანჯველად ჩაგვრჩა მეხსიერებაში.

იგი მხოლოდ ბოროტებას და სიბილწეს ამბობდა ჩვენზე და ჩვენს მამებზე, ჩვენს წინაპრებზე. მისი ენა მოწამლული ისარივით გვესობოდა მკერდში.

ასეთი იყო იესო.

ის რომ ჩემი შვილი ყოფილიყო, რომის ლეგიონს გავაყოლებდი არაბეთში და სარდალს შევსთხოვდი, ბრძოლის ველზე წინა რიგებში მიეჩინა მისთვის ადგილი, მტრის მოისართ რომ თვალში მოხვედროდათ და თავი დამეხსნა მაგისი უტიფრობისგან.

მაგრამ მე არ მყავს ვაჟი, და ეგებ კიდეც უნდა ვუმადლოდე ბედს. ჩემს ძეს რომ თავისი ხალხისთვის ემტრო, ხომ შემირცხვებოდა თეთრი წვერ-ულვაში, ხომ უნდა ნაცარი დამეყარა ჭაღარა თავზე?!

ნიკოდემოსი, პოეტი

უგუნურთა და გაიძვერათა შესახებ

ბევრი უგუნური ამბობს, იესო თავის გზას ადგა, მაგრამ საკუთარ თავსვე ეწინააღმდეგებოდაო; თავის თავს არ იცნობდა და ამიტომ დაბნეული იყოო.

ბევრი ყვავივითაა, ჰანგს არ ცნობს გალობად, თუ ყრანტალს არ ჩამოჰგავს.

თქვენც იცნობთ და მეც ვიცნობ გაქნილ გაიძვერებს, ლაქარდიანი ენა რომ აქვთ და პატივს რომ მიაგებენ მხოლოდ მათზე უფრო ენაალესილთ. ეგენი ბამბას აჩხრიალებენ და ოქროდ ასაღებენ.

ვიცით კაცუნები, რომლებიც ლანძღავენ ზეცის კაცს, ისიც ვიცით, სარეველა ბალახი რას იტყოდა მუხაზე ან კედარზე.

მეწყალვიან ისინი, რადგან არ ძალუძთ სიმაღლეთა წვდომა.

მეცოდება დამღრალი ნარეკალა, რომელსაც შურს, თელა რომ უძლებს წელიწადის დროთა ცვალებას.

მაგრამ ჩვენი სიბრალული, თვით ანგელოზთა სიბრალულიც რომ ზედ დაერთოს, ნათელს ვერ მიანიჭებს მათ.

მინახავს საფრთხობელა, მისი სამოსის ნაფლეთები ფრიალებს პურის ყანაში, თუმცა თვითონ უსიცოცხლოა, ვერც ყანას გრძნობს და ვერც სიმღერას ქარისას.

მინახავს ობობა, ფრთები არა აქვს და ქსელს ქსოვს ფრთიანთა გასაბმელად.

მინახავს კაცნი, ბუკის კვრასა და დოლის ბრაგუნში გაწაფულნი. ხმაურით გაყრუებულთ არც ტოროლას გალობა ესმით, არც აღმოსავლეთიდან შემოქროლილი სიოს ჩურჩული ტევრში.

მინახავს კაცი, დინების აღმა ნიჩბვა რომ შეუძლია, მაგრამ წყაროს მიგნება – არა, მდინარეში რომ დაცურავს, მაგრამ ზღვაში გასვლას ვერ ბედავს.

მინახავს კაცი, გაუწაფავი თავისი ხელით შეშველებას რომ სთავაზობს ტაძრის მშენებელს. და უარს რომ მიიღებს, თავისი გულის სიბნელე ათქმევინებს: „დავანგრევ ყველაფერს, რაც აშენდება“.

ვიცი ეგ ყველაფერი. ეს ის ხალხია, რომელსაც არ მოსწონს, ერთ დღეს რომ თქვა იესომ: – „მშვიდობა მომაქვს თქვენდა“ – და მერმე თქვა: „მახვილი მომაქვს“.

ვერ გაუგიათ, რომ სინამდვილეში მან თქვა: „მშვიდობა მომაქვს კეთილთათვის, და გაშიშვლებულ მახვილს ვდებ მშვიდობის მომლოდინეთა და მახვილის მოსურნეთა შუა“.

უკვირთ, რომ მან, რომელმაც თქვა: „მეუფება ჩემი არა არს ამა სოფლისა“, – აგრეთვე თქვა: „მიეცით კეისრისა კეისარს“. არ უწყიან, რომ, თუ ნამდვილად სურთ თავისუფლად შევიდნენ მათთვის სასურველ სასუფეველში, არ უნდა ეურჩონ ბჭის მცველს. ქალაქში შესასვლელად ხალისით უნდა გაიღონ ქირა.

ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც ამბობენ: „იესო ქადაგებდა ლმობიერებასა და სიკეთეს და სიყვარულს მშობლისას, მაგრამ არც გახსენებია

დედა თვისი და ძმები, როცა ისინი იერუსალიმის ქუჩებში დაეძებდნენ მას“.

მათ რა იციან, დედა მისი და ძმანი მისნი ეგებ სიყვარულით გაფრთხილებოდნენ და ხითხუროს დაზგასთან მისი დაბრუნება ემჯობინებინათ, როცა თავისი ნახელავი სარკმლებით ახალი დღის განთიადისკენ წარმართავდა მზერას ჩვენსას.

ეგებ დედას და ძმებს სდომებოდათ ეცოცხლა მას სიკვდილის ჩრდილში. ხოლო იესო სიკვდილს გაეჯიბრა აგერ, ამ ბორცვზე, რათა მარად ეცოცხლა ჩვენს გაღვიძებულ ცნობიერებაში.

ვიცი, თხუნელები გზებს თხრიან, არსაით მიმავალ გზებს. განა ესენი არ ამტყუნებდნენ იესოს, თავს განადიდებსო, როცა მან მიმართა სიმრავლეს ერისას: – „მე ვარ გზა და მე ვარ ბჭე ხსნისა“, – და ისიც თქვა, ცხოვრება და აღდგომა ვარო.

მაგრამ იესო არაფერს მიიწერდა. განა წელიწადის თვეთაგან მაისი ამაოდ იჩემებს წყალუხვობას?!

განა არ უნდა ეთქვა ნათელი და ცხადი სიმართლე მხოლოდ იმიტომ, რომ სიმართლე შუქს ასხივებს?!

მან ნამდვილად თქვა, რომ იგია გზა, და ცხოვრება, და აღდგომა. და მე თვითონ ვემოწმები იესოს, რომ ჭეშმარიტებაა, რაც მან თქვა.

ნუთუ არ გაგონდებით მე, ნიკოდემოსი, კაცი, რომელსაც კანონისა და დოგმის მეტი არაფერი მწამდა და განუწყვეტლივ მოვითხოვდი მორჩილებას კანონისას?!

შემომხედეთ ახლა! ადამიანი ვარ, სიცოცხლით ვხარობ, მზესთან ერთად ვიღიმი, როგორც კი

ამონათდება და შემოგვცინებს მწვერვალიდან, ვიდრე მთებს იქით სარეცელში ჩაესვენება.

ენა რატომ გებმით სიტყვა „ცხონების“ წარმოთქმისას? მე პირადად იესოს წყალობით მომენიჭა ცხონება, მომენიჭა ხსნა.

აღარ მენაღვლება ხვალის საზრუნავი, რამეთუ ვიცი, იესომ გამაღვიძა ღრმა ძილიდან, ჩემი შორეული ოცნებები ჩემს შემწედ და მეგზურად მიქცია.

განა მე დავკნინდი, რაკი ვირწმუნე კაცი უდიადესი?!

იესო, დიდი პოეტი გალილეველი, რომ დამელაპარაკა, ზღუდენი ჩემი სხეულისა დაიხსნენ. და მე აღმიტაცა სულმა, და ავიზიდე მაღლა, და ჩემმა ფრთებმა ზეცის სივრცეთაგან თავი მოუყარა ჰანგს, ზეცის სივრცეთაგან შემოკრიბა ვნების საგალობელი.

და როდესაც ჰაერის ტალღით დაბლა დავეშვი, როცა საკრებულოში დავბრუნდი და შემეკვეცა ფრთები, მაშინაც კი ჩემი გაძრცვნილ-გაპუტული ფრთები სათუთად ინახავდა და უფრთხილდებოდა იმ საგალობელს. წუთისოფლის ვერავითარი განსაცდელი ვერ წარმტაცებს მას, საუნჯეს ჩემსას.

საკმაოდ ბევრი გითხარით. დაე, ყრუმ თავის ჩამკვდარ ყურებში დაასამაროს სიცოცხლის ჟრიამული. მე სიამეს მგვრის ხმიანობა იესოს ქნარისა, რომელიც მას ხელთ ეპყრა ჯვარცმისას და რომელსაც უკრავდა ჯვარზე მილურსმული სისხლჩამომდინარე ხელებით.

იოსებ არიმათიელი ათი წლის შემდეგ

ორი ნაკადი იესოს გულისა

ორი ნაკადი ჩქეფდა ნაზარეველის გულში: ერთი ნაკადი – მეუფება ღვთისა, რომელსაც იგი მამას უწოდებდა და მეორე – ნაკადი ნეტარებისა, ასე უწოდებდა იგი ცათა სასუფეველს.

განმარტოების ჟამს ვფიქრობდი იესოზე და მივყვებოდი ამ ორ ნაკადს მისი გულისას. ერთის ნაპირზე საკუთარი სული ვიპოვე. და სული ჩემი იყო გლახაკი, მიუსაფარი. ზოგჯერ კი სული ჩემი ჰგავდა ასულს მეფისას, თავის წალკოტში შვებულს და ნეტარს.

მერმე გავყევი მეორე ნაკადს იესოს გულისას. და გზად შემომხვდა ვიღაც ნაგვემი. ოქრო წაერთმიათ. და იღიმოდა. მერმე შემომეყარა მპარავი, რომელმაც განძარცვა იგი. შეკავებულ ცრემლს დაეძაბა მძარცველის სახე.

მერმე საკუთარი მკერდიდან მომესმა ორივე ნაკადის ხმიანობა და გავიხარე დიდად.

წინადღით, ვიდრე პილატე პონტოელი და უხუცესნი ხელს აღმართავდნენ მასზე, ვეწვიე იესოს, დიდხანს ვისაუბრეთ. ბევრი რამ ვკითხე. და იგი ჩემს კითხვებზე გულმოწყალედ მიპასუხებდა. და რომ დავტოვე და წამოვედი, ვიცოდი, რომ იგია უფალი და მოძღვარი ამ ჩვენი დედამიწისა.

კარგახანი გავიდა მას მერმე, რაც კედარი წაიქცა, მაგრამ მისი კეთილსურნელება ვრცელდება და მარად გავრცელდება დედამიწის ოთხივე კიდეში.

გიორგი ბეირუთელი

უცხოთა შესახებ

იესო და მოყვასნი მისნი ფიჭვნარში იყვნენ, ზედ ჩემი ღობის გადაღმა. საუბრობდნენ.

ღობესთან ვიდექი და ვუსმენდი. ვიცოდი, ვინ იყო იგი, რამეთუ ამ მხარეს ვიდრე ესტუმრებოდა, დიდებამ მისმა ჩამოაღწია ჩვენამდე.

საუბარი რომ დაასრულა, მივეახლე და ვუთხარი: „ბატონო, პატივი დამდე და ამ კაცებთან ერთად შინ მეწვიე“.

გამილიმა და მომიგო: „დღეს არა, მოყვასო ჩემო, დღეს არა“.

ამ სიტყვებში კურთხევა იყო. მისი ხმა თითქოს შემომებურა, როგორც სამოსი ცივ ღამეში.

მერმე მიუბრუნდა მოწაფეებს და უთხრა: „იხილეთ კაცი, რომლისთვის ჩვენ არა ვართ უცხო, თუმც დღევანდელ დღემდე არ შეგვხვედრია. იგი თავის ჭერქვეშ გვიწვევს, თავისი ზღურბლის გადაბიჯებას გვთხოვს.

ჭეშმარიტად ჩემს სასუფეველში არ არიან უცხონი. ჩვენი სიცოცხლე სხვა არარაა, თუ არ სიცოცხლე ყველა სხვა კაცთა. სიცოცხლე გვენიჭება, რათა შევიცნოთ ყოველი კაცი და სიბრძნის ნათელში გვიყვარდეს ისინი.

ნაქმნარი ყოველთა კაცთა – ფარულიცა და განცხადებულიც – ყოველი ჩვენგანის ქმნილია.

და მე გმოძღვრავთ თქვენ და გიწესებთ: ნუ დაიტევთ მხოლოდ თქვენს „მე“-ს, თქვენს არსს.

დაიტიეთ ბევრი არსი; იყავით სახლის პატრონიც და უსახლკაროც; იყავით მთესველიც და ბეღურაც, მარცვალს რომ კენკავს, სანამ გაღვივდებოდეს მიწაში; იყავით საბოძვრის გამცემიც და საბოძვრის ღირსეულად მიმღებიც.

ეს დღე მშვენიერია არა მხოლოდ იმით, რასაც ხედავთ თქვენ. მშვენიერია იგი იმითაც, რასაც ხედავენ სხვები.

ამისთვის გამოგარჩიეთ თქვენ მრავალთაგან, რომელთაც გამომარჩიეს მე“.

მერმე ისევ მომიბრუნდა, გამიღიმა და მითხრა: „ამას შენთვისაც ვამბობ, შენც უნდა დაიმახსოვრო ეს სიტყვები“.

მერმე კვლავ შეევედრე იესოს და ვუთხარი: „მოძღვარო, არ მესტუმრები?“

და მომიგო მან: „მე ვიხილე გული შენი, და მე უკვე გესტუმრე შენს უფრო დიდ სავანეში“.

და თავის მოწაფეებთან ერთად წასვლა რომ დააპირა, მითხრა: „მშვიდობის ღამე შენდა, დაე, დიდი იყოს სახლი შენი, რათა შეიფარო ქვეყნად შემოსული ყველა უცხო მგზავრი“.

მარიამ მაგდალენელი

ბაგე მისი გაპობილ ბროწეულს ჰგავდა

ბაგე მისი გაპობილ ბროწეულს ჰგავდა. თვალებში ღრმა ჩრდილი ჩასდგომოდა.

და იყო იგი მშვიდი, მსგავსად თავის ძალაში დარწმუნებული კაცისა.

ჩემს ზმანებებში მიხილავს მის წინაშე მოწიწებით წარმდგარნი ხელმწიფენი ამა სოფლისანი.

მინდა მისი სახე აღგიწეროთ, მაგრამ როგორ შევძლო?

წარმოიდგინეთ ღამე სიბნელის გარეშე, დღე – ჟრიამულის გარეშე.

ეს იყო სახე სევდიანი და ეს იყო სახე მხიარული.

კარგად მახსოვს, ერთხელ ზეცისკენ აღაპყრო ხელი, მისი გაშლილი თითები თელის რტოებს ჰგავდა.

მახსოვს, ერთ საღამოს ვიხილე გზად მიმავალი. არა, იგი არ მიდიოდა, იგი თავად იყო გზა და იყო გზაზე.

მის წინ რომ ვიდექი და ველაპარაკებოდი, იგი იყო კაცი. და ძალმოსილი იყო სახე მისი. და მითხრა მან: „რა გნებავს, მარიამ?“

არაფერი მითქვამს, მაგრამ თითქოს ფრთები შემესხა და სულში სითბო ჩამეღვარა.

და ველარ გავუძელ მის ნათელს, შევტრიალდი და წავედი, მაგრამ არა – შერცხვენილი, არამედ – დამორცხვებული. მინდოდა ვყოფილიყავი მარტო და იგი შეხებოდა სიმებს ჩემი გულისას.

ნაზარეველი იოთამი – ვინმე რომაელს

სიცოცხლისა და ცხოვრების შესახებ

ჩემო მეგობარო, ყველა რომაელის დარად, შენ გირჩევნია სიცოცხლეზე იფიქრო და იმსჯელო, ვიდრე იცხოვრო. შენ გირჩევნია მართო ქვეყნები, ვიდრე თავად შენ გმართავდეს სული.

შენ გირჩევნია დაიმორჩილო და დათრგუნო კაცთა მოდგმა და იყო კრული და გმობილი, ვიდრე დაეტიო შენს რომში და იყო კურთხეული, სვებედნიერი.

შენ ფიქრობ მხოლოდ ლაშქართა წყობაზე და ზღვაში გაჭრილ ხომალდებზე.

შენ როგორ გაუგებ იესო ნაზარეველს, მარტოკაცსა და უბრალოს, მას, ვინც მოგვევლინა ულაშქროდ და უხომალდოდ, რათა დააფუძნოს სასუფეველი კაცთა გულებში და იმპერია – სულის თავისუფალ სივრცეებში?!

რანაირად შეისმენ კაცისას, რომელიც არ ყოფილა მოლაშქრე, თუმცა ფლობდა მძლეთამძლე სასიცოცხლო ძალას?!

იგი არ იყო ღმერთი, იგი იყო კაცი ჩვენსავით, მაგრამ მის არსებაში ამქვეყნიური საკმეველი მაღლა აიბოლქვა, რათა შერთოდა ზეციურ განუქარვებელ გუნდრუკს. მისი სიტყვების წყალობით ჩვენი უბადრუკი ბუტბუტი უხილავ ძალთა ღაღადისს შეეზავა და იესოს ხმაში ჩავწვდით გონებამიუწვდომელ გალობას.

დიახ, იესო კაცი იყო და არა ღმერთი და სწორედ ეს გვაოცებს და გვაკვირვებს.

თქვენ კი, რომაელებს, მხოლოდ ღმერთები გაოცებენ, კაცს არ შეუძლია თქვენი გაკვირვება. ამიტომაც არ გესმით ნაზარეველისა.

იგი იყო სიჭაბუკე გონებისა, თქვენ კი გონების სიბერე ხართ.

დღეს თქვენ მთავრობთ ჩვენზე, მაგრამ დაველოდოთ ხვალინდელ დღეს.

ვინ უწყის, ეგებ ეგ კაცი, ულაშქრო და უხომალდო, მეუფებდეს ხვალ?!

ჩვენ, ვისაც სული წარგვმართავს, სისხლის ოფლჩამომდინარენი გავყვებით იესოს გზას. რომისგან კი მზეზე გამომშრალი თეთრად მოქათქათე ჩონჩხიღა დარჩება.

ჩვენ დიდი ტანჯვა-წამების გადატანა მოგვიწევს, მაგრამ გავძლებთ და ვიცოცხლებთ. ხოლო რომი მიწასთან გასწორდება.

და მაინც, თუ რომი სინანულით თავს დაიმდაბლებს და წარმოთქვამს მის სახელს, იესო ყურს მიუპყრობს ხმობას რომისას. და იგი ახალ სიცოცხლეს შთაბერავს მის ძვლებს. და აღორძინდება რომი, და დარჩება ქალაქად ქალაქთა შორის სოფლისათა.

და იესოს ამისთვის არც ლეგიონები სჭირდება, არც გალერების ხოფებს მიჯაჭვული მონები. მარტო იქნება იესო.

ეფრაიმ იერიქონელი

სხვა ქორწილი

იერიქონში მეორედ რომ მოვიდა, მოვინახულე და ვუთხარი: „უფალო, ხვალ ძე ჩემი ცოლს ირთავს, გთხოვ, მეწვიე ქორწილში, პატივი დაგვდე, როგორც დასდე პატივი მექორწინეთ კანას გალილეისას“.

და მომიგო მან: „მართალს იტყვი, ერთხელ ვიყავი სტუმრად ქორწილში, მაგრამ მე აღარ ვიქნები სტუმარი. ამიერიდან თავად მე ვარ სიძე“.

და ვუთხარი მე: „გევედრები, უფალო, მეწვიე ჩემი ძის ქორწილში“.

მან გამიღიმა, თითქოს მისაყვედურა და მითხრა: „რატომ მევედრები? არა გაქვს ღვინო საკმარად?“

და მივუგე მე: „ჩემი კოკები და გოზაურები სავსეა, უფალო. და მაინც გევედრები, მეწვიე ჩემი ძის ქორწილში“.

მაშინ თქვა მან: „ვნახოთ, ეგებ მოვიდე. ნამდვილად მოვალ, შენს ტაძარში საკურთხევლად თუ გექნება გული შენი“.

მეორე დღეს ჩემმა ძემ იქორწინა. იესო არ გვწვევია. სტუმარი ბევრი გვყავდა, მაგრამ თითქოს არავინ გვწვეოდეს.

მართალი გითხრათ, სტუმრებს რომ ვეგებებოდი, თითქოს თავადაც არ ვიყავი იქ, თითქოს განზე ვიყავი გარიდებული.

მას რომ ვიწვევდი, ალბათ გული ჩემი არ იყო საკურთხეველი. ალბათ მეორე სასწაულს ვეძიებდი.

ბარკა, ტვირფელი ვაჭარი

ყიდვა-გაყიდვის შესახებ

ვფიქრობ, ვერც რომაელებმა და ვერც ებრაელებმა ვერაფერი გაუგეს იესო ნაზარეველს. მისი არ ესმოდათ არც მოწაფეებს, რომლებიც ახლა იესოს სახელით ქადაგებენ.

რომაელებმა მოკლეს იგი. და ეს დიდი შეცდომა იყო. გალილეველებმა ღმერთად დასახეს და ესეც შეცდომაა.

იესო ერთი გულიანი კაცი იყო.

შვიდი ზღვა დამილახავს ჩემი ხომალდებით. შორეული ქალაქების ბაზრებსა და ქულბაქებზე ვაჭრობა მქონდა გაჩაღებული ხელმწიფეებთან, უფლისწულებთან, თაღლითებთან და გაქნილ გაიძვერებთან. მაგრამ არავინ მინახავს, რომ იესოსავით სცოდნოდა აღებმიცემობა.

ერთხელ მოვუსმინე, ეს იგავი თქვა:

„ვაჭარი თავისი ქვეყნიდან გაემართა შორეულ მხარეში. ორი ხელქვეითი ჰყავდა, ორივეს მისცა თითო მუჭა ოქრო და უთხრა: „როგორც მე მივდივარ უცხო მხარეში, თქვენც ასე მიდექ-მოდექით და მოგება ნახეთ, ივაჭრეთ, იცოდეთ, კარგად უნდა გაისარჯოთ და უნდა მემსახუროთ“.

ერთი წლის მერმე ვაჭარი დაბრუნდა.

და ჰკითხა მან თავის ორივე მსახურს, ჩემი ოქროსი რა ჰქენითო?

ერთმა მსახურმა უთხრა: „აი, ბატონო, ვიყიდე და გავყიდე და მოვიგე“.

ვაჭარმა მიუგო: „მოგება შენი იყოს, კარგად მოქცეულხარ, შენ მეც მიერთგულე და საკუთარ თავსაც“.

მერმე წარუდგა მეორე და უთხრა: „ბატონო, შემეშინდა არ დამკარგოდა შენი ფული, არც არაფერი მიყიდია და არც გამიყიდია, უკლებლივ აქაა, ამ ქისაში“.

და ჩამოართვა ვაჭარმა ოქრო და უთხრა: „მცირედ მორწმუნეო, ჯობდა გევაჭრა და ზარალი გენახა, ვიდრე ხელი არ გაგენძრია. ქარი რომ მიმოაბნევს თესლს და მერმე მოელის ნაყოფს, ასე მართებს ვაჭარსაც. გიჯობს ამიერიდან სხვებს ემსახურო“.

ეს თქვა იესომ და... ვაჭრობის საიდუმლო გაგვიმხილა, თუმცა იგი არ ყოფილა ვაჭარი.

მეტიც, ხშირად მის იგავებს გონებით უფრო შორეულ ქვეყნებში გადავყავდი, ვიდრე ჩემს მოგზაურობას, და თანაც კიდევ უფრო მაახლოებდა ჩემს სახლთან და ჩემს მონაგართან.

მაგრამ ჭაბუკი ნაზარეველი არ იყო ღმერთი და რა საწყენია, რომ მისი მიმდევრები ცდილობენ ღმერთად გამოაცხადონ ეს ბრძენი კაცი.

თუმია, სიდონელი ქალი, მღვდელთმოძღვარი

ხმობა

ქნარი მოიმარჯვეთ, მინდა ვიგალობო, ვერცხლის და ოქროს სიმს შეახეთ თითები! მინდა ქება ვუთხრა მძლეთამძლეს, უშიშარს, რომელმაც დათრგუნა სოფლად მოთარეშე ბილწი გველეშაპი, წყაროს წამბილწველი.

ქნარი მოიმარჯვეთ და ერთად ვუმღეროთ მთის თხემზე ტანაყრილ რტომრავალ ბერმუხას; ვუმღეროთ კაცს, გული ზეცას რომ მიუგავს და მკლავი ზღვასავით რომ აქვს მოუღლელი.

იგი ეამბორა სიკვდილის ბაგეებს, სიმწრისღიმილიანს, უფერულს, გაცრეცილს. და ახლა სიცოცხლის სიყვარულს ამკვიდრებს.

ქნარი მოიმარჯვეთ, ერთად ვუგალობოთ უდრეკ მონადირეს, კლდე-ღრეთა დამლახველს, – რომელმაც ნადირის გეში აიღო და სტყორცნა მას ისარი მიზანაუცდენი, და დასცა მიწაზე, სისხლი ათხევინა, და დააყრევინა ჩლიქები და რქები.

ქნარი მოიმარჯვეთ, ერთად ვუგალობოთ ახოვან მხნე ჭაბუკს, ზეციდან მოვლენილს, მაღალმთის ქალაქთა მძლესა და დამპყრობელს; ბარის ქალაქებიც ძრწოდნენ მის წინაშე და უნასებივით მის ფერხთით დრტვინავდნენ.

იგი შეებრძოლა ჯუჯაკაცთ კი არა, – იმ ღმერთებს ებრძოდა, ვინც მსხვერპლად ითხოვდა სისხლსა და ხორცს ჩვენსას, ვინც ზორვას ითხოვდა.

და პირველქმნილი ოქროსფერი შევარდენივით ირაოს სცემდა ის ზეციურ ანგელოზებთან. მას ფრთები ჰქონდა უმძლავრესი, უდიადესი. ფრთა-გაშლით ფრენდა, ჩიტები ვერ ეტოლებოდნენ.

დასწვდით თქვენს ქნარებს, ვუგალობოთ საგა-ლობელი! ხალისიანი ჰანგები ვთქვათ ზღვათა და კლდეთა. ძველი ღმერთები დაიხოცნენ, უჩუმრად წვანან უდაბნოდ ქცეულ კუნძულებზე შორეულ ზღვათა. ხოლო იგი ზის ტახტსა ზედა გვირგვი-ნოსანი.

იგი ყრმა იყო, უწვერული ყრმა, ედგა სიცოც-ხლის აპრილ-მაისი და ჯერ ზაფხული მას არ სწვეოდა.

დასწვდით თქვენს ქნარებს და ვუმღეროთ ერ-თად ქარიშხალს, რომელიც ტევრში ბობოქრობს და ჩამოყეფს ტოტებს, გასასხლავ ტოტებს, შემ-ხმარსა და ფოთოლგაცვენილს; ხეებს ღრმად ჩაზ-რდის, ჩააბუდებს მიწის წიაღში და ცხოველ-მყოფელ ფესვებს განზე გაადგმევინებს.

დასწვდით თქვენს ქნარებს, ვიმღეროთ ერთად უკვდავი ჰიმნი სიყვარულისა!

არა! ქალწულნო, შეიცადეთ, გადადეთ ქნარი! იყუჩეთ ერთხანს, თითებს სიმზე ნუ შეატოკებთ! ღირსი გალობა ვით შევკადროთ, ვით ვუთხრათ იესოს?! ჩვენი გალობა ჩურჩულივით ჩაიკარგება ქარიშხლიანი მისი სიტყვის მქუხარებაში, და ვერც დაარღვევს იმ იდუმალ დიდ მდუმარებას.

განზე გადადეთ თქვენი ქნარი, ჩანგი, ბარბითი და ჩემ ირგვლივ შემოიკრიბეთ! მე თქვენ გადმოგცემთ იესოს ღვაწლს, გეტყვით მის ნათქვამს. ყური მიუპყართ, ვით ხმიანობს იესოს სიტყვა. ჩვენს ყველა ჰანგზე, ჩვენს ყველაზე დიად განცდებზე ბევრად მეტია იესოს ხმა და ბევრად ღრმაა.

ბენიამინი, მწიგნობარი

აცალეთ მკვდართ თვისთა მკვდართა დაფლვა

ამბობენ, იესო მტერი იყოო რომისაც და იუდეისაც.

ხოლო მე ვიტყვი: იესო არ ყოფილა მტერი არცერთი კაცისა და არცერთი მოდგმისა.

მომისმენია, რომ თქვა: „ფრინველებს ცისა და მწვერვალებს მთისა არ ედარდებათ, რას იქმან გველნი ბნელ სოროებში.

აცალეთ მკვდართ თვისთა მკვდართა დაფლვა. შენ თავად იყავ ცოცხალთა შორის და ამაღლდი“.

მე არ ვყოფილვარ ერთი მის მოწაფეთაგანი. მე მხოლოდ ერთი მრავალთაგანი ვარ, ვინც გაჰყვა მას და ვინც იხილა სახე მისი.

იგი უმზერდა რომს და გვიმზერდა ჩვენ – მონებს რომისას, ვით მამა უმზერს შვილებს, თამაშით რომ ერთობიან და რომ ჩხუბობენ უკეთესი სათამაშოსთვის. და იგი იღიმოდა თავისი სიმაღლიდან.

იგი უფრო დიდი იყო, ვიდრე სახელმწიფო და ვიდრე კაცთა მოდგმა; უფრო დიდი იყო, ვიდრე ჯანყი და ამბოხი.

იგი იყო ერთადერთი და მარტომყოფი. და იგი იყო მღვიძარება სულისა.

იგი ღვრიდა ცრემლს, რათა ჩვენ არ დაგვეღვარა. და იღიმოდა ჩვენი შფოთის გამო.

და ვუწყით ჩვენ: მას ხელეწიფება იშვას იმათთან ერთად, ვინც ჯერ არ შობილა, და მიჰმადლოს

მათ ხორციელი თვალის ნაცვლად სულიერი თვალით მზერა.

იესო არის დასაბამი ქვეყნად ახალი სასუფევლისა და სასუფეველი იგი იქნება მარად.

იესო არის შვილი და შვილთაშვილი ყოველი მეუფისა, ვინც აგებდა საუფლოს სულისას.

და მხოლოდ მეუფენი სულისანი წარმართავენ სამყაროს.

ზაქე

იესოს ბედის გამო

თქვენ ირწმუნეთ ის, რაც ითქვა და გაიგონეთ. ახლა ირწმუნეთ ის, რაც არ თქმულა, რადგან კაცთა დუმილში უფრო მეტია ჭეშმარიტება, ვიდრე მათსავე ბრძნად მეტყველებაში.

მეკითხებით, იესოს თუ შეეძლოო აეცილებინა თავისი სამარცხვინო სიკვდილი და დევნისგან ეხსნაო თავისი მიმდევრები.

გიპასუხებთ: ნამდვილად შეეძლო აეცილებინა, თუ ასე ამჯობინებდა. მაგრამ იგი არც თავის დახსნას ეძიებდა, არც ღამეში მოთარეშე მგლებისგან თავისი მიმდევრების დაცვა განუზრახავს.

მან იცოდა, რა ბედი ელოდა თავად მას, და იცოდა თავის ერთგულ მოყვასთა ხვალინდელი დღეც. მან იწინასწარმეტყველა, რაც მოგველოდა ჩვენ ყოველთა. იგი არ ეძიებდა სიკვდილს, მაგრამ მან მიიღო სიკვდილი ისე, როგორც მიწის მუშაკი ჩაფლავს ხოლმე მარცვალს და მოთმინებით მოელის გადაზამთრებას, გაზაფხულს და შემდეგ – მოწევას ჭირნახულისას; ქვითხურო რომ ჩააშენებს ბალავარში ლოდს, ამას ჰგავდა სიკვდილი მისი.

ჩვენ გალილეისა და ლიბანის ფერდობების მკვიდრნი ვართ. ჩვენს მოძღვარს შეეძლო წაგვძღოლოდა, უკან მივებრუნებინეთ ჩვენსავე მხარეში, სადაც მისი სიჭაბუკის ჟამს ვიშვებდით ჩვენ-ჩვენს ბაღნარებში, და გვეცხოვრა, ვიდრე სი-

ბერის წლები გვიწევდა და გაგვიხმობდა უკან, მარადისობაში.

რა აბრკოლებდა, გზა ხსნილი ჰქონდა უკან, ჩვენი სოფლების ტაძრებისკენ, სადაც გულანთებული ადამიანები კითხულობენ წინასწარმეტყველთა წიგნებს.

განა იესო ვერ იტყოდა, – „ახლა მაშრიყისკენ მივყვები მაღრიბის ქარსო“, – და განა ბაგეზე ღიმილით ვერ გაგვიშვებდა ჩვენ-ჩვენი გზით?!

ჰო, შეეძლო ეთქვა, – „მიაშურეთ თქვენს თესლტომს. ესე სოფელი არ არის მზად ჩემთვის. მე დავბრუნდები ათასწლეულის შემდეგ. დამოძღვრეთ თქვენი შვილები, რომ ელოდონ ჩემს დაბრუნებას“.

ეს რომ სდომოდა, ასეც მოიქცეოდა.

მაგრამ იცოდა იესომ, უხილავი ტაძარი რომ აღემართა, თვითონ უნდა დასდებოდა ლოდად თავსაკიდურთა, ჩვენ რიყის ქვებივით უნდა შემოვწყობოდით და მის ირგვლივ უნდა ჩავდუღაბებულიყავით.

უწყოდა იესომ, რომ მაცოცხლებელი წვენი ზეციური ხისა ფესვებიდან უნდა დაძრულიყო. მან თავისი სისხლით მორწყა ფესვები. ეს გამარჯვება უფრო იყო, ვიდრე მსხვერპლშეწირვა.

სიკვდილი საიდუმლოს გვიმხელს. იესოს სიკვდილმა გაამჟღავნა მისი სიცოცხლის საიდუმლო.

იესოს რომ თავი დაეღწია მტრისგან, ანუ თქვენგან, თქვენ იქნებოდით სოფლის მპყრობელნი. ამიტომაც არ გაგექცათ იგი.

მხოლოდ მას, ვისაც სურდა ყოველი, შეეძლო დაეთმო ყოველი.

დიახ, მას შეეძლო გარიდებოდა მტრებს და ეცხოვრა სიბერის დღემდე. მაგრამ იესომ იცოდა, რომ წარმავალია ჟამი და მას უნდა ეგალობა თავისი საგალობელი.

საომრად აღძრულ მთელ ქვეყანას უშიშრად რომ თვალს გაუსწორებს, ის კაცი განა წამით მაინც არ გაივლებს გულში, რომ მას დრო ვერას დააკლებს?

და ახლა თქვენ მეკითხებით, სინამდვილეში ვინ მოკლაო იესო: რომაელებმა თუ იერუსალიმის მღვდელთმოძღვრებმა?

არც რომაელთ მოუკლავთ და არც მღვდელთ-მოძღვართ. იმ დღეს იმ მთაზე მთელი სამყარო წამოიმართა მისთვის პატივის მისაგებად.

იონათანი

შროშანთა შორის წყლისათა

ერთ დღეს მე და სატრფო ჩემი კამკამა ტბაში ნავით გავედით. ლიბანის მთები შემოგვჯარვოდნენ ირგვლივ. მტირალ ტირიფთან მივაკურეთ ნავი და ტირიფის ანარეკლი შემოგვეგება წყლიდან. მე ვნიჩბავ-დი. ჩემი სატრფო ბარბითს დასნვდა და იმღერა ასე:

ვინ შეწყობია შროშანივით წყლის ჩქერსა და
მზეს?
ვის გაუღეღავს გული თვისი ცისთვის მასავით?
ხედავ, ძვირფასო, ოქროსფერი ყვავილი ტოკავს
და ჩვენსავით თრთის ის სილრმეში წყალთა და ცათა.
და, სატრფოვ ჩემო, ჩვენ დანთქმულნი ვართ
სიყვარულში,
რომელიც იყო და რომელიც იქნება მარად.

ნიჩაბს მოუსვი, ჩემო სულისდგმავ,
და მე ჩვენს თრთოლას გადავცემ სიმებს.
მივბაძოთ ტირიფს, დავრჩეთ შროშანთან.
ნაზარეთშია თურმე პოეტი
და გული მისი ჰგავს შროშანს წყალთა.
მან მოიხილა სული ქალისა
და დაინახა წყურვილი მისი,
ამორხეული წყლიდან ყვავილად.
ნაზარეველმა პოეტმა იცის,
რომ მონატრება მზისა და შუქის
სხივივით ედგა სულში დედაკაცს.

ამბობენ, ახლა ნაზარეველი
გალილეაში იარებაო.
ხოლო მე ვამბობ: ის ჩვენთან არის
და ნიჩაბს უსვამს ის ჩვენთან ერთად.

ძვირფასო ჩემო, სატრფოვ ჩემო, ხედავ მის
სახეს,
ტირიფის ტოტი სადაც შეხვდა ანარეკლს
თვისას?
ის ჩვენთან არის, ჩვენთან ერთად ირწევა ჩქერში.
ჰე, ჩემო, ჩემო სიყვარულო, ჩემო სულისდგმავ,
ნაზარეველი სიჭაბუკე არის სიცოცხლის,
ნაზარეველი სიმღერაა სიხარულისა.
დაე, მარადის ხელთ გეპყრას შენ ნიჩაბი წყვილი
და მე მარადის შევარხევდე სიმებს ქნარისას
ტირიფის ახლოს, სადაც იგი ჩამოშლის რტოებს,
წყლისკენ იწვდის, სად დუმფარები მზეს
შესცინიან,
და სადაც ჩემს ქნარს იდუმალად აჟღერებს იესო.

ნიჩაბს მოვუსვი, ჩემო სულისდგმავ,
და მე ჩვენს თრთოლას გადავცემ სიმებს.
ჩვენ ნაზარეველ პოეტს ვუყვარვართ,
ვახსოვართ, გვხედავს და ჩვენთან არის.
ნიჩაბს მოვუსვი, ჩემო სულისდგმავ,
და მე ჩვენს თრთოლას გადავცემ სიმებს.

ჰანა ბეთსაიდელი

გვიამბობს მამიდამისზე

მამაჩემის და თავის ყმაწვილქალობაში წავიდა ჩვენგან და მამისეული ძველი ვენახის მახლობლად, ქოხში, დაემკვიდრა.

განმარტოებულად ცხოვრობდა. სნებაშეყრილი სოფლელები აკითხავდნენ და კურნავდა მათ ლორთქო ბალახბულახით, მზეზე გამომხმარი ძირხვენეულითა და ყვავილებით.

ზოგნი – ნათელმხილველად, ზოგნი გრძნეულად და ჯადოქრადაც მიიჩნევდნენ.

ერთხელ მამაჩემმა მითხრა: „წაუღე ჩემს დას გამტკიცული პურები, ხელადით ღვინო და ქიშმიშით სავსე ეს კალათა“.

ეს ყველაფერი ჩოჩორს ავკიდეთ და გავუყევი შარას. და მივადექი ვენახსა და მამიდაჩემის ქოხს. დიდად გაიხარა.

გრილოში რომ ვისხედით, გზად ვილაც კაცმა ჩამოიარა. და უთხრა მამიდაჩემს: „საღამო მშვიდობისა შენდა, კურთხეულ იყოს ეს ღამე შენთვის“.

მამიდაჩემი წამოიჭრა, მოწიწებით წარდგა მის წინაშე და თქვა: „საღამო მშვიდობისა შენდა, მოძღვარო ყოველთა კეთილთა ძალთა და დამთრგუნველო ბოროტთა სულთა“.

კაცმა ლმობიერი მზერა მიაპყრო მას და მერმე განაგრძო გზა.

მე გულში გამეცინა. ვიფიქრე, მამიდაჩემი შეშლილა-მეთქი.

ახლა კი ვიცი, რომ იგი სრულ ჭკუაზე იყო. ეს მე ვერ გავიგე ვერაფერი.

იგი მიხვდა, რომ დავცინე, თუმცა მე არაფერი დამიმჩნევია.

და მან დაიწყო საუბარი წყენის გარეშე. და თქვა მან: „მომისმინე, ასულო ჩემო, გულისყური მომაპყარ და მეხსიერებაში ჩაიჭედე ჩემი ნათქვამი: კაცი, რომელმაც ეს წუთია ჩაიარა და ისე ჩაიქროლა, როგორც მზისგან მიწაზე გადატარებულმა ჩიტის ჩრდილმა, აღმატებული იქნება კეისრებზე და კეისართა იმპერიაზე. იგი შეეჭიდება ქალდეის გვირგვინოსან ხარს და კაცისთავა ლომს ეგვიპტისას. და დაჯაბნის მათ. და იგი იქნება მმართველი ქვეყნიერებისა.

ქვეყანა, სადაც ახლა იგი დაიარება, დაეცემა. იერუსალიმი, რომელიც ამაყად წამომართულა ბორცვზე, კვამლში გაეხვევა და ყოვლისწამლეკავი გრიგალისგან განადგურდება“.

ამას რომ ამბობდა, სიცილი პირზე შემაცივდა, დავდუმდი და გავირინდე. მერმე ვთქვი: „ვინ არის ეგ კაცი? რომელი ქვეყნიდანაა და რომელი ტომისაგან, საიდანაა მოსული? და როგორ დაიმორჩილებს დიდ მეფეებს და იმპერიებს დიდთა მეფეთა?“

და მომიგო მან: „იგი იშვა აქ, ამ მხარეში, მაგრამ ჩვენს ნატვრასა და მისწრაფებებში ვიცნობდით მას დასაბამიდან ჟამთა. იგი კაცთა ყველა მოდგმას ეკუთვნის და არ ეკუთვნის არცერთს. იგი გაიმარჯვებს თავის ბაგეთაგან წარმოთქმული სიტყვით და თავისი ცეცხლოვანი სულით“.

მამიდაჩემი უეცრად წამოდგა, პიტალო კლდესავით წამოიმართა. და თქვა მან: „ანგელოზმა

უფლისამ მომიტევოს წარმოთქმა ამ სიტყვათა: მას მოკლავენ, მის სიჭაბუკეს სუდარა შებურავს. და დაასვენებენ მას დედამიწის მდუმარე გულთან. და ქალწულნი იუდეისა დაიტირებენ მას“.

მერმე ზეცისკენ აღაპყრო ხელი, და განაგრძო. და იტყოდა იგი: „მაგრამ ხელყოფენ მხოლოდ მის სხეულს. სული მისი ამაღლდება და წაუძღვება სიმრავლეს კაცთა ამ მხარიდან, სადაც მზე იბადება, იმ მხარისაკენ, სადაც მზე კვდება საღამოჟამს.

და სახელი მისი იქნება: „პირველი კაცთა შორის“.

მამიდაჩემი ნამდვილი ბებერი წინასწარმეტყველი იყო, როცა ამას ამბობდა. და მე ვიყავი ყმაწვილი ქალი, მოუხვნელი მინდორი, ლოდი ჯერ კედელში ჩაუშენებელი.

და ყოველივე, რაც მან იხილა თავისი გონების სარკეში, ჩემს სიცოცხლეშივე ახდა.

იესო ნაზარეველი მკვდრეთით აღდგა და წაუძღვა კაცებსა და ქალებს მზის დასავალში მცხოვრები მოდგმისკენ. ქალაქი, რომელმაც მსჯავრი გამოუტანა მას, დაინგრა; სამსჯავროს პალატში, სადაც განსაჯეს იგი და ბრალი დასდეს, ჭოტი გაჰკივის გლოვის ზარს; ღამე ქვითინებს და თავისი გულის ცრემლს ცვრის წვეთებად აპკურებს ჩამოქცეულ მარმარილოს ლოდებს.

ახლა მე ბერიქალი ვარ. წელში მომდრიკა წლებმა. ჩემიანები აღარ არიან ამქვეყნად. და განქარდა ჩემი მოდგმა.

იმ დღის შემდეგ ერთხელ კიდევ ვიხილე იესო. და ერთხელ კიდევ გავიგონე მისი ხმა. ეს იყო მთის

მწვერვალზე, როცა იგი ესაუბრებოდა თავის მოყვასთ და მიმდევართ.

და ახლა მე მარტოხელა მოხუცი ვარ. და იესო დღესაც მეწვევა ხოლმე ჩემს ზმანებებში.

იგი მევლინება ფრთიანი თეთრი ანგელოზივით. და თავისი გულმოწყალებით მინელებს მე შიშს სიბნელისას.

მე დღესაც მოუხვნელი მინდორი ვარ. მწიფე ხილი ვარ, ხეს შერჩენილი. ყველაფერზე ძვირფასი, რაც გამანჩია, – ესაა სითბო მზისა და მოგონება იმ კაცისა.

ვიცი, ჩემს ხალხს აღარ ეყოლება ცხებული მეფე, არც წინასწარმეტყველი, არც მღვდელთმოძღვარი, – სწორედ ისე, როგორც განჭვრიტა მამიდაჩემმა.

მდინარეთა ჩქერთან ერთად ჩავედინებით და არ დარჩება სახელი ჩვენი.

ემახსოვრებათ იმათი სახელები, ვინც მასთან ერთად გადასერა შუა დინება.

მანასე, იერუსალიმელი მსაჯული

იესოს საუბრისა და იერის შესახებ

ჰო, ბევრჯერ მომისმენია მისთვის. მუდამ მზად იყო საქადაგებლად.

მომწონდა როგორც ადამიანი, მაგრამ როგორც მოძღვარი – არა. ის ქადაგებდა რაღაცას, ჩემთვის არმოსაწონს, ეგებ ჩემი გონებისთვის შეუფერებელსაც. საერთოდ, არ მსურს, ვინმემ რამე მიქადაგოს.

მე დამატყვევა მისმა ხმამ და მისმა იერმა და არა – მისი ნალაპარაკევის აზრმა. მისით მოხიბლული ვიყავი, მაგრამ დარწმუნებით ვერასდროს მარწმუნებდა. მისმა აზრებმა, – მეტისმეტად ბუნდოვანმა, შორეულმა და ბნელმა, – ვერ შემოაღწია ჩემს გონებაში.

სხვებსაც შევხვედრივარ მისნაირებს. არასდროს ლაპარაკობენ დალაგებულად და თანმიმდევრულად. მტკიცე აზრით კი არა, მჭევრი სიტყვით იპყრობენ შენს ყურთასმენას და ზერელე ფიქრებს აგიშლიან, მაგრამ ვერასდროს შემოაღწევენ შენს გულისგულში.

რა სამწუხაროა, რომ მისმა მტრებმა იძალეს და გამოსავალიც მონახეს. ეს არ იყო საჭირო. ვფიქრობ, იმათი მტრობა მის სახეს დიდებას შემატებს და მის სისუსტეს ძლიერებად შემოაბრუნებს.

უცნაურია, კაცს უპირისპირდები და... გაბედულებას მატებ. ფეხზე დააბიჯებ და... ფრთებს შეისხამს.

მე არ ვიცნობ მის მტრებს, მაგრამ მაინც დარწმუნებული ვარ, ერთი უწყინარი კაცის ასე არ უნდა შეშინებოდათ. მაშინ არც ასე გაძლიერდებოდა და არც ასე საშიში გახდებოდა იგი.

ХЕШთა კესარიელი

კაცი, იესოთი გაღიზიანებული

ეგ კაცი, დღისით რომ სულ მასზე ფიქრში ხართ და ღამეც რომ გელანდებათ, ძალიან მაღიზიანებს. გამაყრუეთ მისი ნალაპარაკევით და გონება ამირიეთ მისი ნასიკეთარით.

მომინელა მისმა სიტყვებმა და მისმა საქმეებმა. მისი სახელის ხსენებაც შეურაცხმყოფს და მისი მამულისაც. არაფრის გაგონება არ მინდა!

რატომ აღიარებთ წინასწარმეტყველად კაცს, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ აჩრდილია წინასწარმეტყველისა? ციხე-კოშკებად რატომ გელანდებათ ქვიშის ბორცვები? ტბად რად გეჩვენებათ ცხენის ნაფლოქვარში ჩამდგარი წვიმის წყალი?

მე არ მაღიზიანებს კლდის ეხიდან ბარად ჩამოღწეული ექო და არც წაგრძელებული ჩრდილები მწუხრის ჟამს. მაგრამ აღარ მსურს იმ სიცრუის გაგონება, რომლითაც თავი გაქვთ გამოტენილი. არც თქვენი ანთებული მზერის ატანა შემიძლია.

არა, მაინც რა ბრძანა იესომ ისეთი, ჰალიელს რომ არ ეთქვა?! ან ისეთი რა სიბრძნე გაგიმხილათ, გამალიელის სიბრძნეს რომ აღმატებოდა?! ფილონის ხმასთან რა მოსატანია მისი ლუღლუღი?! რა დაფს დასცა და ისეთი რა წინწილები აახმიანა, მის გაჩენამდე რომ არ გსმენოდათ?!

ბარში, სიჩუმეში მე კარგად მესმის გამოქვაბულთა ექო. ისიც ვიცი, მზის ჩასვლისას ჩრდილები რატომ წაფერდდებიან. ჰოდა, არა მგონია, მაგ

კაცის გულის ძგერა უფრო დიდი გულის ფეთქვის გამოძახილი იყოს. წინასწარმეტყველის აჩრდილს ვერ მივიჩნევ ჭეშმარიტ წინასწარმეტყველად.

ვის რა დარჩა სათქმელი ესაიას შემდეგ?! დავითის შემდეგ ვინ ბედავს გალობას?! რა სიბრძნე უნდა იშვას მას შემდეგ, რაც სოლომონ ბრძენი შეემატა მამა-პაპათ?!

და რაღას იტყვით ჩვენს წინასწარმეტყველებზე, რომელთა ენა ბასრი მახვილი იყო და ბაგე – მწველი ალი?!

ჩვენმა მამა-პაპამ თუნდაც ჩალის ერთი ღერი თუ დაუტოვა მაგ გალილეველს, თავთავის მოსამცვრევად გამოსულს?! ანდა ჩამოცვენილი ნაყოფი თუ დარჩათ ჩრდილოეთიდან შემოხეტებული მაგ ბოგანოსთვის? მას ისღა დარჩენოდა, ჩვენი წინაპრების გამომცხვარი პური გაეტეხა და ძველად მოწეული ყურძნისგან მამა-პაპათა წმინდა ფეხებით დაწურული ღვინო ჩამოესხა. მე ვაფასებ მეთუნის მარჯვენას და არა – მყიდველს ქოთნისას.

მე ვაფასებ ქსლის მბეჭველს და არა – მისი ნაქსოვით დამოსილ რეგვენს.

მაინც ვინ იყო ეგ იესო ნაზარეველი?! რისი მაქნისი იყო?! მაგ კაცს საკუთარი ჭკუით ცხოვრება ვერ გაებედა. სწორედ ამიტომაც მიეცა დავიწყებას. და ესაა მისი ბოლო.

თქვენი ჭირიმე, ყურებს ნუ გამომიჭედავთ მისი სიტყვებითა და მისი საქმეებით. ჩემი გული გადავსებულია ძველ წინასწარმეტყველთა ღვაწლით. და ეს საკმარისია.

იოანე, საყვარელი მოწაფე

იესო – სიტყვა

თქვენ გსურთ იესოზე მოგითხროთ, მაგრამ როგორ ჩავატიო სამყაროს ვნების საგალობელი ლერწმის სალამურის ღრუში?

ყოველთვის, დღის ყოველ მონაკვეთში, იესო იყო მამასთან. იგი ჭვრეტდა მამას ღრუბლებში და ღრუბელთა ჩრდილებში, რომლებიც დედამიწას გადაევლებიან ხოლმე. იგი მამის ხატის ანარეკლს უმზერდა მდორე ტბორებში და მამის ნაკვალევს ხედავდა ქვიშაში. და ხშირად ხუჭავდა თვალებს, რათა ეხილა უფლის უწმინდესი თვალები.

ღამე ესაუბრებოდა იესოს მამის ხმით და მარტოობის ჟამს მას ესმოდა უფლის ანგელოზის ხმობა. ძილის წინ ზეციდან ჩურჩული ეყურებოდა.

იგი ხშირად იყო ჩვენთან ყოფნით ბედნიერი და ძმებს გვიწოდებდა.

ხედავთ? იგი, სიტყვა, რომელიც პირველითგანვე იყო, ძმებად მიგვიჩნევდა ჩვენ, თუმცა ჩვენ მხოლოდ ცალკეული ბგერები ვიყავით, თანაც გუშინდელ დღეს წარმოთქმული ბგერები.

თქვენ მეკითხებით, რატომ ვუწოდებ მას პირველითგან ყოფილ სიტყვას.

მომისმინეთ და გეტყვით:

დასაბამში ღმერთი შეიძრა სივრცეში. და გონებამიუწვდომელი მისი მოძრაობით შეიქმნა ქვეყანა და წელიწადის დრონი.

მერმე ღმერთი კვლავ შეიძრა და დასაბამი მიეცა სიცოცხლეს. სწრაფვა სიცოცხლისა ეძიებდა სიმაღლეს, სიღრმესა და სისავსეს.

მერმე ღმერთმა წარმოთქვა სიტყვა. და მისი სიტყვა იყო კაცი. და კაცი იყო სული, შობილი ღვთის სულისაგან.

და, როცა ღმერთმა იწყო წარმოთქმა სიტყვისა, ქრისტე იყო მისი პირველი სიტყვა. და სიტყვა იგი იყო სრულქმნილი. და, როცა იესო ნაზარეველი მოვიდა სოფლად, პირველითგან ყოფილი სიტყვა წარმოითქვა ჩვენდა მომართ და სიტყვა იქცა ხორცად და სისხლად.

იესო, ცხებული, ანუ ქრისტე, იყო პირველი სიტყვა ღვთისა, თქმული ადამიანისთვის ისევე, როგორც ხეხილის ბაღში ვაშლის ხე გაიკვირტება ხოლმე და აყვავდება სხვა ხეებზე ერთი დღით ადრე. და ღვთიურ წალკოტში ეს დღე იყო ეონი.

ჩვენ ყველანი ვართ ძენი და ასულნი უზენაესისა, მხოლოდ ცხებული იყო მისი პირმშო, რომელმაც დაივანა იესო ნაზარეველის სხეულში, და იგი იარებოდა ჩვენ შორის, და ჩვენ ვიხილეთ იგი.

ყოველივე ამას ვამბობ, რათა თქვენ შეიცნოთ არა მხოლოდ გონებით, არამედ უფრო – სულით. გონება წონის და ზომავს, ხოლო სული სწვდება სიცოცხლის დვრიტას და მოიცავს იდუმალებას. და არსი სულისა უკვდავია.

ქარი ამოვარდება და ჩადგება, ზღვა აღელდება და ჩაწყნარდება. გული სიცოცხლისა არის ზეციური სფერო, იდუმალი და ნათელი. და მასში სამარადჟამოდ კაშკაშებს ვარსკვლავი.

მანუს პომპეელი ესაუბრება ვიღაც ბერძენს

სემიტური ღვთაების შესახებ

ებრაელები, თავიანთი მეზობელი ფინიკიელებისა და არაბების მსგავსად, ნიავს არ აკარებენ თავიანთ ღმერთებს.

ისინი ბევრს ფიქრობენ თავიანთ ღვთაებაზე და აკვირდებიან ერთმანეთის ლოცვას, ღვთისმსახურებას, მსხვერპლშეწირვას.

ვიდრე ჩვენ, რომაელები, მარმარილოს ტაძრებს ვუშენებთ ჩვენს ღმერთებს, ეს ხალხი თავისი ღვთის ბუნებაზე მსჯელობს. სულიერი ამაღლების ჟამს ჩვენ მღერით და ვროკავთ იუპიტერისა და იუნონას, მარსისა და ვენერას საკურთხეველთა გარშემო. ისინი კი ნეტარების ჟამს ჯვალოს იცვამენ, თავზე ნაცარს იყრიან და გაჩენის დღეს წყევლიან.

და იესო, კაცი, რომელმაც აუწყა მათ, რომ ღმერთი სიხარულია, აწამეს და მოკლეს.

ეგ ხალხი ბედნიერი ვერ იქნებოდა ბედნიერი ღმერთით. მათ უნდათ მხოლოდ მათსავით ტანჯული ღმერთები.

თვით იესოს მეგობრები და მოწაფეებიც კი, რომელნიც შესწრებიან იესოს მხიარულებას და მისი ღიმილიც ახსოვთ, ხატავენ მის მწუხარე სახეს და ლოცულობენ ამ ხატზე.

ასეთი ღვთისმოსაობით ისინი ვერ ამაღლდებიან თავიანთ ღვთაებამდე, – დაბლა, თავიანთ დონემდე დაჰყავთ ღვთაება.

მაგრამ მაინც მჯერა, რომ იმ ფილოსოფოსს, იესოს, რომელიც სოკრატეს ჩამოჰგავდა, გავლენა ექნება თავისი მოდგმის ხალხზე, ეგებ – სხვა მოდგმაზეც.

რამეთუ ჩვენ ყველანი სევდიანი და მერყევი არსებანი ვართ. თუ კაცი გვეუბნება, – „გიხაროდენ, ღმერთი ჩვენ თანა არს“, – ამას წავიყრუებთ. ჩემდა გასაოცრად, რიტუალად გადაიქცა წამება იმ კაცისა.

ამ ხალხმა, მგონი, მიაგნო სხვა ადონისს, ტყეში მოშთობილ ღმერთს და მისი სიკვდილი დღესასწაულად დააწესა. დასანანია, რომ ამ ხალხმა დაივიწყა იესოს ღიმილი.

მაგრამ რომაელმაც და ბერძენმაც გულახდილად ვთქვათ: განა ჩვენ თვითონ კი გვსმენია ათენის ქუჩებში სოკრატეს სიცილი? განა არ გვახსოვს სამსალით სავსე ფიალა მაშინაც კი, როცა დიონისეს თეატრში ვსხედვართ?

და განა დღესაც ასე არ სჩვევიათ ჩვენს მამებს, ქუჩის მოსახვევში როცა დადგებიან და მასლაათს გააბამენ ცხოვრების სიავკარგეზე, – როგორ იქნება, რომ არ გაიხსენონ უბედური აღსასრული ჩვენი ყველა დიდი კაცისა?!

პილატე პონტოელი

აღმოსავლური ღვთისმსახურებისა და კულტების შესახებ

იესოს ვიდრე მომგვრიდნენ, ჩემი ცოლი ბევრს მელაპარაკებოდა მასზე, მაგრამ არ დავინტერესებულვარ.

დიდი მეოცნებეა ჩემი ცოლი და მისი წრის ბევრი რომაელი ქალივით ატანილია აღმოსავლური კულტებითა და ღვთისმსახურებით. და ეს კულტები სახიფათოა იმპერიისთვის. და, როცა გზას იკვალავენ ჩვენი ქალების გულებისკენ, მაშინ დამღუპველნიც ხდებიან.

ეგვიპტის აღსასრული მაშინ დადგა, ჰიქსოსებმა არაბეთის უდაბნოდან ერთი ღმერთის იდეა რომ მიუტანეს მათ. საბერძნეთი ძლეულ იქმნა და მიწასთან გასწორდა, როცა აშტარტემ თავისი შვიდი ქალწულითურთ შეაღწია იქ სირიის კიდეთაგან.

იესოს რაც შეეხება, ეგ კაცი ნანახი არ მყოლია, სანამ არ ჩამაბარეს როგორც ავაზაკი, როგორც მტერი საკუთარი ხალხისა და რომისა.

იგი შემოიყვანეს სამსჯავროს დარბაზში. საბელით იყო გაკოჭილი.

მე ვიჯექი მოფიცრულ შემაღლებულზე. და იგი მტკიცე ნაბიჯით დაიძრა ჩემკენ. მერმე შედგა წელში გამართული და მაღლა თავაწეული.

არ ვიცი, რა დამემართა იმ წამს. მაგრამ უეცრად მომინდა წამოვჭრილიყავი, ჩამოვსულიყავი

დაბლა და მიწას განვრთხმოდი მის წინაშე. მაგრამ ეს იყო წამიერი სურვილი ჩემი და არა ნება ჩემი.

თითქოს პალატში შემობრძანებულიყო კეისარი – კაცი, თვით რომზეც აღმატებული და უაღრესი.

ამან მხოლოდ ერთ წამს გასტანა. და მერმე ვიხილე ჩვეულებრივი კაცი, რომელსაც მისივე ხალხი ბრალად სდებდა ღალატს ქვეყნისას. და მე ვიყავი ბატონი მისი და მსაჯული მისი.

შეკითხვებით მივმართე. პასუხი არ ინება. მიმზერდა მხოლოდ. მის მზერაში იყო სიბრალული, თითქოს იგი ყოფილიყო ბატონი ჩემი და მსაჯული ჩემი.

გარედან ბრბოს ღრიანცელი აღწევდა. იგი დუმდა და ისევ მიმზერდა სიბრალულით.

და მე გავედი გარეთ, სასახლის კიბეებს ჩავუყევი. ბრბომ დამინახა და გაიკმინდა. და ვთქვი მე: „რას ითხოვთ, რას უპირებთ ამ კაცს?“

და იღრიალეს, ყველას ერთად ერთი ხორხიდან აღმოხდა თითქოს: „გვინდა ჯვარს ვაცვათ, იგი მტერია ჩვენი და მტერია რომისა!“

ზოგმა წამოიძახა: „მაგან არ თქვა, ტაძარს დავამხობო?! ეგ არ იყო, მეუფებას რომ იჩემებდა?! ჩვენ არ გვყავს სხვა მეუფე, თვინიერ კეისრისა!“

მაშინ მივატოვე ისინი და დავბრუნდი სამსჯავროს დარბაზში. და ვიხილე იგი. იდგა ისევ მარტო, ისევ თავაწეული.

და მომაგონდა სადღაც ამოკითხული ერთი ბერძენი ფილოსოფოსის ნათქვამი: „მარტოკაცი ყოველთა კაცთა უძლიერესიაო“. იმ წამს ნაზარეველი თავის მოდგმაზე უდიადესი და უძლიერესი იყო.

და მაშინ ვკითხე მას: „შენა ხარ მეუფე ჰურიათა?“

და მას სიტყვა არ უთქვამს.

და კვლავ ვკითხე მას: „შენ არ იყავი, რომ ამბობდი, მეუფე ვარო ჰურიათა?“

და შემომხედა მან.

შემდეგ მომიგო მშვიდად და ხმადაბლა: „შენ თვითონ იტყვი, რომ მე ვარ მეუფე. სწორედ მისთვის ვიშვი ამა სოფლად და მოვედი, რათა დავემოწმო ჭეშმარიტებას და დავადასტურო იგი“.

ხედავთ, კაცი ასეთ წუთებში ახსენებს ჭეშმარიტებას?!

გავლიზიანდი და ხმამაღლა ვიკითხე, უფრო კი ჩემთვის ვთქვი: „რა არის ჭეშმარიტება? რა არის ჭეშმარიტება უდანაშაულო კაცისთვის, როცა ბრალმდებელთ უკვე ხელი აქვთ მასზე აღმართული?“

და მერმე თქვა იესომ ძალმოსილებით: „არვის ხელეწიფება მეუფება სოფლისა, თუ იგი არა არს სულისა და ჭეშმარიტებისგან“.

და კვლავ ვკითხე მას და ვუთხარი: „შენ სულისაგან ხარ?“

მომიგო მან: „ასევე ხარ შენც სულისაგან, თუმცა არ უწყი ეს“.

და რა არის სული და რა არის ჭეშმარიტება, როცა სასიკვდილოდ გავიმეტეთ უცოდველი კაცი: მე – სახელმწიფოს კეთილდღეობისთვის, ხოლო მათ – მამა-პაპათა ადათის ხელყოფისთვის?!

ჭეშმარიტებამ არ უნდა შეაფერხოს განვითარების გზა არცერთი კაცისა, არცერთი მოდგმისა, არცერთი იმპერიისა.

და კვლავ ვკითხე: „შენა ხარ მეუფე ჰურიათა?“

და მომიგო მან: „შენ თავად იტყვი ამას. ხოლო მე დასაბამიდან ჟამთა მაქვს მეუფება ამა სოფლისა“.

და მის ნათქვამთაგან ეს იყო ერთადერთი შეუსაბამობა. რამეთუ მხოლოდ რომს აქვს მეუფება ამა სოფლისა.

ხალხი ისევ აბორგდა. და იყო ხმაური დიდი.

და მე ჩამოვედი შემაღლებულიდან და ვუთხარი იესოს: „მომყევი“.

და ბრბომ ისევ მიხილა სასახლის კიბეებზე და გვერდით მედგა ნაზარეველი.

ხალხმა დაინახა იგი და გრგვინვასავით დაიქუხა. ბრბოს ღრიანცელში გაირჩეოდა: „ჯვარს აცვი, ჯვარს აცვი ეგ!“

მაშინ მღვდელთმოძღვართ გადავეცი. ხოლო მათ ისევ მე მომანდეს. და მე ვუთხარი მათ: „ჰქმენით, როგორც გენებოთ. მე ბრალს ვერ ვხედავ ამ კაცისას. თუ გსურთ, გაიყოლეთ რომაელი ჯარისკაცები ბადრაგად“.

მაშინ გაიყვანეს იგი. და გადავწყვიტე, ჯვარზე, მის თავთან, ყოფილიყო წარწერა: „იესო ნაზარეველი, მეუფე ჰურიათა.“ ალბათ ჯობდა ასე: „იესო ნაზარეველი, მეუფე“.

და კაცი იგი განძარცვეს შესამოსელისგან, შოლტით სცემეს და ჯვარს აცვეს.

ჩემს ხელთ იყო მისი ხსნა, მაგრამ მას თუ დავიხსნიდი, ამბოხებას ვერ ავიცილებდი. რომის ტეტრარქს დიდი სიბრძნე და შემწყნარებლობა ჰმართებს დამორჩილებულ ხალხთა რელიგიური გრძნობების მიმართ.

დღემდე მჯერა, რომ ის კაცი უფრო მეტი იყო, ვიდრე უბრალო მეამბოხე. რაც მივუსაჯე, – ეს ჩემი ნება არ ყოფილა. რომის სასიკეთოდ გადავწყვიტე ასე.

მერმე ცოტა ხანში ჩვენ დავტოვეთ სირია. იმ დღის აქეთ ჩემი ცოლი მგლოვიარეა. ზოგჯერ აქაც, ამ ბაღნარშიც, უსაშველო დარდს ვხედავ მის თვალებში.

მეუბნებიან, რომაელ ქალებს სულ იესოზე ელაპარაკებაო.

თუ ხედავთ, კაცი, რომლის სიკვდილშიც მირევია ხელი, აჩრდილთა საუფლოდან ბრუნდება და ჩემს საკუთარ სახლში მკვიდრდება.

და მე ისევ და ისევ ვეკითხები ჩემს თავს: რა არის ჭეშმარიტება და რა არ არის ჭეშმარიტება?

ნეტა ერთ წყნარ ღამეს სირიელნი ხომ არ დაგვიპყრობენ?

არა, ეს ნამდვილად არ მოხდება.

რომმა უნდა აჯობოს ჩვენი ცოლების შემზარავ ღამეულ ზმანებებს.

ბართლომე ეფესოდან

მონათა და ბოგანოთა შესახებ

იესოს მტრები ამბობენ, თავისი ქადაგებებით იგი მიმართავდაო მონებსა და ბოგანოებს, თავიანთი ბატონების წინააღმდეგ განაწყობდაო. ამბობენ, თვითონ მდაბიოთაგან იყო, თავისივე მოდგმის ხალხი აიყოლიაო, თავკაცობა მოინდომა, თავისი წარმომავლობის დაფარვა უნდოდაო.

მაგრამ, მოდით, დავფიქრდეთ იესოს მიმდევრებზეც და თავად მასზეც, მის წინამძღოლობაზეც.

თავიდანვე თანამზრახველებად აიჩია რამდენიმე კაცი ჩრდილოეთის მხარეთაგან. ისინი თავისუფალი ადამიანები იყვნენ, ჯანით მრთელნი და სულით ძლიერნი. და მათ ბოლო ორმოციოდ წელიწადში გმირულად გაუსწორეს თვალი სიკვდილს, მტკიცედ და უშიშრად შეეგებნენ მას.

როგორ გგონიათ, ეს ადამიანები დათრგუნვილი მონები და ბოგანოები იყვნენ?!

ან ეგებ ფიქრობთ, ლიბანისა და სომხეთის ამაყმა უფლისწულებმა დაივიწყეს თავიანთი წარჩინება და პატივი, როცა იესო აღიარეს ღვთის წინასწარმეტყველად?!

ეგებ გგონიათ, რომ ანტიოქიის, ბიზანტიონის, ათენისა და რომის დიდგვაროვანნი მამანი და ზეპურნი დედანი ბოგანოთა თავკაცის შეძახილმა აიყოლია?!

არა, ნაზარეველი არ ყოფილა მდაბიოთა მხარეს ბატონთა წინააღმდეგ; არც დიდებულებთან

ყოფილა უაზნოთა წინააღმდეგ, იესო არ ყოფილა არცერთი კაცის მხარეს სხვა კაცთა წინააღმდეგ.

იგი იყო კაცი, ამაღლებული ყოველთა კაცთა ზედა. მის ძარღვებში მჩქეფარე სისხლი მის განცდებთან და ძალმოსილებასთან იყო შეხმატკბილებული და გამოსცემდა ჰანგს.

კეთილშობილება თუ ზრუნვაა, – იგი იყო უკეთილშობილესი ყოველთა კაცთა; თავისუფლება თუ ვლინდება აზრში, სიტყვაში, საქმეში, – იესო იყო ყველაზე თავისუფალი კაცთა შორის; დიდებულება თუ სიყვარულით გამსჭვალული ღირსებაა, დიდებულება თუ სათნოება და გულმოწყალებაა, – მაშინ იესო იყო უდიდებულესი ყოველთა კაცთა.

ნუ დაგავიწყდებათ, მხოლოდ უძლიერესი და უსწრაფესი იმარჯვებს და მოიპოვებს გვირგვინს დაფნისას. იესოს გვირგვინი დაადგეს იმათაც, ვისაც იგი უყვარდა, და იმათაც, ვინც მტრობდა იესოს. თუმცა მათ თავად არ უწყიან ეს.

დღესაც კი არტემიდეს ტაძრის იდუმალ ეკვდერში იესოს ყოველდღე გვირგვინს მიართმევენ ქალღმერთის ქურუმები.

მათე

იესო ღილეგის კედელთან

ერთხელ, შეღამებულზე, იესომ ჩაიარა დავითის გოდოლთან, რომელსაც სადილეგოდ ხმარობდნენ. ჩვენ უკან მივდევდით.

უეცრად შეჩერდა, ღაწვით შეეხო ციხის კედელში ჩადუღაბებულ ქვებს და თქვა:

„ძმანო ჩემი ძველი დღისა, გული ჩემი თქვენს გულებთან ერთად ძგერს გისოსებს იქით. თქვენ მოიპოვებთ თავისუფლებას ჩემით და გამოგვყვებით მე და მეგობრებს ჩემსას.

თქვენ დამწყვდეულნი ხართ, მაგრამ მხოლოდ თქვენ არ ხართ პატიმარნი. ბევრი ტუსაღია, თუმც თავის ნებაზე დაიარება ქუჩა-ქუჩა. ფრთები არავის შეუკვეცავს მათთვის, მაგრამ ფარშევანგივით დალახლახებენ და ფრენა არ ძალუძთ.

ძმანო ჩემი მეორე დღისა, მალე გეწვევით თქვენს საკნებში და თქვენს ტვირთს შევეყუდები მხრებით, რამეთუ უბრალონი და ბრალეულნი არ არიან ერთმანეთისგან შორიშორს და ლავიწის ორი ძვალივით არიან გაუთიშველნი.

ძმანო დღევანდელი დღისა, რომელიც ჩემი დღეა, თქვენ აღმა მიუყვებოდით იმათი გონიერების ნაკადს და შეგიპყრეს. ამბობენ, რომ მეც აღმა ვსერავ დინებას. ალბათ მალე ვიქნები თქვენთან მე, კანონის ხელმყოფი, კანონის ხელმყოფთა შორის.

ძმანო დამდეგი დღისა, ეს კედლები ჩამოიქცევა, ამ ქვებით სხვა ტაძარი აშენდება მის მიერ, რომლის კვერი და ურო ნათლის სხივია, რომლის ხვეწი და საჭრეთელი ქნარია. და ჩემი ახალი დღის თავისუფლებაში თქვენ აღიმართებით უფლად თქვენი თავისა“.

ესა თქვა იესომ და გზა განაგრძო. თან ხელს აყოლებდა დილეგის კედელს, ვიდრე არ გასცდა დავითის გოდოლს.

ანდრია

მეძავთა შესახებ

სიკვდილზე უფრო მწარეა უმისოდ სიცოცხლე. გაირინდნენ დღენი და იყო მდუმარება დიდი, ოდეს დადუმდა იესო. ჩემს მოგონებებში ექოსავით მეორდება მისი სიტყვები. ხოლო ხმა აღარ ჩამესმის მისი.

ერთხელ მოვისმინე, რომ თქვა: „მიისწრაფეთ და მიაშურეთ მინდვრებს, გვერდით მიუსხედით შროშანებს და გაიგონებთ მზეში მათ ღიღინს. ისინი ქსელს არ ქსელავენ სამოსისთვის, ხეს არ ჭრიან და ქვას არ კოდავენ სახლ-სადგომისთვის. შროშანები გალობენ მხოლოდ.

იგი, ვინც ღამითაც ფხიზლობს, ზრუნავს შროშანებზე და ციური ნამი უფლის წყალობად ევლინება ყვავილებს.

და განა თქვენ უფრო მეტად არ ხართ საზრუნავი უფლისა, რომელიც არასდროს იღლება და არასდროს ისვენებს?“

ერთხელ გავიგონე, იესომ რომ თქვა: „ფრინველნი ცათანი დათვლილნი და აღრიცხულნი ჰყავს მამას ჩვენსას; ასევე აღნუსხულია ყოველი ღერი თქვენი თმისა. უფლის ნების გარეშე ჩიტი არ დაეცემა მონადირის ფერხთით, ერთი ღერი თმა არ გაგითეთრდებათ, არც ჩამოგცვივათ“.

და ერთხელ კიდევ თქვა: „მსმენია, გულში რომ იტყოდით: „უფალი ღმერთი ჩვენ უფრო შეგვიწ-

ყალებს, აბრაამის ძეთ, ვიდრე იმათ, ვინც დასაბამშივე არ სცნო იგი“.

ხოლო მე გეტყვით თქვენ: ვენახის პატრონი განთიადისას უხმობს მუშაკს ყურძნის საკრეფად; სხვას უხმობს საღამოჟამს; და უკანასკნელ მუშაკს აძლევს სასყიდელს განთიადის მუშაკისას. ეგ კაცი ნამდვილად სამართლიანია. განა საკუთარი ქისიდან არ იხდის?!

წარმართთა თხოვნაზე, ისევე გახსნის მამა უფალი თავისი სავანის ბჭეს, როგორც თქვენს თხოვნაზე. რამეთუ უფალი ისეთივე სიყვარულით უსმენს ახალ ჰანგს, როგორც – შეჩვეულსა და ხშირად მოსმენილს. და უფალი ყურს უპყრობს მას საგულდაგულოდ, რადგან იგია ახალი სიმი უფლის გულისა“.

ერთხელ კიდევ მოვისმინე იესოს ნათქვამი: „გულისხმა ჰყავთ, ქურდი – ესაა გაჭირვებული ადამიანი, კაცი ცრუ – ესაა კაცი დაშინებული; შენი მონაგების წარტაცებას ვინც ლამობს, მას ღამის დარაჯის გარდა საკუთარი სულის სიბნელეც ჩასაფრებია.

გებრალებოდეთ ისინი.

თქვენს სახლს თუ მოადგებიან, გაუღეთ კარი და მიიპატიჟეთ სუფრასთან. მათ თუ არ შეიწყნარებთ, თქვენი წვლილიც იქნება იმათ ჩადენილ დანაშაულში“.

ერთ დღეს იერუსალიმის სავაჭრო მოედნისკენ მიმავალ იესოს უკან მივყვებოდი. სხვებიც მისდევდნენ. და გვითხრა მან იგავი უძღები შვილისა და

იგავი ვაჭრისა, რომელმაც მთელი თავისი მონაგები გაყიდა, რათა მარგალიტი შეეძინა.

ამას რომ იტყოდა, ფარისევლებმა შუა ბრბოში შემოაგდეს ქალი, მათგან მეძავად შერაცხილი. წარუდგინეს იესოს და უთხრეს: „ამ ქალმა წაბილწა ქორწინების აღთქმა. სიძვაში წაუსწრეს მას“.

და იესომ შეხედა ქალს, და შეახო ხელი შუბლზე, და ღრმად ჩახედა თვალებში.

მერმე მიუბრუნდა იმათ, ვინც ქალი მოჰგვარა. და დიდხანს უმზერდა. და დახარა მან თავი და მიწაზე თითით იწყო წერა.

და დაწერა სახელი ყოველი მათგანისა და გვერდით მიუწერა შეცოდება თითოეულისა.

და ვიდრე იესო წერდა, ისინი სირცხვილეულ იქმნენ და გაერიდნენ იქაურობას, ქალაქის ქუჩებში გაიკრიფნენ.

და წერა რომ დაასრულა, მხოლოდ ქალი და ჩვენ ვიდექით მის წინაშე.

და ისევ ჩახედა ქალს თვალებში და უთხრა: „შენ ბევრი გიყვარდა. შენს შემასმენელთ უყვარდათ ცოტა, შენ ჩემთან მოგიყვანეს სატყუარად, მახეში ჩემს გასაბმელად.

და ახლა წადი მშვიდობით!

მათგან არავინ დარჩა შენს განსასჯელად. და, თუ გენდომება, ისევე გქონდეს სიბრძნე, როგორც – სიყვარული, მეძიე მე, რამეთუ ძე კაცისა არ განგიკითხავს შენ“.

და გამიკვირდა მაშინ, მეგონა ასე იმიტომ უთხრა ქალს, რომ თვითონაც არ იყო უცოდველი.

მაგრამ იმ დღიდან ბევრს ვფიქრობდი და ახლა ვიცი, რომ მხოლოდ უბიწოებას გულისას ხელე-

წიფება მიტევება იმ წყურვილისა, რომელიც მკვდარი წყლებისკენ მიუძღვება ადამიანს.

და მხოლოდ მტკიცე ნაბიჯის პატრონს შეუძ-ლია ხელი შეაშველოს ბორძიკით მოსიარულეს.

და ისევ და ისევ ვიტყვი: სიკვდილზე უფრო მწარეა უმისოდ სიცოცხლე.

მდიდარი კაცი

ქონების შესახებ

იგი ავად მოიხსენიებდა მდიდრებს. ერთხელ ვუთხარი და ვკითხე: „ბატონო, როგორ მოვიპოვო სიმშვიდე სულისა?“

და მირჩია მან, ჩემი მონაგები ღატაკთათვის მიმეცა და მას გავყოლოდი.

მაგრამ მას ხომ არაფერი ებადა. ამდენად, მან რა იცოდა, როგორი თავდაჯერება და თავისუფლება მოაქვს ქონებას?! არც ის იცოდა, ღირსება და პატივი რომ მოჰყვება სიმდიდრეს.

ჩემს კარმიდამოში ასზე მეტი მონა-მხევალია. ზოგი ჩემს ტყე-ჭალასა და ვენახში მუშაობს, ზოგი ჩემს ხომალდებს მიუძღვება შორეული კუნძულებისკენ.

იესოსთვის რომ დამეჯერებინა და ღატაკებისთვის მიმეცა ჩემი ქონება, რა ეშველებოდათ ჩემს მონებს, შინაყმებს, იმათ ცოლ-შვილს?! ისინიც ხომ გაღატაკდებოდნენ, დაგლახაკდებოდნენ, ქალაქის ბჭესთან ან ტაძრის სტოასთან უნდა გაეწვდინათ ხელი.

არა, იმ კეთილმა კაცმა არ იცოდა იდუმალი ძალა ქონებისა, იმიტომ რომ იმასაც და იმის მიმდევრებსაც ნაწყალობევით გაჰქონდათ თავი. მას ეგონა, ყველას ასე უნდა ეცხოვრა.

საკითხავია: მდიდარმა რომ თავისი ქონება ღარიბ-ღატაკებს მისცეს და მდიდრის ჯამი და

პური რომ უპოვართ დარჩეს, მერმე ისინი მიიწ-ვევენ მდიდარს თავიანთ სუფრასთან?!

ვიდრე კაცი თავის თავს ქვეყნის მეუფეს უწო-დებდეს, ჯერ თავის ციხე-დარბაზში ქვეშევრდომ-თა გამასპინძლება უნდა შეეძლოს.

ჭიანჭველა რომ ზამთრისთვის სარჩოს იმარა-გებს, სიბრძნით სჯობს ჭრიჭინობელას, დღეს რომ ემღერება და მღერის და ხვალ რომ შია.

წინა შაბათს ბაზრის მოედანზე მისმა ერთმა მიმდევარმა თქვა, რომ კაცთაგან არვინაა ღირსი, თავი მიიდრიკოს ზეცის ზღურბლთან, სადაც იესო დატოვებსო თავის ხამლს.

კი მაგრამ, მე თქვენ გეკითხებით, ვისი სახლის ზღურბლთან წაიძრობს თავის ხამლს ეგ კეთილი მაწანწალა?! თვითონ მას არც სახლი ებადა, არც კარი და არც ზღურბლი. თანაც მეტწილად ფეხ-შიშველი დაეხეტებოდა.

იოანე კუნძულ პატმოსზე

იესო მწყალობელი

მინდა კიდევ გესაუბროთ იესოზე.

უფალმა ღმერთმა მიბოძა ხმაც და მწველი ბაგეებიც, მაგრამ ქადაგების ნიჭი არ მომმადლა.

მე, უღირსს, არ მებოძა სიტყვა სრული და ტევადი. ამიტომ უნდა წავახმარო გული ჩემი ჩემსავე ბაგეთ.

იესოს ვუყვარდი. და არ ვიცი – რატომ.

მე მიყვარდა იესო. და ვიცი – რატომ: მან აღამაღლა სული ჩემი ჩემსავ სხეულზე და ჩააღრმავა სული ჩემი ჩემსავე არსში.

სიყვარული წმინდა საიდუმლოა.

იგი მარად გამოუთქმელია იმათგან, ვისაც უყვარს.

ხოლო არ უყვარს ვისაც, მისთვის იგი თავის შექცევაა ოდენ.

იესომ მოგვიხმო მე და ძმას ჩემსას, როს საზრდოსთვის ვშრომობდით მინდვრად.

ჭაბუკი ვიყავ. ჩემს ყურთასმენას მხოლოდ რიჟრაჟის ხმიანობა სწვდებოდა.

ხოლო იესოს ხმამ, ზეციური საყვირივით მჟღერმა, დასასრული დაუდო ჯაფას ჩემსას.. და დაიწყო ღვაწლი ჩემი, წამება ჩემი.

სხვამ ყველაფერმა დაკარგა ფასი. მხოლოდ სიარული თაკარა მზეში და მსახურება მშვენიერი ჟამისა!

ნუთუ შეიძლებოდა, შეგეცნო სიდიადე, სიკეთით რომ აღემატებოდა თვით სიდიადეს? გეგრძნო მშვენიერება, სხივმოსილებით რომ წააჭარბებდა თვით მშვენიერებას?

ნუთუ შეიძლებოდა ზმანებებში გაგეგონა ხმა, კდემით ამოთქმული აღფრთოვანება თვით მშვენიერებისა?

მან მიხმო და მე შევუდექი მას.

იმ საღამოს მივბრუნდი მამისეულ სახლში ჩემი მოსასხამის წამოსაღებად.

და ვუთხარი დედას ჩემსას: „იესო ნაზარეველს ვუნდივარ თავის გვერდით“.

და მომიგო მან: „იარე მისი გზით, შვილო ჩემო, შენს ძმასავით გაჰყევი იესოს“.

და მე გავყევი.

მისი სურნელი მიხმობდა, და წარმმართავდა, და შვებას მგვრიდა.

სიყვარული კეთილი მასპინძელია თვისთა წვეულთა. ხოლო ვინც წვეული არაა, მისთვის სიყვარულის სავანე ოდენ ფუჭი წარმოსახვაა და საკიცხავია.

ალბათ გენდომებათ გესაუბროთ იესოს სასწაულებზე.

ჩვენ ყველანი სასწაულებრივი გაელვება ვართ ჟამისა. უფალი ჩვენი და მოძღვარი ჩვენი გამრიგეა ჟამის.

მას არ სურდა განცხადებულიყო საქმე მისი.

გავიგონე, განრღვეულს რომ უთხრა: „ადექ და იარე, წადი შინ, ოღონდ ნუ ეტყვი მღვდელთმოძღვართ, რომ მე განგკურნე“.

იესოს გონება ვერ ეგუებოდა დავრდომილებას, მასთან იყო სიმრთელე და ძლიერება.

მისი გონება ეძიებდა. და მას ეპყრა სხვათა გონება. და დიადი სული მისი ეცხადებოდა სხვა კაცთა სულებს.

და სული მისი გარდაქმნიდა იმათ სულსა და გონებას.

ეს სასწაულს ჰგავდა, მაგრამ უფალი ჩვენი და მოძღვარი ჩვენი ამას იქმოდა უბრალოდ, ჩვენ რომ ვსუნთქავთ, ასე უბრალოდ.

და ახლა ნება მიბოძეთ სხვა ამბავი მოგითხროთ.

ერთ დღეს იესო და მე მინდორ-მინდორ მივდიოდით. მშივრები ვიყავით. და მივადექით მაჟალო ვაშლის ხეს.

ორად ორი ნაყოფი შერჩენოდა.

და შეახო იესომ ხელი ხეს. შეარხია და ჩამოვარდა ორივე ვაშლი. ორივე აიღო. და მომცა ერთი. და ხელთ ჰქონდა მეორე ვაშლი. მშიოდა და შევჭამე ვაშლი. შევჭამე სწრაფად.

მერმე შევხედე მას და ვიხილე: მეორე ვაშლი ისევ ხელთ ჰქონდა. მომცა მეორეც და მითხრა: „შეჭამე ესეც“.

შიმშილმა აჯობა რიდსა და კდემას, გამოვართვი და შევჭამე.

და განვაგრძეთ გზა. და შევავლე თვალი მის სახეს. მაგრამ როგორ გითხრათ, რაც მე ვიხილე:

ღამეულ სიშორეში ანთებული სანთლები...
გონებამიუწვდომელი ოცნება...
ჟამი შუადღისა... მშვიდი, ბედნიერი მწყემსები,
რადგან ნებაზე ძოვს ფარა...
ჟამი შელამებისა: მდუმარება...
ფარეხში დაბრუნება...
ძილი და სიზმარი...
ესე ყოველი ვიხილე მე იესოს სახეზე.

მან მიბოძა მე ორი ვაშლი. და მე ვიცოდი, შიოდა მასაც.

ახლა კი ვიცი, მე რომ მომცა, თითქოს ნაყოფი ეგემოს მასაც. იგი სხვა ნაყოფს გეახლებოდათ, ნაყოფს სხვა ხისას.

კიდევ ბევრი მაქვს სათქმელი, მაგრამ როგორ გითხრათ? დიდ სიყვარულს სიტყვა ვერ იტევს. წამლეკავი მოგონებანი მდუმარებას ითხოვენ ჩვენგან.

პეტრე

მოყვასის შესახებ

ერთხელ კაპერნაუმში უფალმა ჩემმა და მოძღვარმა ჩემმა თქვა:

„მეზობელი შენი – ეს შენვე ხარ, შენი სახლის კედელს იქით მცხოვრები. ამას რომ გაიგებ, ყველა კედელი დაინგრევა, ყველა ზღუდე მოიშლება.

ვინ უწყის, ეგებ მოყვასი შენი არის შენივე უმჯობესი არსი, სხვა სხეულში ჩასახლებული? შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი.

მოყვასი შენი ხატია უზენაესისა, რომელიც შეუცნობელია შენთვის.

მოყვასი შენი არის ველი, სადაც გაზაფხული შენი იმედებისა მწვანე საბურველით მიმოდის, სადაც ზამთარი შენი სურვილებისა თოვლიან მწვერვალებზე თვლემს.

მოყვასი შენი არის სარკე შენი, რომელშიც იხილავ შენსავე სახეს, გაცისკროვნებულს სიხარულით, რომლითაც შენ არ გაგიხარია, და დაჭმუნებულს მწუხარებით, რომლითაც შენ არ შეჭირვებულხარ.

შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა მე შეგიყვარე შენ“.

მაშინ ვკითხე და ვუთხარი: „როგორ შევიყვარო მეზობელი ჩემი, რომელსაც არ ვუყვარვარ, რომელსაც შურს ჩემი ქონება, რომელსაც სურს წარმტაცოს მონაგები ჩემი?“

და მომიგო იესომ: „მიწას რომ ამოაბრუნებ და შენი მოჯამაგირე თესლს რომ მოაპნევს, ნუთუ შედგები, უკან მოიხედავ და აუქშევ ბელურას, ორიოდე მარცვალს თუ აკენკავს? ამას თუ იზამ, ღირსი არ ყოფილხარ ხვავრიელი მკისა“.

ეს რომ მითხრა, დავირცხვინე და დავდუმდი. მაგრამ შიში არ გამკარებია, რადგან გამიღიმა იესომ.

იერუსალიმელი მეწაღე

გულგრილი

მე იგი არც მიყვარდა და არც მძულდა. ვუსმენდი, მაგრამ მისი ნათქვამის გაგება კი არა, მისი ხმის გაგონება მინდოდა. მსიამოვნებდა და იმიტომ.

ყველაფერი, რასაც იგი ამბობდა, ბუნდოვანი იყო ჩემი ტვინისთვის, მაგრამ კილო მისი საუბრისა ნათელი იყო ჩემი ყურისთვის.

მართალი გითხრათ, ჩემთან სხვებს რომ არ ელაპარაკათ მის მოძღვრებაზე, მე ისიც კი არ მეცოდინებოდა, იესო იუდეის მტერი იყო თუ მოყვარე.

სოსანა ნაზარეთიდან

იესოს სიყრმისა და სიჭაბუკის შესახებ

მარიამს, იესოს დედას, ჯერ კიდევ მაშინ ვიცნობდი, ვიდრე მისთხოვდებოდა იოსებს, ხითხუროს. მაშინ მეც გაუთხოვარი ვიყავი.

იმხანად მარიამს ხილვები ჰქონდა და ხმებიც ჩაესმოდა. და ახსენებდა ზეციურ მაცნეებს, რომლებიც მას ეცხადებოდნენ.

ნაზარეთის მკვიდრნი სათუთად ეპყრობოდნენ, მის მიმოსვლას თვალს ადევნებდნენ. კეთილი მზერით შეჰფოფინებდნენ, რამეთუ მისი შუბლი სულის სიმაღლეს ამხელდა, ნაბიჯი მისი ზეციურ სივრცეებს სერავდა.

ზოგნი ამბობდნენ, შეპყრობილიაო. ასე იმიტომ ეგონათ, რომ მარიამი მხოლოდ თავის გუმანს ენდობოდა.

ნორჩი იყო, მაგრამ გონებით მხცოვანს ჰგავდა. ყვავილობის ჟამიც დასდგომოდა და თან რთვლობის ჟამიც, მისი სიცოცხლის გაზაფხული მწიფე ნაყოფით ჩამოხუნძლულიყო.

მარიამი დაიბადა და იზრდებოდა ჩვენ გვერდით, მაგრამ მაინც უცხოს ჰგავდა, ჩრდილოელს. მის თვალებში მუდამ იხატებოდა გაოცება, თითქოს მიუჩვეველი ყოფილიყო ჩვენს სახეებს.

ამაყი იყო და ღირსეული გარდასულ დროთა მარიამივით, რომელმაც თავის ძმებთან ერთად

ნილოსის ნაპირებიდან გადაიარა უდაბნო.

მერმე მარიამი დაინიშნა იოსებზე, ხითხუროზე.

მას შემდეგ, რაც მარიამმა თავის წიაღში დაიტია იესო, გორაკებს მოივლიდა ხოლმე და ბრუნდებოდა საღამოჟამს. მისი თვალები სიყვარულსა და სევდას ასხივებდა.

იესო რომ იშვა, მარიამს უთქვამს დედამისისთვის, – „მე გაუსხლავი ხე ვარ, იზრუნე ამ ხის ნაყოფზე“, – მითხრეს, თურმე მართას, ბებიაქალს, გაუგონია.

სამი დღის შემდეგ მოვინახულე. თვალებში გაოცება ეხატებოდა. მკერდი შევსებოდა. თავისი პირმშო ჩახუტებული ჰყავდა, როგორც ნიჟარას – მარგალიტი.

ჩვენ ყველას გვიყვარდა მარიამის ჩვილი და ყურადღებას არ ვაკლებდით. იყო დიდი სითბო მის არსებაში და მთრთოლარე იყო მისი სიცოცხლე.

წლები გადიოდა. და იგი გახდა ყრმა, ხალისით სავსე. დაეხეტებოდა. ჩვენ არავინ ვიცოდით, როდის რას მოიმოქმედებდა, რადგან განსხვავდებოდა ჩვენი გვარტომისაგან, საყვედური არასდროს დაუმსახურებია. მამაცი იყო და გაბედული.

მას უფრო ერჩია ბავშვებთან თამაში, ვიდრე ბავშვებს – მასთან.

თორმეტი წლისა იყო, ღელეზე რომ გადაატარა თვალდავსებული კაცი და გზაზე დააყენა.

და ბრმამ, მადლიერმა, ჰკითხა: „ბიჭუნავ, ვინა ხარ შენ?“

და მიუგო მან: „მე არ ვარ ბიჭუნა, მე ვარ იესო“.

და უსინათლო კვლავ შეეკითხა: „ვინ არის მამაშენი?“

და მიუგო მან: „ღმერთი არის მამა ჩემი“.

და გაიცინა ბრმამ და უთხრა: „მოსწრებული ნათქვამია, ჩემო ბიჭუნავ, და ვინაა დედაშენი?“

და მიუგო იესომ: „მე არ ვარ შენი ბიჭუნა. მიწაა დედა ჩემი“.

და თქვა უსინათლომ: „მაშინ მე წყალში გავუყვანივარ ძეს ღვთისას და ძეს მიწისას“.

და მიუგო იესომ: „მე გაგიძღვები, საითაც წახვალ, და მზერა ჩემი ყველგან მისწვდება ნაბიჯებს შენსას“.

და იზრდებოდა იგი, ვით დიდებული პალმა ჩვენი წალკოტისა.

ცხრამეტი წლისა რომ მოიყარა, მშვენიერი სანახავი იყო, ირემს ჰგავდა. მის მზერაში თაფლის სიტკბოება იყო ჩაღვრილი და ნათელი დღით გაკვირვება იხატებოდა.

და მის ბაგეებს წყურვილი ეტყობოდა, ცხვრის ფარას უდაბნოში ტბისკენ რომ მიუძღვება, ისეთი წყურვილი.

იგი მარტო მოივლიდა მინდორ-ველს. და ჩვენ თვალს ვაყოლებდით მას. ნაზარეთის ყმაწვილი ქალებიც მზერით აცილებდნენ. თან ყველას რიდი გვქონდა მისი.

სიყვარულს რიდი აქვს მშვენიერებისა, და მაინც სიყვარული მარად ეძიებს მშვენიერებას.

მერმე დრომ და ჟამმა მისგან მოითხოვა ქადაგება ტაძრებსა და გალილეის ბაღებში.

დროდადრო მარიამი თან ახლდა, რათა ყური მიეპყრო მისი სიტყვებისა და საკუთარი გულის ხმისათვის. ხოლო, როცა იესო და მისნი მოყვასნი წავიდნენ იერუსალიმში, მარიამი არ გაჰყოლია მათ.

ჩვენ, ჩრდილოეთის მკვიდრთ, ხშირად დაგვციენიან იერუსალიმის ქუჩებში მაშინაც კი, როცა ტაძრად მიგვაქვს შესაწირავი.

ეგებ მარიამი თავისი ღირსების შეურაცხყოფას განერიდა.

იესომ მაშრიყ-მაღრიბის მრავალი ქვეყანა მოიარა. ჩვენ არ ვუწყოდით, რომელს ეწვია, მაგრამ ჩვენი გული ყველგან თან ახლდა მას.

ხოლო მარიამი ელოდა მას კარის ზღურბლთან და ყოველდღე, მწუხრისას, გზას გაჰყურებდა თავისი ძის შინ დაბრუნების მოლოდინში.

იესო რომ დაბრუნდებოდა, გვეტყოდა ხოლმე მარიამი: „იგი მეტისმეტად დიადია, თან როგორღაა ჩემი ვაჟი? მეტისმეტად ენამჭევრია ჩემი გულის მდუმარებისთვის. ჩემად როგორ დავისაკუთრო?“

ჩვენი ფიქრით, მარიამს დაუჯერებლად მიაჩნდა, რომ ბარმა შვა მთა. თავისი სპეტაკი, უმანკო გულით უძნელდებოდა იმის დანახვა, რომ მწვერვალისკენ მიმავალი გზა ქედზე გადის.

მან იცოდა, ვინ იყო იესო, მაგრამ იგი ხომ მისი შვილიც იყო და დიდი რიდი ჰქონდა ამისა.

და იმ დღეს, როცა იესო მივიდა ტბასთან, მეთევზეებთან, მარიამმა მითხრა: „ადამიანი არსებაა, რომელიც შეუსვენებლივ მიისწრაფვის მიწიდან მაღლა. ადამიანი – ესაა უსაზღვრო სწრაფვა ვარსკვლავებისკენ. ადამიანი ვარსკვლავთა მონატრებაა.

ჩემი ძე მიისწრაფვის, იგია ყოველი ჩვენგანის ლტოლვა ვარსკვლავებისკენ.

„ჩემი ძე“ ვთქვი? უფალმა ღმერთმა მომიტევოს. და მაინც, ჩემი გულის სიღრმეში მწადია მისი დედობა“.

ახლა მიჭირს მეტის თქმა მარიამისა და მისი ძის შესახებ. ყელში რაღაც მებჯინება და ჩემი სიტყვები ყავარჯნიანი ხეიბარივით ჯაყჯაყით მოაღწევენ თქვენამდე. მაგრამ მაინც უნდა გითხრათ, რაც ვიხილე და რაც მოვისმინე.

წელიწადის სიყრმის ჟამს, გაზაფხულის პირზე, როცა სისხლისფერი ყაყაჩოები მოედო ფერდობებს, იესომ მოუხმო თავის მოწაფეებს და უთხრა: „წამომყევით იერუსალიმში და იყავით მოწმე პასექისთვის კრავის შეწირვისა“.

სწორედ იმ დღეს კარს მომადგა მარიამი და მითხრა: „იგი წმინდა ქალაქისკენ გაემართა. ხომ არ წამოხვალ ჩემთან და სხვა ქალებთან ერთად? გავყვეთ მას“.

და განვლეთ დიდი გზა იერუსალიმამდე მარიამისა და მისი ძის კვალდაკვალ. ქალაქის ბჭესთან შემოგვეგებნენ მამანი და დედანი. იესოს მოსვლა გაეგოთ იმათგან, ვისაც უყვარდა იგი.

სწორედ იმ ღამეს იესომ თავის მოწაფეებთან ერთად დატოვა ქალაქი.

გვითხრეს, ბეთანიაში წავიდაო.

მარიამი ჩვენთან დარჩა ფუნდუკში, აქ დაელოდა მის დაბრუნებას.

მომდევნო ხუთშაბათს, საღამოს, იესო შეეპყროთ გალავნის გარეთ და დილეგში ჰყოლოდათ.

ეს ამბავი რომ შევიტყვეთ, მარიამს სიტყვა არ უთქვამს, მაგრამ მის თვალებში გამოკრთა მოლოდინი აღთქმული ტანჯვისა და სიხარულისა, რაც ჯერ კიდევ მაშინ იხატებოდა მის მზერაში, როცა სასძლო იყო ნაზარეთში.

მარიამი არ ტიროდა. იგი მიმოდიოდა ჩვენ შორის, როგორც აჩრდილი დედისა, რომელიც არ დასტიროდა აჩრდილს თავისი ძისას.

ჩვენ იატაკზე მოვირთხით ფეხი. მარიამი ოთახში ბოლთას სცემდა.

სარკმელთან მივიდოდა, აღმოსავლეთს გახედავდა. და მერმე ორივე ხელის თითებით უკან გადაიყრიდა თმას.

გამთენიისას იგი ისევ იდგა ჩვენ შორის. იდგა უკაცრიელ ადგილას აღმართული ალამივით. ოღონდ მხედრობა არსად ჩანდა.

ჩვენ ვიცრემლებოდით, რადგან ვიცოდით, რას უქადდა ხვალინდელი დღე მის ვაჟს. ხოლო იგი არ ტიროდა, რამეთუ ისიც იცოდა, კიდევ რა მოელოდა იესოს.

მარიამი ბრინჯაოსგან ჩამოსხმულს ჰგავდა, აშოლტილ თელასავით იყო. ზეცასავით ღრმა, ფართოდ გახელილ თვალებში გაბედულება ჩანდა.

თუ შესწრებიხართ შაშვის გალობას, როცა ბუდე ეწვის და ქარში პარპალებს ალი?

გინახავთ ქალი, რომელსაც მწუხარებით ცრემლი უშრება? გინახავთ დაკოდილი გული, ტკივილზე რომ ამაღლდება და გაკაჟდება?

თქვენ არ გეყოლებათ ნანახი ასეთი ქალი, რადგან თქვენ არ ყოფილხართ მარიამის გვერდით. და თქვენ მკერდში ჩაკრული არ ჰყოლიხართ დედას ზეციერს, დედას უხილავს.

უჩუმარ ღამით, როცა ძილგამკრთალსა და დაქანცულს მდუმარება მკერდზე გიხათქუნებს თექით დაჭედილ ფლოქვებს, – მოვიდა იოანე, უმრწემესი ძე ზებედესი. მოვიდა და თქვა: „დედაო მარიამ, დაიწყო იესოს სვლა. წავიდეთ, გავყვეთ უკან“.

მარიამი მხარზე ხელით ჩამოეყრდნო იოანეს და გარეთ გავიდნენ. ჩვენც გავყევით.

დავითის გოდოლს რომ გავუსწორდით, ვიხილეთ იესო. ჯვარს ეზიდებოდა. მისდევდა ამბოხი მრავალი.

ორ სხვა კაცსაც მიჰქონდა ჯვარი.

მარიამი თავაწეული მიჰყვებოდა თავის ძეს ჩვენთან ერთად. მტკიცე იყო ნაბიჯი მისი.

მარიამის უკან მოემართებოდა სიონი, რომი, მთელი სამყარო, რათა შური ეძიათ ერთ თავისუფალ ადამიანზე.

ბორცვს რომ მივუახლოვდით, იგი უკვე ჯვარზე იყო მაღლა აზიდული.

მარიამს შევხედე. ეს არ იყო შვილმკვდარი ქალის სახე. მისმა იერმა მომაგონა ბარაქიანი მიწა,

მარად რომ სიცოცხლეს აძლევს შვილებს და მარად რომ გულში იხუტებს თავის მკვდარ შვილებს.

მერმე მარიამის თვალწინ გაიელვა იესოს ბავშვობამ. და თქვა ხმამაღლა: „ძეო ჩემო, რომელიც არ ხარ ძე ჩემი, რომელმაც ინებე, რომ ჩემს წიაღს ეტვირთე, დიდება შენს ძალას. ვიცი, შენი ხელებიდან ჩამონაწვეთი სისხლი სიცოცხლის მომნიჭებელ წყაროსთვალად იქცევა კაცთა მოდგმისთვის.

შენ კვდები ამ ქარიშხალში, როგორც ერთხელ მწუხრის ჟამს უკვე მოკვდა გული ჩემი. და ვეღარ გიგლოვ“.

იმ წამს მინდოდა სახეზე რიდე ჩამომებურა და გადავხვეწილიყავი სადღაც, ჩრდილო მხარეში. მაგრამ უეცრად მომესმა მარიამის ხმა: „ძეო ჩემო, რომელიც არ ხარ ძე ჩემი! ისეთი რა უთხარი შენს მარჯვნივ იმ კაცს? ეს რა ბედნიერება მიანიჭე სულთმობრძავს? თვალი ვერ მოგაცილა. სიკვდილის ჩრდილი ნათლის შუქად გარდაისახა და დაადგა მის სახეს.

ახლა შენ მიღიმი და, რაკი მიღიმი, ვიცი, შენ გაიმარჯვე“.

იესომ გადმოხედა დედას თვისას და თქვა: „მარიამ, ამიერიდან იყავი დედა იოანესი“.

და უთხრა მან იოანეს: „იყავ მოყვარული შვილი ამ ქალისა. მიდი მის სახლთან და გადაკვეთოს ჩრდილმა შენმა ზღურბლი, სადაც ერთ დროს ვიდექი მე. ასე ჰქმენ ჩემი ხსოვნისთვის“.

მარიამმა მარჯვენა ხელი გაიწოდა მისკენ. იგი ხეს ჰგავდა, ერთი რტოღა შერჩენოდა თითქოს. მერმე წამოიძახა: „ძეო ჩემო, რომელიც არ ხარ ძე

ჩემი, თუ ეს ღვთითაა, გვიბოძოს ღმერთმა მოთ-მინება და უნარი ამის შეცნობისა. და თუ ეს კაცთაგანაა, მიუტეოს მათ უფალმა სამარადისოდ.

თუ ეს ღვთითაა, თოვლი ლიბანის მთებისა შეგ-სუდრავს შენ; ხოლო თუ ეს ამ მღვდელთმოძღვარ-თა და ჯარისკაცთაგანაა, მაშინ აგერ მაქვს სუდა-რა შენი სიშიშვლის დასაფარავად.

ძეო ჩემო, რომელიც არ ხარ ძე ჩემი! რასაც უფალი ღმერთი აშენებს, არასდროს დაიქცევა; და რასაც კაცი დააქცევს, დარჩება აღმართული, მაგ-რამ – არა თვალთათვის სახილველად“.

და იმავ წამს ზეცამ იესო დაუთმო მიწას, ცრემ-ლსა და სულთქმას. მურსა და ბალზამს.

და თქვა მარიამმა: „ახლა იხილეთ, იგი წავიდა. ბრძოლა დასრულდა. ვარსკვლავი გამობრწყინდა. ხომალდი მიადგა ნავსაყუდელს. იგი, ვინც ჩემს გულში მყავდა, ზეცათა სივრცეში ფეთქავს“.

ჩვენ მივეახლეთ მარიამს და მან გვითხრა: „მკვდარიც კი იღიმის. მან გაიმარჯვა. მე ჭეშმა-რიტად ვარ დედა სიკვდილის დამთრგუნველისა“.

მარიამი ჩამოეყრდნო იოანეს, იესოს საყვარელ მოწაფეს, და გაემართა იერუსალიმისკენ.

და იყო იგი ქალი სრულქმნილი.

და როცა მივუახლოვდით ქალაქის ბჭეს, თვალი შევავლე მის სახეს და გავკვირდი: იმ დღეს ვიხილე იესო, ამაღლებული ყოველთა კაცთა ზედა. ამაღ-ლებული იყო მარიამიც.

გაზაფხული იყო მაშინ.

ახლა შემოდგომაა. და მარიამი, დედა იესოსი, შინაა. და მარტოა იგი.

ორი კვირის წინ გული მატკინა ჩემმა ვაჟმა, დამტოვა, ხომალდს გაჰყვა ტვიროსში. მეზღვაურობა ინდომა.

და მითხრა, აღარ დავბრუნდებიო.

საღამოჟამს მივაკითხე მარიამს.

შინ რომ შევედი, საქსოვს მისჯდომოდა, მაგრამ არ ქსოვდა. ნაზარეთისკენ ცას გაჰყურებდა.

და მე ვუთხარი: „სალამი შენდა, მარიამ“.

მან ხელი გამომიწოდა და მითხრა: „მოდი, გვერდით მომიჯექ, ვუყუროთ მზეს, მისი სისხლი მთებს ეწვეთება“.

მე ჩამოვჯექი ძელსკამზე მის გვერდით და სარკმლიდან გავხედეთ მზის დასავალს.

მცირე ხნის შემდეგ მარიამმა თქვა: „ნეტავ ჯვარს ვინ აცვა მზე ამ საღამოს“.

მერმე ვთქვი: „მე ნუგეშისთვის მოვედი შენთან. ჩემმა ვაჟმა მიმატოვა, ზღვა არჩია. და მე მარტო დავრჩი სახლში, გზის გადაღმა“.

მაშინ მითხრა მარიამმა: „მინდა ნუგეში გცე, მაგრამ როგორ შევძლო?“

და მივუგე მე: „შენს ძეზე თუ მეტყვი რაიმეს, კმა არს ჩემდა სანუგეშებლად“.

მარიამმა შემომღიმა, მხარზე მომხვია ხელი და მითხრა: „მოგითხრობ მასზე. ნუგეში შენი ჩემთვისაც იქნება ნუგეში“.

მერმე მან ილაპარაკა იესოზე, საუბრობდა დიდხანს და საუბრობდა იმაზეც, რაც იყო დასაბამითგან.

და მე მეჩვენა, რომ საუბრისას მარიამი არ განარჩევდა თავის ძესა და ჩემს ძეს.

რამეთუ მითხრა მან: „ჩემი ძეც ზღვების დამ-ლახავია. რატომ არ უნდა მიანდო ტალღებს შვილი შენი, როგორც მე ვანდე?

„ქალი მარად უნდა იყოს წიაღი და აკვანი, მაგ-რამ სამარე – არასდროს. ჩვენ ვკვდებით, რათა ვაცოცხლოთ სიცოცხლე, ისევე როგორც ჩვენი თითებით ვართავთ ძაფს სამოსისთვის, რომელსაც არასდროს ჩავიცვამთ.

„და ბადეს მოვისვრით ხოლმე თევზისთვის, რომელსაც ხშირად გემოსაც არ გავუსინჯავთ.

„ესაა ჩვენი დარდიც და ესაა ჩვენი სიხარულიც“.

ეს მითხრა მარიამმა.

და მე დავტოვე იგი. შინ დავბრუნდი და, თუმცა დღე უკვე ჩასინათლებულიყო, მივუჯექი ხელ-საქმეს, რათა უფრო მეტი მექსოვა.

იოსები, იუსტუსად ხმობილი

იესო – ყარიბი

ამბობენ, იესო მდაბიოთა ნაშიერი იყოო, კაცი იყოო უბირი და უწვართი.

ქარი უვარცხნიდაო თმას და წვიმა განწმენდდაო მის ტანს და სამოსს.

შეშლილი ეგონათ. მისი სიტყვები ეშმას შთაგონებულიაო, ამბობდნენ.

მაგრამ, დახეთ, ეგ მოძულებული კაცი შეერკინა თავის მოძულეთ. და მისი ხმა არასოდეს ჩაჩუმდება.

მან იგალობა საგალობელი, რომლის ჰანგსაც ვერაფერი ჩააყუჩებს. და ჰანგი იგი გაჰყვება თაობიდან თაობას, ასწვდება ზეციურ სფეროებს და სამარადჟამოდ დაგვამახსოვრებს ბაგეებს, ჰანგის მგალობელს; დაგვამახსოვრებს იმ ყურსაც, რომელმაც შეისმინა და შეიტკბო ჰანგი.

იგი უცხო იყო, დიახ, იყო უცხო მგზავრი, გზის გამკვალავი წმინდა საუფლოსკენ. ყარიბი იყო იგი, კარზე მოგვიკაკუნა სტუმარმა შორეული მხარიდან.

და ვინაიდან ვერ იპოვა კეთილი მასპინძელი, დაუბრუნდა თავის საუფლოს.

ფილიპე

და ოდეს მოკვდა იგი, მთელი კაცობრიობა მოკვდა

როცა ჩვენი საყვარელი მოკვდა, მთელი კაცობრიობა მოკვდა. და ყველაფერი გახევდა და გაუფერულდა. მერმე ჩაბნელდა აღმოსავლეთი, და მოვარდა გრიგალი, და მიწაზე დიდხანს დათარეშობდა. ცა თვალს ახელდა, ცა თვალს ხუჭავდა. ცისქცევა იყო. კოკისპირულმა წვიმამ ჩარეცხა იესოს ჭრილობათაგან ჩამონადენი სისხლი.

მეც მოვკვდი. მაგრამ ღრმა გარინდებაში ჩამესმა მისი ნათქვამი: „მამაო, მიუტევე ამათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმან“.

მისმა ხმამ მოიძია სული ჩემი და ნაპირზე გამოიყვანა ლამის დამხრჩვალი.

თვალი გავახილე და ღრუბლებში ვიხილე ჯვარზე გაკრული სპეტაკი სხეული. და მისი სიტყვები, მე რომ მომესმა, ჩასახლდა ჩემს არსებაში და მე გავხდი ახალი ადამიანი. და მე აღარ ვიგლოვდი.

განა შეიძლება გამოიგლოვო ზღვა, რადგან მან თავისი ყოვლისშემძვრელი ძალა გამოავლინა?! ანდა – მთა, რადგან მზეს შესცინა?!!

ოდესმე ვინმეს თუ გაუვლია გულში ეს სიტყვები, როცა სწორედ გულში ჰქონდა მახვილი ნაძგერები?!

გაგონილა, რომ კაცთა მსაჯულს ხვედრი შეემსუბუქებინოს თავის მსაჯულთათვის?! ოდესმე

სიყვარულს ასეთი ძალით თუ დაუჯაბნია სიძულ-ვილი?!

ოდესმე მიწაზე ვინმეს თუ სმენია ზეციდან ასეთი ძალით საყვირის ხმიანობა?!

აქამდე თუ სმენია ვინმეს, რომ მოკლულს შებ-რალებოდეს მკვლელნი? ანდა მეტეორს თავისი სრბოლა შეეჩერებინოს თხუნელას გამო?!

უფრო შეიძლება წელიწადის დრონი დაიღალონ და წელი დაბერდეს, ვიდრე გაცვდეს ეს სიტყვები: „მამაო, მიუტევე ამათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმან.“

თქვენც და მეც ისევ და ისევ დავიბადებით და მუდამ გულით ვატარებთ ამ სიტყვებს. ახლა გავ-წევ შინისკენ და მე, გლახაკი სულითა, კარს მი-ვადგები იესოს.

ბირბარა იამუნელი

იესო – დაუნდობელი

ლენჩთა და უტვინოთა მიმართ საოცარი მოთმინებით გამოირჩეოდა. ზამთარი რომ გაზაფხულს ელოდება, სწორედ ისე.

იგი იყო უშფოთველი, როგორც მთა ქარში.

იესო მშვიდად მიუგებდა თავის მტრებს უმწვავეს კითხვებზე.

შეეძლო უხმოდ აეტანა კვიმატი სიტყვა, შეკამათება. იგი ძლიერი იყო. და ძლიერს აქვს მოთმინება.

მაგრამ იესო მოუთმენელიც იყო.

იგი არ ინდობდა მზაკვართ.

იგი არ ეპუებოდა ვერაგთ, ფლიდთ და სიტყვამრუდთ.

და შეუძლებელი იყო მისი დაჯაბნა.

დაუნდობელი იყო იმათთან, ვისაც არ ჰქონდა ნათლის რწმენა და ცხოვრობდა ბნელში. არც იმათ ინდობდა, ვინც ზეცაში ეძიებდა სასწაულს და არა – საკუთარ გულში.

არ ინდობდა იმათაც, ვინც თავის ოცნებებს არ მიანდობდა განთიადს ან მწუხრს, ვინც დღედაღამ წონიდა და ზომავდა.

იესო დამნდობი იყო.

და მაინც იგი იყო ყველაზე დაუნდობელი კაცთა შორის.

მას უნდოდა სამოსი გექსოვა, თუნდ წლობით არ მოსცილებოდი სელსა და საქსოვ დაზგას.

იგი არვის აძლევდა ნებას, თუნდაც ერთი გოჯი ჩამოეხიათ ქსელისთვის.

პილატეს ცოლი

მოუთხრობს რომაელ ქალს

იერუსალიმის შემოგარენში ჭალაში დავსეირნობდი ჩემს მეგობრებთან ერთად, როცა დავინახე იგი. რამდენიმე კაცი და ქალი შემოსხდომოდა ირგვლივ და მათ ესაუბრებოდა ჩემთვის გაუგებარ ენაზე.

მაგრამ ენა რად სჭირდება ადამიანს ნათლის სვეტის ან ბროლის მთის დასანახავად?! გულს ესმის ის, რასაც ენა ვერ იტყვის და ყური ვერ გაიგონებს.

იგი მეგობრებს ესაუბრებოდა სიყვარულსა და სულის ძლიერებაზე. ვიცი, სიყვარულზე ლაპარაკობდა, რადგან ჰანგი იყო ჩაღვრილი მის ხმაში. და მე ვიცი, იგი საუბრობდა ძლიერებაზე, რადგან ლაშქართა წყობის ძალა იყო მის იერში. და სათნო იყო, და თან ისეთი ძლიერი, რომ ჩემი ქმარიც კი ვერ იტყოდა იესოსნაირი ძალმოსილებით.

ჩავიარე. დამინახა, წამით შეწყვიტა საუბარი და ლმობიერად გამომხედა. შემრცხვა. და ვიგრძენი, რომ განმსჭვალა ღმერთმა.

იმ დღიდან მისი ხატება მეწვეოდა ხოლმე ჩემს სიმარტოვეში, როცა არვინ მყავდა სტუმრად: არც კაცი, არც ქალი. მისი თვალები ჩემს სულს ეძიებდა, როცა საკუთარი თვალი ჯერ არ მქონდა ახელილი. და მას აქეთ ხმა მისი მეუფებს ჩემთა ღამეთა მდუმარებაში.

მე ტყვექმნილი ვარ სამარადჟამოდ. და არის სიმშვიდე ჩემს ტანჯვაში. და არის თავისუფლება ჩემს ცრემლში.

მოყვასო ჩემო, შენ არ გინახავს იგი და ვერც იხილავ.

იგი გასცდა ჩვენთა გრძნობათა საზღვრებს, მაგრამ ახლა იგი ყოველთა კაცთაგან ყველაზე ახლობელია ჩემთვის.

ვიღაც კაცი იერუსალიმის შემოგარენიდან

იუდას შესახებ

იუდა ჩემთან შინ მოვიდა იმ პარასკევს, პასექის საღამოს. მაგრად დააბრახუნა კარზე.

შემოვიდა. შევხედე. სახე ჩანაცრებოდა. ხელები ქარში აცახცახებულ ხმელ ტოტებს მიუგავდა. სამოსი ისე დასველებოდა, თითქოს ეს-ესაა გამოეღწია მორევიდან. იმ საღამოს ქარიშხალი მძვინვარებდა.

შემომხედა. თვალის უპეები ბნელ მღვიმესავით ჩაშავებოდა, თვალები ჩასისხლიანებული ჰქონდა.

და თქვა მან: „მე მივეცი იესო ნაზარეველი მის მტრებსა და ჩემს მტრებს.“

მერმე იუდამ ხელები მოიფშვნიტა და თქვა: „იესო აცხადებდა, რომ ის დაძლევდა თავის ყველა მტერს და ყველა ორგულს მისი ხალხისას. მე ვირწმუნე და შევუდექი მას.

პირველად რომ გვიხმო, დაგვპირდა, ძლიერსა და ვრცელ სამეფოს დავაფუძნებო. ვირწმუნეთ და ვეძიებდით მის წყალობას, რათა საპატიო ადგილი გვრგებოდა მის კარზე.

ჩვენ თავი წარმოვიდგინეთ უფლისწულებად. გვეგონა, ვივაჭრებდით რომაელებთან. იესო ბევრს ლაპარაკობდა თავის სასუფეველზე და იმედი მქონდა, მე მომანდობდა საბრძოლო ეტლებს და დამადგენდა მხედართმთავრად თვისი ლაშქრისა. ჩემი სურვილით გავყევი მე იესოს ნაკვალევს.

მაგრამ მივხვდი, რომ სამეფოს არ ეძიებდა იესო, არც რომაელთაგან ჩვენს დახსნაზე ფიქრობდა. მისი სამეფო იყო გული კაცისა. მომისმენია მისი საუბარი სიყვარულზე, წყალობასა და მიტევებაზე. გზად შემომხვდური ქალები სიამოვნებით უსმენდნენ, მე კი გული მისივდებოდა და ვიბოღმებოდი.

და ჩემთვის აღთქმული მეუფე იუდეველთა უეცრად გადაიქცა მაწანწალათა და ბოგანოთა შემაქცევრად, მათი გულის მოსაგებად სალამურის დამკვრელად.

მიყვარდა იესო, მიყვარდა, როგორც ბევრს სხვას უყვარდა ჩემი ტომიდან. იესო იყო იმედი ჩემი, იგი მიმაჩნდა რომის უღლისგან ჩვენს დამხსნელად. მაგრამ, როცა მას სიტყვა არ დასცდენია და ხელი არ გაუნძრევია რომაელთა კირთებიდან ჩვენს დასახსნელად და, როცა იგი აღუთქვამდა კეისარს იმას, რაც კეისრისა იყო, მაშინ სასო წარმეკვეთა, ჩაკვდა იმედი. და ვთქვი მე: „იგი, ვინც კლავს ჩემს იმედს, უნდა მოკვდეს. რამეთუ იმედი ჩემი და მოლოდინი ჩემი უფრო ძვირფასია, ვიდრე სიცოცხლე რომელიმე კაცისა.“

და იუდამ კბილთა ღრჭენით ჩაქინდრა თავი. მერმე განაგრძო და თქვა: „მე იგი გავეცი. და იგი ჯვარს აცვეს დღეს... და, როცა იგი მოკვდა ჯვარზე, მოკვდა მეფურად. იგი მოკვდა ბობოქარ ქარიშხალში. მხსნელნი კვდებიან ასე. მოკვდა, როგორც კვდებიან დიდი ადამიანები და მაინც ცოცხლობენ სუდარისა და საფლავის ლოდის მიღმა.

სანამ სულს დალევდა, იყო მოწყალე, იყო კეთილი. გული იესოსი სავსე იყო სიბრალულით. ვებრალებოდი მე, რომელმაც გავეცი იგი.“

და მე ვუთხარი იუდას: „შენ ჩაიდინე მომაკვდინებელი ცოდვა.“

და მომიგო მან: „იგი მოკვდა, როგორც მეუფე. რად არ იცხოვრა, როგორც მეუფემ?“

და ვთქვი მე ისევ: „შენ ჩაიდინე საშინელი დანაშაული.“

და ის ჩამოჯდა აქ, ამ ძელსკამზე. და იყო გარინდებული და გაქვავებული. ხოლო მე მიმოვიდოდი ოთახში და კიდევ ერთხელ ვთქვი:

„შენ ჩაიდინე უდიდესი ცოდვა.“

იუდას სიტყვა არ უთქვამს. უტყვი იყო მიწასავით.

ცოტა ხანს შემდეგ იგი წამოდგა და შემომხედა. უფრო მაღალი მეჩვენა. დაილაპარაკა და მისი ხმა იყო ხმა ჭურჭლის მსხვრევისა. და თქვა მან: „ცოდვის ჩადენა არ მქონია გულში. ამავე ღამეს მე მოვიძევ მის საუფლოს. და მე წარვდგები მის წინაშე და მიტევებას შევევედრები.

იგი მოკვდა, როგორც მეუფე. და მე მოვკვდები, როგორც ავაზაკი. მაგრამ გულის სიღრმეში ვიცი, იგი შემინდობს.“

ამ სიტყვების შემდეგ ტანზე შემოიხვია თავისი სველი ლაბადა და თქვა: „კარგია, რომ მოვედი ამ ღამეს, თუმცა შეგაწუხე. შენც ხომ მომიტევებ?

უთხარი შენს შვილებს და შვილთაშვილებს, იუდა ისკარიოტელმა გასცა-თქო იესო ნაზარეველი, მტრებს გადასცა-თქო, რადგან ირწმუნა, რომ მტერი იყო თავისი მოდგმისა.

კიდევ უთხარი, რომ სწორედ იმავე დღეს, თავისი დიდი შეცოდების დღეს, მიჰყვა-თქო მეუფეს

ზედ მის საყდრამდე, რათა ეხსნა საკუთარი სული და ყოფილიყო განსჯილი.

ვეტყვი მე იესოს, რომ სისხლი ჩემი მიწიერებას ეძიებდა. და უბადრუკი სული ჩემი დაეხსნება სხეულს ჩემსას.“

მერმე იუდამ უკან, კედლისკენ, გადააგდო თავი და წამოიძახა: „ჰოი, ღმერთო, რომლის შიშისმგვრელი სახელი არ ითქმის კაცისგან, ვიდრე მის ბაგეთ არ შეეხება სიკვდილის ხელი, რად დამწვი ცეცხლით, რომელიც არ ანათებს?

შეუცნობელი სასუფევლისთვის რატომ ეწამა გალილეველი?! და რად აღმეძრა ზრახვა, რომლის ტვირთვისგან თავს ვერ დაიხსნის ჩემი ჯილაგი და ჩემი მოდგმა?! და ვინ არის ეს კაცი, იუდა, რომლის ხელები გათხვრილია სისხლში?!

გამომიწოდე ხელი, რომ მოვიშორო ეგ კაცი. იგი ჩემი დაბებკილი სამოსელი და დაჟანგული აბჯარია.

შემეწიე, რომ ეს შევძლო ამაღამ.

გამაღწევინე ამ ზღუდეთაგან.

დამღალა ამ უფრთო თავისუფლებამ. ეს ხომ დიდი ხაროა მხოლოდ.

მსურს ცრემლის ღვარად ჩავედინო ზღვაში. შენი წყალობა მომმადლე, რათა მეც მივუკაკუნო საკუთარი გულის ბჭეს.“

ამას ამბობდა იუდა. მერმე გამოაღო კარი და გავარდა გარეთ, გრიგალს შეერია.

სამი დღის შემდეგ იერუსალიმს ვეწვიე და შევიტყვე ყველაფერი, რაც მომხდარიყო. თქვეს, იუდამ მაღალი კლდიდან ჩაიქციაო თავი.

იმ დღის აქეთ ბევრს ვფიქრობ. და მე მესმის მისი. მან დაასრულა თავისი უბადრუკი სიცოცხლე, რომელიც ნისლის კოტორივით თავს დასტრიალებდა რომაელთაგან დამონებულ მის ქვეყანას, მაშინ როდესაც დიდი წინასწარმეტყველი სულის სივრცეებში მაღლდებოდა.

კაცი ნატრობდა სამეფოს, რომელშიც თვითონ იქნებოდა წარჩინებული.

სხვა კაცს სურდა სასუფეველი, რომელშიც ყოველი კაცი იქნებოდა წარჩინებული.

სარგისი – ბებერი ბერძენი მწყემსი, შერეკილად მიჩნეული

იესო და პანი

სიზმრად ვიხილე იესო და ჩემი ღმერთი – პანი. ერთად ისხდნენ შუაგულ ტყეში.

ისინი ერთმანეთის ნათქვამზე იცინოდნენ. იცინოდა ნაკადულიც, რომელიც მათ სიახლოვეს მირაკრაკებდა. იესო უფრო გულიანად იცინოდა. და ისინი დიდხანს საუბრობდნენ.

პანი ლაპარაკობდა მიწაზე და მის იდუმალებაზე, თავის ჩლიქოსან ძმებსა და რქოსან დებზე, და კიდევ – ზმანებებზე. და იგი საუბრობდა ფესვებსა და მათ ამონაყარზე, მცენარეთა წვენზე, რომელიც იღვიძებს, მაღლა მიიწევს და ზაფხულს უმღერის.

იესო საუბრობდა ყლორტებზე, შიმელებზე, ყვავილებზე, ნაყოფზე, თესლზე, რომელსაც მცენარეები ჩააბნევენ, როცა დრო მოაწევს.

იგი ლაპარაკობდა ჩიტებზე, სივრცეს რომ სერავენ, იმათ გალობაზე ზენა სოფელში.

ახსენა ხარირმებიც, რომელთაც უფალი ღმერთი მწყემსავს უდაბურ ადგილას.

პანი ნასიამოვნები იყო ახალი ღმერთის მონაყოლით და ნესტოები უთრთოდა.

მერმე იმავ სიზმარში პანი და იესო მშვიდად, უჩუმრად ისხდნენ ჩრდილმწვანე მდუმარებაში.

და პანი დასწვდა ლერწმებს, ნესტვივით ჩაჰბერა და იესოსთვის ააჟღერა.

შეირხნენ ხეები, აცახცახდნენ გვიმრები და მე ზარი დამეცა.

და თქვა იესომ: „კეთილო ძმაო, შენი ლერწმების ჰანგში ველიც იყო და ციცაბო კლდეებიც“.

პანმა ლერწმები გაუწოდა იესოს და უთხრა: „ახლა შენ დაუკარი, შენი ჯერია“.

და თქვა იესომ: „ეს ლერწმები ბევრია ჩემთა ბაგეთათვის. მე სალამური მაქვს“. აიღო თავისი სალამური იესომ და ჩაბერა.

და მე გავიგონე ფოთლებზე წვიმის წვეთების წანწკარი, მთებში ნაკადულთა ლიკლიკი, მთის მწვერვალზე თოვლის ფიფქების ფაჩუნი.

ძგერა ჩემი გულისა, წინათ რომ ქარის ქროლვას ეხმიანებოდა, ისევ შეეწყო ქარს. წარსულ დროთა აღმაფრენა ტალღებად ისევ მოაწყდა ჩემს გულს. ისევ მწყემსი ვიყავი, მწყემსი სარგისი. და იესოს სალამურმა თითქოს იმრავლა და ურიცხვი მწყემსი უამრავი სალამურით მოუხმობდა უთვალავ ფარას.

მერმე პანმა უთხრა იესოს: „შენს სიჭაბუკეს უფრო შეჰფერს სალამური, ვიდრე ჩემს სიბერეს. დიდი ხნის წინათ, იდუმალი გარინდებისას, მე მოვისმინე გალობა შენი და ჩურჩულით გამხელილი სახელი შენი.

სახელი შენი კარგად ხმიანობს, სხარტად აჰყვება ხის წვენს ტოტებისკენ, გორაკებზე ჩლიქებისა და ფლოქვების ჩქამს შეეთავსება.

ეს ყველაფერი მეცნაურება. თუმც მამაჩემი მიწოდებდა მაშინ სხვა სახელს. შენმა სალამურმა შემახსენა ძველად განცდილი.

ახლა კი, მოდი, ერთად დავუკრათ“.

და დაუკრა ორივემ.

იმათმა ჰანგმა მოიცვა ზეცა და დედამიწა. და ძრწოლამ აიტანა ყოველი სულიერი.

მომესმა ნადირთა ბრდღვინვა, ტყის დამშეულ ბინადართა ყმუილი. და კიდევ მომესმა ვაება მარტოობით დათრგუნვილ კაცთა და გოდება იმათი, ვისაც შეცნობა სწყურია, ოღონდ არ იცის – რისი.

მომესმა სულთქმა სატრფოს მონატრული ქალწულისა და ქოშინი ნადირის მადევარი მონადირისა.

მერმე სიმშვიდე ჩაიღვარა ჰანგში, ზეცა და მიწა ერთად გალობდა.

და სიზმრად ვიხილე ესე ყოველი, და სიზმრად ვისმინე ესე ყოველი.

ანა, მღვდელთმოძღვარი

იესოსა და მდაბიოთა შესახებ

იგი მოგვევლინა მდაბიოთაგან, ავაზაკთაგან, თაღლითთა და თვითმარქვიათაგან. იგი მოუწოდებდა მხოლოდ ბილწთ და უპოვართ. და ამიტომაც დაადგა უზნეოთა და განკიცხულთა გზას. იგი მასხრად გვიგდებდა ჩვენც და ჩვენს კანონებსაც.

იგი დასცინოდა ჩვენს ღირსებას და პატივს. ისიც კი თქვა, თქვენს ტაძარს დავაქცევ და წავბილწავო თქვენს სიწმინდეებს. ურცხვი იყო და კიდეც უნდა რგებოდა სამარცხვინო სიკვდილი.

იგი უცხო იყო, წარმოშობით გალილეველ წარმართთაგან, ჩრდილო ქვეყნიდან იყო, სადაც ადონისი და აშტარტე დღემდე უძალიანდებიან ისრაელს და მის ღმერთს.

მას ენა ებმოდა და ბორძიკობდა, წინასწარმეტყველთა სიტყვებს რომ იმეორებდა. უბირთა და მდაბიოთა ენაზე კი რიხით საუბრობდა და ყურები გამოჭედილი გვქონდა მისი ნალაპარაკევით.

სხვა რა დამრეჩნოდა, სიკვდილი უნდა გადამეწყვიტა მისთვის.

ტყუილად ხომ არ ვარ ტაძრის გუშაგი?! ტყუილად ხომ არ ვარ კანონის დამცველი?! რა მექნა, ზურგი შემექცია მისთვის, თვალი მომეხუჭა და სრულიად მშვიდად მეთქვა: „ერთი შეშლილთაგანია ამდენ შეშლილთა შორის?! იყოს და ბოდავდეს

თავისთვის?! გიჟები, შერეკილები და ეშმაკეულები ვერ გაამრუდებენ ისრაელის გზას?!“

ნუთუ ყური უნდა მომეყრუებინა, როცა გვიწოდებდა „მატყუარებს“, „მლიქვნელებს“, „მგლებს“, „ასპიტებსა“ და „ასპიტთა მოდგმას?!“

არა, მე ამას ვერ წავუყრუებდი, რადგან იგი არ ყოფილა შეშლილი. საღ-სალამათი იყო. თავისი თავით იყო მოცული და ატანილი. და სრულ ჭკუაზე მყოფი გვლანძღავდა და გვემუქრებოდა ჩვენ ყველას.

და ამიტომაც ჯვარს ვაცვი იგი. და მისი ჯვარცმა ნიშანი და გაფრთხილება იყო ყველასთვის, ვისაც წყევლა-კრულვის ასეთივე ბეჭედი აზის.

მშვენივრად ვიცი, დამძრახავენ ამისთვის, ზოგი უხუცესიც კი გამამტყუნებს. მაგრამ მიმაჩნდა და მიმაჩნია ახლაც: ჯობს ერთი კაცი გაიწიროს ხალხისთვის, ვიდრე მთელი ხალხი წარიწყმიდოს ერთი კაცისგან.

იუდეა დაამარცხა გარეშე მტერმა, მაგრამ ვეცდები იუდეა ვერ დაამარცხოს შინაურმა მტერმა.

დაწყევლილი ჩრდილოეთიდან კაციშვილი ვერ ხელყოფს ჩვენს წმიდათაწმიდას. და იმ ნაზარეველის ჩრდილი ვერ მიადგება აღთქმის კიდობანს.

მარიამის მეზობელი ქალი

მოთქმა

მისი სიკვდილის მეორმოცე დღეს მეზობლის ქალები მივიდნენ მარიამთან, რათა ნუგეში ეცვათ და მოთქმით ეთქვათ გლოვის სავალობელი. ქალთაგან ერთმა ეს იგალობა:

საით, შენ, ჩემო გაზაფხულო, საით მიილტვი?
რომელ სივრცეებს ეფინება სურნელი შენი?
ან თვალუწვდენელ რომელ ველზე დაიარები?
უკიდეგანო რომელ სხვა ცას მოიაპყრობ მზერას,
ან გული შენი რა სიღრმეებს ესაუბრება?

ეს ველ-მინდვრები გვალვისაგან დაიშაშრება,
მოლი დაღრება, თაკარა მზე დაგვალავს ყანებს,
ხეხილის ბაღი გამოიტანს პანტას, მაჟალოს
და ჩვენი ზვრები მწკლარტე ყურძენს
მოგვანატრებენ,
და მოგვწყურდება ღვინო შენი, სურნელი შენი.

სად ხარ, ყვავილო იმ პირველი გაზაფხულისა?
ნუთუ დაგკარგეთ და არასდროს
დაგვიბრუნდები?
იასამნები ნუთუ აღარ გვესტუმრებიან?
და ყოჩივარდა, გზისპირებში ამოწვერილი,
არ შეგვახსენებს, რომ მიწაში გვიდგას ფესვები
ჩვენ, კაცთა მოდგმას, თან რომ სუნთქვით
ზეცას ვეხებით?!

სად ხარ შენ, იესო, სად გეძიო, სად დაგიგულო,
ჩემი მეზობლის, მარადქალწულ მარიამის ძევ,
შენ, მოყვასო და მეგობარო ჩემი შვილისა?
ჩვენი პირველი გაზაფხული საით წავიდა?
დაგვიბრუნდები? სიყვარულით თუ მოიხილავ
ჩვენი ოცნების და ფიქრების ხრიოკ ნაპირებს?

ბრგე აჰაზი, ფუნდუკის მეპატრონე

მშვენივრად მახსოვს იესო ნაზარეველთან ბოლო შეხვედრა. ხუთშაბათს, სამხრობისას, იუდა მოვიდა ჩემთან და მითხრა, სერი მომემზადებინა იესოსთვის და მისი მეგობრებისთვის.

ორი ვერცხლი მომცა და მითხრა: „იყიდე სუფრისთვის ყველაფერი, რაც საჭიროდ მიიჩნიო“.

რომ წავიდა, ჩემმა ცოლმა მითხრა: „ეს დიდი პატივია“. რამეთუ იესო წინასწარმეტყველად იყო აღიარებული და მრავალი სასწაული ჰქონდა ჩადენილი.

შებინდებისას მოვიდა იგი თავისი მიმდევრებით. ზედა ოთახში მიუსხდნენ სუფრას. დუმდნენ.

წინა წელს და იმის წინა წელსაც იყვნენ ჩვენსა. მაშინ მხიარულობდნენ. პური გატეხეს, ღვინო შესვეს და ჩვენი ძველებური ჰანგიც იგალობეს. და მაშინ იესო შუაღამემდე ესაუბრებოდა მათ. მერმე იგი მარტო დატოვეს ზედა ოთახში და თვითონ სხვა ოთახებში წავიდ-წამოვიდნენ დასაძინებლად, რადგან ნაშუაღამევს იესომ ინება განმარტოება. ფხიზლობდა იგი. რომ დავწექი, მერეც მესმოდა მისი ფეხის ხმა.

მაგრამ ამ ბოლო მოსვლაზე იგი და მისი მეგობრები ბედნიერები არ ჩანდნენ.

ჩემმა ცოლმა გალილეის ტბის თევზი მოხარშა, აგრეთვე ბრინჯითა და ბროწეულით გამოტენილი ხოხობი მოამზადა. მე ჩემი კვიპროსული ღვინო მივართვი ხელადით.

გამოვედი, ვიგრძენი, რომ მარტო დარჩენა სურდათ.

ისინი დარჩნენ, სანამ კარგა არ ჩამოღამდა. მერმე ზედა ოთახიდან ყველანი დაბლა ჩამოვიდნენ. კიბის ბოლო საფეხურზე იესო შეყოვნდა, შემოგვხედა მე და ჩემს ცოლს, თავზე ხელი დაადო ჩემს ასულს და თქვა: „მშვიდობის ღამე თქვენდა. ჩვენ ისევ დავბრუნდებით თქვენს ზედა ოთახში, მაგრამ აღარ დაგტოვებთ ასე მალე. ჩვენ დავრჩებით, ვიდრე მზე ამოიწვერება ცისკიდურზე.

ცოტა ხანში ჩვენ დავბრუნდებით და მოგთხოვთ უფრო მეტ პურსა და უფრო მეტ ღვინოს. შენ და შენი ცოლი კარგ მასპინძლობას გვიწევდით. ჩვენ მოგიგონებთ, როცა ჩვენს სავანეში მივალთ და ჩვენს სუფრას მივუსხდებით“.

და ვუთხარი მე: „ბატონო, დიდი პატივია შენი სამსახური. სხვა მეფუნდუკეები შემნატრიან შენი სტუმრობისთვის. მე თავმომწონედ ვუღიმი მათ ბაზრის მოედანზე. ზოგჯერ კოპებსაც კი შევკრავ ხოლმე“.

და მითხრა მან: „ყველა მეფუნდუკისთვის საამაყოა მასპინძლობა. რამეთუ ვინც გასცემს პურსა და ღვინოს, იგი ძმა და მოყვასია იმათი, ვინც მკის, ულოს კრავს კალოზე ჩასაშლელად, ვინც წურავს ყურძენს საწნახელში. თქვენ ყველანი კეთილნი ხართ. თქვენ გულუხვნი იყავით მაშინაც, როცა კარს მოგადგებოდნენ უპოვარნი, მშიერ-მწყურვალნი.“

მერმე იგი მიუბრუნდა იუდა ისკარიოტელს, რომელსაც ებარა საერთო ქისა, და უთხრა: „მომეცი ორი შეკელი“.

იუდამ გაუწოდა ორი შეკელი და დაატანა: „ეს ბოლო ვერცხლია ქისაში“.

იესომ მზერა მიაპყრო და უთხრა: „მალე, სულ მალე, შენი ქისა ვერცხლით აივსება“.

მერმე ხელში ჩამიდო ორი ვერცხლი და მითხრა: „ამით უყიდე აბრეშუმის სარტყელი შენს ასულს და უთხარი, შემოიხვიოს პასექის დღეს ჩემს სახსოვრად“. ისევ ჩახედა სახეში ჩემს ასულს, დაიხარა და შუბლზე აკოცა. და მერმე ერთხელ კიდევ თქვა: „მშვიდობის ღამე თქვენდა ყოველთა“.

და წავიდა იგი.

იესომ რაც ჩვენ გვითხრა, თურმე ერთ მის მოწაფეს ეტრატზე ჩაუწერია. ხოლო მე მისი ნათქვამი გაგიმეორეთ ისე, როგორც მოვისმინე უშუალოდ მის ბაგეთაგან.

რა დამავიწყებს მის ხმას, როცა წარმოთქვა ეს სიტყვები: „მშვიდობის ღამე თქვენდა ყოველთა“.

თუ გნებავთ მეტი იცოდეთ იესოს შესახებ, ჰკითხეთ ჩემს ასულს. იგი ქალია ახლა. და გულში სათუთად ინახავს მოგონებას თავისი ყმაწვილქალობისას. მისი სიტყვა ჩემსაზე უფრო მჭევრია.

ბარაბა

იესოს უკანასკნელი სიტყვები

მე გამიშვეს და ის დაიტოვეს. მერმე იგი ამაღლდა და მე დავეცი.

იგი ინდომეს მსხვერპლად და შესაწირად პასექის დღესასწაულზე.

საკრველთაგან გამათავისუფლეს და უკან გავყევი ბრბოსთან ერთად. ცოცხალი ვიყავი, მაგრამ საკუთარი სამარისკენ მივემართებოდი.

მიჯობდა უდაბნოში გავჭრილიყავ: მზე ამოშანთავდა სირცხვილს.

და მაინც... გავერიე ბრბოში, რომელმაც მას დააკისრა ჩემი დანაშაული.

ჯვარს რომ მიამსჭვალეს, იქ ვიდექი.

ვხედავდი და მესმოდა... და მაინც, თითქოს ჩემს სხეულს ვიყავი გარიდებული.

მარჯვნივ ჯვარცმულმა ავაზაკმა უთხრა: „ნუთუ შენც სისხლი გდის ჩემსავით, შენ, იესო ნაზარეველო?“

მიუგო და უთხრა იესომ: „მილურსმული რომ არ მქონდეს ხელი, შეგეხებოდი.

ჩვენ ჯვარს გვაცვეს ერთად. ჯობდა შენი ჯვარი ჩემთან უფრო ახლოს აღემართათ“.

მერმე ქვევით ჩამოიხედა, მზერა მიაპყრო დედას თვისას და გვერდით მდგომ ყმაწვილ კაცს.

და თქვა მან: „დედაო, ამიერიდან ეგ არის შვილი შენი. ჩემი სისხლის ნაწვეთალს ის გაიტანს ჩრდილოეთის ქვეყნებში“.

გალილეველ დედათა გოდება მოესმა და თქვა: „შეხე, მოთქვამენ. მწყურია. ძალზე მაღლა ვარ, მათ ცრემლს ვერ ვწვდები. ძმარი და ნაღველი ვერ მომიკლავს წყურვილს“.

მერმე ფართოდ გახელილი თვალები მიაპყრო ზეცას და თქვა: „მამაო, რაისათვის დაგვიტევებ ჩვენ?“

და მერმე თქვა მოწყალედ: „მამაო, მიუტევე ამათ, რამეთუ არა იციან რასა იქმან“.

ეს სიტყვები თქვა და მე მეჩვენა, რომ ღვთის წინაშე განერთხა კაცთა მოდგმა და მიტევებას ითხოვდა ამ ერთი კაცის ჯვარცმისათვის.

და ისევ თქვა მან დიდი ხმით: „მამაო, შენ გაბარებ სულს ჩემსას“.

ბოლოს თავი ასწია და თქვა: „ახლა აღსრულდა, აღსრულდა მხოლოდ აქ, ამ ბორცვზე“.

და დახუჭა თვალები. ელვამ გააპო მწუხრის ცა და იყო გრგვინვა დიდი.

ახლა მე ვიცი: ჩემს ნაცვლად რაკი აწამეს იგი, მე გავიწირე საუკუნო წამებისთვის.

ჯვარცმამ ერთ საათს გასტანა.

ჩემი ჯვარცმა კი გრძელდება ჩემთა დღეთა აღსასრულამდე.

კლავდიუსი, რომაელი ასისთავი

წარბშეუხრელი იესო

რომ შეიპყრეს, მე ჩამაბარეს. პილატე პონტოელმა მიბრძანა, მეორე დილამდე დამემწყვდია.

ჩემმა ჯარისკაცებმა ჩასვეს დილეგში. და არ გასძალიანებია მათ.

ნაშუაღამევს შინიდან გამოვედი, დავტოვე ცოლი, შვილები და იარაღის საწყობში მივედი. წესად მქონდა, შემოვივლიდი და ვნახავდი, ყველაფერი რიგზე თუ იყო იერუსალიმში, ჩვენს ბანაკში. იმ ღამეს იქაც შევიარე, სადაც იესო გვყავდა დამწყვდეული.

ჩემი ჯარისკაცები და კიდევ რამდენიმე ახალგაზრდა ებრაელი მასხრად იგდებდნენ, სამოსელი შემოეძარცვათ მისთვის და თავზე დაედგათ ეკლის გვირგვინი.

ბოძთან მიეყენებინათ, მის წინ დაცუნდრუკობდნენ და ერთი ღრიანცელი ჰქონდათ.

ხელში ლერწმის ღერი მიეჩეჩებინათ.

რომ შევედი, ვიღაცამ შემომძახა: „შეხე, უფროსო, მეუფე ჰურიათა!“

ვიდექი მის წინაშე, შევყურებდი და მრცხვენოდა, არ კი ვიცი – რატომ.

გალიასა და სპანიაში მიომია, ჩემს მებრძოლებთან ერთად სიკვდილისთვის ჩამიხედავს თვალებში. შიშს არასდროს ავუტანივარ, ჯაბანი არ ვყოფილვარ, მაგრამ მის წინაშე რომ ვიდექი და რომ შემომხედა, გული გამელია. ჩემი ბაგეები

თითქოს შეწებებოდა ერთმანეთს, ხმის ამოღება ვერ შევძელი, კრინტი ვერ დავძარი.

და იმწამსვე გავეცალე იქაურობას.

ეს მოხდა ოცდაათი წლის წინათ. ჩემი ვაჟები ბალღები იყვნენ მაშინ. ახლა უკვე მოწიფული კაცები არიან და ემსახურებიან კეისარსა და რომს.

მათთან საუბრისას ხშირად ვახსენებ იესოს, – კაცს, რომელმაც სიკვდილს გაუსწორა თვალი, – კაცს, რომელსაც ბაგეზე სიცოცხლის ძალმოსილება და მზერაში თავის მკვლელთა შენდობა ეხატებოდა.

ახლა ბერიკაცი ვარ, წლებით მაძღარი. და ალალად ვფიქრობ: არც პომპეუსი, არც კეისარი არ ყოფილან ისეთი დიდი წინამძღოლნი, როგორც ის გალილეველი იყო.

მას მერმე, რაც უდრტვინველად შეხვდა სიკვდილს, მისი მიმდევრები ლაშქრად დაირაზმნენ მთელ დედამიწაზე. და მას, მკვდარს, უფრო ეთაყვანებიან, ვიდრე პომპეუსსა და კეისარს – სიცოცხლეში.

იაკობი, ძმა უფლისა

საიდუმლო სერობა

ბევრჯერ მწვევია მოგონება იმ ღამისა. და ვიცი, კიდევ ბევრჯერ მეწვევა.

უმალ მიწა დაივიწყებს ორნატებად გადახსნილ და გადახნულ თავის მკერდს, უმალ დედაკაცი დაივიწყებს ტკივილსა და სიხარულს შვილიერებისას, ვიდრე მე დავივიწყებ იმ ღამეს.

ნაშუადღევს, იერუსალიმის გალავანთან რომ ვიყავით, იესომ გვითხრა: „შევიდეთ ქალაქში და ვივახშმოთ ფუნდუკში“.

ბინდი იყო, ფუნდუკს რომ მივადექით. მშივრები ვიყავით. ფუნდუკის პატრონი გამოგვეგება და ზედა ოთახში აგვიძღვა.

იესომ გვითხრა, მაგიდას შემოუსხედითო. თვითონ ფეხზე იდგა, მზერა ჩვენზე ჰქონდა შეჩერებული.

მან მიმართა მეფუნდუკეს და უთხრა: „მომიტანე ვარცლი, თუნგით წყალი და ჩვარი“.

და ისევ შემოგვხედა და მშვიდად გვითხრა: „წაიძვრეთ ხამლი“.

ჩვენ ვერაფერი გავიგეთ, მაგრამ მის ნათქვამზე ფეხზე გავიხადეთ.

მერმე ფუნდუკის პატრონმა მოიტანა საბანელი და თუნგი. და თქვა იესომ: „ახლა მე თქვენ ფეხს დაგბანთ. უნდა მოგაცილოთ ფეხთაგან მტვერი ძველი გზისა, რათა ახალ გზაზე თავისუფლად იაროთ“.

ჩვენ ყველანი შევცბით და დავირცხვინეთ.

მაშინ წამოდგა სიმონ-პეტრე და თქვა: „როგორ დავანებო ფეხთა ჩემთა დაბანა მოძღვარს ჩემსას და უფალს ჩემსას?“

და მიუგო იესომ: „მე ფეხს დაგბანთ, რათა უწყოდეთ: ვინც მდაბლად მსახურებს კაცთ, არს უაღრესი ყოველთა კაცთა“.

მერმე შემოგვხედა ყოველ ჩენგანს და თქვა: „ძეს კაცისას, რომელმაც გამოგარჩიათ თქვენ თავის ძმებად, – ძეს კაცისას, რომლის ფეხთ გუშინ სცხეს ნელსაცხებელი არაბეთისა და შეუმშრალეს ქალის თმებით, – ძეს კაცისას უნდა ფეხი დაგბანოთ თქვენ“.

და მან აიღო საბანელი და თუნგი, ჩაიმუხლა და დაგვბანა ფეხი. იუდა ისკარიოტელით დაიწყო.

მერმე ჩვენთან ერთად მიუჯდა სუფრას. სისხლიანი ღამისა და ხოცვა-ჟლეტის შემდეგ ბრძოლის ველზე მზის ამონათებას ჰგავდა სახე მისი.

და მოვიდა მეფუნდუკე ცოლით მისითურთ და მოიტანა პური და ღვინო.

მშიოდა, ვიდრე იესო მუხლს მოიდრეკდა ჩემს ფერხთით, მაგრამ ახლა აღარ შემეძლო ჭამა; მედებოდა ალი, რომელსაც ღვინო ვერ გამინელებდა.

მერმე აიღო იესომ პური, და მოგვცა ჩვენ, და თქვა: „ეგებ მეტი აღარც მოგვიწიოს ერთად პურის გატეხა. მივიღოთ ეს ლუკმა გალილეაში ჩვენთა დღეთა სამახსოვროდ“.

და ჩამოასხა ღვინო ხელადიდან ბარძიმში. და შესვა მან, და მოგვაწოდა ჩვენ, და თქვა: „შესვით სამახსოვროდ იმ წყურვილისა, ჩვენ რომ შევიცანით ერთად. და შესვით ახალი რთვლის იმედით.

როცა შემსუდრავენ და აღარ ვიქნები თქვენ შორის, და როდესაც თქვენ შეიყრებით აქ ან სხვაგან, – გატეხეთ პური, და ჩამოასხით ღვინო, და ჭამეთ, და სვით, როგორც ახლა. მერმე მიმოიხედეთ ირგვლივ და ეგებ მიხილოთ თქვენ შორის სუფრასთან მჯდომი“.

ესა თქვა და იწყო ჩვენთვის ჩამორიგება თევზისა და ხოხბისა, – ჩიტი რომ თავის შეუბუმბლავ ბარტყებს კვებავს, სწორედ ისე.

ცოტა ვიგემეთ, მაგრამ დავნაყრდით. რამდენიმე ყლუპი მოვსვით, რამეთუ ვიგრძენით: ბარძიმი თითქოს სივრცედ ჩამდგარიყო ამიერ სოფელსა და იმიერ სოფელს შორის.

მერმე თქვა იესომ: „ვიდრე დავტოვებთ სუფრას, წამოვდგეთ და ვიმღეროთ გალილეველთა საგალობელი სიხარულისა“.

და ჩვენ წამოვიმართეთ, და ერთად ვიგალობეთ, და მისმა ხმამ წააჭარბა ჩვენს ხმებს. და ზარივით რეკავდა ყოველი სიტყვა მისი, გალობით თქმული.

და მან ყოველი ჩვენგანის სახეს შემოატარა მზერა და თქვა: „ახლა გემშვიდობებით. გავცდეთ ამ გალავანს, წავიდეთ გეთსიმანიაში“.

და იოანემ, ძემ ზებედესმა, ჰკითხა: „მოძღვარო, რატომ გვემშვიდობები ამ ღამეს?“

და მიუგო იესომ: „ნუ შეძრწუნდება გული თქვენი. მე გტოვებთ თქვენ, რათა განგიმზადოთ ადგილი ჩემი მამის სავანეში. ხოლო როდესაც დაგჭირდებით, მე მოვალ თქვენთან. საიდანაც მომაწვდენთ ძახილს, იქ გავიგონებ. მე ვიქნები იქ, სადაც მომძებნის სული თქვენი.

გახსოვდეთ: წყურვილი მიიყვანს კაცს საწნახელთან და შიმშილი წაუძღვება ქორწილისკენ.

ძლიერი სწრაფვა გაპოვნინებთ ძეს კაცისას. რამეთუ სწრაფვა და წყურვილი სულისა არის წყარო ნეტარებისა და იგია გზა მამისაკენ“.

და იოანემ ისევ იკითხა და თქვა: „თუ შენ ნამდვილად გვტოვებ, რამ გაგვახაროს? და რატომ თქვი, გშორდებითო?“

და თქვა იესომ: „მონადირე ვიდრე ესროდეს, მარეკთაგან დევნილი ხარირემი გეშით გრძნობს ისარს საკუთარ მკერდში. მდინარე ზღვას გრძნობს რაღაც გუმანით, სანამ ზღვაში ჩაიქცეოდეს. ხოლო ძეს კაცისას მოვლილი აქვს ყოველნი გზანი კაცთანი.

ვიდრე სხვა ნუში აყვავილდება და გულს გაიღეღავს მზის შესაგებებლად, ჩემი ფესვები სხვა ველთა გულის სიღრმეს მისწვდება“.

მაშინ სიმონ-პეტრემ თქვა: „მოძღვარო, ნუ მოგვეშორები, ნუ მოგვაკლებ შენთან ყოფნით მოგვრილ სიხარულს. სადაც წახვალ, ჩვენც წამოგყვებით და, სადაც დაემკვიდრები შენ, იქ იქნება სამკვიდრებელი ჩვენი“.

მხარზე შეახო ხელი სიმონ-პეტრეს და უთხრა იესომ: „ვინ უწყის, ეგებ ვიდრე დაგტოვებთ, თავად უარმყო გათენებამდე და მიმატოვო?“

და უეცრად თქვა მან: „ახლა გავწიოთ“.

და გავიდა იგი ფუნდუკიდან. და გავყევით ჩვენ. ხოლო ქალაქის გალავანს რომ მივუახლოვდით, იუდა ისკარიოტელი აღარ იყო ჩვენ შორის. და ჩვენ გადავლახეთ გეჰენიის ხევი. იესო წინ მიდიო-

და, ჩვენგან კარგა მოშორებით. ჩვენ ერთად შეჯ-გუფებულნი მივყვებოდით.

ზეთისხილის ტევრს რომ მიუახლოვდა, შედგა, მოგვიბრუნდა და გვითხრა: „ერთხანს დარჩით აქ“.

საღამო იყო გრილი, თუმცა კარგა გამოზაფ-ხულებულიყო. თუთას ყლორტები ამოეყარა, ვაშ-ლის ხეები აფეთქებულიყვნენ და ბაღჩა-ბაღები სურნელს აფრქვევდნენ.

ყოველმა ჩვენგანმა თითო-თითო ძირ ხეს მივა-შურეთ და წამოვწექით. მე მოსასხამი წავიფარე და ფიჭვის ძირას წავწექი.

იესომ დაგვტოვა და ზეთისხილის ტევრში მიმო-დიოდა. მე თვალს ვადევნებდი. სხვებს ეძინათ.

უეცრად გაირინდებოდა და ისევ განაგრძობდა ბოლთის ცემას. ბევრჯერ განმეორდა ეს.

მერმე ვიხილე, ზეცას მიაპყრო სახე, ხელები გაშალა.

ერთხელ გვითხრა: „კაცისთვისაა ზეცაც, მიწაც და ჯოჯოხეთიც“. და ახლა მახსენდება მისი ეს სიტყვები და ვიცი, რომ იგი, ვინც დააბიჯებდა ზეთისხილის ტევრში, თავად იყო ზეცა, კაცად ხორციელქმნილი. და ვიფიქრე, რომ წიაღი მიწისა არც დასაბამია და არც დასასრული. იგი სამგზავ-რო ეტლი უფროა. იგი შესვენებაა გზაზე; იგი გზის მონაკვეთია, საოცარი და გასაკვირველი; და ჯო-ჯოხეთიც ვიხილე ხევში, რომელსაც გეჰენიად უხმობენ და რომელიც გაწოლილიყო წმინდა ქა-ლაქსა და იესოს შორის.

და ის რომ იქ იდგა, და მე რომ ვიწექი ჩემს შესამოსელში გახვეული, მაშინ გავიგონე ხმა მისი. იესო ლაპარაკობდა, მაგრამ იგი არ გველაპარაკე-

ბოდა ჩვენ. სამჯერ მომესმა მისი ნათქვამი სიტ-ყვა: „მამაო“. და ეს იყო სულ, რაც გავარჩიე.

ცოტა ხნის შემდეგ ხელები ჩამოუშვა. და იდგა უძრავად, კვიპაროსივით აღმართულიყო ჩემ თვალწინ. იესოს იქით ცა იყო.

ბოლოს ისევ მოვიდა ჩვენთან და გვითხრა: „იღ-ვიძეთ, წამოიმართეთ. მოვიდა ჟამი ჩემი. უკვე აღ-დგა ჩვენზე სოფელი, საბრძოლველად შემართული და აღჭურვილი“.

და მერმე თქვა მან: „ეს-ესაა ვისმინე ხმა მამისა ჩემისა. თუ ვეღარ გიხილეთ, გახსოვდეთ, მო-ძალადეს სიმშვიდე არ უწერია, ვიდრე თავად არ იქნება ძლეული“.

წამოვიშალეთ და მივუახლოვდით იესოს. მისი სახე ვარსკვლავებით გაჩირაღდნებულ უდაბნოს ცას ჰგავდა.

მერმე იგი ღაწვზე გვეამბორა ყოველ ჩვენგანს. და როდესაც შემეხო, ხურვებიანი ბავშვის ხელივით მხურვალე იყო მისი ბაგეები. უეცრად შორით მოგვესმა ხმაური დიდი, ხმიანობა მრავალთა. ღრი-ანცელი გვიახლოვდებოდა. და ეს იყო ბრბო, ამ-ბოხი კაცთა. და მოდიოდნენ სანთლებითა და ლამპ-რებითა და კეტებით. წინ მოიწევდნენ სწრაფად.

ტყის პირს რომ მოაწყდნენ, იესო გამოგვეყო და გაემართა შესახვედრად. იუდა ისკარიოტელი მო-უძღოდა მათ.

ესენი იყვნენ რომაელი მოლაშქრენი – ხმლები-თა და შუბებით და იერუსალიმელი კაცები – კომბლებითა და წალკატებით ხელში.

და მივიდა იუდა იესოსთან და ეამბორა მას. და მერმე უთხრა შეიარაღებულ კაცებს: „ეგ არის კაცი იგი“.

და უთხრა იუდას იესომ: „იუდა, ბევრი მითმინე, ეგ გუშინაც შეიძლებოდა გექნა“.

მერმე მიუბრუნდა შეიარაღებულებს და თქვა: „შემიპყარით. უწყოდეთ ოღონდ, თქვენი გალია თუ დაიტევს ამ ფრთებს“.

მერმე ისინი დააცხრნენ იესოს, და შეიპყრეს იგი, და ყვიროდნენ ყველანი.

ჩვენ შიშით გავიფანტეთ, თავის დაღწევას ვლამობდით. მე ზეთისხილის ტევრში შევვარდი. გაოგნებული ვიყავი. შიშის მეტს ვერაფერს ვგრძნობდი.

გათენებამდე დარჩენილ იმ ორ თუ სამ საათს შეუჩერებლივ გავრბოდი, ვიმალებოდი. და რომ ინათა, აღვმოჩნდი ერთ სოფელში, იერიქონის მახლობლად.

რატომ მივატოვე? არ ვიცი. მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, მივატოვე. მე ლაჩარი ვიყავ და გავეცალე მის მტრებს.

მერმე ცუდად გავხდი. სირცხვილით ვიწვოდი. და დავბრუნდი იერუსალიმში. იესო დილეგში იყო. არცერთ მეგობარს აღარ შეეძლო მისთვის ხმის გაცემა.

ჯვარს აცვეს იგი. და მისმა სისხლმა განაახლა დვრიტა დედამიწისა.

მე ვცოცხლობ ისევ. და ვცოცხლობ გოლეულივით ტკბილი მისი სიცოცხლით.

სიმონ კვირინელი

იგი, ვინც ეზიდებოდა ჯვარს

მინდვრისკენ მიმავალმა დავინახე იგი. თავის ჯვარს ეზიდებოდა. ბრბო მისდევდა უკან.

მეც გავყევი.

ტვირთის სიმძიმემ ბევრჯერ შეაჩერა. ღონე ჰქონდა მიხდილი.

რომაელი ჯარისკაცი მომიახლოვდა და მითხრა: „წამო, ბრგე ხარ და ღონიერი, ზიდე ამ კაცის ჯვარი“.

ეს რომ მოვისმინე, გული სიამაყით ამევსო. მადლიერი დავრჩი.

და მე ვზიდე მისი ჯვარი.

მძიმე იყო, ზამთრის წვიმებისგან გაჟღენთილი ვერხვისა იყო.

იესომ შემომხედა და მითხრა: „შენც დაეწაფე ამ სასმისს? ნამდვილად შესვამ ჩემთან ერთად ფიალის ტუჩიდან, ვიდრე აღსრულდება ჟამი“.

ეს თქვა და ხელი ჩამომადო თავისუფალ მხარზე. და ერთად ვიარეთ თხემის ბორცვამდე.

ახლა უკვე ვეღარ ვგრძნობდი ჯვრის სიმძიმეს. მის ხელს ვგრძნობდი მხოლოდ. თითქოს ფრთა გამომსხმოდეს მხარზე.

მერმე მივაღწიეთ მთის წვერს, სადაც იგი უნდა ჯვარს ეცვათ.

და მაშინ ვიგრძენი სიმძიმე ჯვრისა.

სიტყვა არ უთქვამს, ლურსმნებით რომ აჭედებდნენ. ხელ-ფეხი არ შესტოკებია, ჩაქუჩს რომ ურტყამდნენ.

მისი ხელ-ფეხი თითქოს უსიცოცხლო ყოფილიყო და ისევ უნდა გაცოცხლებულიყო, როცა სისხლით განიბანებოდა. და თითქოს თავად იესო ეძიებდა ლურსმნებს, როგორც უფლისწული ეძიებს კვერთხს; თითქოს ლამობდა, რომ მაღლა აეზიდათ.

გულში არ გამივლია მისი შებრალება, რადგან მეტისმეტად ვიყავი გაოცებული.

ახლა კი კაცი, რომლის ჯვარსაც ვეზიდებოდი, თვითონ იქცა ჩემს ჯვრად.

ისევ რომ მითხრან, – „აიღე ჯვარი ამ კაცისა“, – მე მზად ვარ ვზიდო იგი მთელი ჩემი ცხოვრების გზაზე სამარის კარამდე.

ოღონდ ვთხოვდი, მხარზე ხელი ჩამოედო ჩემთვის.

მას მერმე ბევრი წელი გავიდა. და აგერ აქამდე, – ყოველთვის, როცა მიწაში ხნულს ვატარებ თუ ძილის წინ, როცა რული მერევა, – მუდამ ვფიქრობ იმ საყვარელ კაცზე.

და მე ფრთასავით ვგრძნობ მის ხელს აგერ აქ, ჩემს მარცხენა მხარზე.

სიბორეა, დედა იუდასი

ჩემი ვაჟი კეთილი იყო და პატიოსანი. სათუთი და ყურადღებიანი იყო ჩემდა მომართ. უყვარდა ნათესავები და თანამემამულენი. სძულდა ჩვენი მტრები, დაწყევლილი რომაელები, რომელნიც მეწამული ტოგებით არიან დამოსილნი, თუმცა არც ძაფს ართავენ და არც საქსოვ დაზგასთან სხედან. ისინი მკიან და ჭირნახულს მოიწევენ იქ, სადაც არ უხნავთ და არ უთესავთ.

ჩვიდმეტი წლისა უკვე ატანილი იყო რომაელთა სიძულვილით და შეიპყრეს კიდეც, ისრები რომ დაუშინა რომაელ ლეგიონერებს, ჩვენს ვენახთან როცა ჩაიარეს.

ჯერ კიდევ ამ ასაკში ისრაელის დიდებაზე ელაპარაკებოდა სხვა ჭაბუკებს და იმდენ უცნაურ რაღაცას ამბობდა, მე დიდი არაფერი გამეგებოდა.

ის ძე იყო ჩემი, ჩემი მხოლოდშობილი ძე.

აწ ჩამომჭკნარი ამ ჩემი მკერდით ეწაფებოდა სიცოცხლეს, ამ ბაღში აიდგა ფეხი, ეპოტინებოდა ამ თითებს, ახლა რომ მითრთის ლერწამივით.

სწორედ ამ ხელებით, – მაშინ ნორჩი და მოქნილი ხელებით, ლიბანის ვაზის მტევნების მსგავსი ხელებით, – გავახვიე მისი პირველი ფაჩუჩები დედაჩემის ნაჩუქარ ხილაბანდში. აგერ სარკმელთან რომ სკივრია, იმაში მაქვს შენახული.

ის ჩემი პირმშო იყო. პირველი ნაბიჯები რომ გადადგა, მეც თითქოს მაშინ ავიდგი ფეხი. ასეა, ქალებს ჩვენი შვილები მიგვიძღვებიან ცხოვრების გზაზე.

და ახლა მეუბნებიან, საკუთარი ხელით მოისწრაფაო სიცოცხლე. სინდისი ქენჯნიდა, რადგან თავისი მეგობარი იესო ნაზარეველი გასცაო.

ვიცი, მკვდარია ჩემი შვილი, მაგრამ ისიც ვიცი, მას არავისთვის უღალატია. მას უყვარდა თავისი მოდგმა და რომაელების გარდა არავინ სძულდა.

ჩემი შვილი ისრაელის დიდებას ეძიებდა და მხოლოდ მისი დიდება ეკერა პირზე და მისი დიდებისთვის იღვწოდა.

იესოს რომ შეხვდა შარაგზაზე, მე მიმატოვა, რათა მას გაჰყოლოდა. გული მიგრძნობდა, რომ შეცდომა იყო ვინმეს გაყოლა, სულერთია, ვინც უნდა ყოფილიყო.

როცა გამომემშვიდობა, ვუთხარი, ცდებიმეთქი, მაგრამ არ გამიგონა.

ჩვენი შვილები არ გვზოგავენ. ჩვენს გუმანს არ ენდობიან.

გემუდარებით, მეტს ნურას მკითხავთ ჩემს შვილზე.

მე მიყვარდა იგი და მარად მეყვარება.

სიყვარული რომ ხორცში იყოს ჩაბუდებული, ამოვიშანთავდი გავარვარებული რკინით და მოვისვენებდი. მაგრამ სიყვარული სულში მკვიდრობს და მოუხელთებელია.

ახლა კი დავდუმდები. წადით, სხვა ქალს ჰკითხეთ, იუდას დედაზე უფრო პატივსაცემს.

მიდით იესოს დედასთან. მასაც მახვილი აქვს გულში ნაძგერები. იგი გეტყვით ჩემზეც და თქვენ ყველაფერს უკეთ გაიგებთ.

ბიბლოსელი ქალი

მოთქმა

ვიტიროთ ერთად, ჰოი, ასულნო აშტარტისანო
და თქვენ, ყოველნო მოყვარულნო თამუზისანო!
თქვენს გულს ევედრეთ გადაიხსნას, გალღვეს,
ამაღლდეს.
და შეუშრობელ სისხლის ცრემლად ჩამოიწრიტოს.
აღარ გვყავს იგი, სპილოს ძვლით და ოქროთი
ქმნილი.
უსიერ ტევრში ტახმა სძლია, ეშვით გაფატრა.
ჩამოცვენილი შარშანდელი ხმელი ფოთლები,
სუდარად ჰხურავს მიტოვებულს უცხო მხარეში.
ნაბიჯი მისი ვერ შეძრავს და ვერ გააღვიძებს
რულმორეულ თესლს, გაზაფხულის უბეში
მთვლემარს.
და ვერ მოაღწევს ჩემს სარკმელთან
ცისკართან ერთად
მისი ხმა ტკბილი... საუკუნოდ დავრჩი ეულად...
ვიტიროთ ერთად, ჰოი, ასულნო აშტარტისანო
და თქვენ, ყოველნო მოყვარულნო თამუზისანო!
დამტოვა სატრფომ სანუკვარმა, მან, ვისი სიტყვაც
თვით დედამიწის მდინარეთა საუბარს ჰგავდა, –
სატრფომ, ვისი ხმაც ტყუპისცალი იყო ჟამისა;
წავიდა ჩვენგან ერთადერთი, ვინც ჟამთან იშვა,
და ვისი ბაგეც მეწამული ჭრილობა იყო,
და ვის ბაგეზე ნაღველიც კი თაფლად ტკბებოდა.
ვიტიროთ ერთად, ჰოი, ასულნო აშტარტისანო
და თქვენ, ყოველნო მოყვარულნო თამუზისანო!

შემოკრბით და მის სამარესთან ვიტიროთ ერთად!
ვარსკვლავნი ცრემლად იღვრებიან, მას დასტირიან,
მთვარე ნაკადად ცრემლს აფრქვევს მის ნაწამებ
სხეულს.
ცრემლით დაალტეთ აბრეშუმის ზეწარი ჩემი,
რომელზეც იწვა სატრფო ჩემი ერთხელ ჩემს
სიზმრად.
გამეღვიძა და... საუკუნოდ გაუჩინარდა.
გემუდარებით თქვენ, ასულნო აშტარტისანო
და თქვენ, ყოველნო მოყვარულნო თამუზისანო!
მკერდი მოიღეღეთ,
ცრემლი გადმოყარეთ,
ეცით სულს ნუგეში:
მოგვიკლეს იესო ნაზარეველი.

მარიამ მაგდალენელი ოცდაათი წლის შემდეგ

აღდგომისათვის სულისა

კიდევ ერთხელ ვამბობ, იესომ სიკვდილით დათრგუნა სიკვდილი და საფლავიდან აღდგა სული და აღდგა ძალა. და მან მოიხილა ჩვენი სიმარტოვე, და ეწვია ბაღნარებს ჩვენი განცდებისას.

იგი არ განისვენებს აქ, კლდის ნაპრალში, ამ ლოდის იქით. ჩვენ, რომელთაც გვიყვარს იესო, ვიხილეთ იგი ჩვენი თვალით, მან რომ აგვიხილა, იმ თვალით. ხელით შევეხეთ მას. ხელის გაწოდებაც ხომ მან გვასწავლა.

მე გიცნობთ თქვენ, რომელთაც არა გწამთ იგი. მეც ერთი თქვენგანი ვიყავი. და თქვენ ბევრნი ხართ, მაგრამ თქვენი რიცხვი მოიკლებს.

ნუთუ დაამსხვრევთ თქვენს ჩანგს ან ქნარს, რათა მის შიგნით იპოვოთ ჰანგი?!

ანდა ხეს მოჭრით, რომ დარწმუნდეთ მსხმოიარეა თუ არა?!

თქვენ გძულთ იესო, რადგან იგი არის ძე ღვთისა და ეს ჩრდილო მხარეში ითქვა. თქვენ ერთმანეთიც გძულთ, რადგან ყოველ თქვენგანს თავი მიაჩნია სხვებზე აღმატებულად. თქვენ არ შეგიძლიათ ეძმოთ სხვა ადამიანს.

თქვენ გძულთ იესო, რადგან ითქვა, რომ იგი იშვა ქალწულისგან და არა – მამაკაცის თესლისგან.

თქვენ არ იცით დედა, რომელიც სამარეში ჩავიდა ქალწულად; არ იცით ადამიანები, რომელნიც სურვილით შეეგებნენ სიკვდილს.

თქვენ არც ის იცით, რომ დედამიწა დაქორწინებულია მზეზე. მიწაა სწორედ, რომ გვიხმობს მთისკენ, გვიხმობს უდაბნოსკენ.

ღრმა უფსკრულია იმათ შორის, ვისაც უყვარს იესო და ვისაც სძულს,– იმათ შორის, ვინც იწამა იგი და ვინც არ იწამა.

მაგრამ, როცა დრო გააერთებს უფსკრულის კიდეებს, თქვენ შეიტყობთ, რომ იგი, ვინც ჩვენში ცოცხლობს, უკვდავია; იგი არის ძე ღვთისა, ჩვენც ვართ შვილები ღვთისა და იგი იშვა ქალწულისგან, ისევე როგორც ჩვენ ყველანი ვართ შობილნი უქმრო მიწისგან.

საკვირველია, მაგრამ ასეა: მიწა ურწმუნოთ არ გაადგმევინებს ფესვებს, რომლითაც მისი მკერდი უნდა წოვონ; მათ არც ფრთებს აძლევს, რათა აფრინდნენ და შესვან ცვარ-ნამი დედამიწის გარეშემოდან. ხოლო მე ვიცი ის, რაც ვიცი და ეს კმა არს ჩემდა.

ᲕᲘᲜᲛᲔ ᲚᲘᲑᲐᲜᲔᲚᲘ ᲪᲮᲠᲐᲛᲔᲢᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

მოძღვარო ჩვენო, მგალობელო მოძღვარო ჩვენო, სიტყვათ მეუფევ ჯერ ართქმულთა, ჯერ არსმენილთა! შვიდჯერ ვიშვი მე ამა სოფლად, და შვიდჯერ მოვკვდი შენი ხანმოკლე, უეცარი სტუმრობის შემდეგ.

უფალო ჩემო, მოწყალეო, მე ვცოცხლობ ისევ, მახსოვს გოლგოთის ბორცვზე ის დღე, მახსოვს ის ღამე, შენ რომ ღვაწლს სძლიე, ამაღლდი და ჩვენც აგვამაღლე.

მე ზღვა და ხმელი იმ დღის აქეთ დავლახე ბევრი. სადაც მიმიძღვა უნაგირი თუ იალქანი, ყველგან შენ ჰყავდი სალოცავად ადამიანებს, ან – საქილიკოდ, განსასჯელად და საკიცხავად.

კაცნი ან ლოცვას აღავლენენ, ანდა გძრახავენ, და თავიანთი მარცხის გამო შენს ძვირს ამბობენ, და მადლს გწირავენ, ოდეს ბედი მათ გაუღიმებს.

მთიდან ბრუნდება მონადირე ნანადირევით და კმაყოფილი სამადლობელ ჰიმნს შენ გიგალობს.

შენნი მოყვასნი აქ არიან, გვანუგეშებენ, მხარში გვიდგანან საყრდენად და დასამხრობელად. აქვე არიან შენი მტრებიც და ისევ გვმტრობენ. ძალას შეგვინთებს და სიმტკიცეს გვმატებს ეს მტრობა.

შენი მშობელიც ჩვენთან არის, ქალწული დედა, რომლის წიაღმა გიტვირთა შენ, უფალო ჩვენო.

და ყველა დედის ალერსიან გამოხედვაში წმინდა ღვთისმშობლის მე მიხილავს თვალთა ნათელი. და უფლის დედის ხელი არწევს ყველა ყრმის აკვანს, და ჩვრებში ახვევს ის სათუთად ყველა პატარას.

და მარიამიც ჩვენთანაა, მაგდალენელი, რომელმაც ძმარი და სამსალა ცხოვრების შესვა და თან იგემა მან უჭკნობი ვაზის ზედაშე.

იუდაც ისევ იარება ამ ქვეყანაზე, – კაცი გოროზი, ურვეული და ქედმაღალი.

აგერ აქამდე საშოვარზე გადაგებულა, და ვერ იოკებს განდიდების შიმშილს და წყურვილს, და ხსნას ეძიებს თვისი არსის განადგურებით.

და იოანე, სიჭაბუკე რომ შეალია მშვენიერებას და სიყვარულს, – ისიც აქ არის, გალობს ზეციურ საგალობელს, ანგელოზთა ჰანგს. და სიმონ-პეტრე, ბობოქარი, ელვარე, შმაგი, შენ რომ უარგყო, რათა მეტხანს ეცოცხლა შენთვის, ისიც აქვეა, ჩვენთან ერთად ცეცხლის პირას ზის.

ეგებ უარგყოს კიდეც ხვალის განთიადამდე. შენი გულისთვის იგი კვლავაც ჯვარზე ეცმება, თავს არ მიიჩნევს მოციქული პატივის ღირსად და ძელზე იგი თავდაყირა დაეკიდება.

სიცოცხლის დღენი გასავლელი აქვს კაიაფას, გვერდში ჰყავს ანაც და ორივე სამართალსა იქმს.

ისევ განსჯიან ავაზაკსა და უმანკო კრავს; სძინავთ ბუმბულის ქვეშაგებში, გერმაში წვანან, როცა მათ განსჯილ უცოდველ მსხვერპლს სცემენ შოლტებით.

აგერ ის ქალიც, სიძვაში რომ წაუსწრეს მაშინ, იგი კვლავ დაძრწის ქუჩა-ქუჩა და უბან-უბან, და ნატრობს იმ პურს, ჯერ რომ არვის გამოუცხვია, ვერ ემალება სიმარტოვეს ცარიელ სახლში.

და კვლავ პილატე პონტოელი დგას შენ წინაშე, დაკითხვას გიწყობს რიდით, მაგრამ ვერც იმას ბედავს, საფრთხე შეუქმნას თავის პატივს, თავის დიდებას. და არც ის უნდა, მტრული მოდგმა გაანაწყენოს.

მას აქეთია პონტოელი დღესაც ხელს იბანს, და წმინდა ქალაქს, იერუსალიმს, უპყრია ვარცლი, და გულზვიად რომს კვლავ ხელთა აქვს თუნგი წყლით სავსე; ისევ და ისევ ათასები იბანენ ხელებს, და კაცთა მოდგმა ასე ლამობს განსპეტაკებას.

თავად პოეტო და მოძღვარო დიდთა პოეტთა, დიდო გამრიგევ ნათქვამთა და ნამღერ სიტყვათა!

ბევრი ტაძარი აუგიათ აქ შენს სახელზე, მთათა კალთებზე აღუმართავთ მათ შენი ჯვრები თვისი მერყევი ნაბიჯების განსამტკიცებლად.

და ვერ ხარობენ სიხარულით, შენგან მოგვრილით, იგი შორეულ და უხილავ მწვერვალად უჩანთ. გაღიარებდნენ, შენ რომ იყო უცხო, უცნობი.

რა ნუგეშია მათთვის ღმერთი, მათსავით კაცი? მას ხომ სიკეთით და სიწმინდით უნდა ემსგავსონ, სიყვარული და მიტევება მასავით შეძლონ?!

ამად არ ცნობენ სიტყვას, ღვთის ძეს, კაცად მოვლენილს, შემოუსაზღვრელს, შემოსაზღვრულს ჩვენი სხეულით.

არ ცნობენ ღვთის ძეს, მამის პირმშოს, კაცთა მაცხოვარს, დაუსაბამოს, ჩვენზე ადრე ვინც შეხედა მზეს.

მათ არც უნდათ და არც იციან ღმერთი და კაცი. ეს იოლია: მაშინ ხომ ვერც მიბაძავენ მას.

და გაჰყვებიან უმეცარნი უმეცართ ტალღას, გაწამებულნი უსაშველო დარდით, ვარამით.

შენს სიყვარულში, მოწყალეო უფალო ჩემო, ისინი შვებას ვერ ჰპოვებენ და ვერც – სიხარულს.

და ჩაფერფლილი, უნუგეშო მათი გულები ხსნას არ ეძებენ შენს სიტყვებში, შენს გალობაში.

და ჩუმი სევდა, მწუხარება გაურკვეველი მიუსაფარს ხდის მათ ცხოვრებას გაუხარებელს.

შემოჯარული ჰყავთ ჯალაბი, თესლი, ნაგრამი. სულის სიღრმეში მარტოსულნი არიან მაინც. ცხოვრობენ შიშით ატანილნი, მოყვასი არ ჰყავთ.

მაგრამ მათთვისაც არის ხსნა და არის საშველი. მათ მაღრიბიდან მაშრიყისკენ გადახრის ქარი და მოგიხმობენ შენ მეუფედ, შემწედ, მაცხოვრად.

შენს კარზე მოვლენ და მესიად გაღიარებენ, იცხებენ მირონს, იცხოვრებენ შენი ცხოვრებით.

უფალო ჩვენო, მგალობელო უფალო ჩვენო, მაისის წვიმა მოწანწკარე შენი ცრემლია, შენი ღიმილი სპეტაკი ზღვის ტალღების ჩქერს ჰგავს.

შენი სიტყვები ჩურჩულია მომავლის მკვიდრთა, ოდეს მათ ბაგეს სიყვარულის ცეცხლი ეწვევა.

შენ შეჰღიმოდი ღვთაებრივ არსს, მათში მთვლემარეს, ხოლო ისინი არ იყვნენ მზად ამ ღიმილისთვის.

და შენ ცრემლს ღვრიდი, მდუღარე ცრემლს იმათ მაგიერ. შენი ხმის ჟღერა იდუმალად მიუძღოდა მათ და წარმართავდა კაცთა სუნთქვას და კაცთა სათქმელს.

მე შვიდჯერ ვიშვი, და შვიდჯერ მოვკვდი, და ვცოცხლობ ისევ, და გიხმობ ისევ.

შენ მამაცი ხარ მამაცთა შორის და ხარ პოეტი შორის პოეტთა, დიდი მეუფე ხარ მეუფეთა და თანაც კაცი ხარ უპოვარი, ვით მოციქულნი, მოყვასნი შენნი.

ეპისკოპოსი მდაბლად ქედს იდრეკს, როდესაც სახელს წარმოთქვამს შენსას.

ყოველ ცისმარე დღეს გლახა ამბობს: „იესოს გულისთვის, ეგებ გვიბოძოთ და შეგვაწიოთ პურისთვის ხურდა“.

ჩვენ რომ ერთმანეთს ვეხმიანებით, მაშინ შენ გიხმობთ, შენკენ მოვილტვით ჩვენთა სწრაფვათა გამოზაფხულზე, ვით ზღვის ტალღები – ნაპირისაკენ.

ჩვენი სიცოცხლის შემოდგომაზე ზღვათა მიქცევას დავემსგავსებით. ზენა სოფლად თუ წუთისოფელში მარად შენ გიხმობთ და შენ გიგალობთ.

უფალო ჩვენო, მეუფეო მარტოობისა! აქაც, ამქვეყნად, აკვნიდან ზედ კუბოს კარამდე, და იქაც – სულთა საუკუნო განსასვენებშიც – მე უამრავი ვნახე შენი მოძმე მდუმარე, თავისუფალი, ბორკილთაგან თავდაღწეული, შვილები ცის და დედამიწის – შენი დედისა.

ჰგვანან ისინი ფრინველთ ცათა და შროშანთ ველთა. შენი სიცოცხლით ცოცხლობენ და შენი ფიქრებით, და შენს გალობას მოძახილით ეგებებიან.

და მონაგები არა აქვთ მათ დაუნჯებული, მათი სიმდიდრე სულიერი საუნჯე არის.

ჯვარს არ ცმულან და სისხლი თვისი არ დაუღვრიათ, – ეს არის მათი საწუხარი და სატკივარი.

მაგრამ სოფელი ჯვარს აცვამს მათ ყოველწამიერ, ოღონდ სხვა ჯვარცმით, ნელი ჯვარცმით, ყოველდღიურით, რომელიც მიწას არ შეძრავს და ცას არ შეარყევს.

უსისხლო ჯვარცმას ამა სოფლად არ ჰყავს მოწამე. თავს აბრუნებენ, სასუფევლის აღმთქმელს

ეძებენ. ვერ პოულობენ და კვლავ და კვლავ ჯვარს ეცმებიან, რათა უფალი, მამა შენი და ღმერთი ჩვენი, ყოვლისგამრიგე, იყოს მათი უფალი ღმერთი.

უფალო ჩვენო, მეუფეო სიყვარულისა! მეფის ასული სურნელოვან პალატში ელის შენს მობრძანებას; მეოჯახე დიასახლისი თავის კერასთან, თავის სახლში მოგელის მარად;

გელის მეძავი, ლუკმისთვის რომ დაძრწის ქუჩაში; და მონაზონიც შენ მოგელის ტაძრის სენაკში.

უშვილო ქალი შემოგცქერის თვისი სარკმლიდან. ჯადოსნური ტყე მიუხატავს მინაზე ყინვას. შენს ნამოქმედარს ხედავს ქალი სიმეტრიაში და სურს შვილივით შეგიყვაროს, მოგესათუთოს, შენს სიყვარულში უშვილობის ჰპოვოს ნუგეში.

უფალო ჩვენო, მეუფეო დიდთა მგოსანთა! დიდო გამრიგევ უჩუმარ და უთქმელ სურვილთა!

სამყაროს გული ძგერს, ფართხალებს შენს გულთან ერთად, მაგრამ მას ცეცხლი არ ედება შენს გალობაზე.

სამყარო ყუჩი ნეტარებით ყურს უპყრობს შენს ხმას, გარინდებულა, არ ტოკავს და არ იშმუშნება, რომ არ მოსწორდეს ღრანტეები შენი მთებისა.

ადამიანი ყოველ ღამით ხედავს შენს სიზმრებს, მაგრამ რა ქნას, რომ ვერ იღვიძებს შენს განთიადზე, თუმც გაღვიძება ოცნებაა უდიადესი.

სურს ადამიანს შენი მზერით იმზირებოდეს, მაგრამ ფეხს ითრევს, ველარ აღწევს ის შენს საყდრამდე.

უფალო ჩემო, შენზე ლოცვით, შენი სახელით მეფედ ეკურთხა, ერს განაგებს უკვე მრავალი.

ბევრმა დაიდგა თავზე მიტრა შენი სახელით და ბრწყინვალებით მოსვლა შენი დედამიწაზე აქციეს კვერთხად – ნიშნად ფუჭი ძალაუფლების, – ამპარტავნებად და გვირგვინად თვისთა თავთათვის.

უფალო ჩვენო, ნათლისა სხივო! მრავალმოწყალევ, გვილხინე კაცთა! ხელის ფათურით რომ მიიკვლევს გზას, შენი თვალია იმ ბრმის თითებში.

შენ ისევ ისე საქილიკო ხარ, მოძულებული და საკიცხარი.

კაცი მოკვდავი როგორ თქვან ღმერთად?! ღმერთი მაღალი და მაღლამხედი კაცად როგორღა წარმოიდგინონ?!

უფალო ჩვენო, შენთვის გალობა, საიდუმლო თუ კრიალოსანი მათ „მეს“ სჭირდება, დაბეჩავებულს.

შენა ხარ მათი შორეული „მე“, მათი ვედრება და სწრაფვა მათი.

ცათა მეუფევ, მიწის გამრიგევ, რაინდო ჩვენი ოცნებებისა! დაიარები ჩვენ შორის დღესაც. ვერც შუბი ჩვენი, ვერც მშვილდი ჩვენი ვერ შეაფერხებს შენს სწრაფ ნაბიჯებს.

და ჩვენგან ნასროლ ისართა შორის გზას მიიკ-ვლევ და თან ჩვენ გვიღიმი.

თუმც ჭაბუკი ხარ ყოველ ჩვენგანზე, გვმფარ-ველობ ჩვენ და შვილებივით გვზრდი.

პოეტო მგალობელო, ზეცის დიადო გულო!
დაილოცოს, იდიდოს წმინდა სახელი შენი!
და იკურთხოს წიაღი, რომელმაც გიტვირთა შენ!
კურთხეულ იყოს ძუძუ, რომელმაც გაწოვა შენ!
უფალო მოგვიტევე და გვიხსენ ჩვენ ყოველნი.

წინასწარმეტყველი

ალმუსტაფა, რჩეული და საყვარელი, თავად განთიადი თავისი დღისა, ქალაქ ორფალესში თორმეტ წელიწადს ელოდა ხომალდს, რომელსაც მშობლიურ კუნძულზე უნდა დაებრუნებინა იგი.

მეთორმეტე წელს, ჭირნახულის მოწევის თვეში, აილულის მეშვიდე დღეს, იგი ავიდა ქალაქის გალავანს გარეთ წამომართულ გორაკზე და ზღვას გახედა. და იხილა თავისი ხომალდი, რომელიც ნისლთან ერთად ახლოვდებოდა.

მაშინ გული გაეხსნა ალმუსტაფას და შორს გაიჭრა, ზღვას გადასწვდა მისი სიხარული. და დახუჭა თვალები და ილოცა თავისი სულის მდუმარებაში.

მაგრამ გორაკიდან რომ დაეშვა, სევდა შემოაწვა და გაიფიქრა:

„ვერ წავალ მშვიდად და უნაღვლელად, ვერა... სულში ჭრილობას ჩამიტოვებს ამ ქალაქის დატოვება...

ამ გალავანს შიგნით ჩაიარა ჩემმა ტკივილიანმა გრძელმა დღეებმა და მარტოობის გრძელმა ღამეებმა, ვის ძალუძს დაუნანებლად გაეცალოს თავის ტანჯვასა და სიმარტოვეს?

ამ ქუჩებში მიმოვფანტე ჩემი სულის ნაწილები, ამ გორაკებს შორის დაიარებიან ჩემთა მისწარაფებათა შიშველი და მიუსაფარი ნაშიერები. მე მათ ვერ დავეხსნები უდარდელად და უტკივილოდ.

დღეს სამოსს კი არ ვიხდი, საკუთარი ხელით ვიცვლი კანს.

მე აქ აზრს კი არ ვტოვებ, არამედ გულს, შიმშილითა და წყურვილით მოლმობიერებულ გულს.

და მაინც ვერ შევყოვნდები.

ზღვა, თავისკენ მხმობელი ყოველთა, მიხმობს მეც და უნდა გავწიო.

მართალია, ღამღამობით ჟამი იწვის, დნება, მაგრამ დარჩენა მაინც ნიშნავს გაყინვას, ჩაკირვას, ყალიბში ჩაქვავებას.

სიამოვნებით თან გავიყოლებდი ყველაფერს, რაც აქაა, მაგრამ, აბა, რანაირად?

ხმა თან ვერ წაიტანს ენას და ბაგეებს, რომელთაც ფრთა შეასხეს მას. ხმა მარტო უნდა გაიჭრას ეთერში.

ბუდეს ტოვებს, მარტოდმარტო მიქრის მზისკენ არწივი“.

გორის ძირას ჩავიდა, ისევ გახედა ზღვას და იხილა, რომ ხომალდი ნავმისადგომს უახლოვდებოდა. ბაქანზე შეჯგუფებულიყვნენ მეზღვაურები, მისი ქვეყნის შვილები.

და შეეხმიანა მათ სული მისი და თქვა მან: „ძენო ჩემი პირველდედისა, თქვენ, ტალღებზე მოჯირითენო!

რამდენჯერ მოცურებულხართ ჩემს ზმანებებში. ახლა კი მოხვედით ცხადში, თუმცა ცხადი ჩემთვის სიზმრისა უფრო სიზმარია.

მზად ვარ წამოსასვლელად, აფრებაშვებული ჩემი სწრაფვა ზურგის ქარს ელის.

კიდევ ერთხელ ჩავისუნთქავ ამ ჩაწყნარებულ ჰაერს, კიდევ ერთხელ სიყვარულით მოვიხედავ უკან.

და მერმე ჩავდგები თქვენ შორის, ზღვაოსანი – ზღვაოსანთა შორის.

და შენ, უკიდეგანო ზღვაო, მარად ფხიზელო დედაო!

შენ ერთადერთი ხარ სიმშვიდე და თავისუფლე-ბა მდინარეთა და წყაროთა.

კიდევ ერთხელ გაიკლაკნება ეს ნაკადული, კიდევ ერთხელ ჩაიჩურჩულებს ამ კორდზე.

და მერმე მოვალ შენთან, მე – გარეშეუწერელი წვეთი – მოგაშურებ შენ – გარეშეუწერელ ოკეანეს“.

ალმუსტაფა გაემართა და შორს თვალი მოჰკრა კაცებსა და ქალებს, რომლებიც ყანებიდან და ზვრებიდან ქალაქის ბჭისკენ მოიჩქაროდნენ.

ხმებიც მოესმა. მის სახელს გაჰყვიროდნენ და მინდვრიდან მინდორში ერთმანეთს გასძახოდნენ, ხომალდი გამოჩნდაო.

და მან თავისთვის ჩაილაპარაკა:

„დღე განშორებისა ნეტა ჩემთვის თუ იქნება ჭირნახულის მოწევის დღეც?

თუ ითქმება, რომ ჩემი მწუხრი სინამდვილეში იყო ჩემივე განთიადი?

რას მიიღებს ჩემგან ის, ვინც შუა ხვნაში მია-ტოვა გუთანი და გამოეშურა, ან ის, ვინც ყურძნის ჭყლეტას თავი ანება?

თუ გადაიქცევა ჩემი გული დახუნძლული ხედ, რომ ნაყოფი ჩამოვკრიფო და მათ ვუწილადო?

წყაროსავით თუ გადმოედინება ჩემი მისწრაფებები, რომ სასმისი შევუვსო მათ?

ქნარი თუ ვარ, ყოვლისშემძლის ხელი რომ შემეხოს. ანდა, ნესტვი თუ ვარ, უზენაესის სუნთქვამ რომ გაიაროს ჩემს არსებაში?

მაძიებელი ვარ მდუმარებისა. და მდუმარებაში ისეთ რა საუნჯეს მივაკვლიე, რომ თამამად შევძლო მისი გაცემა? თუ ხვალინდელი დღე ალოობაა ჩემთვის, რომელ მინდვრებში ჩავაბნიე თესლი? და რომელ უხსოვარ დროს ვთესე?

და, თუ ჭეშმარიტად ეს არის ჟამი, როცა მაღლა უნდა აღვმართო ლამპარი, – ჩემი ალი არ აკიაფდება მასში.

ჩემს ჩამქრალ, ცარიელ ლამპარს მაღლა ავწევ. და ღამის გამრიგე ზეთით ამივსებს და ამინთებს მას“.

სიტყვებით ეს ამოთქვა, მაგრამ ბევრი რამ უთქმელად ჩაიტოვა გულში, რადგან უჭირდა თავის ყველაზე უღრმეს საიდუმლოზე საუბარი.

და ქალაქში რომ შევიდა, გამოეფინა სიმრავლე ერისა და ერთხმად შეეგება მას.

ქალაქის უხუცესნი წარუდგნენ და უთხრეს:

„ნუ მოგვეშორები.

ჩვენი მწუხრის ჟამს შენ შუადღე იყავი ჩვენთვის და შენმა სიჭაბუკემ ოცნებები გვიბოძა, რათა ჩვენც გვეოცნება.

შენ არც უცხო ხარ ჩვენ შორის და არც სტუმარი. შენ ძე ხარ ჩვენი, ჩვენი თვისი ხარ და მოყვასი.

ნუ მოგვანატრებ შენს სახეს, თვალები ამოგვიღამდება შენი უნახაობით“.

და უთხრეს მას ქურუმმა მამებმა და ქურუმმა დედებმა:

„ზღვის ტალღები ნუ დაგვაშორიშორებენ და ჩვენთან გატარებულ წლებს ნუ გადააქცევ ოდენ მოგონებად.

ჩვენ შორის დაიარებოდი შენ, სული, და შენი ჩრდილი შუქად გვეფინა სახეზე.

ძლიერ შეგვიყვარდი. მაგრამ უსიტყვო იყო ჩვენი სიყვარული და რიდით იყო შებურვილი.

ახლა კი ჩვენი სიყვარული გაცხადებულა შენ წინაშე და შემოგღაღადებს.

ასეა მუდამ. სიყვარულის ძალა არ შეიცნობა განშორებამდე“.

და მოვიდნენ სხვანიც. ემუდარებოდნენ. არვის შეპასუხებია. თავი ჩაქინდრა მხოლოდ. და მის სიახლოვეს მდგომნი ხედავდნენ, ცრემლები როგორ ეწვეთებოდა მკერდზე.

და ხალხთან ერთად დაიძრა ტაძრისკენ, დიდი მოედნისკენ.

და გამოვიდა წმინდა ტაძრიდან ქალი. სახელი მისი იყო ალმითრა. და იყო იგი ნათელმხილველი. და ალმუსტაფამ დიდი სინაზით აღსავსე მზერა შეაგება მას, რადგან ალმითრა იყო ის, ვინც პირველმა იხილა და აღიარა წინასწარმეტყველი ქალაქში მისი გამოჩენის უმალ.

ქალი მიესალმა და უთხრა:

„უფლის წინასწარმეტყველო, უსაზღვროებას მიელტვოდი და დიდხანს გაჰყურებდი შორეთს ხომალდის მოლოდინში.

ახლა მოვიდა შენი ხომალდი და უნდა გაუდგე გზას.

ძლიერ გენატრება ქვეყანა, რომელიც შენი მოგონებების სამყაროა და შენი დიადი სურვილების სავანეა, ვერც ჩვენი სიყვარული შეგაფერხებს და ვერც ჩვენი გასაჭირი შეგაბრკოლებს.

განშორებამდე ერთს კი გთხოვთ: გვესაუბრე და გვაზიარე ჭეშმარიტებას შენსას.

და ჩვენ მას გადავცემთ ჩვენს შვილებს, და ისინი გადასცემენ თავიანთ შვილებს, და იგი დამკვიდრდება სამარადჟამოდ.

შენს სიმარტოვეში მოცული იყავი ჩვენი დღეებით. ფხიზლობდი და... ყურს უპყრობდი, მძინარენი როგორ ვტიროდით და როგორ ვიცინოდით.

ახლა კი დაგვანახვე ჩვენივე თავი და გვითხარ ყოველივე, რისი ხილვაც მოგენიჭა და რაც ხდება შობიდან სიკვდილამდე“.

და მიუგო მან:

„ორფალესის მკვიდრნო, რა უნდა გითხრათ იმის გარდა, რითაც ახლაც მოცულია თქვენი სულები?“

მაშინ უთხრა ალმითრამ:

„გვესაუბრე სიყვარულზე“.

და მან ასწია თავი და მზერა მიაპყრო კუნძულის მკვიდრთ. სიჩუმემ დაისადგურა. და თქვა მან ხმამაღლა:

„როცა სიყვარული გიხმობთ, – მიჰყევით. თუმცა მისი გზები ძნელია და კლდოვანი.

და, როცა მისი ფრთები შემოგეჭდობათ, – მიენდეთ.

თუმცა ბუმბულში ჩამალულმა მახვილმა ეგებ დაგჭრათ კიდეც.

და, როცა სიყვარული გელაპარაკებათ, – ირწმუნეთ მისი.

სიყვარულის ხმამ ეგებ ოცნებებიც დაგიმსხვრიოთ, სწორედ ისე, ზენაქარი რომ მიწასთან გაასწორებს ხოლმე ბაღნარს.

სიყვარული გვირგვინსაც დაგადგამთ და ჯვარსაც გაცვამთ, კიდეც გაგზრდით და კიდეც გაგსხლავთ.

იგი ააღწევს თქვენს სიმაღლემდე და მიუალერსებს მზეზე მთრთოლარე თქვენს ლორთქო ყლორტებს.

იგი ჩააღწევს მიწაში ჩაზრდილ თქვენს ფესვებამდე და შეძრავს მათ.

სიყვარული თავთუხის ძნასავიც შეგკრავთ და შემოგიმტკიცებთ.

გაგლეწავთ, რათა გაგაშიშვლოთ;

გაგცეხვავთ, რათა ბზე გამოგარიდოთ;
გაგმტკიცავთ, რათა გამოგათეთროთ.
და მერმე მიგანდობთ თავის წმინდა ცეცხლს, რათა სეფისკვერად იქცეთ საუფლო დღესასწაულისთვის.

ყოველივე ამას დაგაწევთ სიყვარული, რათა შეიცნოთ თქვენი გულის იდუმალება და ამ ცოდნით გახდეთ ნაწილი სიცოცხლის გულისა.

მაგრამ, თუ შეშინდით და სიყვარულში ეძიეთ ოდენ სიმშვიდე და სიამე,
მაშინ გიჯობთ, დაფაროთ თქვენი სიშიშვლე და გაერიდოთ სიყვარულის კალოს.
გიჯობთ, გააღწიოთ იქით, სადაც არ არის ჟამთა სვლა; სადაც გაიცინებთ, მაგრამ გულიანად – ვერა; სადაც იტირებთ, მაგრამ გულამოსკვნით – ვერა.
სიყვარული არაფერს გაიღებს და არც არაფერს მიიღებს, თავისი თავის გარდა.
სიყვარული არცა რას ფლობს და ვერც მას ფლობს რაიმე.
რამეთუ სიყვარულისთვის კმა არს სიყვარული.

თუ გიყვართ, ნუ იტყვით: „ღმერთია ჩემს გულში“, უმჯობესია, თქვათ: „მე ვარ ღვთის გულში“.
ნუ იფიქრებთ, რომ შეგიძლიათ წარმართოთ გზანი სიყვარულისანი. სიყვარული თუ ღირსად მიგიჩნევთ, თავად წარმართავს თქვენს გზებს.
სიყვარულს არა აქვს რაიმე სხვა სურვილი, გარდა თვით სიყვარულის სრულქმნისა.

თუ გიყვართ, მაგრამ ვერ შელევიხართ სურვილებს, მაშინ ეცადეთ, რომ გსურდეთ:

გალღვეთ და ემსგავსოთ მორაკრაკე ნაკადულს, თავის ჰანგს რომ უგალობს ღამეს;

შეიცნოთ უსაშველო სინაზით მოგვრილი ტკივილი;

ჭრილობა მოგაყენოთ სიყვარულის თქვენეულმა უნარმა;

სისხლი დაათხიოთ თქვენი სურვილით და ამან სიხარული მოგგვაროთ;

ფრთაშესხმულმა გაიღვიძოთ გამთენიისას და მადლიერი იყოთ სიყვარულის კიდევ ერთი დღისთვის;

შეისვენოთ შუადღისას და სიყვარულის აღმაფრენაზე იფიქროთ;

მწუხრის ჟამს შინ დაბრუნდეთ მადლიერი;

და მერმე ჩაიძინოთ გულში თქვენს სატრფოზე ლოცვით და ბაგეზე – დიდების საგალობლით“.

მერმე ალმითრამ მიმართა და უთხრა: „მოძღვარო, რას იტყვი ქორწინებაზე?“

და მიუგო მან და თქვა:

„თქვენ ერთად იშვით და ერთად იქნებით მარად.

თქვენ ერთად იქნებით მაშინაც, როცა სიკვდილის თეთრი ფრთები გაფანტავს თქვენს დღეებს.

ჰო, თქვენ ერთად იქნებით ღვთის უჩუმარ მეხსიერებაშიც.

იყავით ერთად, ოღონდ დარჩეს თქვენ შორის სივრცე.

დაე, ზეციურმა ქარებმა იქროლონ და ინავარდონ თქვენ შორის.

გიყვარდეთ ერთმანეთი, ოღონდ ბორკილად ნუ გაიხდით სიყვარულს.

დაე, იგი ბობოქარი ზღვა იყოს თქვენი სულების ნაპირთა შორის.

სასმისები შეუვსეთ ერთმანეთს, ოღონდ ნუ შესვამთ ერთი სასმისიდან.

თქვენ-თქვენი პური უწილადეთ ერთმანეთს, მაგრამ ნუ მოკბეჩთ ერთი პურიდან.

იმღერეთ და იცეკვეთ ერთად და გაიხარეთ, მაგრამ იყავით ცალ-ცალკე, როგორც ცალკეა ჩანგის სიმები, თუმცა ერთად თრთიან და ერთ ჰანგს გამოსცემენ.

გული გულს შეუწონეთ, მაგრამ ერთმანეთს საკუთრებად ნუ მისცემთ გულს.

რამეთუ მხოლოდ ხელს სიცოცხლისას შეუძლია ეპყრას თქვენი გულები.

იდექით ერთად, ოღონდ ერთმანეთთან ძალიან ახლოს – არა.

რამეთუ ტაძრის სვეტებიც ცალ-ცალკე დგანან.

მუხა და კვიპაროსი ვერ ხარობენ ერთმანეთის ჩრდილში“.

და ქალმა, რომელსაც ჩვილი ჰყავდა ატატებული, თქვა: „გვითხარი შვილების შესახებ“.

და თქვა მან:

“შვილი არ არის თქვენი საკუთრება.

თქვენი შვილები არიან ძენი და ასულნი თვით სიცოცხლისა, რომელსაც სწყურია სიცოცხლე.

ისინი მოდიან თქვენით, მაგრამ არა – თქვენგან.

და, თუმცა ისინი თქვენთან არიან, არ გეკუთვნიან თქვენ.

შეგიძლიათ მისცეთ მათ თქვენი სიყვარული, მაგრამ თქვენი აზრები – არა.

რამეთუ მათ თავიანთი საკუთარი აზრები აქვთ.

შეგიძლიათ სავანედ გაუხდეთ მათ სხეულს, მაგრამ არა – მათ სულს.

რამეთუ მათი სულები მკვიდრობენ ხვალინდელი დღის სავანეში, რომელსაც თქვენ ოცნებებშიც კი ვერ ეწვევით.

შეგიძლიათ ეცადოთ მათ დაემსგავსოთ, მაგრამ ნუ შეეცდებით დაიმსგავსოთ ისინი.

რამეთუ სიცოცხლე უკან არ იხევს და არც გუშინდელ დღეზე ყოვნდება.

თქვენ ხართ მშვილდი, რომლისგანაც თქვენი შვილები ცოცხალი ისრებივით გაიჭრებიან წინ.

მშვილდოსანი, უფალი ღმერთი, შორს, უსასრულობის ბილიკზე, ხედავს სამიზნეს და იგი მოგზი-

დავთ მძლავრად, რათა ისრები გაიტყორცნონ სწრაფად და გაფრინდნენ შორს.

დაე, სიხარული მოჰყვეს მშვილდოსნის მიერ თქვენს მოზიდვას.

რამეთუ მას უყვარს გაფრენილი ისარიც და-უყვარს შეუძვრელი მშვილდიც”.

მერმე თქვა მდიდარმა: „დაგველაპარაკე წყალობის გაღებაზე“.

და მიუგო მან:

„თქვენ გასცემთ მხოლოდ მცირედს, როცა გასცემთ თქვენი ქონებიდან.

ხოლო გასცემთ ჭეშმარიტად, როცა გასცემთ თქვენივე არსიდან.

რა არის თქვენი ქონება, თუ არა ნივთები, რომელთაც ინახავთ და დაჰკანკალებთ შიშით, რომ ეგებ ხვალ დაგჭირდეთ.

ხვალე კი... რას უქადის ხვალინდელი დღე გეშიან ძაღლს, რომელიც წმინდა ქალაქის მომლოცველებს ასდევნებია და უკანაგზობისთვის ქვიშაში მალავს ძვალს, ქვიშა კი ნაკვალევს შლის.

და რა არის გაღატაკების შიში, ეს ხომ თვით არის სიღატაკე.

ჭა რომ სავსეა და მაინც წყურვილის შიშით ხართ ატანილნი, – განა სწორედ ეს არაა დაუოკებელი წყურვილი?!

ზოგნი გაიღებენ მრავლისაგან მცირედს. და გაიღებენ, რათა სახელი მოიხვეჭონ. და ეს ფარული სურვილი მადლს უკარგავს მათ წყალობას.

არიან ისეთნიც, რომელთაც ცოტა რამ მოეპოვებათ და გასცემენ მთლიანად.

ამათ აქვთ რწმენა სიცოცხლისა, რწმენა სიცოცხლის სიუხვისა, და ამათი კიდობანი არ დაცარიელდება.

ზოგნი გასცემენ სიხარულით და სწორედ ეს სიხარულია საზღაური მათი.

ზოგნი ისე გასცემენ, არც ტკივილი იციან, არც სიხარულს ეძიებენ, არც სიქველეზე ფიქრობენ.

აგერ, მინდორში, მირტი რომ აფრქვევს სურნელებას, ასე გასცემენ ისინი.

ასეთ ადამიანთა ხელებით გვესაუბრება უფალი ღმერთი და ამათი თვალებით უღიმის დედამიწას.

კარგია, მოწყალებას თუ გაიღებთ, როცა გთხოვენ. მაგრამ უმჯობესია, თუ გასცემთ უთხოვნელად, ადამიანს გუმანით თუ მიუხვდებით გასაჭირს.

ხელგაშლილებს წყალობის მომლოდინეთა მიგნება უფრო ახარებს, ვიდრე თვით გაცემა.

ღირს კი რაიმეს დაუნჯება?

ყველაფერი, რაც გაბადიათ, ერთ მშვენიერ დღეს ხომ მაინც უნდა დათმოთ?

ამიტომ გაეცით ახლა, რათა თქვენი იყოს ჟამი მონაგებთა გაცემისა და არა – თქვენთა შთამომავალთა.

ამბობთ ხოლმე: „მივცემდი, ოღონდ მხოლოდ ღირსეულს“.

ასე არ ჩურჩულებენ ხეები თქვენს ხეხილის ბაღებში, არც ცხვარი პეტელებს ასე თქვენს საძოვრებზე.

ისინი გასცემენ, რათა იცოცხლონ, რადგან შენახვა დამღუპველია. ვისაც ღვთისგან ებოძა თავისი დღეები და ღამეები, ჭეშმარიტად ღირსია, რომ ყოველივე დანარჩენი მიიღოს თქვენგან.

ვინც ღირსი გახდა დასწაფებოდა სიცოცხლის ოკეანეს, იგი იმის ღირსიცაა, რომ თასი შეივსოს თქვენი პატარა ნაკადულიდან.

საბოძვრის მიღება თამამად, ნდობითა და სათნოებით განა უდიდესი ღირსება არაა?!

ვინა ხართ თქვენ, რომ ადამიანებმა მკერდი მოიღეღონ, სიამაყის საბურველი შემოიძარცვონ და თქვენ წინაშე წარმოდგნენ ღირსებაშელახულნი და პატივაყრილნი?

ჯერ დაფიქრდით, თავად თქვენ თუ ხართ ღირსნი, რომ გასცეთ საბოძვარი, თუ დაიმსახურეთ, იყოთ იარაღი წყალობისა.

რამეთუ სინამდვილეში სიცოცხლე უბოძებს სიცოცხლეს. თქვენ კი მწყალობლად მიგაჩნიათ თავი, თუმცა ოდენ მოწმე ხართ წყალობისა.

და თქვენ, მოწყალების მიმღებნო (არადა, თქვენ ხომ ყველას გეძლევათ წყალობა), მადლიერებით თავს ნუ დაიმძიმებთ, ნუ დაიდგამთ უღელს და ნურც წყალობის გამღებს დაადგამთ მას.

გიჯობთ, მბოძებელთან ერთად ამაღლდეთ მისი საბოძვრით, როგორც ფრთებით.

თავი თუ მეტისმეტად დავალებულად მიიჩნიეთ, ჩანს, ეჭვი შეგეპარათ იმის დიდსულოვნებაში, რომლის დედაა უხვი მიწა, ხოლო მამაა უფალი ღმერთი“.

მერმე თქვა ბერიკაცმა, ფუნდუკის მეპატრონემ: „გვითხარი საჭმელ- სასმელზეც“.

და მიუგო მან:

„ნეტა შეგძლებოდათ მიწის სურნელით გეცოცხლათ, მცენარეებივით ჰაერით გეხარათ და სინათლის შუქს გამოეკვებეთ.

რომ ჭამოთ, უნდა მოკლათ. წყურვილი რომ დაიოკოთ, ახალშობილს უნდა შეეცილოთ დედის რძეში. რაკი ასეა. დაე, ეს იყოს ღვთისმსახურება.

თქვენი ტაბლა, დაე, იყოს საკურთხეველი, რომელზეც ტყეთა და ველთა წმინდა და უბიწო ბინადარნი მსხვერპლად შეეწირებიან იმას, რაც კიდევ უფრო წმინდა და უბიწოა ადამიანში.

პირუტყვს რომ კლავ, თქვი გუნებაში:

„შენი მომკვლელი ძალა მეც მომკლავს, მეც შთავინთქმები.

რამეთუ კანონი, რომლის ძალითაც შენ ჩემს ხელთა ხარ, მეც ჩამაგდებს უფრო ძალმოსილთა ხელში.

სისხლი შენი და სისხლი ჩემი ოდენ სასიცოცხლო წვენია, რომელიც ასაზრდოებს ზეციურ ხეს“.

ვაშლს რომ ჩაკბეჩ, გუნებაში თქვი:

„შენი თესლი იცოცხლებს ჩემს სხეულში.

და კვირტები შენი ხვალინდელი დღისა გაიფურჩქნება ჩემს გულში.

შენი სურნელი ჩემს სუნთქვად იქცევა.

და ერთად გავიხარებთ წელიწადის ყოველ დროს“ .

შემოდგომაზე ზვრებში მტევნებს რომ ჩამოკრეფ საწნახელში დასაწურავად, თქვი შენს გულში:

„მეც ვარ ვენახი, ჩემი ნაყოფიც მოიწევა და ჩაიცლება საწნახელში.

და მეც მაჭარივით ადგილს მიმიჩენენ სამარადისო ჭურჭელში“.

და ზამთარში, ღვინოს რომ ამოხაპავ, დაე, შენს გულში ყოველი ფიალისთვის ჟღერდეს საგალობელი.

დაე, იყოს ამ საგალობელში ხსოვნა შემოდგომის დღისა, ხსოვნა ვენახისა, ხსოვნა საწნახლისა“.

მერმე მხვნელმა თქვა: „გვესაუბრე შრომა-გარჯის შესახებ“.

და მან უპასუხა და უთხრა:

„თქვენ შრომობთ, რათა შეეწყოთ მიწას და შეეთვისოთ სულს მიწისას.

რამეთუ უქნარობა გაგაუცხოებთ წელიწადის დროთაგან და გაგრიყავთ სიცოცხლის მდინარებისაგან, რომელიც მარადისობისკენ მიემართება უდრტვინველად, დიადად, ღირსებით.

როცა შრომობთ, თქვენა ხართ ნესტვი, რომელშიც ჰანგად გარდაიქმნება ჟამთასვლის ჩქამი.

რომელი თქვენგანი ინებებს უტყვ და უსმინარ ლერწმად დარჩენას, როცა ირგვლივ ყველაფერი შეხმატკბილებულად გალობს?!

მუდამ გეუბნებოდნენ, რომ ჯაფა ღვთის რისხვაა, რომ შრომა უბედურებაა.

ხოლო მე გეტყვით თქვენ: როცა შრომობთ, თქვენ ხორცს ასხამთ მიწის ოდინდელ ოცნებას, თქვენთვის გამიზნულს თვით ოცნების დასაბამითვე.

შრომაში ჩართულთ ნამდვილად გიყვართ სიცოცხლე.

ჯაფითა და გარჯით სიცოცხლის შეყვარება – ესაა სიცოცხლის წმიდათაწმიდა იდუმალებაში შეღწევა.

ხოლო თუ თქვენ იტანჯებით, გაჩენის დღეს წყევლით და სხეულზე ზრუნვას მიიჩნევთ ღვთის

რისხვად, თქვენს შუბლზე დაღად აღბეჭდილად, მაშინ გეტყვით: მხოლოდ ოფლი პირისა თქვენისა წარეცხავს იმას, რაც შუბლზე გაჩნიათ დაღად.

გითხრეს აგრეთვე, რომ სიცოცხლე სიბნელეა. დაიქანცებით და იმასვე იმეორებთ, რასაც ამბობ-დნენ სხვა დამაშვრალნი.

ხოლო მე გეტყვით თქვენ: მისწრაფების გარეშე სიცოცხლე ნამდვილად სიბნელეა.

და ყოველგვარი სწრაფვა ბრმაა ცოდნის გა-რეშე.

და ყოველგვარი ცოდნა ამაოა შრომის გარეშე.

და ყოველგვარი შრომა ფუჭია სიყვარულის გარეშე.

და, როცა სიყვარულით შრომობთ, უახლოვ-დებით საკუთარ თავს, უახლოვდებით ერთმანეთს და ღმერთს.

რა არის სიყვარულით შრომა?

ესაა – სამოსი ქსოვოთ თქვენი გულიდან ამოხ-ლართული ძაფით, თითქოს თქვენი სატრფოს შე-სამოსელი იყოს.

ესაა – სახლი აშენოთ საგულდაგულოდ, თითქოს თქვენი სატრფოს სამკვიდრებელი იყოს.

ესაა – თესლი მუყაითად თესოთ და ჭირნახული ხალისით მოიწიოთ, თითქოს თქვენი სატრფოს სარჩო იყოს.

ესაა – ყოველგვარ თქვენს ნახელავში ჩატოვოთ სუნთქვა თქვენი სულისა.

და თან იცოდეთ, რომ ნეტარი მიცვალებულები გარს შემოგჯარვიან და შემოგცქერიან.

ბევრჯერ მსმენია თქვენი ნათქვამი, თითქოს ძილში ბუტბუტებდით: „იგი, ვინც მარმარილოს აქანდაკებს და საკუთარი სულის ხატებას პოულობს ქვაში, კეთილშობილებით აღემატება მიწის მხვნელს.

და იგი, ვინც ცისარტყელას მოხელთებას ლამობს, რათა ტილოზე გადაიტანოს და ადამიანს მიამსგავსოს, აღემატება მას, ვინც ხამლს კერავს ჩვენთა ფეხთათვის".

ხოლო მე გეტყვით თქვენ: მხოლოდ ძილში კი არა, შუადღისას, დიდი სიფხიზლის ჟამსაც, ქარი ისევე ტკბილად ეჩურჩულება ბალახის პაწია წბილას, როგორც ტანმაღალ მუხას.

მხოლოდ იგია დიადი, ვინც ქარის ხმიანობას საამურ ჰანგად გარდაქმნის და თავისი სიყვარულით ატკბობს.

შრომა თვალით სახილველი სიყვარულია.

სიყვარულით შრომა თუ არ ძალგიძთ, ზიზღით თუ შრომობთ, ჯობს თავი ანებოთ ჯაფას, დასხდეთ ტაძრის კარიბჭესთან და მოწყალება ითხოვოთ იმათგან, ვინც ხალისით შრომობს.

რამეთუ უგულოდ თუ აცხობთ, მწარე იქნება თქვენი პური და შიმშილს ვერ დაუოკებს ადამიანს.

დაბოღმილი თუ წურავთ ყურძენს, ეგ თქვენი ბოღმა შხამად ჩაიწრიტება ღვინოში.

ანგელოზივით რომც გალობდეთ, სიმღერა თუ არ გიყვართ, ყურს დაუხშობთ ადამიანებს, ვეღარ გაიგონებენ ხმებს დღისას და ხმებს ღამისას".

მერმე თქვა ქალმა: „გვითხარი რამე სიხარულისა და სევდის შესახებ”.

და მიუგო მან:

„თქვენი სიხარული ნიღაბჩამოხსნილი თქვენივე სევდაა.

და სწორედ ის წყარო, რომლიდანაც თქვენი სიცილი ამოირხევა, ბევრჯერ შეტბორებულა თქვენივე ცრემლით.

აბა, სხვაგვარად როგორ იქნებოდა?

რაც უფრო ღრმად შემოიჭრება სევდა თქვენს არსებაში, მით უფრო მეტ სიხარულს დაიტევთ.

ღვინით სავსე ეგ თქვენი ფიალა ჯერ მეთუნის ქურაში არ გამოიწვა?

ჩანგი, რომლის ხმიანობა სულს გიამებთ, დანით არ გამოითალა ხისგან?

სიხარული რომ აგიტანთ, ღრმად ჩაიხედეთ გულში და მიხვდებით: რაც სევდას გგვრიდათ, იმანვე გაგახარათ.

სევდა რომ შემოგაწვებათ, კვლავ ჩაიხედეთ გულში და ნახავთ: ტირით იმისთვის, რაც სიხარულს განიჭებდათ.

ზოგი თქვენგანი ამბობს: „სიხარული სევდაზე ძლიერია“. სხვანი ამბობენ: „არა, სევდაა უფრო ძლიერი“.

ხოლო მე გეტყვით თქვენ: ისინი გაუთიშველნი არიან.

ერთად მოდიან და ერთი როცა თქვენს სუფრას თან ილხენს, მეორეს სძინავს თქვენს სარეცელზე.

თქვენ ჭეშმარიტად სასწორის პინებივით ირწევით სევდასა და სიხარულს შორის.

როცა დაცლილნი ხართ, მაშინ ხართ მშვიდნი და გაწონასწორებულნი.

საგანძურის გამრიგე როცა აგზიდავთ თავისი ოქრო-ვერცხლის ასაწონად, მაშინ უეჭველად ან აიწევა, ან დაიწევა თქვენი სიხარული და თქვენი სევდა-ნაღველი“.

მაშინ წამოიმართა ქვის მთლელი და თქვა: „გვეს-საუბრე სახლების შესახებ“.

და მიუგო მან და უთხრა:

„ვიდრე ქალაქის გალავნის შიგნით ააგებდეთ სახლს, თქვენს წარმოსახვაში უკაცრიელ ადგილას აღმართეთ სავანე.

რამეთუ შეღამებულზე, როცა შინ ბრუნდებით, თქვენს არსებაში სწორედ ასევე ბრუნდება მოხეტიალე მწირი, მარად შორეული და მარტომყოფი.

თქვენი სახლი თქვენივე სხეულია, ოღონდ – ბევრად დიდი. მას ზმანებებიც აქვს. განა არ ხედავს სიზმრებს თქვენი სახლი? და განა ზმანებებში არ გაეცლება ქალაქს, არ მიაშურებს ტყეჭალებს ან მწვერვალებს მთისას?

თქვენი სახლების მუჭში მოგროვება რომ შემძლებოდა, მე მათ მთესველივით მიმოვფანტავდი ტყეებსა და ველებზე.

მინდვრები რომ თქვენი ქუჩები ყოფილიყო, აბალახებული ბილიკები კი – თქვენი ხეივნები, მაშინ ერთმანეთს მიაკვლევდით ზვრებში და მიწის სურნელი აუვიდოდა თქვენს სამოსს.

მაგრამ ამას აღსრულება არ უწერია.

შიშით დაზაფრულმა თქვენმა მამა-პაპამ ერთად მოგიყარათ თავი. და ეგ შიში ერთხანს კიდევ გასტანს. ქალაქის გალავანი ერთხანს კიდევ დააშორიშორებს თქვენს კერიებსა და თქვენს ხოდაბუნებს.

მითხარით, ორფალესის მკვიდრნო, რა გაქვთ მაგ თქვენს სახლებში დაუნჯებული?

თუ გაქვთ სიმშვიდე, უშფოთველი სწრაფვა, რაც თქვენს ძლიერებას მოასწავებს?

თუ გაქვთ მოგონებები, – ეს მოციმციმე ცისარტყელები, აზრის მწვერვალებს რომ აკავშირებენ ერთმანეთთან?

თუ გაქვთ მშვენიერება, რომელიც ხისა და ქვისგან ნაკეთები ნივთებიდან გაუძღვება გულს წმინდა მთისკენ?

მითხარით, თუ გაქვთ ეს ყველაფერი თქვენს სახლებში?

ეგებ მხოლოდ კეთილდღეობა გაქვთ, – ეს შემპარავი რამ, ჯერ მორცხვი სტუმარივით რომ შემოიძურწება სახლში, მერმე მასპინძლად რომ გაგიხდებათ, ბოლოს კი – ბატონ-პატრონად.

ჰო, კეთილდღეობა თქვენი მომთვინიერებელი ხდება და თავისი მარწუხებითა და შოლტებით, სათამაშო ტიკინებად გარდასახავს თქვენს დიად სურვილებს.

კეთილდღეობას აბრეშუმივით რბილი ხელები აქვს, გული კი – ქვისა.

იგი გინანავებთ, რათა მიაძინოს თქვენი სული, თვითონ კი სასთუმალთან აგეტუზოთ და მასხრად აიგდოს ღირსება თქვენი სხეულისა.

იგი დასცინის თქვენს გონივრულ აზრებს და მათ ბაბუაწვერას ბუსუსებით ფარავს, თითქოს სათუთად ფუთავდეს უნატიფეს ლარნაკს.

კეთილდღეობის წადილი ჭეშმარიტად კლავს სწრაფვას სულისას და მერმე თვითონ ქილიკით მიუყვება მის სამგლოვიარო პროცესიას.

თქვენ კი, სივრცეთა შვილებო, სიმშვიდის ჟამსაც მშფოთვარენო, თქვენ ვერც მახეში გაგაბამენ, ვერც მოგათვინიერებენ.

თქვენი სახლი ღუზა კი არა, – ანძა უნდა იყოს.

თქვენი სახლი ჭრილობაზე პირმოსაკრავად წასაფარებელი თხელი აპკი კი არა, – ქუთუთო უნდა იყოს, თვალის დამზოგავი.

ფრთების დაკეცვა არ უნდა დაგჭირდეთ, რომ კარში გაეტიოთ; თავის დადრეკა არ უნდა მოგიხდეთ, რომ ჭერს არ აარტყათ; სუნთქვის შეკავება არ უნდა მოგიწიოთ, რომ კედლები არ დაიბზაროს და არ ჩამოიშალოს.

თქვენ არ უნდა იცხოვროთ მკვდრების მიერ ცოცხალთათვის გათხრილ სამარეში.

უდიდებულესი და უბრწყინვალესი რომც იყოს თქვენი სახლი, მაინც ვერ დაიტევს თქვენს საიდუმლოს, ვერ მოიცავს თქვენს მისწრაფებებს.

რამეთუ ის, რაც ზღვარდაუდებელია თქვენს არსებაში, სუფევს ზეციურ სრა-სასახლეში, რომლის კარიბჭეა დილის ნისლი, რომლის სარკმლებია ჰანგი ღამეული და სიჩუმე ღამისა”.

და თქვა ფეიქარმა: „გვითხარი სამოსის შესახებ”.

და მიუგო მან:

„თქვენი სამოსი ფარავს თქვენს მშვენიერებას და არ მალავს იმას, რაც თქვენში არ არის მშვენიერი.

სამოსელში თქვენ ეძიებთ თავის შემოზღუდვით მოგვრილ თავისუფლებას, მაგრამ სამოსელი შეიძლება გახდეს აღვირი და ბორკილი თქვენი.

ნეტა შეგძლებოდათ, სამოსზე მეტად თქვენი კანი შეგეგებებინათ მზისა და ქარისთვის.

რამეთუ მზის შუქი სიცოცხლის სუნთქვაა და ქარი სიცოცხლის ხელებია.

ზოგი თქვენგანი ამბობს: „ზენაქარის ნახელავია ჩვენი შესამოსელი”.

ხოლო მე გეტყვით თქვენ: დიახ, ზენაქარმა მოგიქსოვათ.

მაგრამ სირცხვილი ჰქონდა საქსოვ დაზგად და დუნე მყესები – ძაფად.

საქმე რომ გაასრულა, ტყეში ხორხოცობდა ქარი.

გახსოვდეთ, რომ სიმორცხვე ფარის მაგიერია, უკეთურთა თვალთაგან გიფარავთ.

და, როცა უკეთურება აღიგვება, რისი მაქნისი იქნება სიმორცხვე? იგი ხომ დაბორკვა და დაბინდვაა გონებისა?!

გახსოვდეთ, მიწას სიამოვნებს, შიშველი ფეხებით რომ ეხებით, და ქარებს უხარიათ თქვენს თმებთან შეთამაშება”.

და უთხრა ვაჭარმა: „გვესაუბრე ყიდვა-გაყიდვაზე“.

და მიუგო მან და თქვა:

„ნიადაგი თავის ნაყოფს გთავაზობთ და არ დაიმშევით, თუ გეცოდინებათ, მიწის ხვავით როგორ აივსოთ პეშვი.

მიწისგან ბოძებულს გაცვლით და მოიპოვებთ შეძლებას, კმაყოფილებას.

აღებმიცემობას თუ სიყვარული, სიკეთე და სამართლიანობა არ ახლავს, ზოგს სიხარბემდე მიიყვანს, ზოგს – შიმშილამდე.

თქვენ, მებადურნო, მხვნელ-მთესველნო, მევენახენო! – ბაზრის მოედანზე როცა შეხვდებით ფეიქართ, მეთუნეთ, მენელსაცხებლეთ, – მაშინ მოუხმეთ მიწის დიად სულს, რათა ჩადგეს თქვენ შორის, გიკურთხოთ სასწორის პინები და დაგილოცოთ ანგარიში, რათა ფასი ფასს შეეწონოს.

თქვენს გარიგებებში ნუ გაიკარებთ ხელცარიელთ, რომელნიც თქვენი ნაშრომ-ნაჯაფის საფასურს ცარიელი სიტყვებითა და დაპირებებით იხდიან.

ასეთ ადამიანებს უნდა უთხრათ:

„გამოგვყევით მინდვრებში, ან გაჰყევით ჩვენს ძმებს ზღვაში და მოისროლეთ ბადე.

მიწა და ზღვა თქვენთვისაც ისევე იქნება გულუხვი, როგორც ჩვენთვისაა“.

და, თუ ბაზრობაზე მოვლენ მგალობელნი, მროკველნი, მესტვირენი, – მათი შემოძლეულიც შეიძინეთ.

ისინიც მოიწევენ ჭირნახულს და აგროვებენ საკმეველს. და, რასაც ისინი გთავაზობენ, მართალია, ოცნებებისგან არის შეთხზული, მაგრამ სამოსელი და საზრდოა თქვენი სულისთვის.

ვიდრე ბაზარს დატოვებდეთ, დააკვირდით, შინ ხომ არავინ გაბრუნდა ხელცარიელი.

რამეთუ მიწის დიადი სული ქარში მშვიდად ვერ მოისვენებს, ვიდრე არ დაკმაყოფილდება უკანასკნელი თქვენგანიც კი.

მერმე წამოდგა ქალაქის მოსამართლე და თქვა:

„გვითხარი რამე დანაშაულისა და სასჯელის შესახებ“.

და მიუგო მან და უთხრა:

„თქვენი სული როცა ქარში დაძრწის, მაშინ თქვენ, მიტოვებულნი და დაუცველნი, სიავეს სჩადიხართ სხვების მიმართ და, ამდენად, საკუთარი თავის მიმართაც.

და ამ შეცოდებათა გამო მიუკაკუნებთ ბჭეს კურთხეულისას, მაგრამ ლოდინი მოგიწევთ, ვერ შეგნიშნავენ.

ოკეანის მსგავსია თქვენი ღვთაებრივი არსი.

მარად უბიწოა იგი.

ღვთაებრივი ეთერის მსგავსად, იგი აღამაღლებს მხოლოდ და მხოლოდ ფრთაშესხმულთ.

მზის მსგავსიც არის თქვენი ღვთაებრივი არსი.

მან არც თხუნელას გათხრილი გზები იცის, არც – გველის სორო.

მაგრამ მხოლოდ ღვთაებრივი „მე“ არაა დავანებული თქვენს არსებაში.

ბევრი რამ თქვენში უკვე ადამიანია, ბევრი რამ თქვენში ჯერ კიდევ არ არის ადამიანი. უგვანი ჯუჯაა, რომელიც რულმორეული დაბორიალობს ნისლში და ცდილობს გაღვიძებას.

თქვენში რომ ადამიანია, ახლა იმაზე მინდა გითხრათ.

რამეთუ სწორედ მან იცის, და არა თქვენმა ღვთაებრივმა არსმა ან ჯუჯამ, რა არის დანაშაული და რა არის სასჯელი.

ბევრჯერ მსმენია თქვენი საუბარი ავისმქმნელთა შესახებ, თითქოს სიავის ჩამდენი ერთი თქვენგანი კი არა, არამედ ვიღაც უცხო ყოფილიყოს, თქვენს სამყაროში შემოჭრილი ვიღაც მოძალადე.

ხოლო მე გეტყვით თქვენ: უბიწონი და მართალნი ვერ ამაღლდებიან ყოველ თქვენგანში დავანებულ უზენაესზე მაღლა.

ასევე, ბოროტნი და ლაჩარნი ვერ დაეცემიან ყოველ თქვენგანში დავანებულ უმდაბლესზე დაბლა.

და ერთი ფოთოლიც კი ვერ გაყვითლდება მთელი ხის უჩუმარი დასტურის გარეშე;

თქვენ ყველანი ერთად, ერთიან ნაკადად მიემართებით თქვენი ღვთაებრივი არსისკენ.

თქვენ ხართ გზა და თქვენვე ხართ მგზავრი.

და, როცა ერთი თქვენგანი წაიქცევა, იგი ეცემა იმათ ნაცვლად, ვინც მის უკან მიაბიჯებს. ეს გაფრთხილებაა, რომ სხვებმა არ წაიფორხილონ.

დიახ, იგი ეცემა იმათ გამოც, ვინც წინ გაიჭრა მტკიცე, სწრაფი ნაბიჯით და ლოდი შებრკოლებისა არ ჩამოიცილა გზიდან, არ მოისროლა ქვა, რომელზეც წაიბორძიკებდით.

და კიდევ გეტყვით, თუმცა ჩემი სიტყვები გულს დაგიმძიმებთ:

მოკლულსაც მიუძღვის ბრალი მკვლელობაში;

გაძარცულიც ბრალეულია ძარცვაში;

უბიწოთა წილიც ურევია ავისმქმნელთა სიავეში;

და მართალი, რომლის ხელები სუფთაა, მონაწილეა ავაზაკის დანაშაულისა.

დიახ, დამნაშავე ხშირად მსხვერპლია შეურაცხყოფილისა.

მსჯავრდებულს ხშირად მიუსჯიან ხოლმე უდანაშაულოთა და უბრალოთა გამო.

თქვენ ვერ გათიშავთ სამართალს უსამართლობისგან,

სიკეთეს – ბოროტებისგან.

მზის წინაშე ისინი ერთად არიან წარმდგარნი, ერთად, – როგორც შეგრეხილ-შეწვერილი შავი და თეთრი ძაფი.

და როცა შავი ძაფი წყდება, მქსოველი ქსელს შეავლებს თვალს და საქსოვ დაზგასაც შეათვალიერებს.

სამსჯავროზე ვინმე თუ წარადგენს მოღალატე ცოლს, მანვე სასწორის პინაზე დადოს გული იმ ქალის ქმრისა და იმავე საზომით გაზომოს სული მისი.

ვისაც გასაშოლტად ემეტება შეურაცხმყოფელი, მან შეურაცხყოფილის სულშიც ჩაიხედოს.

რომელიმე თქვენგანი თუ მიიჩნევს, რომ სამართლიანია უნაყოფო ხის მოკვეთა, და ნაჯახს მოუქნევს, დაე, დახედოს ამ ხის ფესვებსაც.

და იგი ჭეშმარიტად იხილავს ხის ჯანსაღ ფესვებსაც და უვარგისსაც, სასიკეთოსაც და გამოუსადეგარსაც, – ერთმანეთში გადახლართულს მიწის მდუმარე გულში.

და თქვენა ხართ მსაჯულნი და სამართლიანობა გმართებთ.

რა განაჩენს გამოუტანთ მას, ვინც სხეულით უბიწოა, სულით კი ბიწიერი?

რა სასჯელს დაუწესებთ მას, ვინც კლავს სხეულს, თავად მას კი სული მოუკლეს?

და როგორ განსჯით მას, ვინც ცრუა და მოძალადე, ოღონდ, ამასთან ერთად განაწყენებულია და შეურაცხყოფილი?

და როგორ დასჯით მათ, რომელთა სინანული ბევრად აღემატება მათსავე ცოდვებს?

განა თვით სინანული არ არის სამართალი, დაფუძნებული იმ კანონზომიერებაზე, რომელსაც სიამოვნებით დაემორჩილებოდით?

მართალ კაცს თქვენ ვერ დააკისრებთ სინდისის ქენჯნას, ვერც დამნაშავეს აუკრძალავთ სინანულს.

სინანულს მოპატიჟება არ სჭირდება. იგი უჩუმარ ღამეში დაიწყებს ხმობას, რათა გაიღვიძონ ადამიანებმა, გამოფხიზლდნენ და ჩაიხედონ თავიანთ სულში.

და თქვენ, სიმართლის მაძიებელნო, რას იზამთ, როგორ გაირჯებით, ვიდრე ღვთაებრივი ნათლის შუქზე არ იხილავთ ყოველ ნამოქმედარს?

მხოლოდ მაშინ შეიტყობთ, რომ ამაღლებულიცა და დაცემულიც ერთი და იგივე ადამიანია და გაჩხერილია თავისი მიწიერი ჯუჯა არსის ღამესა და ღვთაებრივი არსის დღეს შორის.

და ასევე შეიტყობთ, რომ ტაძრის ლოდი თავსაკიდურთა არ არის უფრო აღმატებული, ვიდრე ბალავრის ყველაზე ქვედა ლოდი”.

მერმე თქვა კანონმდებელმა: „მოძღვარო, რას იტყვი ჩვენს კანონებზე?“

და მიუგო მან:

„თქვენ სიამეს გგვრით კანონის დაწესება.

და მაინც, უფრო გსიამოვნებთ მისი დარღვევა.

ბალღებს ჰგავხართ, ოკეანის ნაპირას გულმოდგინედ რომ აგებენ ქვიშის კოშკებს და მერმე სიცილ-კისკისით რომ ანგრევენ.

მაგრამ ვიდრე აშენებთ ქვიშის კოშკებს, ოკეანე უფრო და უფრო მეტ ქვიშას ახვავებს ნაპირზე.

და, როცა ანგრევთ თქვენსავე აგებულს, ოკეანე იცინის თქვენთან ერთად.

ჭეშმარიტად, ოკეანე ყოველთვის იცინის უბიწოებთან ერთად.

მაგრამ რა გვეთქმის იმათ შესახებ, ვისი ცხოვრებაც არ არის ოკეანე და ვისთვისაც კაცთაგან შეთხზული კანონები არ არის ქვიშის კოშკები? ვისთვისაც ცხოვრება სალი კლდეა, კანონი კი – საჭრეთელი,

რომლითაც კლდიდან თავისი ხატება უნდა გამოკვეთოს ადამიანმა?

რა გვეთქმის ხეიბარზე, რომელსაც სძულს მოცეკვავენი?

რა გვეთქმის ხარზე, რომელსაც უყვარს თავისი უღელი და ჰგონია, რომ ლოსი და ირემი უმაქნისნი არიან და უქმად დაყიალებენ?

რა გვეთქმის ბებერ გველზე, რომელსაც ტყავის წაძრობაც აღარ შეუძლია და დანარჩენ გველებს შიშველ-ტიტველ ურცხვ არსებებად მიიჩნევს?

და რაღა გვეთქმის იმაზე, ვინც ქორწილში ადრე მივა, ამოიყორება, გაყეყილი გაუყვება თავის გზას და თან იტყვს, რომ ყველა წვეულება უწესობაა და ყველა წვეული კანონის დამრღვევია.

რა გითხრათ ამათზე? ისღა დამრჩენია, ვთქვა, რომ ისინიც დგანან მზის ნათელში, ოღონდ მზისთვის ზურგი აქვთ შექცეული.

ისინი მხოლოდ თავ-თავიანთ ჩრდილებს ხედავენ და მათთვის სწორედ ეს ჩრდილებია კანონი.

და რა არის მათთვის მზე? ჩრდილთამფენია ოდენ.

და რა არის მათთვის კანონის აღიარება, თუ არა წახრა და მიწაზე საკუთარი ჩრდილის შემოხაზვა.

ხოლო თქვენ, მზისკენ პირმიქცეულნი რომ დაიარებით, მიწაში ჩახატულმა რა ხატმა უნდა შეგაფერხოთ?

თქვენ, ქართან ერთად მოთარეშენო, რა ფლიუგერმა უნდა გაგაკვლევინოთ გეზი?

ქედიდან თუ გადაიგდებთ უღელს, კაცთაგან დაწესებული რა კანონი შეძლებს თქვენს შებოჭვას?! ოღონდ რომელიმე დილეგის კართან ნუ იქმთ ამას.

რა კანონი დაგაშინებთ, თუ იცეკვებთ და ილაღობებთ?! ოღონდ დაბორკილი ადამიანის რკინის ხუნდებზე ნუ წაიფორხილებთ.

ვინ წარგადგენთ სამსჯავროზე, სამოსს თუ შემოიძარცვავთ?! ოღონდ სავალ გზას ნუ ჩაუხერგავთ ვინმეს.

ორფალესის მკვიდრნო, თქვენ შეგიძლიათ ჩაახშოთ დოლის ბრაგუნი, შეგიძლიათ მოადუნოთ ქნარის სიმები. მაგრამ გალობას ვინ აუკრძალავს ტოროლას?!“

და თქვა მჭევრმეტყველმა: „გვესაუბრე თავისუფლებაზე“.

და მიუგო მან:

„ქალაქის კარიბჭესთანაც და თქვენს კერიასთანაც მინახავხართ, პირმიწაგაერთებულნი თაყვანს რომ სცემდით თქვენსავე თავისუფლებას,

მონები სწორედ ასე არიან ქედდადრეკილნი და განადიდებენ ტირანს, თუმცა იგი ხოცავს მათ.

დიახ, ტაძრის წმინდა კორომშიც და ციხე-დარბაზის ჩრდილშიც მიხილავს, თქვენ შორის ყველაზე თავისუფალთაც კი უღლად და ხელბორკილად რომ ჰქონდათ თავისუფლება.

გული მომეწურა. თქვენ მხოლოდ მაშინ იქნებით თავისუფალნი, როცა თვით სურვილი თავისუფლების მოპოვებისა აღვირს ამოგდებთ, როცა შეწყვეტთ საუბარს თავისუფლებაზე, როგორც მისაღწევსა ან მიღწეულზე.

ჭეშმარიტად თავისუფალი მაშინ კი არ იქნებით, როცა თქვენს დღეებს მოაკლდება საზრუნავი, თქვენს ღამეებს კი – დარდი და გასაჭირი – არამედ, როცა ეს ყველაფერი თავს დაგატყდებათ, მაგრამ თქვენ, გაშიშვლებულნი და ბორკილთაგან თავდახსნილნი, ამაღლდებით ყოველივე ამაზე.

და როგორ ამაღლდებით თქვენს დღეებსა და ღამეებზე, ვიდრე არ დაამსხვრევთ იმ ჯაჭვებს, რომლებითაც თქვენი ცნობიერების გარიჟრაჟზევე

თვითონვე დაბორკეთ თქვენი სიცოცხლის შუადღის ჟამი?

სინამდვილეში, რასაც თქვენ თავისუფლებას არქმევთ, ყველაზე მაგარი ჯაჭვია, თუმც მისი რგოლები მზეზე ბზინავენ და თვალსაც გჭრიან.

და რას უნდა შეელიოთ თავისუფლების მისაღწევად, თუ არა ნაწილს თქვენივე საკუთარი არსისა?

თუ ეს უსამართლო კანონია და სიამოვნებით გააუქმებდით, იცოდეთ, რომ ეს კანონი თქვენი საკუთარი ხელითაა გამოსახული თქვენსავე შუბლზე.

მას ვერ ამოშანთავთ კანონთა წიგნების დაწვით, მას ვერც თქვენი მოსამართლეების შუბლიდან გადარეცხავთ, მთელი ზღვაც რომ ზედ მიუქივლოთ.

და თუ ეს კანონი არის ტირანი, რომლის დამხობასაც ისურვებდით, ჯერ დაფიქრდით, დანგრეული თუა თქვენს არსებაში აღმართული ტახტი ტირანისა.

რამეთუ ტირანი როგორ იბატონებს თავისუფალთა და ამაყთა ზედა, თავად მათსავე თავისუფლებაში რომ არ იყოს ტირანია და მათ სიამაყეში რომ არ ერიოს დამცირება?

და თუ ეს საზრუნავია, რომლისგანაც თავის დაღწევას ინდომებდით,– იგი თქვენი არჩეულია და თავზე არავის მოუხვევია თქვენთვის.

და თუ ეს შიშია, რომლის დაძლევასაც ინდომებდით, იგი თქვენს გულშია ჩაბუდებული და არა – თქვენი დამთრგუნველის ხელში.

ჭეშმარიტად, თქვენს არსებაში ყველაფერი იძვრის, ერთმანეთშია გადახლართული სასურველი

და საშინელი, სანუკვარი და საზიზღარი, – ყველაფერი, რისკენაც მიილტვით და რისგანაც თავის დაღწევას ლამობთ.

ეს ყოველივე ირევა თქვენში, როგორც შუქი და ჩრდილი, ერთმანეთთან წყვილად შეტმასნილი.

და როცა ჩრდილი იცრიცება და მკრთალდება, მაშინ შუქი იკლებს, ბჟუტავს და სხვა ნათლის-ჩრდილად იქცევა.

და ასევეა თქვენი თავისუფლებაც: როცა თავისუფლება იცილებს ბორკილებს, თვით იქცევა უფრო დიადი თავისუფლების ბორკილად“.

და კვლავ თქვა ქურუმმა ქალმა: „გვითხარი გონებისა და გრძნობის შესახებ“.

და მიუგო მან და თქვა:

„თქვენი სამშვინველი ხშირადაა ბრძოლის ველი, სადაც თქვენი ჭკუა-გონება ებრძვის თქვენსავე გრძნობა-სურვილებს.

ნეტა შემეძლოს, მშვიდობა მოვფინო თქვენს სამშვინველს, ნეტა შემეძლოს თქვენთა ნაწილთა შუღლი და აშლილობა ერთობად და საამურ ჰანგად გარდავქმნა!

მაგრამ, აბა, ამას რანაირად შევძლებ, თქვენ თვითონ თუ არ გახდით მშვიდობისმყოფელნი, თვითონ თუ არ შეიყვარეთ ნაწილები თქვენივე არსებისა?

გონება და გრძნობა საჭე და იალქანია ზღვაში გაჭრილი თქვენი სამშვინველისა.

აფრები თუ დაფხრეწილია, ან საჭე – დამსხვრეული, მაშინ ან აქეთ-იქით მიაწყდებით, ან დინება წაგიღებთ, ან შუა ზღვაში იტივტივებთ.

მხოლოდ გონება თუ მბრძანებლობს, – ეს დამთრგუნველია; გრძნობა თუ მოუთოკავია, – ეს მწველი ალია და თავს ინადგურებს.

ამიტომ, დაე, თქვენმა სამშვინველმა აზიდოს თქვენი გონება გრძნობათა სიმაღლეზე, რათა გონებამ გალობა შეძლოს.

დაე, თქვენმა სამშვინველმა გონივრულად წარმართოს თქვენი გრძნობები, რათა თქვენი მის-

წრაფებანი დღითიდღე აღორძინდეს და ფენიქსივით აღდგეს საკუთარი ფერფლიდან.

ვისურვებდი, თქვენი გონიერება და თქვენი მისწრაფებანი შინ წვეულ ორ სასურველ სტუმრად მიგეჩნიათ.

ერთ სტუმარს ნამდვილად ვერ მიაგებდით მეორეზე მეტ პატივს, ვინაიდან, თუ უფრო გულისხმიერი იქნებოდით ერთის მიმართ, დაკარგავდით სიყვარულსა და ნდობას ორივე წვეულისას.

მთებში როცა ისვენებთ ფოთოლვერცხლა ვერხვის ჩრდილში, როცა შორეული ველ-მინდვრები გყავთ სიმშვიდისა და სიმყუდროვის მოზიარედ, მაშინ, დაე, გიჩურჩულოთ თქვენმა გულმა: „ღმერთი სუფევს გონებაში“.

როცა ქარიშხალი ბორგავს და გრიგალი ეხეთქება ტყეს, როცა ელვა და ქუხილი ზეცის სიდიადეს გვამცნობს, დაე, თრთოლით გითხრათ გულმა: „ღმერთი იძვრის გრძნობაში“.

და რაკი სუნთქვა ხართ ღვთაებრივი სამყაროსი, რაკი ფურცელი ხართ ღვთაებრივი ტევრისა, თქვენც სუფევთ გონებაში და თქვენც იძვრით გრძნობაში”.

და უთხრა ქალმა: „გვესაუბრე ტკივილზე“.

და თქვა მან:

„ტკივილი იმ ნაჭუჭის მსხვრევამ იცის, რომელშიც გამომწყვდეულია თქვენი ცნობიერება.

ხილის კურკა უნდა გატყდეს, მისი გული რომ მზეს დაენახოს. თქვენც ასევე უნდა გამოსცადოთ ტკივილი.

თქვენი ცხოვრების ყოველდღიური სასწაულებისთვის რომ არ გქონდეთ გული შეჩვეული, მაშინ თქვენი ტკივილი თქვენსავე სიხარულზე ნაკლებ საოცრებად როდი მოგეჩვენებოდათ.

და იგრძნობდით თქვენი გულის დროთა ცვალებას, როგორც ყოველთვის გრძნობთ წელიწადის დროთა ცვლას, თქვენს მინდვრებზე გადავლილს.

და მშვიდად გამოიმზირებოდით დარდისა და სევდის სიზამთრიდან. თქვენი ტკივილის დიდი ნაწილი თქვენივე არჩეულია.

ეს მწარე წამალია. ექიმი, რომელიც თქვენშია, კურნავს ავადმყოფს წამლით, რომელიც ასევე თქვენშია.

ამიტომ მიენდეთ ექიმს, მშვიდად და უჩუმრად შესვით მისი წამალი.

რამეთუ მისი ხელი, ეგებ მოუქნელიცა და უხეშიც, მართულია უზეშთაესისა და უხილავის მადლიანი ხელით.

მან რომ თასი მოგაწოდათ, ტუჩებს კი აგიწვავთ, მაგრამ იგი იმ თიხისგანაა ნაკეთები, რომელიც უზენაესმა მეთუნემ თავისი წმინდა ცრემლით დანამა.“

და თქვა ვიღაც კაცმა: „გვესაუბრე საკუთარი თავის შეცნობაზე“.

და მან უპასუხა და უთხრა:

„თქვენი გულები უთქმელად გრძნობენ იდუმალებას დღეებისას და ღამეებისას.

ხოლო თქვენს ყურებს სურთ მოისმინონ თქვენსავე გულებში დაუნჯებული ცოდნის ხმიანობა.

გინდათ, სიტყვით გამოხატული იცოდეთ ის, რაც ყოველთვის იცოდით გუმანით.

გინდათ, თითებით შეეხოთ შიშველ სხეულს თქვენი ოცნებებისას.

კარგია, ეს რომ გწადიათ.

მიმალული წყაროსთვალი თქვენი სულისა უნდა ამოჩუხჩუხდეს და ბუტბუტით გაიჩქაროს ზღვისკენ;

თქვენთა თვალთათვის სახილველი გახდება განძი თქვენთა უსასრულო სიღრმეთა.

ოღონდ სასწორის პინაზე შეგდება არ გმართებთ ამ თქვენი შეუცნობელი განძისა;

ნურც თქვენი ცოდნის სიღრმის გაზომვას შეეცდებით არგნითა და ლატნით.

რამეთუ თქვენი არსი ზღვაა, უნაპირო და უკიდეგანო.

ნუ იტყვით: „მე შევიცანი ჭეშმარიტება“, ჯობს თქვათ: „სიმართლეს მივაგენი”.

ნუ იტყვით: „მე ვიპოვე გზა სულისა“, ჯობს თქვათ: „ჩემს გზაზე მოარული სული შემომხვდა“.

რამეთუ სული დაიარება ყველა გზასა და ბილიკზე. სული ერთ სწორ ხაზზე არ იარება და არც ლერწამივითაა აშოლტილი.

სული იფურჩქნება ლოტოსივით, რომელსაც უამრავი ფურცელი აქვს“.

მაშინ თქვა მასწავლებელმა: „გვესაუბრე სწავლების შესახებ".

და მიუგო მან:

„თქვენ შეისმენთ მხოლოდ იმას რაც თქვენს არსებაში უკვე თვლემს ჯერ კიდევ თქვენი ცნობიერების გარიჟრაჟიდანვე.

მოძღვარი, მოწაფეებთან ერთად ბოლთას რომ სცემს ტაძრის ჩრდილში, თავისი სიბრძნიდან კი არ გასცემს, არამედ თავისი რწმენიდან და სიყვარულიდან.

ნამდვილად ბრძენი თუა, არ შეგიპატიჟებთ თავისი სიბრძნის სავანეში, თქვენი გონების ბჭისკენ გაგიძღვებათ.

ასტრონომი გაგიმხელთ სივრცის მისეულ გაგებას, მაგრამ ვერ გიბოძებთ თავის აზრებს.

მუსიკოსს შეუძლია გიმღეროთ სივრცეში დავანებული რიტმით, მაგრამ ვერ მოგცემთ სმენას, რომელიც რიტმს მოიხელთებს, ვერც ხმას გიბოძებთ მის გასაჟღერებლად.

რიცხვთა სიბრძნეში განსწავლულს შეუძლია გესაუბროთ ზომა-წონის სფეროზე, მაგრამ ვერ შეგიძღვებათ ამ სფეროში.

რამეთუ სამყაროსეული ხედვა ერთი ადამიანისა ფრთებს ვერ შეასხამს მეორე ადამიანს. ყოველ თქვენგანს თავისი განსაკუთრებული ადგილი აქვს ღვთაებრივ სიბრძნეში. ასევე ყოველმა თქვენგანმა მარტომ უნდა შეიცნოს ღმერთი და მარტომ უნდა შეისწავლოს დედამიწა".

და თქვა ჭაბუკმა: „მეგობრობაზეც გვითხარი”.

და მიუგო მან და უთხრა:

“მეგობარი – ეს არის თქვენთა საჭიროებათა-თვის შეგებებული პასუხი.

იგი მინდორია, რომელზეც თესავთ სიყვარუ-ლით და იმკით მადლიერებით.

იგია თქვენი ტაბლა და თქვენი კერია.

რამეთუ მას მიაკითხავთ მოშიებული და მასვე მიაშურებთ სიმშვიდისთვის.

მეგობარი როცა გულს გადაგიშლით, „არა” გულში ჩაიკალით, „ჰოს“ თქმა იჩქარეთ.

მეგობარი რომ დადუმდება, თქვენი გული გა-ნაგრძობს მისი გულის სმენას.

რამეთუ ყოველგვარი ფიქრი, სურვილი, იმედი იბადება მეგობრობაში და ზიარი ხდება უსიტყვოდ, ჩუმი სიხარულით.

მეგობრის სიშორე ნუ დაგაღონებთ.

მეგობარში რაც ყველაზე მეტად გეძვირფასე-ბათ, შესაძლოა, მაშინ უკეთ გაცხადდეს, როცა მეგობარი შორსაა თქვენგან. მთამსვლელი ხომ ბარიდან უკეთ ხედავს მთას.

დაე, ნუ ექნება მეგობრობას რაიმე სხვა მიზანი, გარდა სულის ამაღლებისა.

რამეთუ სიყვარული თუ არ ეძიებს მხოლოდ და მხოლოდ თავისი იდუმალების წვდომას, მაშინ სი-ყვარული კი არა, მოსროლილი ბადეა, რომელიც სახეიროს ვერაფერს მოიყოლებს.

დაე, მეგობრისთვის გქონდეთ, რაც საუკეთესოა თქვენში.

მან თუ უნდა იცოდეს როდის გიჭირთ, ისიც შეატყობინეთ, როდის გილხინთ.

რის მაქნისია მეგობარი, რომელსაც დროის მოსაკლავად ეძიებთ?

მუდამ ეძიეთ იგი დროის გასაცოცხლებლად.

რამეთუ მეგობარმა თქვენი სიცარიელე კი არ უნდა ამოავსოს, სწორედ მან უნდა გაასრულოს თქვენი მისწრაფებანი.

მეგობრობის სიამტკბილობაში, დაე, იყოს ხალისი და ზიარი სიამოვნება.

რამეთუ პატარ-პატარა სიტკბოებანი ცვარ-ნამივითაა გულისთვის, გული მცირედშიც პოვებს თავის განთიადს და შვებას“.

და მერმე სწავლულმა თქვა: „გვითხარი მეტყველების შესახებ“.

და მიუგო მან და უთხრა:

„თქვენ მეტყველებთ, როცა ველარ შეეწყობით თქვენს ფიქრებს.

და, როცა ველარ ბინადრობთ თქვენი გულის სიმარტოვეში, მაშინ მიაკითხავთ ბაგეებს. ბგერა – ესაა სალაღობო რამ და თავის შესაქცევი.

თქვენი წარმოთქმული აზრი ლამის მკვდარია.

რამეთუ აზრი სივრცეში გაჭრილი ჩიტია. სიტყვათა გალიაში დამწყვდეულმა აზრმა ფრთები რომც გაშალოს, გაფრენას მაინც ვერ შეძლებს.

თქვენ შორის ზოგნი ენამრავლობენ სიმარტოვის შიშით.

მარტოობაში, მდუმარებაში, მათ თვალწინ უშიშვლდებათ მათივე არსი და ეგენი საკუთარ თავს გაურბიან.

არიან ისეთნიც, რომელნიც ლაპარაკობენ და უნებურად განაცხადებენ ჭეშმარიტებას, თუმცა იგი თავადაც არ ესმით.

არიან ისეთნიც, რომელთაც თავის არსებაში აქვთ სიმართლე, მაგრამ სიტყვაში ვერ ჩუტევიათ.

ასეთ ადამიანთა მკერდში, რიტმულ მდუმარებაში, მკვიდრობს სული.

მეგობარს თუ შეხვდებით ქუჩის კიდეში ან ბაზრის მოედანზე, დაე, თქვენმა სულმა შეძრას თქვენი ბაგეები და წარმართოს ენა თქვენი.

დაე, ხმიანობამ თქვენი ხმისამ ამცნოს სმენას მისი ყურისას.

რამეთუ მისი სული ჩაიტოვებს სიწრფელეს თქვენი გულისას სწორედ ისე, აი, ღვინო რომ თავს დაგვამახსოვრებს ხოლმე გემოთი, როცა მისი ფერიც დავიწყებული გვაქვს და აღარც დოქი გვიდგას წინ“.

და თქვა ასტრონომმა: „მოძღვარო, რას იტყვი დროის შესახებ?“

და მიუგო მან:

„გინდათ აღრიცხოთ დრო, განუზომელი და აღურიცხველი.

გინდათ თქვენი ქცევა მიუსადაგოთ მას და თქვენი სულიც კი წარმართოთ საათებისა და წელიწადის დროთა მიხედვით.

გსურთ დრო აქციოთ წყაროდ, რომლის ნაპირას ჩამოსხდებოდით და დააკვირდებოდით მის დენას.

და მაინც, რაც უჟამო და მარადიულია თქვენში, მან იცის, რომ სიცოცხლეც უჟამოა და მარადიული.

და კიდევ იცის, რომ „გუშინ” არის დღევანდელი დღის მეხსიერება, „ხვალე“ კი ოცნებაა დღევანდელი დღისა.

ის, რაც გალობს და აზროვნებს თქვენში, ახლაც სუფევს იმ პირველ ბიძგში, რომელმაც სივრცეში გატყორცნა ვარსკვლავები.

რომელი თქვენგანი არ გრძნობს, რომ უსაზღვროა ნიჭი თქვენი სიყვარულისა?

და კიდევ, რომელი თქვენგანი არ გრძნობს, რომ სწორედ ეს უსაზღვრო და უკიდეგანო სიყვარული შემოსაზღვრულია თქვენით, ჩაბუდებულია თქვენს გულისგულში და განყენებულად არ დაქრის სასიყვარულო ოცნებად, ფიქრად, სურვილად?!

და განა დროც სიყვარულივით განუყოფელი და უსასრულო არ არის?

ხოლო თუ თქვენს ფიქრებში ჟამი მაინცდა-მაინც უნდა დაყოთ წელიწადის დროებად, დაე, ყოველმა მათგანმა დაიტიოს დანარჩენი დრონი წელიწადისანი.

დაე, დღევანდელმა დღემ წარსული მოიცვას ხსოვნით და მომავალი – სურვილითა და სწრაფვით”.

ქალაქის უხუცესთაგან ერთმა თქვა: „დაგველაპარაკე სიკეთესა და ბოროტებაზე”.

და მიუგო მან:

„თქვენში არსებულ სიკეთეზე შემიძლია გესაუბროთ, მაგრამ ბოროტებაზე – არა.

აბა, რა არის ბოროტება, თუ არა შიმშილითა და წყურვილით შეურვებული სიკეთე?

ჭეშმარიტად, სიკეთე რომ დაიმშევა, საზრდელს ეძიებს ბნელ პარახებში, და რომ მოსწყურდება, დამდგარ წყალსაც კი ეწაფება.

თქვენ კეთილნი ხართ, როცა ერთნი ხართ საკუთარ თავთან.

მაგრამ, როცა შორდებით საკუთარ თავს, არც მაშინა ხართ ბოროტნი.

რამეთუ გაყოფილი სახლი არ არის ქურდების ბუნაგი. იგი ზიარი სახლია მხოლოდ და მხოლოდ.

უსაჭოდ ხომალდმა შეიძლება იბორიალოს სახიფათო კუნძულებს შორის, მაგრამ ფსკერისკენ არ წავა.

თქვენ კეთილნი ხართ, როცა ცდილობთ გაიღოთ საკუთარი არსიდან.

მაგრამ თქვენ არა ხართ ბოროტნი, როცა თქვენდა სახეიროდ იღვწით.

სათავისოდ როცა იხვეჭთ, მაშინ თქვენ ხართ ნიადაგში ჩაზრდილი და მიწის მკერდს დაწაფებული ფესვი.

ნაყოფი ნამდვილად ვერ ეტყვის ფესვს: „დამ-ემსგავსე, გახდი წვნიანი, მწიფე, მარად გამცემი უხვად”.

რამეთუ ნაყოფისთვის მოთხოვნილებაა გაცემა, როგორც მიღება არის მოთხოვნილება ფესვისა.

თქვენ კეთილნი ხართ, როცა ფხიზელნი საუბ-რობთ.

მაგრამ მაშინაც კი არ ხართ ბოროტნი, როცა ძილ-ღვიძილში ლუღლუღებთ.

ენისმოკიდებით ლაპარაკი აწრთობს და წაადგე-ბა ხოლმე ენაბრგვნილს.

თქვენ კეთილნი ხართ, მტკიცე, გაბედული ნაბიჯით როცა მიიწევთ მიზნისკენ.

მაგრამ არც მაშინ ხართ ბოროტნი, როცა ბორ-ძიკით მიემართებით.

ვინც კოჭლობით მიიკვლევს გზას, ისიც წინ მიიწევს და არ იხევს უკან.

ხოლო თქვენ, რომელნიც ძლიერნი ხართ და სხარტნი, – გაფრთხილდით: კოჭლთან ნუ იკოჭ-ლებთ, ნუ გეგონებათ, რომ ამით სიკეთეს იქმთ.

თქვენ კეთილნი ხართ უამრავ ვითარებაში და არა ხართ ბოროტნი მაშინაც, როცა არ ხართ კეთილნი.

თქვენ მხოლოდ ზარმაცობთ და უსაქმურობთ. დასანანია, რომ ირემი კუს ვერ გაწვრთნის სის-წრაფეში.

თქვენივე დიადი არსისკენ თქვენს სწრაფვაშია სიკეთე თქვენი. და ეს სწრაფვა არის ყოველ თქვენგანში.

მაგრამ ზოგის სწრაფვა ნამდვილი ნიაღვარია, გაჩქარებული ჩაიქცევა ზღვაში, მიექანება და მიეზიდება მთის კალთების საიდუმლოს და ტყის ჰანგებს.

ზოგის სწრაფვა მინდვრის ლიკლიკა ნაკადულია, ლამის იკარგება მისახვევ-მოსახვევში და ნელი რაკრაკით მიედინება ზღვის ნაპირისკენ.

ვისაც ბევრი სწადია, ნუ ეტყვის მას, ვისაც სწადია ნაკლები: „რას ზოზინობ და ფერხდები“.

ღვთის გულისათვის, ნუ ჰკითხავთ შიშველს: „რა უყავი სამოსი?“ უსახლკაროსაც ნუ ჰკითხავთ: „რამ დაგიქცია სახლ-კარი?“

მერმე თქვა ქურუმმა ქალმა: „ლოცვაზეც გვითხარი“.

და მიუგო მან და უთხრა:

„თქვენ ილოცავთ განსაცდელისა და გასაჭირის ჟამს. ნეტა ისურვებდეთ ლოცვას მაშინაც, როცა ჟამი გიდგათ სიხარულისა და სიუხვისა.

რამეთუ რა არის ლოცვა? ეს ხომ თქვენი განვრცობა და გაღწევაა ცოცხალ ეთერში?

და, რაკი ნუგეშს გრძნობთ, როცა მწუხრი თქვენი გულისა იღვრება სივრცეში, შვებას მოგგვრით თქვენი გულის განთიადის სივრცეში გამოსხივებაც.

თქვენი სული თუ მხოლოდ მაშინ გთხოვთ ლოცვას, როცა გეტირებათ, – მტირალს იგი კვლავ და კვლავ განგაწყობთ სალოცავად, ვიდრე ბოლოს სიხარულით არ გაგეღიმებათ.

როცა ლოცულობთ, მაღლდებით, რათა ეთერში შეხვდეთ იმათ, ვინც სწორედ ამ დროს ლოცულობს. და მათ შეხვდებით მხოლოდ ლოცვისას.

ამდენად, უხილავ ტაძარში თქვენს სტუმრობას, დაე, მოჰყვეს ოდენ ნეტარება და საამური ერთობა.

რამეთუ ტაძარში თუ შეხვალთ თავის დასამდაბლებლად, ვერ ამაღლდებით.

ტაძარში თუ შეხვალთ სხვათათვის სიკეთის სათხოვრად, არც მაშინ შეისმინება თქვენი თხოვნა.

საკმარისია ისიც, რომ თქვენ ეწვიეთ უხილავ ტაძარს.

მე ვერ გასწავლით, სიტყვებით როგორ ამოთქვათ ლოცვა.

უფალი ღმერთი ჩვენს სიტყვებს მხოლოდ მაშინ ისმენს, თუ მათ თავად წარმოთქვამს ჩვენი ბაგეებით.

მე ვერ გასწავლით ლოცვებს ზღვებისას, ტყეჭალებისას, მთებისას.

მხოლოდ თქვენ, რომელნიც თავად ხართ ნაშობნი მთებისა, ტყეებისა, ზღვებისა, – შეძლებთ მათი ლოცვა-ვედრების მიგნებას თქვენსავე გულებში.

და, თუ მოუსმენთ სიჩუმეს ღამისას, გაიგონებთ, რომ მთები, ზღვები, ტყე-ჭალები ამბობენ:

„უფალო ღმერთო ჩვენო, რომელიც ხარ ფრთაშესხმული ჩვენი არსი, შენი ნებაა ჩვენს არსებაში და იგი წარმართავს ჩვენს ნებას;

შენი სურვილია ჩვენს არსებაში და იგი წარმარ თავს ჩვენს სურვილებს;

შენი ზრახვაა ჩვენს არსებაში და იგი წარმართავს ჩვენს ღამეებს, რომლებიც შენია, – და ცვლის მათ დღეებად, რომლებიც აგრეთვე შენია.

ჩვენ ვერაფერს გთხოვთ, რამეთუ წინასწარ იცი საჭიროებანი ჩვენნი.

სწორედ შენ გვჭირდები. და, რასაც გვიბოძებ, შენი არსიდან გვიბოძებ. და შენ გვიბოძებ ყოველივეს“.

მაშინ განდეგილი, რომელიც წელიწადში ერთხელ ეწვეოდა ხოლმე ქალაქს, წამოდგა და თქვა: „დაგველაპარაკე სიამოვნებაზე“.

და მან მიუგო და უთხრა:

„სიამოვნება სიმღერაა თავისუფლებისა, მაგრამ თვითონ არაა თავისუფლება.

სიამოვნება ყვავილობაა თქვენი სურვილებისა, მაგრამ იგი არაა სურვილთა ნაყოფი.

იგი სიღრმეა და უხმობს სიმაღლეს, მაგრამ იგი არც ღრმაა, არც – მაღალი.

იგი გალიაშია გამომწყვდეული და აფრენას ლამობს,

მაგრამ თვით სიამოვნება არაა შემოსაზღვრული სივრცე.

დიახ, ნამდვილად, სიამოვნება საგალობელია თავისუფლებისა.

და მე დიდად გავიხარებდი, მთელი გულით თუ იმღერებდით. ოღონდ არ ვისურვებდი, გული ჩაგკარგოდათ სიმღერაში.

თქვენ შორის ზოგი, ყმაწვილი, სიამოვნებას ისე ეწაფება, თითქოს ეს იყოს ყველაფერი. სხვანი მათ განსჯიან და ესაყვედურებიან.

მე მათ არც განვიკითხავ და არც ვკიცხავ. დაე, ეძიებდნენ.

რამეთუ ისინი ჰპოვებენ სიამოვნებას, მაგრამ – არა მხოლოდ მას.

შვიდი და ჰყავს სიამოვნებას და მათგან ყველაზე ნაკლებ გამორჩეული დაც კი ბევრად მშვენიერია თვით სიამოვნებაზე.

ნუთუ არ გსმენიათ ამბავი ერთი კაცისა, მიწას რომ ჩიჩქნიდა და ძირხვენების ნაცვლად განძს რომ წააწყდა?!

თქვენ შორის ვინც ხანდაზმულია, წუხილით იხსენებს სიამოვნებას, როგორც სიმთვრალეში ჩადენილ შეცოდებას.

მაგრამ წუხილი დაბინდვაა გონებისა და არა – სასჯელი.

მათ უჯობთ, მადლიერებით მოიგონონ სიამოვნება, გაიხსენონ, ვთქვათ, როგორც ნაადრევად მოწეული მოსავალი.

და მაინც, მათთვის თუ ნუგეშია წუხილი, დაე, ინუგეშონ თავი.

ზოგი თქვენგანი არც ისე ახალგაზრდაა, რომ სიამოვნებაზე იყოს გადაგებული, და არც ისე მხცოვანია, რომ მოგონებებში იყოს გადავარდნილი.

მათ სიამის ძიებაც აშინებთ და გახსენებაც. და გაურბიან ყოველგვარ სიამოვნებას, რათა სათაკილო რამ არ ჩაიდინონ და სული არ წარიწყმინდონ.

და სწორედ თავშეკავებაშია მათი სიამოვნება.

და ასე პოულობენ ისინი განძს, თუმცა ძირხვენებს თხრიდნენ ხელის კანკალით.

მაგრამ მითხარით, ვის ძალუძს სულის შებღალვა?

განა ბულბული შეაშფოთებს ღამის სიმშვიდეს, ან ციცინათელა ციმციმით წააჭარბებს ვარსკვლავებს?

და როგორ ფიქრობთ, თქვენი ცეცხლი და თქვენი კვამლი შეაფერხებს ქარს?

ხომ არ გგონიათ, რომ სული ჩამყაყებული გუბეა, რომელსაც ჩხირით შეატოკებთ და აამღვრევთ.

ხშირად, როცა თქვენს თავს უკრძალავთ სიამოვნებას, ამით თქვენი სულის უღრმეს კუნჭულში ინახავთ სურვილს.

ვინ იცის, ის, რაც დღეს გულში ჩაიკალით, ეგებ ხვალინდელ დღეს მოელის?

თქვენმა სხეულმაც კი იცის, რა მოსდგამს მემკვიდრეობით, რა არის მისთვის დაწესებული, და თავს არ მოიტყუებს.

თქვენი სხეული ქნარია თქვენი სულისა.

და თქვენი ნებაა, საამო ჰანგს გამოსცემთ, თუ შეუწყობელ ხმებს.

და ახლა გუნებაში კითხულობთ: „როგორ გავარჩიოთ, სიამოვნებაში რა არის სასიკეთო და რა არ არის სასიკეთო?”

გადით თქვენს მინდვრებსა და ბაღებში, და შეიტყობთ, რომ ფუტკრისთვის სიამოვნებაა ყვავილების ნექტრის მოგროვება.

მაგრამ ყვავილისთვისაც სიამოვნებაა ნექტრის გაცემა.

რამეთუ ფუტკრისთვის ყვავილია სიცოცხლის წყარო.

და ყვავილისთვის ფუტკარი არის სიცოცხლის მაცნე.

და ორივესთვის – ფუტკრისთვისაც და ყვავილისთვისაც – გაცემა და მიღება სიამოვნებისა არის მოთხოვნილება და ნეტარება.

ორფალესის მკვიდრნო, სიამოვნებაში მიბაძეთ ყვავილსა და ფუტკარს“.

და თქვა პოეტმა: „გველაპარაკე მშვენიერებაზე“.

და მიუგო მან:

„სად ეძიებთ მშვენიერებას და როგორ იპოვით, ვიდრე თვით მშვენიერება არ გახდება თქვენი გზაც და თქვენი მეგზურიც?

და რას იტყვით მშვენიერებაზე, თავად მან თუ არ შეთხზა თქვენი სათქმელი?

ჩაგრულნი და განაწყენებულნი ამბობენ: „მშვენიერება სათნოა და კეთილი.

თავისი ბედნიერებითა და უჩვეულო პატივით ოდნავ დამორცხვებულ ახალგაზრდა დედასავით დაიარება იგი ჩვენ შორის”.

მგზნებარენი ამბობენ: „არა, მშვენიერება ძალმოსილია და შიშისმგვრელი.

იგი გრიგალივით არყევს მიწას ჩვენს ფეხქვეშ და შეძრავს ცას ჩვენს თავზევით“.

ილაჯგაწყვეტილნი და დამაშვრალნი ამბობენ: „მშვენიერება უნაზესი ჩურჩულია. იგი ხმიანობს ჩვენს სულში.

მკრთალი ნათელი რომ თრთის ჩრდილის შიშით, მშვენიერების ხმასაც სწორედ ასე აკრთობს ჩვენი დუმილი”.

დაუცხრომელნი ამბობენ: „გვსმენია მშვენიერების ძახილი მთებში.

და მთებიდან მის ძახილში აღწევდა ფლოქვების თქარუნი, ფრთების ფათქუნი და ლომების ბრდღვინვა.

ღამღამობით ქალაქის გუშაგები ამბობენ: „მშვენიერება აღმოსავლეთიდან აღმობრწყინდება აისთან ერთად“.

შუადღის ალხში მხვნელ-მთესველნი და მოგზაურნი ამბობენ: „ვიხილეთ მშენიერება, მიწისკენ გადმოიხარა დაისის სარკმელთაგან“.

ზამთარში, დიდთოვლობისას, ამბობენ: „მშვენიერება მოვა გაზაფხულზე და ხტუნვა-ხტუნვით შემოირბენს გორაკებს“.

ზაფხულის ხვატში ყანის მომკელნი ამბობენ: „გვინახავს მშვენიერება, შემოდგომის ფოთლებთან მოცეკვავე, და თოვლის ნამქერიც გვიხილავს მის თმაში“.

ეგ ყველაფერი თქვენი ნათქვამია მშვენიერებაზე.

და მაინც, სინამდვილეში თქვენ მასზე კი არა, თქვენს აუხდენელ სურვილებზე საუბრობდით.

მშვენიერება გასაჭირი კი არა, – წამლეკავი ნეტარებაა.

მშვენიერება არც წყურვილით გამშრალი ბაგეებია, არც – მოწყალებისთვის გაწვდილი ხელი.

მშვენიერება ანთებული გულია და აღტაცებული სულია.

იგი არაა ხატი, რომელსაც ხედავთ; არც ჰანგია, რომელსაც ისმენთ.

მშვენიერება ხატია, რომელსაც უმზერთ თვალდახუჭულნი და ჰანგია, რომელსაც ისმენთ ყურებდახშულნი.

მშვენიერება არც ხის დახეთქილ-დანაოჭებულ ქერქში გამონაჟონი აშიფია და არც ფრთაა, ჭანგებთან შეზრდილი.

იგი წალკოტია, რომელიც მარად ყვავილობს, და ანგელოზთა დასია, რომელიც მარად დაქრის.

ორფალესის მკვიდრნო, მშვენიერება სიცოცხლეა, რომელიც რიდეს ჩამოიხსნის და თავის წმინდა ხატს გვიჩვენებს.

მაგრამ თქვენვე ხართ სიცოცხლე და თქვენვე ხართ რიდეც.

მშვენიერება მარადისობაა და სარკეში არეკლილ თავის ხატებას უმზერს.

მაგრამ თქვენვე ხართ მარადისობაც და თქვენვე ხართ სარკეც“.

და თქვა მოხუცმა ქურუმმა: „გვესაუბრე რელიგიაზე“.

და თქვა მან:

„განა დღეს სხვა რამეზე გესაუბრებოდით? განა რელიგია არ არის საქმე ყოველი და ფიქრი ყოველი?

აგრეთვე – ის, რაც არც საქმეა და არც ფიქრი, არამედ გაკვირვებაა და გაოცება, მუდამ რომ გვიღვივის სულში, მაშინაც კი, როცა ჩვენი ხელი ქვას კოდავს, ან ჯარას ატრიალებს.

ვინ გათიშოს თავისი რწმენა თავისივე ქცევისგან, ანდა – თავისი აზრები თავისივე საქმიანობისგან?

ვის შეუძლია წინ განიფინოს თავისი დრო და თქვას: „ეს ღვთისთვისაა, ეს კი ჩემთვის, ეს ჩემი სულისთვისაა, ეს კი – ჩემი სხეულისთვის?“

თქვენი დრო ფრთებია, რომლებსაც სივრცეში მოიქნევთ თქვენი არსიდან თქვენივე არსისკენ.

კაცს თუ თავისი ზნეობა აქვს საგარეო სამოსად მორგებული, – ამას სიშიშვლე უჯობს.

ქარი და მზე კანს ვერ დაუშაშრავს მას.

ვისაც ეთიკა აქვს თავისი ქცევის საზომად, იგი გალიაში ამწყვდევს თავის მგალობელ ჩიტს.

ყველაზე ლაღი სიმღერაც კი ვერ გამოაღწევს გისოსებიდან და მავთულხლართებიდან.

ვისთვისაც ღვთისმოსაობა სარკმელია, რომელიც იღება, მაგრამ, ამასთანავე, იხურება კიდეც, იგი ჯერ არ სწვევია სავანეს თვისი სულისას, რომლის სარკმლები დაფელილია განთიადიდან განთიადამდე.

თქვენი ყოველდღიური ცხოვრება არის თქვენი ტაძარი და თქვენი რელიგია.

ყოველთვის, როცა ტაძარში შეხვალთ, ყოველივე თან იქონიეთ.

თან წაიტანეთ გუთანი და ქურა, საბეგველა და ბარბითი; და წაიტანეთ ყველაფერი, რაც თქვენი ნახელავია და შეგიქმნიათ საჭიროებისთვის, ანდა – ოდენ სიამოვნებისთვის.

ღვთის თაყვანებით ვერ ააღწევთ თქვენს წარმატებებზე უფრო მაღლა და ვერც დაეცემით თქვენს მარცხზე დაბლა.

თან წაიყოლეთ ყველა ადამიანი:

რამეთუ ღვთისმოსაობით თქვენ ვერ ააღწევთ იმათ იმედებზე მაღლა და ვერც თავს დაიმდაბლებთ იმათ უსასოებაზე დაბლა.

ღმერთი რომ შეგეცნოთ, აღარ მოგიწევდათ ქარაგმების ამოხსნა.

უმჯობესია მიმოიხედოთ ირგვლივ და დაინახავთ, უფალი ღმერთი როგორ ეთამაშება თქვენს ბავშვებს.

სივრცეს მოავლეთ თვალი და იხილავთ, რომ უფალი ღმერთი დაიარება ღრუბლებში, რომ უფალი ხელს გაშლის და... ელვა გაიკლაკნება, რომ უფალი წვიმად ეშვება დაბლა.

უფლის ღიმილს დაინახავთ ყვავილებში, მერმე უფალი მაღლა აიწევს და ხელს დაგვიქნევს ხეთა შრიალით.

მერმე ალმითრამ თქვა: „ახლა კი სიკვდილზე გკითხავდით“.

და მიუგო მან:

„სიკვდილის საიდუმლო გინდათ შეიტყოთ.

მაგრამ როგორ მიაგნებთ მის იდუმალებას, ვიდრე სიკვდილს არ მოიძევთ სიცოცხლის წიაღში?

ღამღამობით თვალხილული ბუ დღისით ბრმაა. იგი ვერ შეიტყობს ნათლის იდუმალებას.

თუ ნამდვილად გსურთ შეიცნოთ სიკვდილის სული, ფართოდ გადაუხსენით თქვენი გული სულს სიცოცხლისას.

რამეთუ სიცოცხლე და სიკვდილი ერთნი არიან, როგორც მდინარე და ზღვა არიან ერთნი.

თქვენი იმედების და სურვილების სიღრმეში დავანებულია გამოუთქმელი ცოდნა იმიერ სამყაროსი.

თოვლქვეშ მთვლემარე თესლივით ოცნებობს თქვენი გული გამოზაფხულებაზე.

ენდეთ ოცნებებს, მათში მიმალულია კარიბჭე მარადისობისა.

თქვენი შიში სიკვდილისა ჰგავს ხელმწიფის წინაშე წარმდგარი მწყემსის ცახცახს, როცა წყალობის ნიშნად უნდა შეეხოს მას მეფის მარჯვენა.

განა არ არის სიხარული მწყემსის კანკალში? მწყემსს ხომ უხარია, მეფემ რომ გამოარჩია?

მაგრამ თან მწყემსი ხომ წუხს, რომ კანკალითაა ატანილი?!

და რას ნიშნავს მოკვდე, თუ არა – დედიშობილა იდგე ქარში და დნებოდე მზისგულზე?

და რას ნიშნავს სუნთქვის შეჩერება, თუ არა – სუნთქვის გამოთავისუფლებას შეუჩერებელი მიქცევ-მოქცევისგან, რათა გაიჭრას უსაზღვროებაში და ეძიოს დაუსაზღვრელი ღმერთი?!

ჭეშმარიტად იმღერებთ მხოლოდ მაშინ, როცა დაეწაფებით მდინარეს მდუმარებისას.

და მხოლოდ მაშინ დაიწყებთ აღმასვლას, როცა მიაღწევთ მწვერვალს მთისას.

და ნაღდად მხოლოდ მაშინ იცეკვებთ, როცა მიწა მოითხოვს თქვენს ხელ-ფეხს, თქვენს სხეულს“.

შებინდდა.

და თქვა ალმითრამ, ნათელმხილველმა: „კურთხეულიყოს ეს დღე, და ეს ადგილი, და სული შენი, რომელმაც ჩვენ დაგვმოძღვრა".

და მიუგო მან:

„მე გმოძღვრავდით? მე ხომ თავად ვიყავი მსმენელი".

მერმე ჩაათავა ტაძრის საფეხურები და ყველანი გაჰყვნენ უკან. და მიუახლოვდა თავის გემს და დადგა გემბანზე.

და მიიბრუნა პირი ხალხისკენ, აღიმაღლა ხმა და თქვა:

„ორფალესის მკვიდრნო, ქარი მთხოვს თქვენგან განშორებას.

მე არა ვჩქარობ ქარივით, მაგრამ მაინც უნდა წავიდე.

ჩვენ, მოგზაურნი, მარად ვეძიებთ უვალ გზებს; სადაც გვიღამდება, იქ არ გვითენდება და აისი იქ ვერ წაგვასწრებს, სადაც დაისმა გვიწია.

მიწას რომ სძინავს, მაშინაც გზაში ვართ.

ჩვენ ვართ თესლი გამძლე, ამტანი მცენარისა. მოვმწიფდებით, გული გადაგვევსება, გადაგვეღეღება და გაგვფანტავს ქარი.

ხანმოკლე იყო დღეები თქვენთან ყოფნისა. კიდევ უფრო ხანმოკლე იყო ჩემი საუბარი.

მაგრამ, თუ ჩემი ხმა ჩაკვდება თქვენს ყურებში, ჩემი სიყვარული თუ აღმოიფხვრება თქვენი მეხსიერებიდან, მაშინ ისევ მოვალ.

და გულით უფრო გამდიდრებული, სულისთვის უფრო შესაფერი ბაგეებით გაგესაუბრებით.

ჰო, მე დავბრუნდები ზღვის მოქცევასთან ერთად.

ეგებ სიკვდილმა უჩინარი გამხადოს, ეგებ დიდი სიჩუმეც შემომებუროს. და მაინც ვეცდები თქვენ გამიგოთ.

და ამაო არ იქნება ჩემი მცდელობა.

და, რაც გითხარით, თუ ჭეშმარიტებაა, იგი თავს გაგიმხელთ უფრო მკაფიო ხმით და გაცხადდება თქვენი გონებისთვის უფრო გასაგები სიტყვებით.

ორფალესის მკვიდრნო, მე სიცარიელეში კი არ ჩავეშვები, ქარს დავემგზავრები.

და, თუ დღევანდელი დღე არ არის დღე თქვენთა მოთხოვნილებათა გასრულებისა და ჩემი სიყვარულის სრულქმნისა, დაე, იგი იყოს დღე დაპირებისა, აღთქმისა, ვიდრე არ დადგება სხვა დღე.

იცვლება კაცთა მოთხოვნილებანი, მაგრამ უცვლელია სიყვარული და უცვლელია სურვილი კაცთა, რომ სიყვარულმა აღასრულოს მათი სურვილი.

ამიტომ იცოდეთ, მე დავბრუნდები დიადი მდუმარებიდან.

ნისლი, გარიჟრაჟზე რომ იცრიცება და ცვარს შეატოვებს მინდვრებს, ავა მაღლა, ღრუბლად შენივთდება და წვიმად ჩამოიქცევა.

განა არ ჩამოვგავდი ნისლს?

ღამის სიჩუმეში დავეხეტებოდი თქვენს ქუჩებში, ჩემი სული ეწვეოდა ხოლმე თქვენს სახლებს;

და თქვენი გულები ჩემს გულში ძგერდნენ, თქვენი ფშვინვა სახეზე მეფათურებოდა და მე გიცოდით თქვენ ყველანი.

ჰო, მე ვიცოდი თქვენი სიხარული და ტკივილი. გეძინათ და... თქვენი სიზმრები ჩემი სიზმრები იყო.

მე ტბა ვიყავი, მთებით შემოჯარული, როცა ვიყავი თქვენ შორის.

ჩემში აირეკლა თქვენი მწვერვალები და დამრეცი ფერდობები, ფარასავით შეფენილი თქვენივე საფიქრალითა და საზრუნავით.

და ჩემს მეხსიერებაში ნაკადულებს მოჰქონდათ კისკისი თქვენი ბავშვებისა და მდინარეებს – მგზნებარება თქვენი ჭაბუკებისა.

ნაკადულთა და მდინარეთა ჩქერები ჩემს სიღრმეში ჩაიქცეოდნენ და მაინც განაგრძობდნენ გალობას.

მაგრამ მოაღწია ჩემამდე რაღაცამ, სიცილზე უფრო ხალასმა და სწრაფვაზე უფრო დიადმა.

ესაა უსაზღვროება თქვენი.

ესაა დიადი ადამიანი, რომლის ოდენ მყესები და ძარღვები ხართ თქვენ.

იგია დიადი ადამიანი, რომლის გალობასთან შედარებით ხრინწიანი ჩიფჩიფია თქვენი მღერა.

სწორედ ამ დიადი ადამიანით ხართ თქვენც დიადნი.

მას რომ ვჭვრეტდი, მაშინ გიხილეთ და მაშინ შეგიყვარეთ.

ისეთ რა შორეთში შეიძლება გაიჭრას სიყვარული, თქვენს უსაზღვროებას რომ გასცდეს?

რა ხილვებს, რა იმედებს, რა ზრახვებს მოიყოლებს ეგ გაფრენა?

ვაშლის ყვავილებით გადაპენტილ ვეება მუხას ჰგავს ის დიადი კაცი, თქვენში არსებული.

მისი ძალა გაჯაჭვავთ მიწას, მისი სურნელი მაღლა გეზიდებათ, უსასრულო სივრცეში, მისი ამტანობის წყალობით ხართ უკვდავნი.

გითხრეს, რკინის ჯაჭვიც რომ იყოთ, თუნდაც ერთი რგოლი თუ სუსტი გექნებათ, ასევე სუსტნი იქნებით თქვენცო.

მაგრამ ეს მხოლოდ სანახევროდაა მართალი. თქვენ ისევე ძლიერნი ხართ, როგორც ჯაჭვის ყველაზე ძლიერი რგოლი.

თქვენი დაფასება თქვენი უკნინესი ნაღვაწით – ეს იგივეა, ოკეანის ძალმოსილება გაზომო მისი პერის, მისი ქაფის, სიფაფუკითა და დაუდგრომლობით.

წარუმატებლობის გამო თქვენი გაკიცხვა – ეს იგივეა, წელიწადის დრონი გაამტყუნო ერთმანეთის მონაცვლეობისთვის.

ჰო, თქვენ ოკეანეს ჰგავხართ.

და, თუმცა დიდი გემები მოქცევას უცდიან თქვენს ნაპირებთან, ოკეანის არ იყოს, ვერც თქვენ დააჩქარებთ მოქცევას.

წელიწადის დროთა მსგავსნი ხართ.

და, თუმცა თქვენი ზამთრობისას უარყოფთ თქვენსავე გაზაფხულს, გაზაფხული მაინც განისვენებს თქვენს წიაღში, თვლემს, იღიმის და გულში წყენას არ იხვევს.

არ გეგონოთ, ამას იმიტომ გეუბნებოდეთ, რომ ერთმანეთს უთხრათ, დიდად შეგვაქო, ჩვენი კარგი დაინახაო მხოლოდ.

მე ხომ სიტყვებით გეუბნებით იმას, რაც მშვენივრად უწყით გონებით.

და რა არის სიტყვაში დატეული ცოდნა, თუ არა ჩრდილი სიტყვაში დაუტეველი სიბრძნისა.

თქვენი აზრები და ჩემი სიტყვები აგორებული ტალღებია ჩაგმანული მეხსიერებისა, რომელიც გარდასულ დღეთა მოგონებებს ინახავს;

და ინახავს მოგონებებს იმ ძველთა დღეთა, როცა დედამიწამ არც ჩვენ გვიცოდა და არც თავი თვისი;

და ინახავს მოგონებებს იმ ღამეებისას, როცა დედამიწას ქმნადობის ჟამი ედგა და ბორგავდა.

ბრძენნი მოდიოდნენ თქვენთან, რათა გადმოეცათ თავიანთი სიბრძნე. მე მოვედი, რათა თქვენგან მივიღო სიბრძნე.

და, იხილეთ, მე ვპოვე ის, რაც სიბრძნეს აღემატება.

ეს არის თქვენი მგზნებარე სული, რომელიც უფრო და უფრო ჩაღდება.

ხოლო თქვენ შეუმჩნეველი გრჩებათ მისი გაჩაღება და მისტირით თქვენი დღეების ჭკნობას.

ეს სიცოცხლეა, სიცოცხლეს რომ ეძიებს სამარის შიშით ატანილ სხეულებში.

აქ არ არის საფლავები.

ეს მთები და ეს ველები აკვნებია და საბიჯარი ქვებია.

ყოველთვის, როცა ჩაივლით ამ ველზე, სადაც თქვენი წინაპრები განისვენებენ, დაკვირვებით მიმოიხედეთ და იხილავთ საკუთარ თავს და საკუთარ შვილებს, ცეკვის ფერხულში ჩაბმულთ.

ჭეშმარიტად, თქვენ ხშირად ისე მხიარულობთ, ვერც კი ამჩნევთ ამას.

სხვებიც მოვიდნენ თქვენთან, აღგითქვეს თქვენ მიერ კერპად დასახული ოქრო. ამ დაპირების სანაცვლოდ თქვენ მათ მიეცით სიმდიდრე, ძალაუფლება და დიდება.

მე არაფერს შეგპირებივართ. და მაინც, თქვენ უფრო დიდსულოვანნი იყავით ჩემდამი.

თქვენ უფრო გამიღრმავეთ წყურვილი სიცოცხლისა.

ჭეშმარიტად, იმაზე მეტი რა უნდა აჩუქო ადამიანს, რაც მის მიზნებს წყურვილით დაშაშრულ ტუჩებად აქცევს, ხოლო სიცოცხლეს – წყაროდ.

ესაა ჩემი პატივიც და ჩემი ჯილდოც.

ყოველთვის, როცა კი მივაშურებ წყაროს და დავეწაფები, ვგრძნობ, რომ მაცოცხლებელ წყალს თავადაც სწყურია;

და იგიც მეწაფება, როცა მე მას ვეწაფები.

ზოგ თქვენგანს ჰგონია, რომ ამაყი ვარ და მეთაკილება საბოძვრის მიღება.

ნამდვილად ვარ იმდენად ამაყი, რომ უარს ვამბობ გასამრჯელოზე, მაგრამ საჩუქარზე – არა.

ფერდობებზე ჩამოკრეფილი კენკრით გამქონდა თავი, თუმცა სიამოვნებით მიწვევდით ხოლმე სუფრასთან.

და ტაძრის სტოაში ვათევდი ღამეს, თუმცა სიხარულით შემიფარებდით.

და მაინც, განა ჩემს დღეებსა და ღამეებზე თქვენმა ზრუნვამ არ დაატკბო საკვები ჩემთა ბაგეთათვის და თქვენი გულისხმიერება ხილვებად არ შემოეჭდო ჩემს ძილს?!

გლოცავთ ამისთვის.

თქვენ ბევრს გასცემთ, თუმცა სულაც არ იცით, რაიმეს თუ გასცემთ.

ჭეშმარიტად, სიკეთე თუ სარკეში უჭვრეტს თავის თავს, ქვად გადაიქცევა.

კეთილი საქმე თუ თავს იწონებს, დასაძრახი ხდება.

ზოგ თქვენგანს კაცთაგან განდგომილად და საკუთარი მარტოობით შემთვრალად მივაჩნდი.

და ამბობდით: „ტყეში ხეებთან ბაასობს, ადამიანებს კი თავს არ უყადრებს;

განმარტოებით ზის გორის ფხაზე და გადმოჰყურებს ჩვენს ქალაქს“.

მე მართლა ავდიოდი მთაზე და ვაკითხავდი მიყრუებულ ადგილებს.

აბა, როგორ უნდა დამენახეთ, თუ არ დაგხედავდით მაღლიდან და შორიდან?

ნამდვილად ახლოს რანაირად იქნები, ჯერ თუ არ ხარ შორს?

ზოგი თქვენგანი მიხმობდა. უსიტყვოდ ამბობდით:

„უცხო ყარიბო, მიუვალ სიმაღლეთა მოყვარულო, სამკვიდრებლად რატომ ირჩევ მწვერვალებს, სადაც არწივები ბუდობენ?

რატომ ეძიებ მიუწვდომელს?

რომელ გრიგალებს უპირებ მოხელთებას შენს მახეში?

რომელ იდუმალ ფრთოსნებს სდევ ზეცაში?

მოდი და იყავი ერთი ჩვენგანი.

დაბლა დაეშვი და შიმშილი დაიცხრე ჩვენი პურით,

წყურვილი მოიკალი ჩვენი ღვინით“.

სულის სიმარტოვეში ამბობდით ამას.

მაგრამ უფრო დიდი მარტოობის განცდა რომ შეგძლებოდათ, შეიტყობდით: ვეძიებდი ოდენ იდუმალებას თქვენი სიხარულისას და თქვენი დარდისას.

და მონადირება მსურდა მხოლოდ თქვენი უდიადესი არსისა, რომელიც ზეცაში დაიარება.

მაგრამ მონადირე თავად იქნა მონადირებული.

რამეთუ ჩემი მშვილდიდან გატყორცნილ ისართა უმეტესობამ ჩემივე მკერდი მონახა სამიზნედ.

ვინც ზეცაში ფრენდა, ის მიწაზეც დაღოღავდა.

რამეთუ მზეში ფრთაგაშლით როცა ვფრენდი, მიწაზე დაფენილი ჩემი ფრთების ჩრდილი იყო კუ.

და მე, მორწმუნე, – ვიყავი ურწმუნოც.

რამეთუ ბევრჯერ ჩამიყვია თითები საკუთარ ჭრილობაში, რათა უფრო მერწმუნა თქვენი და უკეთ შემეცანით.

და სწორედ ამ რწმენითა და ამ ცოდნით ვამბობ:

თქვენ არ ხართ თქვენს სხეულში ჩამწყვდეულნი, თქვენ არც სახლებსა ხართ მიჯაჭვულნი და არც მინდვრებს.

ის, რაც ნამდვილად თქვენ ხართ, მკვიდრობს მთათა მწვერვალებს ზევით და დაქრის ქართან ერთად.

იგი არ არის არსება, რომელიც გამოცოცდება და მზეს ეფიცხება, ან სიბნელეში სოროს თხრის თავშესაფრად.

იგი თავისუფალია, იგი სულია, მოიცავს დედამიწას და იძვრის ეთერში.

ეს სიტყვები თუ ბუნდოვანია, ნუ შეეცდებით მათ გაიოლებას.

ბუნდოვანია და გაურკვეველი დასაბამი ყოველი არსისა, მაგრამ არა – დასასრული.

გავიხარებდი, თუ გემახსოვრებოდით, როგორც დასაწყისი.

სიცოცხლე და ყველაფერი, რაც ცოცხლობს, ღვივდება ნისლოვანში და არა – კრისტალში.

და ვინ უწყის, ეგებ კრისტალი გამყარებული ნისლია?

როცა მომიგონებთ, მინდა გახსოვდეთ:

რაც ყველაზე სუსტი და ბუნდოვანი ჩანს თქვენში, სწორედ ის არის ყველაზე ძლიერი და ყველაზე ცხადი.

განა თქვენმა სუნთქვამ არ აღმართა და არ გაამკვრივა თქვენი ძვლები?

და განა ზმანებამ, – რომელიც არცერთს აღარ გახსოვთ, რომ გეზმანათ, – არ ააშენა თქვენი ქალაქი და არ შექმნა ყოველივე, რაც არის მასში?

რომ შეგძლებოდათ იმ დიდი სუნთქვის მიმოქცევის ხილვა, არაფრის ხილვას აღარ ინდომებდით.

რომ შეგძლებოდათ იმ ზმანების ჩურჩულის გაგონება, სხვა ხმის მოსმენას აღარ ისურვებდით.

მაგრამ თქვენ ვერც ხედავთ და არც გეყურებათ. და ეს კარგია.

მაგ რიდეს, თვალებზე რომ გაქვთ წაფარებული, სწორედ ის ხელები ჩამოგხსნით, რომელთაც მოქსოვეს რიდე.

და თიხას, რომლითაც ყურები გაქვთ ამოგლესილი, სწორედ ის ხელები მოგაცილებთ, რომელთაც მოზილეს თიხა.

და თქვენ იხილავთ.

და თქვენ მოისმენთ.

ამასთანავე, არ ინანებთ, რომ გამოსცადეთ სიბრმავე და სიყრუე.

და თქვენ ისევე დალოცავთ სიბნელეს, როგორც ლოცავდით სინათლეს“.

ესა თქვა და მიმოიხედა. და იხილა, რომ მესაჭე საჭესთან იდგა და ხან დაბერილ აფრებს გასცქეროდა, ხან – სივრცეს.

და თქვა მან:

„დიდი მოთმინება აქვს ჩემი ხომალდის მეთაურს.

ქარი ქრის და აფრები ფორიაქობენ.

თვით საჭეც კი ითხოვს წარმართვას.

და მშვიდად ელის კაპიტანი ჩემს დადუმებას.

და ეგ ჩემი ზღვაოსნები, – რომელთაც დიადი ზღვის ქორო სმენიათ, – მისმენდნენ მოთმინებით.

აღარ მოუწევთ ცდა.

მე მზად ვარ.

ნაკადულმა მიაკვლია ზღვას და დიადი დედა კიდევ ერთხელ ჩაიკრავს გულში თავის ძეს.

მშვიდობა თქვენდა, ორფალესის მკვიდრნო!

ეს დღე გასრულდა.

ეს დღე ჩემთვის ისევე იხურება, როგორც შროშანა წყლისა იხუჭება ხოლმე თავისი ხვალინდელი დღის შესაგებებლად.

რაც აქ გვებოძა, ყველაფერს დავიუნჯებთ.

და, თუ ეს არ იკმარებს, ისევ მოვალთ ერთად და ერთად გავიწვდით ხელებს ყოვლისმომნიჭებლისკენ.

გახსოვდეთ, მე დავბრუნდები თქვენთან.

გამოხდება მცირე ხანი და ჩემი სწრაფვა თავს მოუყრის მიწას და ქაფს სხვა სხეულის შესანივთებლად.

გამოხდება მცირე ხანი... ქარის ფრთებზე მცირე შესვენება... და სხვა ქალი მშობს.

მშვიდობა თქვენდა და მშვიდობა თქვენთან გატარებულ ჩემს სიჭაბუკეს!

გუშინ არ იყო, ერთმანეთს რომ შევხვდით სიზმრად?

თქვენ მიგალობდით ჩემს სიმარტოვეში. და თქვენთა მისწრაფებათაგან ზეცაში აღვმართე გოდოლი.

მაგრამ ახლა გათავდა ჩვენი ძილი. და შეწყდა ჩვენი სიზმრები. და კარგახანია გათენდა.

შუადღე თავს წამოგვადგა. და ძილ-ღვიძილი დღის სიფხიზლით შეიცვალა. ჩვენ უნდა გავიყაროთ.

მეხსიერების ბინდბუნდში თუ კიდევ შევხვდით ერთმანეთს, ისევ ვისაუბრებთ და თქვენ მიმღერებთ კიდევ უფრო გულში ჩამწვდომ ჰანგს.

და, თუ სხვა სიზმრად ჩვენი ხელები შეერთდება, სხვა გოდოლს აღვმართავთ ზეცაში“.

ესა თქვა და ანიშნა მეზღვაურებს. და მათ მაშინვე აუშვეს ღუზა, აკრიფეს ბაგირები და აღმოსავლეთისკენ აიღეს გეზი.

და ხალხის შეძახილმა ერთი გულიდან ამოხეთქილი ზათქივით დაიქუხა. ხმა აიზიდა, ბინდს შეეზავა, ბუკისა და ნაღარის მოძახილივით გადაუარა ზღვას.

მხოლოდ ალმითრა დუმდა, ხომალდს გაჰყურებდა, ვიდრე ნისლში არ დაინთქა იგი.

ხალხი გაიკრიფა. ქალი მარტოდმარტო იდგა ჯებირთან და გულში იმეორებდა წინასწარმეტყველის ნათქვამს:

„გამოხდება მცირე ხანი... ქარის ფრთებზე მცირე შესვენება... და სხვა ქალი მშობს”.

წინასწარმეტყველის წალკოტი

ალმუსტაფა, რჩეული და საყვარელი, თავად შუადღე თავისი დღისა, უბრუნდებოდა კუნძულს, სადაც იგი იშვა თიშრინის თვეში, რომელიც თვეა მოგონებათა.

ვიდრე ნავსაყუდელს უახლოვდებოდნენ, იდგა იგი ხომალდის კიჩოსთან, მეზღვაურები გარს შემოსჯარვოდნენ. შინ დაბრუნებას სიხარულით აევსო მისი გული.

და იტყოდა იგი, და ზღვის ზავთი იყო მის ხმაში, და თქვა მან:

„იხილეთ კუნძული, სადაც დავიბადეთ. სწორედ აქ ამოგვზიდა მიწამ ჰანგად და იგავად; ჰანგად ამოგვთქვა ზეცისთვის და იგავად – მიწისთვის. ჩვენი ტანჯვა-წამების გარდა, განა არის სხვა რამ აქ, მიწასა და ცას შორის, რაც შეძლებდა ჰანგის გალობას და იგავის ამოხსნას?

ზღვა ერთხელ კიდევ მიანდობს ჩვენს თავს ამ ნაპირებს, ჩვენც ხომ ერთი ტალღა ვართ ზღვის ურიცხვ ტალღათაგან. ზღვა წინდაწინ გვგზავნის თავისი სათქმელის გასახმიანებლად. მაგრამ ამას მაშინ შევძლებთ, თუ კეთილაღნაგობას ამ ჩვენი გულებისას მივამსხვრევთ და მივალეწავთ კლდესა და ქვიშაზე?

რამეთუ ასეთია წესი ზღვაოსანთა და ასეთია წესი ზღვისა: თავისუფლება თუ გწყურია, ნისლად უნდა გარდაისახო. ყოველი უფორმო ეძიებს ფორმას, ურიცხვი ნისლეულები გარდაიქმნებიან მზეებად, მთვარეებად; და ჩვენ, ბევრი ძიების შემდეგ

რომ ვუბრუნდებით კუნძულს, ჩვენ,– უბრალო მოკვდავნი, სხეულის უხეშ ყალიბში მოქცეულნი,– კიდევ ერთხელ უნდა ვიქცეთ ნისლად და თავიდან შევუდგეთ სწავლას. განა არის რაიმე, რაც ცოცხლობს და მაღლა მიისწრაფვის, რომ არ დაიმსხვრეს და არ დაიშალოს ტანჯვა-წამებად და თავისუფლებად?

მარად უნდა ვეძიოთ ნაპირი, სადაც გალობას შევძლებთ და სადაც ჩვენს ხმას გაიგონებენ. მაგრამ ტალღა თუ იქ დაილეწა, სადაც მსხვრევის ხმას ყური ვერ გაიგონებს? სწორედ ის, რაც არ მოისმინება ჩვენს არსებაში, აღვივებს ჩვენს უღრმეს სევდას. ასევე ის, რაც არ მოისმინება, ხვეწს ჩვენს სულს, რათა გამოვჭედოთ ჩვენი ბედი“.

მეზღვაურთაგან ერთი წინ წამოიწია და თქვა:

„მოძღვარო, შენ მოუძღოდი ჩვენს სწრაფვას ამ ნავსაყუდლისკენ. და, აჰა, მოვაღწიეთ. და შენ მაინც გვესაუბრები სევდაზე და გულთა შემუსვრაზე“.

და მიუგო მან და უთხრა:

„განა არ ვახსენე თავისუფლება და ნისლეული, რომელიც ჩვენი უდიადესი თავისუფლებაა? და მაინც ტკივილით ვუბრუნდები კუნძულს, სადაც დავიბადე. თითქოს მოკლულის აჩრდილი მოეშურებოდეს მკვლელთა წინაშე მუხლის მოსადრეკად“.

და თქვა სხვა მეზღვაურმა:

„იხილე, ერს თავი მოუყრია ჯეებირთან. თავიანთი სულის მდუმარებაში მათ წინასწარ განუჭვრეტიათ დღე და საათიც კი შენი დაბრუნებისა, სიყ-

ვარულით მოგისაკლისეს, თავიანთი ყანებიდან და ვენახებიდან გამოიჩქარეს და მოგელიან“.

და ალმუსტაფამ გახედა შორეთს, იხილა სიმრავლე ერისა და გულით იგრძნო მათი სევდა. და დუმდა იგი.

მაშინ ყიჟინა გაისმა. ეს იყო ძახილი მონატრებისა და მუდარისა.

და მან თვალი მიმოავლო მეზღვაურებს და თქვა:

„რა მიმაქვს მათთვის? მიზანში მარჯვედ ვისროდი იმათ გატანებულ ოქროს ისრებს, მაგრამ ვერაფერი მოვინადირე. ისრებს არ მივდევნებივარ, ეგებ ახლაც დაქრიან მზეში, ეგებ დაჭრილ არწივთა ფრთებშიც ჩარჩენილან და მიწაზე არც ჩამოცვენილან. ან ეგებ ისრის ბუნიკები ხელთ ჩაუვარდა იმათ, ვისაც პურივით და ღვინოსავით სჭირდებოდა ისინი.

არ ვიცი, სად იფრინეს ისრებმა, მაგრამ ეს კი ვიცი: თავიანთი რკალი შემოავლეს ზეცას.

ახლაც ვგრძნობ სიყვარულის მფარველ ხელს და თქვენ, ჩემი მეზღვაურები, ჩემს ხილვებს აგერ აქამდე დააქროლებთ ზღვებზე. მე არ დავდუმდები. ხმას ავიმაღლებ, როცა წელიწადის დროთა ხელი ყელში წამწვდება. და ჩემს სათქმელს მაშინაც ვიგალობებ, როცა ცეცხლი წამეკიდება ბაგეებზე“.

მის ნათქვამზე გული შეუშფოთდათ მეზღვაურებს და თქვა ვიღაცამ:

„მოძღვარო, გვასწავლე ყველაფერი. და, რაკი შენი სისხლი გვიჩქეფს ძარღვებში, და, რაკი შენი

კეთილსურნელებიდან მომდინარეობს ჩვენი სუნთქვა, ეგებ შევძლოთ შენი გაგება“.

ხოლო მან მიუგო. და ქარის ხეთქება იყო მის ხმაში. და თქვა მან:

„ნუთუ იმიტომ მომიყვანეთ ჩემს მშობლიურ კუნძულზე, რომ მოძღვრად გინდოდით? ჯერ არ ვარ სიბრძნით ტყვექმნილი. ჯერ ჭაბუკი ვარ და უმწიფარი, შემიძლია გელაპარაკოთ მხოლოდ საკუთარ არსზე, რომელიც მარად არის სიღრმე, მხმობელი სიღრმეთა.

დაე, ვისაც სიბრძნე სწყურია, ეძიოს იგი მინდვრის ბაიაში, ან ერთ მწიკვ წითელ თიხაში. მე მგოსანი ვარ. კვლავ ვუმღერებ მიწას და ვიმღერებ თქვენს აუხდენელ სიზმრებზე, რომლებიც დარიალებენ დღისითაც, გაღვიძებიდან დაძინებამდე. და მზერას მივაპყრობ ზღვას“.

და შევიდა ხომალდი ნავსადგომში და მიადგა ჯებირს. ასე დაუბრუნდა წინასწარმეტყველი მშობლიურ კუნძულს და ისევ დადგა თანამემამულეთა შორის. ძახილი დიდი ამოიჭრა იმათი გულებიდან და შეძრა და შეარყია სიმარტოვე შინ დაბრუნებულისა.

ხალხი დუმდა წინასწარმეტყველის სიტყვათა მოლოდინში, მაგრამ მან ხმა ვერ დაძრა, რადგან მოგონებებმა სევდით წალეკა. და მან გულში გაივლო:

„ნუთუ ვთქვი, რომ ვიგალობებ?! ვერა, მხოლოდ პირის გაღებას თუ შევძლებ, ეგებ ხმა სიცოცხლისა აღმომხდეს და ქარს მიენდოს სიხარულისა და მხარდაჭერისთვის“.

მაშინ კარიმამ, რომელთანაც პატარაობისას თამაშობდა თავისი დედის წალკოტში, თქვა:

„თორმეტ წელს გვიმალავდი შენს სახეს, თორმეტ წელს გნატრობდით და გვწყუროდა შენი ხმის გაგონება“.

და მან საოცარი სინაზით შეხედა ქალს, რადგან სწორედ ამ ქალმა დაუხუჭა თვალები დედამისს, როცა სიკვდილმა თეთრი ფრთები წააფარა მას.

და მიუგო და უთხრა:

„თორმეტი წელი? თორმეტი წელი თქვი, კარიმა? ჩემი მონატრება არ აღმირიცხავს ვარსკვლავთა სრბოლით, არც მონატრების სიღრმე გამიზომავს. სიყვარული როცა სამშობლოს მოგვანატრებს, დროის სათვალავსა და საზომს გვაკარგვინებს.

არის ჟამი, რომელიც მოიცავს განშორების მთელ ეონებს. და მაინც განშორება სხვა არაფერია, თუ არა გონების დაბინდვა. ვინ იცის, ეგებ არც დავშორებივართ ერთმანეთს“.

და ალმუსტაფამ გადახედა თანამემამულეთ. და უმზერდა ყველას: ჭაბუკთ თუ ხანდაზმულთ, ბრგეთ თუ ტანმორჩილთ, მზისა და ქარისგან გარუჯულ-დაშაშრულთ თუ ფერმკრთალთა და გაცრეცილთ. და იხილა მათ სახეზე აღბეჭდილი სხივი მონატრებისა და სურვილი კითხვებზე პასუხის მიღებისა.

და დაიწყო ერთმა და თქვა:

„მოძღვარო, ცხოვრება უმოწყალოდ გაუსწორდა ჩვენს იმედებსა და მისწრაფებებს. გული გვიწუხს და ვერ გავრკვეულვართ. გევედრები, ნუგეში გვეც და გვაუწყე, რა აზრი აქვს ჩვენს სევდას“.

და გული მისი შეძრა თანაგრძნობამ და თქვა მან:

„სიცოცხლე წინ უსწრებდა ყველაფერს, რაც ცოცხლობს. დედამიწაზე მშვენიერებას ფრთა შეესხა უფრო ადრე, ვიდრე შეიქმნებოდა მშვენიერი, და თვით ჭეშმარიტება არსებობდა უფრო ადრე, ვიდრე იგი წარმოითქმებოდა.

სიცოცხლე ჰანგს გამოსცემს ჩვენს დუმილში და ზმანებებს ხედავს ჩვენს ძილ-ღვიძილში. მაშინაც კი, როცა ნაგვემნი და დამცირებულნი ვართ, სიცოცხლეს ტახტი უპყრია და ამაღლებულია. და, როცა ვტირით, სიცოცხლე შეჰღიმის დღეს. და სიცოცხლე თავისუფალია, როცა ჩვენ დაბორკილნი ვართ.

სიცოცხლეს ხშირად ვამკობთ მწარე-მწარე სიტყვებით, მაგრამ ეს მაშინ ხდება, როცა თავად ვართ გამწარებულნი და დაბნელებულნი. გვგონია, რომ სიცოცხლე უაზრო და უსარგებლოა, მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ, როცა თვით ჩვენი სული დაეხეტება უდაბურ ადგილას, როცა საკუთარი თავით ვართ მოცულნი და გული შემთვრალი გვაქვს.

სიცოცხლე ღრმა არის, მაღალია და შორია. თქვენი მახვილი მზერა და ფართო ხედვა სიცოცხლის ძირისძირამდე ვერ აღწევს, და მაინც ახლოა სიცოცხლე. მხოლოდ ფშვინვა თქვენი სუნთქვისა აღწევს სიცოცხლის გულისგულში. და მაინც, ჩრდილი თქვენი ჩრდილისა ეფინება ხატს სიცოცხლისას და თქვენი ძლივს გასაგონი ძახილის ექო სიცოცხლის მკერდში გარდაისახება გაზაფხულად და შემოდგომად.

სიცოცხლეს რიდე აქვს წაფარებული და დაფარულია, ასევეა რიდით შებურული და დაფარული თქვენი დიადი არსიც. როცა სიცოცხლე მეტყველებს, ქარები სიტყვებად გარდაიქმნებიან. და, როცა სიცოცხლე ისევ იწყებს საუბარს, თქვენთა ბაგეთა ღიმილი და თქვენთა თვალთა კურცხალი სიტყვებად ამოითქმებიან. სიცოცხლე როცა მღერის, ყრუნი ისმენენ და ინუსხებიან; სიცოცხლე როცა სვლას შეუდგება, თვალის ჩინის უქონელნი ხედავენ, კვირდებიან და გაოცებულნი უკან მიჰყვებიან მას“.

წინასწარმეტყველი დადუმდა. და დიდმა დუმილმა მოიცვა ხალხი. და იყო დუმილში ყურისთვის ვერგასაგონარი ჰანგი. და ისინი ნუგეშისცემულ იქმნენ თავიანთ კაეშანსა და სიმარტოვეში.

და მან დატოვა ხალხი და გაუყვა წალკოტისკენ მიმავალ ბილიკს. ეს იყო ბაღნარი მისი დედისა და მისი მამისა, აქ განისვენებდნენ ისინიც და მათი წინაპრებიც.

ზოგმა მისი გაყოლა ინდომა. ხედავდნენ, რომ წინასწარმეტყველს მარტოობა ელოდა. სანათესაოდან კაციშვილი აღარ დარჩენოდა, რომ შინ დაბრუნებულს ადათისამებრ ლხინით დახვედროდნენ.

მაგრამ ხომალდის მეთაურმა ურჩია ხალხს და უთხრა:

„აცალეთ, წავიდეს თავისი გზით, რამეთუ მარტოობა მისთვის პურია. მის სასმისში ზედაშეა მიცვალებულთა მოსაგონარად და მარტომ უნდა დაცალოს იგი“.

და შედგნენ მისი მეზღვაურები, იცოდნენ, რომ მართალი იყო გემის მეთაური. ჯებირთან შეკრებილებმაც შეანელეს ნაბიჯი, რომელსაც მათი დიდი სურვილი წარმართავდა.

მხოლოდ კარიმამ მისდია ერთხანს. ეწადა მისი მარტოობისა და მისი მოგონებების თანაზიარობა. ხმა არ გაუღია ქალს, მერმე გამობრუნდა და შინისაკენ გაემართა. და ეზოში, ნუშის ძირას, ატირდა, თუმც თავადაც არ იცოდა რა ატირებდა.

და გასწია ალმუსტაფამ თავისი დედისა და თავისი მამის წალკოტისკენ, და შევიდა, და ჩარაზა ბჭე, რათა ვერვინ შესულიყო.

ორმოცი დღე და ორმოცი ღამე მარტომ დაჰყო ამ სახლსა და ამ ბაღნარში. კარიბჭესაც კი არვინ გაჰკარებია, რადგან ჩარაზული იყო და ყველამ იცოდა, რომ მას მარტოობა სურდა.

ორმოცი დღე და ორმოცი ღამე რომ გამოხდა, ალმუსტაფამ გახსნა ბჭე, რათა მსურველთ შესვლა შესძლებოდათ.

ცხრა კაცმა მიაკითხა წალკოტში: სამმა მეზღვაურმა მისი გემიდან, ტაძრის სამმა მსახურმა და სამმა სიყრმის მეგობარმა, რომლებთანაც თამაშობდა ბავშვობაში. ესენი ყველანი მისი მოწაფეები იყვნენ.

დილას, როცა ესენი მოძღვარს გარს შემოუსხდნენ, მის მზერაში შორი სივრცეები და მოგონებები კრთოდნენ. და მოწაფემ, სახელად ჰაფიზმა, უთხრა:

„მოძღვარო, გვიამბე ორფალესზე და იმ მხარეზე, სადაც თორმეტი წელი დაჰყავი“.

დუმდა ალმუსტაფა. მთებისკენ მიეპყრო მზერა და შორეულ სივრცეს გაჰყურებდა. და იყო შინაგანი ბრძოლა მის მდუმარებაში.

მერმე თქვა:

„ჩემო მეგობარნო და ჩემო თანამგზავრნო, ვაი ერს, რომელსაც აქვს ნაირგვარი რწმენა და არ აქვს სარწმუნოება.

ვაი ერს, რომელსაც მოსავს სამოსი, თვითონ რომ არ მოუქსოვია, – ჭამს პურს, თვითონ რომ არ მოუწევია, – სვამს ღვინოს, თავის საწნახელში რომ არ დაუწურავს.

ვაი ერს, რომელიც გმირად მიიჩნევს ტრაბახა ხეპრეს, და ბაქია დამპყრობელი დიდსულოვანი ქველი ჰგონია.

ვაი ერს, რომელიც სიზმარში ძრახავს ვნებას, ღვიძილში კი მას ვერ იოკებს.

ვაი ერს, რომელიც ხმას აღიმაღლებს მხოლოდ მიცვალებულის დატირებისას;

ვაი ერს, რომელსაც საამაყოდ ნანგრევებიღა შერჩენია, და რომელიც ამბოხდება მხოლოდ მაშინ, როცა კუნძზე თავს დაადებინებენ და ჯალათს მახვილი უკვე შემართული აქვს.

ვაი ერს, რომელსაც მოხელედ მელა ჰყავს, ფილოსოფოსად კი – ოინბაზი, რომლის ხელოვნება მიმბაძველობაა ან – ძველ სამოსზე ახალი საკერებლის დადება.

ვაი ერს, რომელიც ბუკითა და ნაღარით ეგებება ახალ მბრძანებელს და მერმე ყიჟინით აძევებს მას მხოლოდ იმიტომ, რომ ახლა სხვას შეეგებოს ბუკისა და ნაღარის დგერით.

ვაი ერს, დაშლილ-დაწიაწებულს, რომლის ყოველ ნაწილს ერად მოაქვს თავი”.

და თქვა ერთ-ერთმა:

„გაგვიმხილე შენი გულისნადები“.

და ალმუსტაფამ მას გახედა, ვარსკვლავური ჰანგი ჩაუდგა ხმაში. და უთხრა:

„სიცხადეში რომ ზმანებებს ჭვრეტთ, რომ დადუმდებით და ყურს მიუპყრობთ თქვენსავე უღრმეს არსს, მაშინ თქვენი ფიქრები თოვლის ფანტელებივით ფარფატებენ და თეთრი მდუმარებით ბურავენ ყოველგვარ ხმებს თქვენეული სივრცისას.

და რა არის სიფხიზლეში ნანახი ზმანებები? ეს ხომ ღრუბლებია, რომლებსაც კვირტები ასკდებათ და ყვავილობენ თქვენი გულის ზეციურ ხეზე. და რა არის თქვენი ფიქრები? ეს ხომ ყვავილთა ფურცლებია, რომელთაც თქვენი გულიდან ამორხეული სიო მიმოფანტავს მთებსა და ველებზე.

როგორც თქვენ ხართ მყუდროების მოლოდინში, ვიდრე ფორმას შეიძენს ის, რაც უფორმოა თქვენში, ასევეა ღრუბელიც. იგი აიკრიფება, თავს მოიყრის და მიედინება, ვიდრე ხელი კურთხეულისა ღრუბლის კვამლისფერ სწრაფვას გარდაქმნიდეს პაწია კრისტალურ მზეებად, მთვარეებად, ვარსკვლავებად?“

მაშინ სარგისმა, რომელიც მცირედმორწმუნე იყო, თქვა:

„მაგრამ გამოზაფხულდება და თოვლი ჩვენი ზმანებებისა და ჩვენი აზრებისა ჩამოდნება და გაქრება“.

და მიუგო მან და უთხრა:

„მთვლემარე ტევრსა და ზვრებში თავისი სატრფოს საძიებლად რომ მოვა გაზაფხული, თოვლი მართლაც დადნება და ბარისკენ ჩქერებად დაიძვრება მდინარის მისაკვლევად, რათა დაარწყულოს, მწდედ დაუდგეს მირტის ხეებსა და დაფნარს.

მოვა თქვენი გაზაფხული და ასევე გალღვება თოვლი თქვენი გულისა და თქვენი იდუმალება ნაკადულებად გზას გაიკვლევს ველზე, რათა ეძიოს სიცოცხლის მდინარე. და მდინარე გულში ჩაიხვევს თქვენს საიდუმლოს და თან წაიტანს დიადი ზღვისკენ.

ყველაფერი გალღვება და გალობად გარდაისახება, როცა მოვა გაზაფხული. ვარსკვლავებიც კი, – თოვლის ეს ვეება ფანტელები – ნელა რომ ეშვებიან თვალუწვდენელ ველებზე, – ისინიც გარდაიქმნებიან მოღიღინე ჩქერებად. სამყაროსეული გაზაფხულის მზე როცა გამობრწყინდება კიდევ უფრო დიადი ცის კიდეში, მაშინ რომელი ჩაქვავებული სიმწყობრე არ გარდაისახება ნარნარ ჰანგად? და რომელი თქვენგანი არ ისურვებს, მწდედ დაუდგეს მირტსა და დაფნას?

აგერ გუშინ არ იყო, თქვენ რომ ბორგავდით ზღვასთან ერთად, შემოუსაზღვრელი იყავით და არ გაგაჩნდათ საკუთარი „მე“. მერმე ქარმა – სიცოცხლის ფშვინვამ – მოგქსოვათ ნათლის რიდედ, სიცოცხლის საბურველად. მისმა ხელმა მოგაქუჩათ, შეგამტკიცათ და გიბოძათ ფორმა, და თქვენ მაღლა ასწიეთ თავი და იწყეთ სიმაღლეთა წვდომა. მაგრამ ზღვა უკან გამოგყვათ და მისი ჰანგი

დღემდე თქვენთანაა. და, თუმცა აღარ გახსოვთ თქვენი წარმომავლობა, ზღვა მაინც ყოველთვის დაიჩემებს, რომ დედაა თქვენი და მარად მოგიხმობთ თავისთან.

კლდესა და ღრეში ხეტიალისას მუდამ თავს შეგახსენებთ სიღრმე ზღვის მშვიდი გულისა. და, თუმცა ხშირად არც კი გეცოდინებათ, საით მიილტვით, მაინც ეს იქნება თქვენი სწრაფვა ზღვის დიადი რიტმული სიმშვიდისკენ.

აბა, სხვაგვარად როგორ იქნება? გორაკებზე, ტევრსა თუ ხეივანში წვიმა რომ ცეკვავს ფოთლებთან, რომ თოვს და თოვას რომ მოაქვს კურთხევა და თანხმობა, მინდვრად რომ ფარას მიერეკებით მდინარისკენ, თქვენს ყანებში ნაკადულები რომ ვერცხლის არშიად ევლებიან მიწის მწვანე ქათიბს, გარიჟრაჟზე თქვენს ბაღნარებში ნამის წვეთში რომ აირეკლება ზეცა, თქვენს მდელოებზე მიმწუხრის ჟამს ნისლი რომ ჩამოწვება და გზას დაგიბინდავთ, – ყოველივე ამაში თქვენთან არის ზღვა, ზღვა ემოწმება თქვენს წარმომავლობას და უხმობს თქვენს სიყვარულს.

თქვენშია თოვლის ფიფქები, ზღვისკენ რომ მიილტვიან“.

დილას, როცა ბაღში დასეირნობდნენ, ქალი მოადგა ბჭეს. ეს იყო კარიმა. ალმუსტაფას დასავით უყვარდა თავის ბიჭობაში. ქალი იდგა, არც არაფერი უკითხავს, არც დაუკაკუნებია. სევდითა და მონატრებით იყურებოდა ბაღში.

და ალმუსტაფამ იხილა ნახვის სურვილი მის მზერაში და ნელი ნაბიჯით გასწია შემოშენებული ზღუდისკენ. და გახსნა კარიბჭე. ქალი შევიდა და მიესალმა.

და ქალმა თქვა:

„ასე რატომ გაგვინაპირდი? რატომ დაგვიძვირე ნათელი შენი სახისა? შენ უწყი, ამ ხანგრძლივი დროის განმავლობაში გვიყვარდი და მონატრულნი ველოდით მშვიდობით შენს დაბრუნებას. ხალხმა მოგისაკლისა და გიხმობს, ხალხს შენთან საუბარი სურს, მე ხალხმა მომაგზავნა, მოვედი, რათა შეგევედრო, რომ ეჩვენო ხალხს, გვესაუბრო, გვაზიარო შენს სიბრძნეს, დაგვიამო ტკივილი გულისა და დაგვმოძღვრო უგუნურნი“.

ალმუსტაფამ შეხედა ქალს და თქვა:

„ბრძნად ნუ მომიხსენიებ, მაშინ ყველას უნდა უწოდო „ბრძენი“. მე უმწიფარი ნაყოფი ვარ, ჯერ კიდევ რტოსა ვარ გამობმული. სულ ახლახან გამოვიარე კვირტობა და ყვავილობა.

ნურც თქვენ შორის მიიჩნევ ვინმეს უგუნურად. სიმართლე თუ გინდა, ჩვენ არც ბრძენნი ვართ და არც უგუნურნი. მწვანე ფოთლები ვართ სიცოც-

ხლის ხისა. და სიცოცხლე აღემატება სიბრძნეს და, მით უმეტეს, აღემატება სისულელეს.

და განა მართლა გაგინაპირდით? ნუთუ არ იცი, რომ არსებობს მხოლოდ ერთადერთი სიშორე. ესაა მანძილი, რომელსაც სული ვერ გადასწვდომია წარმოსახვით. და, როცა სული მას მისწვდება, მანძილი იქცევა რიტმად სულისა.

თქვენთან უბრალ მყოფ კარის მეზობელსა და თქვენ შორის მანძილი ნამდვილად წააჭარბებს მანძილს თქვენსა და თქვენს სატრფოს შორის, თუნდაც იგი ცხრა მთას იქით ცხოვრობდეს.

რამეთუ ხსოვნამ არ იცის მანძილი და მხოლოდ დავიწყებაა ის უფსკრული, რომელშიც ვერც თქვენი ხმა და ვერც თქვენი თვალი ვერ ჩააღწევს.

ოკეანის ნაპირებიდან ქედის უმაღლეს მწვერვალამდე იდუმალი გზა გადის. იმ გზის გავლა გმართებთ, რათა შეუერთდეთ მიწის ძეთ.

თქვენს ცოდნასა და თქვენს ცნობიერებას შორის არის იდუმალი ბილიკი და მისი მიკვლევა გმართებთ, ვიდრე შეუერთდებით ადამიანს და, ამდენად, – საკუთარ თავს.

თქვენს მარჯვენა ხელს, რომელიც მოწყალებას გაიღებს, და თქვენს მარცხენა ხელს შორის, რომელიც მოწყალებას მიიღებს, – დიდი სივრცეა. თუ იფიქრებთ, რომ ორივე ხელი გამღებიცაა და მიმღებიც, მხოლოდ მაშინ შეძლებთ მათ შორის სივრცის გაქრობას. რამეთუ მხოლოდ მაშინ დაძლევთ სივრცეს, თუ იცით, რომ არაფერი გაქვთ გასაცემი და არც არაფერი გაქვთ მისაღები.

ჭეშმარიტად უშორესია მანძილი თქვენი ძილ-ღვიძილის ზმანებებსა და თქვენს მღვიძარებას შორის, ნაქმნარსა და ნასურვებს შორის.

და არის კიდევ სხვა გზა, რომლის გავლა მართებს ადამიანს, ვიდრე სიცოცხლე და ადამიანი იქნებიან ერთნი. მაგრამ ამ გზაზე ახლა არაფერს გეტყვით, ვხედავ, მოიქანცეთ სივრცეთა დალახვით“.

მერმე იგი ქალთან და იმ დანარჩენ ცხრასთან ერთად დაიძრა ბაზრის მოედნისკენ. და გაესაუბრა ხალხს, თავის მეგობრებსა და მეზობელ-მოკეთეებს. და იყო სიხარული დიდი მათ გულებსა და მათ თვალებში.

და თქვა მან:

„თქვენ იზრდებით ძილში და მთელი სისავსით ცხოვრობთ თქვენს სიზმრებში. რამეთუ თქვენი დღეები გაგყავთ იმის გამო მადლის გადახდაში, რაც გებოძათ ღამის სიჩუმეში.

ხშირად ფიქრობთ და ამბობთ, რომ ღამე დასვენების ჟამია, სინამდვილეში კი ღამე ჟამია ძიებისა და პოვნისა.

დღე გაძლევთ ძალას შემეცნებისა, დღე გაწაფავს თქვენს თითებს, წვრთნის მათ მიღების ხელოვნებაში. მაგრამ მხოლოდ ღამე მიგიძღვებათ სიცოცხლის საუნჯისკენ.

მზე უღვივებს ყოველ სულდგმულს სწრაფვას სინათლისკენ, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ ღამე აზიდავს მათ ვარსკვლავებამდე.

ჭეშმარიტად, ღამის სიმყუდროვე ქსოვს საქორწინო საბურველს ტყეში ხეებისთვის და ბაღნარში ყვავილებისთვის. და მერმე უხვ ნადიმს მართავს და რთავს საქორწინო სარეცელს. და იმ წმინდა სიჩუმეში ხვალინდელი დღე ისახება ჟამის წიაღში.

ასევე ხართ თქვენც. ასევე ძიებით მოიპოვებთ სარჩოს და სრულყოფილებას. და, თუმცა გათენების უმალ თქვენი სიფხიზლე წაშლის თქვენსავე

მეხსიერებას, სიზმრისეული ტაბლა მარად გაშ-ლილია და საქორწინო სარეცელიც გელით“.

და იგი ერთხანს დუმდა. დუმდენ ისინიც. მის სიტყვას ელოდნენ. შემდეგ ისევ განაგრძო მან და თქვა:

„თქვენ ხართ სული, სხეულში მოქცეული. ზეთი რომ იწვის და ანათებს სიბნელეში, თქვენც ასევე ცეცხლი ხართ, ლამპარში მომწყვდეული.

თქვენ რომ მხოლოდ სხეული იყოთ, მაშინ თქვენთან ჩემს ყოფნას და საუბარს აზრი არ ექნე-ბოდა, მკვდრისაგან მკვდართა ხმობა იქნებოდა. მაგრამ ასე არ არის. ყველაფერი, რაც უკვდავია თქვენში, თავისუფალია დღისითაც და ღამითაც. მისი არც შეზღუდვა შეძლება, არც დაბორკვა, რა-მეთუ ასეთია ნება უზენაესისა. თქვენა ხართ მისი სუნთქვა. ქარივით ხართ, მას ვერც მოიხელთებ და ვერც დაამწყვდევ. და მეც აგრეთვე ფშვინვა ვარ უზენაესის სუნთქვისა“.

და იგი გამოეყო მათ, ნელა გაემართა და ისევ შევიდა წალკოტში.

და სარგისმა, რომელიც მცირედმორწმუნე იყო, უთხრა:

„და რას გვეტყვი სიმახინჯეზე, მოძღვარო? შენ ხომ არასდროს ლაპარაკობ სიმახინჯეზე”.

და მიუგო ალმუსტაფამ, და შოლტმა გაისისინა მის ხმაში, და თქვა მან:

„მოყვასო ჩემო, ვინ გეტყვის, რომ არ ხარ სტუმართმოყვარე, თუ იგი შენს სახლთან ჩაივლის და კარზე არ მოგიკაკუნებს?

ვინ ჩაგთვლის ყრუდ და უგულისხმოდ, თუ დაგელაპარაკება შენთვის სრულიად გაუგებარ უცხო ენაზე?

უშნო და უგვანი ის ხომ არაა, რომელთან სიახლოვე არასდროს გნდომებიათ, რომლის გულში შელწევა არასდროს გსურვებიათ?

თუკი რაიმეა ნამდვილად უშნო და ულაზათო, – ესაა ბისტი, რომელიც თვალებზე გაქვთ წაფარებული, – და ცვილი, რომლითაც ყურები გაქვთ დაცობილი.

მოყვასო ჩემო, უშნო და უსახური არაფერია, გარდა შიშისა, რომლითაც სული ძრწის საკუთარ მოგონებათა წინაშე“.

ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც ისხდნენ ვერცხლისფერი ალვების წაგრძელებულ ჩრდილში, ერთმა თქვა:

„მოძღვარო, მეშინია დროის. იგი მიედინება და გვძარცვავს, გვართმევს ჩვენს სიჭაბუკეს და რას გვაძლევს სანაცვლოდ?“

და მიუგო მან და უთხრა:

„აიღე მუჭით პოხიერი მიწა. ხომ იქნება მასში თესლი და ეგებ ჭიაყელაც იყოს. შენი ხელი ძალიან დიდი და ძალიან ძლიერი რომ ყოფილიყო, ხომ შეიძლებოდა, თესლი ტყედ ქცეულიყო, მატლი კი ანგელოზთა დასად. ნუ დაივიწყებ, რომ დრო, რომელიც თესლს ტყედ გადააქცევს, ჭიას კი ანგელოზად, – ეკუთვნის სწორედ ამ „ახლას“, „ახლა“ მოიცავს ყველა დროს.

და რა არის წელიწადის დრონი, თუ არა თქვენი საკუთარი ფიქრების მონაცვლეობა? გაზაფხული გაღვიძებაა თქვენი გულისა, ზაფხული შეცნობაა თქვენი ნაყოფიერებისა. და განა შემოდგომა არ არის ის უძველესი რამ თქვენს არსებაში, რომელიც ნანას უგალობს იმას, რაც ჯერ კიდევ ჩვილი ბალღია თქვენში? და გკითხავთ, რა არის ზამთარი, თუ არა ძილი, წელიწადის დანარჩენ დროთა სიზმრებით დატვირთული?“

და მერმე მანუსმა, მისმა გამჭრიახმა მოწაფემ, მიმოიხედა და თვალი შეავლო აყვავებულ მცენარეებს, რომლებიც თუთის ხეს მიგრეხოდნენ და მიტმასნოდნენ. და თქვა მანუსმა:

„მოძღვარო, შეხე ამ მუქთახორებს. რას იტყვი ამათზე? ესენი ქურდები არიან, თვითონ თვალს ვერ უსწორებენ მზეს, თვალები მოუხუჭავთ, სინათლეს პარავენ მზის ამტან შვილებს და განცხრომით ეწაფებიან წვენს, რომელიც ხის რტოებსა და ფოთლებში მიედინება“.

და მან მიუგო და უთხრა:

„მოყვასო ჩემო, ჩვენ ყველანი მუქთახორები ვართ. ჩვენ, რომელნიც მიწას ვხნავთ და ვთესავთ, რათა ნიადაგი ვაქციოთ მფეთქავ, მოფუთფუთე სიცოცხლედ, – არა ვართ იმათზე მეტად აღმატებულნი, ვისაც უშუალოდ პირდაპირ მიწისგან ისე ეძლევა სიცოცხლე, რომ არც კი იცის მიწა რა არის.

განა დედა ეტყვის თავის პატარას: „შენს დიად დედას, ტყეს, მივუბრუნებ შენს თავს, რადგან მომქანცე, გულიც დამეღალა და ხელიც“.

ანდა მგალობელი განა უსაყვედურებს ჰანგს და ეტყვის: „გასწი, გაბრუნდი ექოთა გამოქვაბულში, საიდანაც მოხვედი, რადგან შენი ხმიანობა ნთქავს ჩემს სუნთქვას?“

განა ეტყვის მწყემსი კრავს: „საძოვარი არ მაქვს, ვერსაით გაგიძღვები. ამიტომ სამსხვერპლოდ უნდა გაგიმეტო“.

არა, მოყვასო ჩემო, ამას ყველაფერს პასუხი გაეცა ბევრად ადრე, ვიდრე კითხვა გაჩნდებოდა, სწორედ ისე, თქვენი სიზმრების არ იყოს, სანამ დაიძინებდეთ და დაგესიზმრებოდეთ, წინასწარ რომ აგიხდებათ ხოლმე.

ჩვენ ერთმანეთით ვსულდგმულობთ, თანახმად უძველესი და ზედროული კანონისა. ვიცოცხლოთ

ასე, სიყვარულითა და სიამტკბილობით. ერთ-მანეთისკენ მივილტვით ჩვენს მარტოობაში და, თუ არ გვაქვს კერია, რომელსაც მივუსხდებით, მაშინ გზას გავუდგებით ხოლმე.

მოყვასნო ჩემნო და ძმანო ჩემნო, უფრო ფარ-თო შარა არის თქვენი შესაფერი.

ეს მცენარეები, ხეს რომ ებღოტებიან და ეტ-მასნებიან, ღამის საამურ სიწყნარეში ისრუტავენ მიწის რძეს, ღამე კი თავის მშვიდ ძილში მზის ძუძუს წოვს.

ხოლო მზე, ისევე როგორც თქვენ, მე და ყვე-ლაფერი, რაც არსებობს,– პატივით არის წვეული უფლის ნადიმზე, სადაც კარი მუდამ ღიაა და სუფ-რა მუდამ გაშლილია.

მანუს, მოყვასო ჩემო, ყოველი, რაც არსებობს, ცოცხლობს ყოველი არსებულით. და ყოველი არ-სებული ცოცხლობს უზენაესის სიუხვის უსაზ-ღვრო რწმენით“.

გამთენიისას ყველანი ერთად გავიდნენ ბაღნარში, ერთად დაიარებოდნენ, გაჰყურებდნენ აღმოსავლეთს და დუმდნენ ამომავალი მზის წინაშე.

მცირე ხანი გამოხდა, ალმუსტაფამ ცვარზე მიუთითა მათ და თქვა:

„ამომავალი მზის ხატი, ცვრის წვეთში არეკლილი, არ არის თვით მზეზე კნინი. ასევე ჩვენს სულში არეკლილი სიცოცხლე არ არის თვით სიცოცხლეზე ნაკლები.

ცვარი ირეკლავს ნათელს, რადგან ცვარი და ნათელი ერთია. და თქვენ ირეკლავთ სიცოცხლეს, რადგან თქვენ და სიცოცხლე ერთნი ხართ.

როცა ბნელი შემოგებურვით, თქვით: „ეს სიბნელე განთიადია ჯერ არშობილი. თუმცა ღამის სამშობიარო ტკივილები ჩემი გადასატანიცაა, განთიადი დაიბადება ჩემთვისაც და ამ გორაკებისთვისაც“.

ნამი, წვეთად რომ შემოირკალება შროშანას წიაღში, ჩამოგგავთ თქვენ, თქვენც განიმტკიცებთ თქვენს სულს ღვთის წიაღში.

ცვარ-ნამი თუ იტყვის: „ათასწლეულში მხოლოდ ერთხელ ვარ ცვრის წვეთი”, მიუგეთ და უთხარით: „ნუთუ არ იცი, რომ ნათელი ყოველი დროისა ციმციმებს შენში“?

საღამოჟამს ქარიშხალი ამოვარდა. ალმუსტაფა და მისი ცხრავე მოწაფე შინ შევიდნენ და ცეცხლა-პირს დასხდნენ. დუმდნენ.

მერმე მოწაფეთაგან ერთმა თქვა:

“მარტოდმარტო ვარ, მოძღვარო, და დროის ფლოქვები მძიმედ მეხეთქება მკერდზე”.

ალმუსტაფამ წამოიწია, ჩადგა მათ შორის და თქვა, გრიგალის ზათქი იყო მის ხმაში:

“მარტოდმარტო?! რა მოხდა მერე?! მარტო მოხვედით და მარტომ უნდა შეაღწიოთ ნისლში.

ამიტომ მარტომ დაცალე შენი სასმისი და იყუ-ჩე. შემოდგომის დღეებმა სხვა ბაგეებსაც შენსა-ვით გაუწოდა სხვა სასმისები და გაულიცლიცა უფრო მაგარი და უფრო ტკბილი ღვინით.

ამიტომ შესვი შენი სასმისი, მერე რა, რომ მას შენი საკუთარი სისხლისა და ცრემლის გემო დაჰ-კრავს, და ქება უძღვენი სიცოცხლეს წყურვილის უნარის ბოძებისთვის. რამეთუ წყურვილის გარეშე შენი გული ნაპირია ჩამკვდარი ზღვისა, რომელიც არც გალობს და არც მიიქცევ-მოიქცევა.

მარტომ შესვი შენი სასმისი და შესვი ხალისით.

ასწიე იგი თავზივით და ბოლომდე დაცალე მათთვის, ვინც მარტო სვამს.

ერთხელ თანამეინახეებს ვეძებდი. კიდეც გა-დავეყარე. და მივუჯექი იმათ სუფრას და მაგრა-დაც ვსვი მათთან ერთად. მაგრამ იმათი ღვინო არც თავში ამვარდნია, არც გულში ჩამღვრია. ფეხებში წამივიდა მხოლოდ. გონება ფხიზელი შემ-

რჩა, გული კი – ჩახურული და ჩარაზული. მხოლოდ ჩემი ფეხები შეეწყო იმათ ბანდალს.

მას აქეთ აღარ მიძებნია თანამეინახენი, არც ღვინო მისვამს მათ ტაბლასთან.

ამიტომ გეტყვი: მართალია, დროის ფლოქვები მძიმედ გეხეთქება მკერდზე, მაგრამ რა მოხდა მერე? გიჯობს მარტომ შესვა სასმისი სევდისა და მაშინ მარტოვე შესვამ სასმისს სიხარულისას“.

ერთხელ ბერძენმა ფარდოსმა ბაღში ქვაზე წაიფორხილა და გაწყრა. მიბრუნდა, დასწვდა ქვას, შორს მოისროლა და ჩუმად დაატანა: „რა ჯანდაბა უნდა ამ მკვდარს ჩემს გზაზე?!"

ალმუსტაფამ, რჩეულმა და საყვარელმა, უთხრა:

„რატომ თქვი „მკვდარსო"? რა ხანია ხარ ამ წალკოტში და ნუთუ არ იცი, რომ აქ არაფერია მკვდარი? ყველაფერი ცოცხლობს და ღვივის დღის სიბრძნესა და ღამის სიდიადეში. შენ და ქვა ერთნი ხართ. განსხვავებაა მხოლოდ გულის ძგერაში. შენი გული უფრო სწრაფად ძგერს, ასე არაა, მოყვასო ჩემო? ჰო, ოღონდ გული არაა ქვასავით მშვიდი.

გულის რიტმი განსხვავებულია. ხოლო მე გეტყვით თქვენ: რომ ჩასწვდომოდით თქვენი სულის სიღრმეს და შეგეღწიათ სივრცეთა სიმაღლეში, გაიგონებდით ერთიან ჰანგს და ამ ჰანგში ქვის სიმღერაც ჟღერს და ვარსკვლავისაც, ერთმანეთს ეხმატკბილებიან სრულქმნილ თანხმიერებაში.

ჩემმა სიტყვებმა თუ ვერ შემოაღწია შენს გონებაში, მაშინ დაველოდოთ სხვა განთიადს. შენ მაგ ქვას შეუკურთხე, რადგან შენი სიბეცის გამო წაიბორძიკე მასზე. მაგრამ ნუთუ შეუკურთხებდი ვარსკვლავს, ვთქვათ, ცაში უცაბედად თავით რომ წამოსდებოდი?! ბავშვი რომ კრეფს ველის შროშანებს, შენც ასე მოუყრი თავს ქვებსა და ვარსკვლავებს. ეს დღეც დადგება და მაშინ შეიტყობ, რომ ეს ყველაფერი ცოცხლობს, სულდგმულობს და კეთილსურნელებას გამოსცემს".

კვირის პირველ დღეს, როცა ტაძრის ზარების რეკვამ მოაღწია მათ ყურთასმენამდე, ერთმა მათგანმა თქვა:

„მოძღვარო, ღმერთს ახსენებს ყველა. რას გვეტყვი ღვთის შესახებ, სინამდვილეში ვინ არის იგი?“

ალმუსტაფა იდგა მათ წინაშე ახალნერგივით, რომელსაც არ აშინებს გრიგალი და ქარიშხალი. და მიუგო და უთხრა:

„მოყვასნო ჩემნო და მოკეთენო ჩემნო, წარმოიდგინეთ გული, რომელიც იტევს ყოველი თქვენგანის გულს, – და სიყვარული, რომელიც მოიცავს მთელს თქვენს სიყვარულს; და წარმოიდგინეთ სული, რომელიც აერთიანებს ყოველი თქვენგანის სულს, – და ხმა, რომელიც თავს უყრის ყველა ხმას; და კიდევ, წარმოიდგინეთ მდუმარება, რომელიც თქვენს დუმილზე ღრმაა და უჟამოა, დროზე ადრე არსებულია.

შეეცადეთ, საკუთარი არსის სრულქმნით ჩასწვდეთ მშვენიერებას, რომელიც ყოველივე მშვენიერზე უმშვენიერესია; ეცადეთ, მიაყურადოთ ჰანგს, რომელიც ზღვათა და ტყეთა სიმღერაზე უფრო ლაღია; შეიგრძნოთ დიდებულება, რომლის სამეუფეო ტახტის ოდენ კვარცხლბეკია ორიონი, – დიდებულება, რომლის კვერთხის მოოჭვილობაში პლეადის თანავარსკვლავედი ოდენ ნამის ციმციმს ჰგავს.

თქვენ მუდამ ეძიებდით საკვებსა და თავშესაფარს, სამოსელსა და ყავარჯენს; ამიერიდან ეძიეთ უზენაესი იგი, ერთადერთი, ვინც არც თქვენთა ისართა სამიზნეა და არც კლდეში გამონახეთქი ეხი, სადაც თავს შეაფარებდით სტიქიათა შემოტევისას.

და, თუ ჩემი სიტყვები ქვებივითაა, ან გამოცანასავითაა თქვენთვის, მაშინ ის მაინც სცადეთ, გული გაგიტყდეთ და თქვენში აღძრული კითხვები მიგიძღვეთ სიყვარულთან და სიბრძნესთან უზენაესი ერთისა, რომელსაც კაცთა მოდგმა ღმერთს უწოდებს“.

და დუმდნენ ისინი. გაოგნებული იყო ყოველი მათგანი. ალმუსტაფა თანაგრძნობამ შეძრა, ნაზად შეხედა მათ და თქვა:

„ახლა ნუღარ ვილაპარაკებთ მამაღმერთზე, უფალზე. ვისაუბროთ ღმერთებზე, – თქვენს მეზობელ-მოკეთეებზე, თქვენს ძმებზე, – ვისაუბროთ სტიქიებზე, რომლებიც თქვენს მინდვრებსა და თქვენს სახლებთან აიშლებიან ხოლმე.

ზოგჯერ თქვენს ოცნებებში ღრუბლებამდე ააღწევთ და ეს სიმაღლე გგონიათ; გადასერავთ ვეება ზღვას და ეს დიდი მანძილი გგონიათ. ხოლო მე გეტყვით თქვენ: თესლს რომ ჩააბნევთ მიწაში, მაშინ უფრო მეტ სიმაღლეს აღწევთ; როცა მოყვასს ეგებებით და მშვიდობიან დილას უსურვებთ, მაშინ თქვენ გადალახავთ კიდევ უფრო დიდ, უკიდეგანო ზღვას.

ძალიან ხშირად უგალობთ ღმერთს, უსასრულოს და დაუსაბამოს. მაგრამ სინამდვილეში არ გესმით სიმღერა. ნეტა შეგძლებოდათ მგალობელი

ჩიტების სმენა და გაგონება ფოთლის ჰანგისა, როცა რტოს სწყდება ქარის შემოქროლებაზე. ნუ დაივიწყებთ, მოყვასნო ჩემნო, რომ ფოთლები მხოლოდ მაშინ მღერიან, როცა ტოტს შორდებიან.

და კვლავ გთხოვთ, ასე იოლად ნუ ახსენებთ ღმერთს, რომელიც არის თქვენი ყველა და ყველაფერი. უფრო მეტად ელაპარაკეთ და გაუგეთ ერთმანეთს: მოყვასმა – მოყვასს, ღმერთმა – ღმერთს.

აბა, რამ გამოკვებოს ბუდეში შეყუჟული შეუბუმბლავი ბარტყები, დედაჩიტმა თუ მიატოვა და ცაში აიჭრა. მინდვრად ფრინტა რამ გაახაროს, სხვა ფრინტიდან თუ არ დამტვერა ფუტკარმა?

თქვენს პატარა არსებაში როცა ხართ ჩაკარგულნი, მხოლოდ მაშინ ეძიებთ ზეცას, რომელსაც ღმერთს უწოდებთ. ნეტა შეძლებდეთ თქვენი დიადი არსისკენ გზის გაგნებას! ნეტა უქმად არ მოცდებოდეთ და გაკვალავდეთ გზებს!

ჩემო ზღვაოსნებო, ჩემო მოკეთეებო! უმჯობესი იქნება, თუ ნაკლებს ვილაპარაკებთ ღმერთზე, რომლის შეცნობა ჩვენს ძალას აღემატება, და მეტს ვისაუბრებთ ყოველ თქვენგანზე, რადგან ერთმანეთის გაგების ძალა შეგვწევს. და მაინც, მინდა იცოდეთ, რომ ჩვენ ვართ სუნთქვა და სურნელი ღვთისა”.

დილით, მზემ რომ კარგა მაღლა აიწია, ბავშვობიდანვე თანშეზრდილი სამი მეგობრიდან ერთი მიუახლოვდა და უთხრა:

„მოძღვარო, სამოსი შემომაცვდა და სხვა არ მაბადია. ნება მიბოძე ბაზარში წავიდე, ეგებ შევიძინო ახალი ტანსაცმელი“.

და ალმუსტაფამ თვალი შეავლო ყმაწვილ კაცს და უთხრა:

„მომეცი შენი სამოსი“.

მოწაფე ასეც მოიქცა და დადგა შიშველი შუადღის ალხში.

და თქვა ალმუსტაფამ, მისი ხმა შარაგზაზე გაჭენებული ულაყის ფლოქვების თქარუნს ჰგავდა:

მხოლოდ დედიშობილა შეიძლება მზის ქვეშ ლაღად ცხოვრება. მხოლოდ ბრალის არმქონენი ხედნიან ქარებს. და მხოლოდ ის დაბრუნდება შინ, ვინც ათასჯერ მაინც ასცდება გზას.

ანგელოზებს მობეზრდათ ჭკვიანები. აგერ გუშინ მითხრა ერთმა ანგელოზმა: „ჯოჯოხეთი იმათთვის შევქმენით, ვინც გარედან ბზინავს და ზიმზიმებს. ცეცხლის მეტი რა წაშლის ზედაპირულ ბრწყინვალებას, სხვა რა გაალღობს და ჩააღწევს მის სიღრმეში“.

და მე ვუთხარი: „მაგრამ ჯოჯოხეთთან ერთად თქვენ ეშმაკებიც შექმენით, რათა მათ განაგონ ჯოჯოხეთი“.

ანგელოზმა მიპასუხა: „არა, ჯოჯოხეთს ისინი განაგებენ, ვინც არ ეპუება ცეცხლს“.

ბრძენია ანგელოზი! მან იცის კაცთა და არა-

კაცთა გზანი. იგი ერთი სერაფიმთაგანია, რომელნიც შეეწევიან ხოლმე წინასწარმეტყველებს, როცა მათ ცთუნებას უპირებენ ჭკვიანნი. ცხადია, სერაფიმი იღიმის, როცა წინასწარმეტყველნი იღიმიან, და ტირის, როცა წინასწარმეტყველნი ტირიან.

ჩემო მეგობრებო, ჩემო ზღვაოსნებო! მხოლოდ შიშველნი ცოცხლობენ მზისქვეშეთში. მხოლოდ იგი გადაცურავს უკიდეგანო ზღვას, ვისაც არა აქვს საჭე; მხოლოდ ის გაიღვიძებს განთიადთან ერთად, ვინც ფესვებთან ერთად ძილს მისცემია თოვლქვეშ.

ფესვებს ჰგავხართ და ფესვებივით უბრალონი ხართ, თუმცა სიბრძნეც დაგყვათ მიწისგან. თქვენ დუმხართ. და მაინც, ჯერ კიდევ არგამოკვირტულ, ჯერ კიდევ არამოზრდილ თქვენს ყლორტებში მოისმის ქორო ოთხივ კიდით ატეხილ ქართა.

თქვენ ჯერ სუსტნი ხართ და უფორმონი. ამასთანავე, თქვენ ხართ საწყისი ვეება მუხნარისა და არყის ხეთაგან ცაზე მიხატული უფაქიზესი მაქმანისა.

კიდევ გეტყვით: თქვენ ოდენ ფესვები ხართ, შავ მიწასა და მოძრავ ცას შორის გადგმული. და ბევრჯერ მიხილავს, რომ წამომარხულხართ, რათა სინათლის ფერხულში ჩართულიყავით. მაგრამ მიხილავს თქვენი დამორცხვებაც. ყველა ფესვი მოკრძალებულია. იმდენს მალავენ თავიანთ გულებს, რომ მერმე აღარ იციან, რა უყონ მათ.

მაგრამ მოვა მაისი, რომელმაც არ იცის, რა არის დაღლა. და მაისი დედობას გაუწევს მთებსა და ველებს.

და ერთი იმათგანი, ვინც ტაძარს ემსახურებოდა, შეევედრა და უთხრა:

„მოძღვარო, გვასწავლე, რომ, შენი სიტყვების მსგავსად, ჩვენი ნათქვამიც გალობა და გუნდრუკი იყოს ხალხისთვის“.

და მიუგო ალმუსტაფამ და უთხრა:

„თქვენ უნდა ააღწიოთ თქვენს სიტყვებზე მაღლა. მხოლოდ და მხოლოდ თქვენი გზა დარჩება რიტმად და სურნელად: რიტმად – შეყვარებულთათვისა და ყველა მოყვასისთვის, და სურნელად – მათთვის, ვინც სიცოცხლეს გაატარებს წალკოტში.

თქვენ ამაღლდებით თქვენს სიტყვებზე, მიაღწევთ მწვერვალს, სადაც ვარსკვლავთა მტვერი ცვივა. და გაშლით ხელებს. და ხელები დაგეფარებათ მტვრით. მერმე დაწვებით და ჩაიძინებთ თეთრ ბუდეში ჩაყუჟული თეთრად შებუმბლული ბარტყებივით. და იოცნებებთ ხვალინდელ დღეზე, როგორც ენძელები ოცნებობენ გაზაფხულზე.

თქვენ ჩააღწევთ სიღრმეში, თქვენს სიტყვებზე ქვევით. ძებნას დაუწყებთ დაკარგულ პირველწყაროს. თქვენ იქნებით ფარული მღვიმე, რომელიც მოძახილს შეაგებებს სიღრმეთაგან მოღწეულ ხმებს, თუმცა ამას თავად ვერ გაიგონებთ.

თქვენ ჩაეშვებით ქვევით, თქვენს სიტყვებზე ქვევით, დიახ, ყოველგვარ ბგერაზე დაბლა, თვით დედამიწის გულამდე. და იქ მარტო დარჩებით მასთან, ვისი გზაც ირმის ნახტომზე გადის“.

მცირე ხანს შემდეგ ერთმა მოწაფემ ჰკითხა და უთხრა:

„მოძღვარო, გვესაუბრე ყოფნაზე. რას ნიშნავს ყოფნა?“

ალმუსტაფამ ერთხანს უყურა სიყვარულით. მერმე წამოდგა და მოშორებით ბოლთის ცემა იწყო. მობრუნდა და თქვა:

„ამ ბაღნარში განისვენებენ ჩემი მამა და ჩემი დედა, დამარხულნი ცოცხალთა ხელით. და ამ ბაღნარში ჩაბნეულია თესლები გასული წლისა, ქარის ფრთებით აქ მოტანილი. ბევრჯერ დაიმარხებიან აქ ჩემი დედა და ჩემი მამა. და აქ ბევრჯერ ჩააბნევს თესლს ქარი. და ათასი წლის შემდეგ ამ წალკოტში ერთად მოვალთ თქვენ, მე და ეს ყვავილები. მოვალთ, როგორც ახლა. და ჩვენ ვიქნებით და ჩვენ გვეყვარება სიცოცხლე. და ჩვენ ვიქნებით და ვიოცნებებთ სივრცეებზე. და ჩვენ ვიქნებით და ავმაღლდებით მზემდე.

ხოლო დღეს „ყოფნა“ ნიშნავს: იყო ბრძენი, მაგრამ არ გაუუცხოვდე ბრიყვს; იყო ძლიერი, მაგრამ არ დაჯაბნო სუსტი; მამასავით კი არ ეთამაშო ბალღებს, ეთამაშო ისე, თითქოს იმათი კბილა იყო და იმათი გართობა-თამაშობების სწავლა გინდოდეს.

დღეს „ყოფნა“ ნიშნავს: იყო უბრალო და გულწრფელი ბერიკაცთან და ბერიქალთან, ჩამოჯდე მათთან ბებერი მუხის ჩეროში, თუმცა შენ ჯერ კიდევ გაზაფხულთან ხარ ფეხშეწყობილი.

ნიშნავს, ეძიებდე პოეტს, თუნდაც იგი ცხრა მთას იქით ცხოვრობდეს. და იყო მშვიდად მის სი-

ახლოვეს, არაფერი გსურდეს, არაფერი გაეჭვებ-დეს, არავითარი კითხვები არ გადგებოდეს ენაზე.

დღეს „ყოფნა“ ნიშნავს, იცოდე, რომ წმინდანი და ცოდვილი ტყუპი ძმები არიან, რომ მათი მამაა მწყალობელი უფალი ჩვენი, რომ ერთი მათგანი მეორეზე წამით ადრე იშვა და მხოლოდ ამიტომ მივიჩნევთ მას ტახტის მემკვიდრე უფლისწულად.

დღეს „ყოფნა“ ნიშნავს, მისდიო მშვენიერებას მაშინაც კი, თუ ის უფსკრულისკენ წაგიძღვება. და, თუმცა შენ უფრთო ხარ, ის კი – ფრთიანი და გადაევლება უფსკრულის კიდეს, მაინც მიჰყევი, რამეთუ, სადაც არ არის მშვენიერება, იქ არც არაფერია.

დღეს ყოფნა ნიშნავს, იყო შემოუღობავი ბაღი, იყო ვენახი დაუცველი, იყო საგანძური, რომლის კარი ღიაა ამვლელ-ჩამვლელისთვის.

დღეს ყოფნა ნიშნავს, იყო გაძარცული, მოტყუ-ებული, ჰო, გზაგამრუდებული, ხაფანგში მომწყვ-დეული და გაკიცხულ-გაქილიკებული. და მაინც, ყოველივე ამის მიუხედავად, შენი დიადი „მე”-ს სიმაღლიდან იხედებოდე და იღიმოდე, გახსოვდეს, რომ არსებობს გაზაფხული, რომ იგი მოვა შენს ბაღნარში ფოთლებთან საცეკვაოდ, მოვა შემოდ-გომა და დაგიმკრახავთ ყურძნის მტევნებს.

დღეს „ყოფნა“ ნიშნავს, იცოდე, რომ თუნდაც ერთი სარკმელი თუ შეღებული გაქვს აღმოსავლე-თით, შენ არასდროს იგრძნობ სიცარიელეს; ნიშ-ნავს, იცოდე, რომ ყველა, ვინც მიჩნეულია ავა-ზაკად, ყაჩაღად, თაღლითად და გაიძვერად, – გასაჭირში ჩავარდნილი შენი ძმაა. და ამ ქალაქის ზევით, ზეციური ქალაქის კურთხეულ მკვიდრთათ-

ვის ეგებ სწორედ შენა ხარ გასაჭირში ჩავარდნილი ძმა.

ხოლო თქვენთვის, რომელნიც საკუთარი ხელით ქმნით და მოიპოვებთ ყოველივეს, რაც გესაჭიროებათ ჩვენთა დღეთა და ჩვენთა ღამეთა გასახალისებლად, – თქვენთვის „ყოფნა“ ნიშნავს: იყო მქსოველი და იმზირებოდე თითებით; იყო ხურო და ალღო გქონდეს შუქისა და სივრცისა; იყო მხვნელი და გრძნობდე, მარცვალს რომ ჩაფლავ, ამით განძს მარხავ მიწაში; იყო მეთევზე და მონადირე, გებრალებოდეს თევზი და ნადირი, ოღონდ უფრო მეტად გულისტკივილს გგვრიდეს შიმშილი და გასაჭირი კაცთა.

და ყოველივე ამასთან, აი, რას გეტყვით: ვისურვებდი, რომ ყოველი თქვენგანი იყოს თანამზრახველი ყოველი სხვა კაცისა, რამეთუ მხოლოდ ასე მიაღწევთ თქვენს საკუთარ დიად მიზანს.

მოკეთენო და მოყვასნო ჩემნო, იყავით მხნე და ნუ დაბეჩავდებით. იყავით ლაღი, ფართო და ნუ შეიზღუდებით. და ვიდრე ჩემი და თქვენი უკანასკნელი ჟამი მოაწევს, ნამდვილად გამოანათებს თქვენი დიადი არსი“.

დადუმდა. დიდად დანაღვლიანდა ცხრავე. მოძღვარს გაუგარეულდა მათი გულები, რადგან ვერ ჩასწვდნენ მის ნათქვამს.

და მაშინ იმ სამს, მეზღვაურებს, ზღვამ უხმო; იმათ, ვინც ტაძარს ემსახურებოდა, მოსწყურდათ სიწმინდეთა წიაღში ნუგეში; მისი ბავშვობის გართობათა მოზიარეთ კი ბაზრის მოედნისკენ გაუწია გულმა.

ყველანი ყრუნი იყვნენ მისი სიტყვებისთვის და ყოველი ბგერა მასვე მიუბრუნდა ბუდიდან ამოვარდნილი, მილეული, ულონო ბარტყებივით.

ალმუსტაფა გამოერიდა მათ, ბაღში მიმოდიოდა, არაფერი უთქვამს, არც შეუხედავს მათთვის.

ხოლო იმათ ერთმანეთში ბაასი იწყეს. და წასვლა რომ მოესურვათ, ამის გამო თავის მართლებას მოჰყვნენ.

და გატრიალდნენ. და თითოეულმა გასწია თავისი გზით. ასე რომ, ალმუსტაფა, რჩეული და საყვარელი, მარტო დარჩა.

კარგა რომ ჩამოღამდა, დედის საფლავისკენ გაემართა და ჩამოჯდა იქვე ვეება კედრის ქვეშ. ზეცას დიდი ნათლის არილი მიადგა და ბაღნარი აელვარდა დედამიწის გულმკერდზე დაბნეული თვალწარმტაცი პატიოსანი თვალივით.

და ალმუსტაფას აღმოხდა თავისი სულის სიმარტოვეში და თქვა:

„მწიფე ნაყოფმა დამიმძიმა სამშვინველი. ვინ არის იგი, რომელიც მოვა, მოიწევს ნაყოფს და იქნება კმაყოფილი? ეგებ არის ვინმე მმარხველი, გულუხვი და გულმართალი, რომელიც მოვა, გატეხს მარხვას მზისთვის შეთავაზებული ჩემი პირველივე ძღვენის გამო და შემიმსუბუქებს ტვირთს ჩემი ხვავრიელობისას.

ჩემი სამშვინველი დაღვინებულია დრო და ჟამისაგან. არვინ არის მწყურვალე? მოვიდეს და შესვას!

ვიღაც კაცი იდგა გზაგასაყარზე. პატიოსანი თვლებით სავსე პეშვს გამვლელებისკენ იშვერდა და ევედრებოდა, შემიბრალეთ, მიიღეთ ჩემგან, ღვთის გულისათვის, აიღეთ, შვება მომგვარეთო.

მაგრამ ამვლელ-ჩამვლელნი მხოლოდ გახედავდნენ და არ ართმევდნენ განძს.

უჯობდა, მათხოვარი ყოფილიყო, აცახცახებული ხელი გაეწვდინა და ცარიელი დარჩენოდა, ვიდრე ძვირფასი საბოძვარი სავსე პეშვით შეეთავაზებინა და ვერვინ ეპოვა მიმღები.

და კიდევ, იყო ერთი კეთილი უფლისწული, რომელმაც აბრეშუმის კარვები დასცა მთებიდან უდაბნომდე და მსახურთ უბრძანა, ცეცხლი დაენთოთ სანიშნედ მწირთათვის და ყარიბთათვის; და წარგზავნა თავისი მონები, რათა გზები შეეთვალიერებინათ და სტუმრები მოეწვიათ. მაგრამ უდაბნოს გზები და ბილიკები უვალი იყო და ვერვის გადააწყდნენ.

უჯობდა უფლისწული კი არა, ყოფილიყო კაცი უქონელ-უყოლელი, სარჩოს და ჭერის მაძიებელი; ერთი ყარიბი ვინმე ყოფილიყო, კომბლისა და თიხის ჯამის ამარა დარჩენილი. დაღამებისას გადაეყრებოდა ვიღაც თავისნაირს, ვიღაც მწირს, ვიღაც პოეტს; მოისმენდა იმათ გასაჭირს, იმათ მოგონებებს, იმათ ოცნებებს.

და კიდევ, დიდი ხელმწიფის ასულმა გაიღვიძა, აბრეშუმის სამოსი ჩაიცვა, მარგალიტით და ბადახშით თავი დაიმშვენა, თმაზე მუშკი წაიცხო, თითებზე – ამბარი. მერმე თავისი კოშკიდან ბაღნარში ჩავიდა და ღამის ცვარმა დაუნამა ოქროს ქოშები.

დიდხელმწიფის ასული ბაღში, ღამის სიჩუმეში, ეძიებდა სიყვარულს, მაგრამ მამამისის ბრძანებამიუთხრობელ სამეფოში არვინ ეტრფოდა მას.

უჯობდა გლეხის გოგო ყოფილიყო, მამის ფარა ემწყემსა იალაღებზე, საღამოს შინ დაბრუნებულიყო ბრუნდე გზების მტვერში ამოგანგლული, კაბის კალთაზე შერჩენილი ზვრების სურნელით. და როცა დაღამდებოდა, როცა ღამის ანგელოზის მეუფების ჟამი დადგებოდა, ფეხაკრეფით გაპარულიყო ღელის პირას, სადაც სატრფო დაელოდებოდა.

მონაზონი რომ ყოფილიყო, მონასტერში საკმევლის ნაცვლად საკუთარ გულს ჩაფერფლავდა, რათა მისი გული ქარს მიჰყოლოდა, გულს აეზიდა მისი სული, სანთელივით აებრიალებინა, ნათლის შუქად შეგებებოდა დაუღამებელ ნათელს და ეჩახჩახა იმათთან ერთად, ვინც ღმერთს მსახურებს, ვისაც უყვარს და ვინც უყვართ.

ჯობდა წლებით მაძღარი დედაკაცი ყოფილიყო, მზეს მიფიცხებოდა და მოგონებებით დარჩენილიყო მასთან, ვინც შემსწრე იყო მისი ყმაწვილქალობისა“.

ღამე ჩაქუფრდა. და ალმუსტაფაც ჩაიძირა ღამეში. და სული მისი ჩამოსაქცევი ღრუბელივით იყო. და მან წამოიწყო ისევ:

“სული ჩემი სავსეა საკუთარი მწიფე ნაყოფით;

სული სავსე მაქვს ნაყოფით.

ვინ მოვა, ვინ იგემებს მას და დანაყრდება?

სული ჩემი შეტბორებულია თავისივე ღვინით.

ვინ ჩამოასხამს, ვინ შესვამს და გაგრილდება, უდაბნოს ხვატისგან დასიცხული?

ნეტა ხე ვყოფილიყავ, შეუფოთლელი და უნაყოფო.

რამეთუ სატკივარი ხვავრიელი ნაყოფიერებისა სიბერწის უმწარესია.

და დარდი მდიდრისა, რომლისგანაც არვინ მიიღებს საბოძვარს, აღემატება სევდას მათხოვრისას, რომელსაც არვინ განიკითხავს.

ნეტა ჭა ვყოფილიყავ, დამშრალი და დაშრეტილი, და ადამიანებს ქვები დაეშინათ ჩემთვის.

ამის ატანა უფრო ადვილი იქნებოდა, ვიდრე გაძლება იმისა, რომ ხარ წყარო, მაცოცხლებელი წყლით სავსე. ხოლო კაცნი ჩაგივლიან და არ გეწაფებიან.

ჯობდა, სალამური ვყოფილიყავ, შარაზე დაგდებული და ფეხით გათელილი, ვიდრე ვყოფილიყავ ქნარი, ვერცხლისსიმებიანი, რომლის პატრონს თითები აქვს წაჭრილი და ყრუ ბალღები ჰყავს.

შვიდ დღესა და შვიდ ღამეს არვინ გაჰკარებია ბაღნარს და იგი მარტო იყო თავის მოგონებებთან და თავის ტკივილიან საფიქრალთან. რამეთუ ისინიც კი, რომელთაც სიყვარულითა და მოთმინებით მოისმინეს მისი ნათქვამი, ჩაითრია სადღეხვალიო საზრუნავმა.

მხოლოდ კარიმამ მოაკითხა. დუმილი რიდესავით ეფინა სახეზე. ხელთ ჰქონდა ჯამი და თეფში სასმელ-საჭმლით მისი შიმშილისა და მისი სიმარტოვისთვის. წინ დაუწყო ყველაფერი და წავიდა.

და ალმუსტაფა ისევ მივიდა კარიბჭესთან, ვერცხლისფერი ალვების ჩრდილში ჩამოჯდა და გზას გახედა. მცირე ხანში იხილა, რომ გზაზე მტვრის ღრუბელივით რაღაც მოიწევდა მისკენ. ღრუბლიდან გამოიკვეთნენ ცხრანი. კარიმა მოუძღოდათ.

და ალმუსტაფა წამოდგა და გზაზე გამოეგება მათ. ბჭეში შეაბიჯეს, თითქოს ერთი საათის წინ არ გაკრეფილიყვნენ და არ გასდგომოდნენ თავთავიანთ გზას.

მოვიდნენ. და ივახშმეს მის ღარიბულ სუფრასთან. კარიმამ ტაბლაზე დააწყო პური, თევზი, ხელადაში ჩარჩენილი ღვინო ჩამოასხა თასებში. და სთხოვა მოძღვარს და უთხრა: „ნება მიბოძე, წავიდე ქალაქში, ღვინო მოვიტანო, რომ კვლავ შეგივსოთ თასები, ღვინო აღარ გვაქვს“.

მან შეხედა ქალს. ალმუსტაფას მზერაში გაკრთა შორი გზა და თქვა მან:

„არა, ამჯერად ესეც საკმარისია“.

და მათ ჭამეს და სვეს და დანაყრდნენ. ვახშამს რომ შეექცნენ, ალმუსტაფამ დაიწყო საუბარი. მის ხმას ახლდა სიღრმე ზღვისა და სისავსე მთვარის შუქზე ზღვის მოქცევისა. და თქვა მან:

„მეგობარნო და თანამგზავრნო ჩემნო, დღეს უნდა გავეყაროთ ერთმანეთს. დიდხანს ვიხეტიალეთ ფათერაკიან ზღვებზე, ვიძრომიალეთ ციცაბო კლდეებზე, არ ვეპუებოდით ქარიშხლებს. შიმშილიც ვიწვნიეთ და ქორწილებშიც ვილხენდით. ბევრჯერ ვყოფილვართ შიშველ-ტიტველნი, მაგრამ სამეფო ქლამინდითაც ვყოფილვართ დამოსილნი. შორი გზები დაგვილახავს ერთად, მაგრამ ახლა უნდა გავიყაროთ. თქვენ ერთად წახვალთ თქვენი გზით და მე მარტო გავუდგები ჩემს გზას.

და თუმცა ზღვები და ვრცელი ქვეყნები დაგვაშორიშორებენ, ჩვენ მაინც თანამგზავრები ვიქნებით წმინდა მთისკენ ჩვენს სვლაში.

მაგრამ, ვიდრე გავუყვებით ჩვენ-ჩვენს გზებს, მინდა მოგართვათ ჭირნახული და ხვავი ჩემი გულისა.

გალობით გაუდექით გზას, ოღონდ ხანმოკლე იყოს ყოველი ჰანგი, რადგან მხოლოდ ის ჰანგი იცოცხლებს ადამიანთა გულებში, რომელიც ნორჩადვე დააკვდება თქვენს ბაგეებს.

ორიოდ სიტყვით თქვით მშვენიერი სიმართლე, მაგრამ ნურანაირი სიტყვებით ნუ იტყვით უშნო სიმართლეს. უთხარით ქალწულს, რომლის თმა ბზინავს მზეზე, რომ იგი ასულია დილის. მაგრამ

თვალის ჩინის უქონელი თუ შემოგეყრებათ, ნუ ეტყვით, რომ იგი ჰგავს ღამეს.

ყური მიუპყართ მწყემსის სალამურს, თითქოს აპრილს უსმენდეთ. მაგრამ, თუ გაიგონებთ კიცხვას და ძვირის ხსენებას, წაიყრუეთ, იყავით ყრუ, როგორც ყრუა თქვენი ძვლები, და ისე განეშორეთ კიცხვას, როგორც შორია ოცნება თქვენი.

მეგობარნო და მოყვასნო ჩემნო, თქვენს გზაზე შემოგხვდებიან ჩლიქებიანი ადამიანები. მიეცით მათ თქვენი ფრთები; და გადაეყრებით რქიან ადამიანებს, დაადგით მათ დაფნის გვირგვინი; წაანყდებით ბრჭყალებიანთაც, მიაშველეთ მათ ყვავილის ფურცლები თითებად; შემოგეყრებიან ისეთნიც, შუაზე გაპობილ ენებს რომ ასარსალებენ. მათ თაფლი მიაწოდეთ სიტყვებად.

დიახ, თქვენ იხილავთ ყოველივე ამას და უფრო მეტსაც. შეხვდებით ყავარჯნებით მოვაჭრე ხეიბარს და სარკეების გამყიდველ ბრმას. გადააწყდებით მდიდარს, რომელიც ტაძრის კარიბჭესთან მათხოვრობს.

კოჭლს თქვენი სიმკვირცხლე უწილადეთ, ბრმას – თქვენი თვალის ჩინი. იცოდეთ, უნდა შეეწიოთ სამათხოვროდ ხელგაშვერილ შეძლებულთაც. ისინი ხომ ყველაზე გაჭირვებულნი არიან, რამეთუ კაციშვილი ხელს არ გაიწვდის სამათხოვროდ, თუ მართლა გასაჭირი არ ადგას, თუმცა ეგებ დიდი შეძლების პატრონიცაა.

მოყვასნო და მეგობარნო ჩემნო, ჩვენი სიყვარულის მადლს გავედრებთ და გთხოვთ, იყავით უთვალავი ბილიკი, რომლებიც მიიკლაკნებიან და შეიყრებიან უკაცრიელ ადგილას, იქ, სადაც გზას

ერთად მიუყვებიან ლომი და კურდღელი, მგელი და ცხვარი.

და გახსოვდეთ ჩემი ნათქვამი: მე თქვენ გასწავლით გაცემას კი არა, – მიღებას, უარს კი არა, – აღსრულებას, მორჩილებას კი არა, – გაგებას. და თან პირზე ღიმილით ჰქმენით ესე ყოველი.

მე თქვენ დადუმებას კი არ გასწავლით, არამედ – გალობას, ოღონდ ძალიან ხმამაღალს – არა.

მე თქვენ მიგიძღვებით თქვენს დიად არსთან, თქვენს „მე"-სთან, რომელიც თავის თავში მოიცავს ყველა ადამიანს".

და იგი წამოდგა სუფრიდან, გაემართა წალკოტის სიღრმისკენ და კვიპაროსების ჩრდილში მიმოდიოდა, ვიდრე დღე არ მიიწურა. ისინი უკან მიჰყვებოდნენ, ოდნავ მოშორებით, რადგან გული დამძიმებოდათ და ხმა ვერ გაეღოთ.

კარიმამ სუფრა აალაგა, მივიდა მასთან და უთხრა:

„მოძღვარო, ნება მიბოძე მოგიმზადო საგზალი სახვალიოდ".

ხოლო მან შეხედა ქალს სხვა სამყაროთა მჭვრეტელი მზერით და თქვა:

„დაო ჩემო და სატრფოვ ჩემო, საგზალი მზადაა თვით ჟამის დასაბამიდანვე. საჭმელ-სასმელი მზადაა ხვალისთვის, ასევე – ჩვენი გუშინდელი დღისთვისაც და დღევანდელისთვისაც.

მივდივარ. მაგრამ, თუ თან წავიტან ჭეშმარიტებას, რომელიც ამოუთქმელი დამრჩა, სწორედ ეს ჭეშმარიტება მომნახავს მე, თავს მომიყრის, თუნდაც ნაწილნი ჩემნი მიმოფანტულნი იყვნენ მარადიულობის მდუმარებაში. და ისევ წარმოვდგები

თქვენ წინაშე, რათა გესაუბროთ უსაზღვრო მდუმარების გულიდან ხელახლა ამორხეული ხმით.

და, თუ აღმოჩნდება რაიმენაირი მშვენიერება, რომელიც არ განმიცხადებია თქვენთვის, მაშინ კიდევ ერთხელ ვიქნები ხმობილი, ჰო, მიხმობენ ჩემი სახელითაც კი, „ალმუსტაფა", და მე მიგანიშნებთ, რათა მიხვდეთ, რომ მე დავბრუნდი, – დავბრუნდი, რათა გაგიმხილოთ ყოველი, რაც დაგაკელით. რამეთუ უფალ ღმერთს არ სურს, რომ კაცთათვის დაფარული იყოს, არც ის ნებავს, რომ ღვთის სიტყვა დამარხული იდოს ადამიანის გულის სიღრმეში.

მე ვიცოცხლებ სიკვდილის შემდეგ.

და ყურში ჩაგღიღინებთ მაშინაც კი, თუ ვეება ზვირთი უკან გამტყორცნის უნაპირო ზღვის სიღრმეში.

მე ჩამოვჯდები თქვენს სუფრასთან, თუმც – უსხეულოდ,

და მე, უხილავი სტუმარი, გამოგყვებით თქვენს მინდვრებში.

სიკვდილი არაფერს ცვლის.

მხოლოდ ნიღაბს ჩამოგვხსნის, ჩვენი ხატის დამმალავს.

მონადირე რჩება მონადირედ. მხვნელი რჩება მხვნელად.

და იგი, ვინც ქარს უგალობდა ჰანგს, ცის მბრუნავ სფეროებს უმღერებს კვლავაც.

მოწაფეები გაქვავებულიყვნენ და დუმდნენ. გულზე დარდი შემოსწოლოდათ, რადგან მან თქვა:

„მივდივარ“. არავინ ცდილა მის შეჩერებას, არც ვინმე ჩასდგომია კვალში.

და ალმუსტაფა გამოვიდა დედისეული წალკოტიდან. და სწრაფი, უჩუმარი ნაბიჯით გასწია. თითქოს ფოთოლი აეტაცებინოს გრიგალს, წამში შორს იყო მათგან. და მოწაფეებმა იხილეს რაღაც მკრთალი ნათება, რომელიც მაღლა მიიწევდა ზეცის სიღრმეში.

და ცხრანივე დაადგნენ გზას. მხოლოდ ქალი იდგა შეღამების მწუხრში და უმზერდა, როგორ ერწყმოდა ნათელი ბნელს, და ქალი მოუსაფრობისა და მარტოობის დარდს იქარვებდა მისი ნათქვამით: „მივდივარ. მაგრამ თუ თან წავიტან ჭეშმარიტებას, რომელიც ამოუთქმელი დამრჩა, სწორედ ეს ჭეშმარიტება მომნახავს მე, თავს მომიყრის, შემომიმტკიცებს და ისევ მოვალ“.

ბინდი ჩამოწვა.

წინასწარმეტყველი მთებს მიადგა. ნაბიჯები ნისლში შეუძღვა. და იყო იგი კლდეებით და ვერცხლისფერი კვიპაროსებით გარემოცული, ყველასგან და ყველაფრისგან განმარტოებული. და იტყოდა იგი:

„ჰოი, შენ, ნისლო, დაო ჩემო, ჩემო დაიავ!
თეთრად მფეთქავო ამოსუნთქვავ, ჯერ
ყალიბში არმოქცეულო!
ვბრუნდები შენთან, სიცოცხლესთან,
ღვთის სიტყვასთან, წარმოუთქმელთან.

ნისლო, ფრთიანო დაიავ ჩემო!
ერთად ვართ ახლა
და ვიქნებით ჩვენ ერთად ისევ,
ვიდრე დადგება შემდგომი დღე,
დღე სიცოცხლისა.
ვის გაუთენებ ახალ განთიადს?
რომელ ბაღნარში ჩატოვებ ცვარ-ნამს?
რომელი ქალის მკერდს მიმანდობ მე,
უმწეოსა და ჩვილად მოვლენილს?...
და ყველაფერი ნათლად, ცხადად
გვემახსოვრება.

ჰოი, ნისლო, დაო ჩემო, ჩემო დაიავ!
შენთან ვბრუნდები.

გული ვარ მე და ვგავარ შენს გულს, –
მიყურადებულს თვისსავე სიღრმეს.
და მე მთრთოლარე სურვილი ვარ,
სწორედ შენი სურვილივით მიზნის არმქონე.
აზრი ვარ, აზრი, და მსგავსი ვარ შენი აზრისა, –
ვარ უფორმო და ჩამოუქნელი.

ჰოი, ნისლო, დაო ჩემო, ჩემო დაიავ!
დიადი დედის პირველშობილო,
ისევ ხელთა მაქვს მწვანე მარცვლები,
შენ რომ ხნულებში ჩაბნევა მთხოვე.
ვერ გავხსენ ბაგე და ვერ ვიმღერე
ჰანგი, რომელიც გსურდა მემღერა.
მე ვერც ნაყოფი ვერ მოგიძღვენი,
ვერც – ღვთაებრივი ჰანგების ექო,
რადგან ხელები უწვართი მაქვს, მოუხეშავი,
და ბაგეებიც ტლანქი მაქვს და გაუწაფავი.

ჰოი, ნისლო, დაო ჩემო, ჩემო დაიავ!
დიდად მიყვარდა წუთისოფელი,
წუთისოფელსაც დიდად ვუყვარდი.
ჩემი ღიმილი წუთისოფელს აჩნდა ბაგეზე.
და მაინც იყო ჩვენ შორის დიდი
და ღრმა უფსკრული მდუმარებისა,
რომლის დაძლევას არა ცდილა წუთისოფელი.
და მე უფსკრული ვერ გადავლახე.

ჰოი, ნისლო, დაო ჩემო, უკვდავო დაო!
მე ჩემს პატარებს ძველებური ჰანგი ვუმღერე.
მომისმინეს და გაოცება დაეტყოთ დიდი,
ხვალ აალბათ აღარ ემახსოვრებათ.

და მე არ ვიცი, ქარი ვისთან მიიტანს ამ ჰანგს.
და თუმც სიმღერა მე არ მეკუთვნის,
ჩემი არსება მას შეეტკბო და შეეთვისა,
და ჰანგი ერთხანს ცოცხლობდა ჩემში.

ჰოი, ნისლო, დაო ჩემო, ჩემო დაიავ!
ეს ყველაფერი ხომ უკვე იყო.
სუფევს მშვიდობა. და ისიც კმარა,
ქვეყნად შობილთ რომ გავაგონე მე ეს სიმღერა.
და თუმცა ჰანგი მე ნამდვილად არ მეკუთვნოდა,
ის ჩემი გულის უღრმეს სურვილს გამოხატავდა.

ჰოი, ნისლო, დაო ჩემო, ჩემო დაიავ!
მე და შენ ახლა ერთნი ვართ ისევ.
მე აღარ ვარ მე: ზღუდეები ჩამოიშალა,
და ბორკილები დაწყდა, დაიმსხვრა.
და მე ვმაღლდები შენამდე, ნისლო,
და შენთან ერთად ვირიალებ ზღვის ზედაპირზე,
ვიდრე დადგება შემდეგი დღე დიდი სიცოცხლის,
როცა შენ დილის ნამად მოხვალ ბაღნარში,
ტევრში,
და მე კი, ჩვილად მოვლენილი,
მივენდობი ისევ დედის მკერდს“.

სიმღერები

სიმღერა

სულის სიღრმეში ჩაღვრილი მაქვს უფლის სიმღერა, ჩაბუდებულა ჩემს გულისგულში და ვერ ჰგუობს სამოსად სიტყვას და არც ქაღალდზე გადმოღვრა სურს მას მელანივით. ჩემი სიმღერა ახვევს გრძნობებს ნაზ საბურველში. და არ დამცდება მისი ჰანგი მე ბაგეთაგან.

ჰაერის ოდნავ შეტოკება როდესაც მაკრთობს, როგორ ამოვთქვა მე სიმღერა? ის ჩემი სულის ბინადარია, ვის ვუგალობო? ტლანქ და უწვართ ყურს როგორ გავანდო?!

თუკი ჩამხედავ თვალებში, ნახავ, რომ ჩემს მზერაში ირეკლება სიმღერა ჩემი. ხელი შემახე და შეიგრძნობ სიმღერის თრთოლას.

სიმღერა ჩემი გამჟღავნდება ჩემს ნახელავში, ვითარცა ტბაში – ვარსკვლავთ ციმციმი. ზაფხულის ხვატში ცვარი გათქვამს ღელვას ვარდისას, ასე გაამხელს ჩემს სიმღერას ჩემივე ცრემლი.

ეს სიმღერაა, სიჩუმედ რომ დაისადგურებს, ან ხმაურით რომ ჩაიხურება, მერმე სიზმრად რომ მეორდება, ცხადში რომ ქრება.

ეს სიყვარულის სიმღერაა, ადამიანო! ნუთუ ისაკი მას იმღერებდა?! ან თვით დავითი იგალობებდა?!

რა ბაგეებმა დაიურვონ სიმღერა ჩემი, ნაზ ყვავილებზე სურნელოვანი?! და რა სიმებმა გამცნოთ იგი, მორცხვი ქალწულის ოცნებაზე უფრო ფარული?!

ვინ შეუზავოს ზავთს ზღვებისას ბულბულის სტვენა?! ვინ გააერთოს ქარის ბორგვა და ჩვილის ფშვინვა?

ან მოკვდავთაგან ვინ შეიძლოს ღვთის ჰანგის ჟღერა?!

სიმღერა ტალღისა

მე და ნაპირი ერთმანეთს ვეტრფით. ვნება ერთმანეთს გვაახლოებს, ჰაერი კი გვაშორი-შორებს. მე მტრედისფერი აისიდან მოვემართები, აქაფებული ჩემი ვერცხლი ქვიშის ოქროს რომ შე-ვურიო, გაჩაღებული მისი ცეცხლი სინოტივით რომ დავაცხრო და გავანელო.

გამთენიისას ნანატრ სატრფოს ვუმხელ სიყ-ვარულს, ვეჩურჩულები ყურში და ის გულში მიხუ-ტებს. შეღამებისას სავედრებელს ვუგალობ ვნებას და სატრფო მკოცნის.

შეუპოვარი, ცქაფი ვარ და მარად მშვოფვარე. სატრფო ჩემი კი მშვიდია და მრავლისდამთმენი.

ზღვის მოქცევისას ვეხვევი სატრფოს, მიქცევის დროს კი ფეხქვეშ ვეგები.

ზღვათა ასულებს ცეკვა-ცეკვით თავს ვევლე-ბოდი, როდესაც წყლიდან ზევით იწევდნენ, პიტა-ლოს ქიმზე ჩამოსხდებოდნენ და თან ვარსკვლავებს შესციცინებდნენ. ბევრჯერ მსმენია ჭაბუკის ოხვრა და ჩემი ზათქით გოდებაში წავშველებივარ. ბევრს ვუამბობდი ციცაბო კლდეებს. ისინი დუმდნენ. დუჟმორეული მორევიდან დამიხსნია რამდენი ვინმე! ანდა რამდენი მარგალიტი ზღვის სიღრმი-დან მომიტაცია და მიმიძღვნია სილამაზის დედო-ფალთათვის!

ღამის უსაზღვრო სიჩუმეში ყოველ სულიერს, ყველაფერს ცოცხალს ძილის ჩრდილი რომ ჩაიხუტებს, მე ვფხიზლობ მაშინ. მემღერება, ზოგჯერ კი ვოხრავ. ქანცი გამიწყდა უძილობით, მაგრამ მიყვარს და... სიყვარული ხომ თავად არის დიდი სიფხიზლე.

ასეთი არის ჩემი ცხოვრება. და ვიდრე ვცოცხლობ, ვიცოცხლებ ასე.

სიმღერა წვიმისა

ვერცხლის ძაფები ვართ, ზეციდან ღვთისგან გადმოშვებული. ბუნება გვეწაფება, მინდორ-ველს მოალამაზებს ჩვენით.

მარგალიტები ვართ, აშტარტეს გვირგვინიდან ამოცვენილი ობოლი მარგალიტები. ცისკრის ასულმა დაგვტაცა ხელი და ველებზე მიმოგვაბნია.

ავტრიდები და... გორაკები იღიმებიან, ძირს ვეცემი და... ყვავილები იწევენ მაღლა, იფურჩქნებიან.

ღრუბელი ზურმუხტ ველს ეტრფის და ველი კი ღრუბელს. მე ვარ იმათი მოკეთე და შუამავალი. ჩამოვიქცევი, დავაოკებ ღრუბლის სიშმაგეს და მინდვრის წყურვილს.

ჭექა-ქუხილი, ელვის ისრები ჩემს მოსვლას გამცნობთ. ცისარტყელა კი ჩემთა გზათა დასასრულს ნიშნავს. ასეა ყოფაც ამქვეყნიური: იგი სასტიკი სინამდვილის ფერხთით იწყება და დასრულდება უშფოთველი სიკვდილის ხელში.

ამოზრდილი ვარ ზღვის გულიდან და დავქრივარ ეთერის ფრთებით. თვალწარმტაც წალკოტს თვალს მოვკრავ და... ძირს დავეშვები, ტუჩებს ვუ-

კოცნი ნატიფ ყვავილებს და ხის რტოებს ვეალერსები.

ნელა ვეხები სიჩუმეში მე სარკმლის მინებს, ჩემი კაპუნი ნაზ სიმღერად ეყურებათ რჩეულთა სულებს.

გახურებული ჰაერი მშობს და მერე თვითონ მე ვანელებ მის მხურვალებას. ასე აოკებს ქალიც მამაკაცს თვით მამრისგანვე დასაბამში დათქმული ძალით.

მე ვარ ზღვის ოხვრა, ვარ ზეცის ცრემლი, მინდვრის ღიმილი. სწორედ ასეა სიყვარულიც: ის გრძნობათა ზღვის ამოკვნესაა, ზეციურ აზრთა ცხარე ცრემლია, სულის ველების გაღიმებაა.

სიმღერა სილამაზისა

ვარ მეგზური სიყვარულისა, ზედაშე ვარ სულისა, საზრდო ვარ გულისა.

ვარდი ვარ. გულმკერდს ვიღელავ, მზის ამონათებას ვეგებები. მომწყვეტს ქალწული, მაკოცებს და დამიბნევს მკერდზე.

კერა ვარ ბედნიერებისა, წყარო ვარ სიხარულისა, სავანე ვარ სიმშვიდისა.

უნაზესი ღიმილი ვარ, ქალწულის ბაგეს ზედ დავთამაშებ. მნახავს ჭაბუკი, დაივიწყებს ყველა გასაჭირს, და ჯადოსნურ ველს ემსგავსება სიცოცხლე მისი.

ვარ შთაგონება პოეტთა, მოძღვარი ვარ მხატვართა, გამრიგე და გამწაფავი ვარ მგალობელთა.

ჩვილი ბალღის გამოხედვა ვარ, დედის გარდა სხვა რომ ვერვინ გრძნობს, – ის გამოხედვა, – დედას რომ მუხლს მოადრეკინებს, ღვთის სადიდებელს რომ ათქმევინებს.

ევას სხეულად გარდავისახე და დავატყვევე ეშხით ადამი. სოლომონს სატრფოდ მოვევლინე, ბრძნად და პოეტად გარდავქმენ იგი.

მე გავუღიმე ელენეს, მე დავაქციე ტროა. ტახტზე მე დავსვი კლეოპატრა და სიხარული მე მოვფინე ნილოსის ველებს.

ბედისწერა ვარ: დღეს ვაშენებ და ხვალ კი ვამხობ. უფალ ღმერთს ვბაძავ: ვარ სიცოცხლის მომნიჭებელი და ვუხმობ სიკვდილს.

მორცხვ იაზე უნაზესი ვარ და ქარაშოტზე უფრო ძლიერი.

ჭეშმარიტება ვარ, ჰოი, ადამიანო, ჭეშმარიტება!

და რას ინატრებ ამის უმეტესს?!

სიმღერა სიხარულისა

ადამიანი სატრფოა ჩემი და მე მიჯნური გახლავართ მისი. მისკენ მივილტვი, იტანჯება ის უჩემობით... მაგრამ, ვაი რომ, მყავს რაყიფი, მისი მტანჯველი, დიდი წუხილის მომტანი ჩემთვის. ხორციელება, მატერია, ჰქვია ჩემს რაყიფს.

ველად გაჭრილი დავეძებ სატრფოს ხეების ძირას, ტყისპირებში, ტბათა მახლობლად... და ვერ ვპოულობ. რაყიფმა ჩემმა მოხიბლა იგი, გაიყოლია შორს, ქალაქში, მიუძღვა ბრბოსთან, სიწამხდრესთან, ბედკრულობასთან.

დავეძებ სატრფოს სიბრძნის ტაძარში, ცოდნის ტალანში... და ვერ ვპოულობ. დაუცხრომელი სიხარბის და უთავბოლო ხვეჭის მღვიმეში გამომწყვდეული ჰყავს რაყიფს ჩემსას.

და მე მას ვუხმობ გამთენიისას, როცა ცის კიდის გაღიმების მოაწევს ჟამი. დამძიმებია ქუთუთოები, თვლემს და არ ესმის. ველაციცები ჩემს საყვარელს შებინდებისას, როცა სიჩუმე დაისადგურჩებს, როს ყვავილები ჩათვლემენ და იხუჭებიან. ყურს არ მათხოვებს, სადღეხვალიო საფიქრალით არის მოცული.

ვუყვარვარ სატრფოს და თავის მხრივ დამეძებს ისიც. მაგრამ მიპოვის მხოლოდ უფლის ნამოქმე-

დარში. ნატრობს, მიხილოს დიდ ტაძარში, უმწეოთა ძვლებით ნაგებში და ოქრო-ვერცხლით მოოჭვილში. მე მივაკითხავ მას ღვთაებრივ ღარიბულ ქოხში, სადაც გრძნობათა ნაკადული ჩქეფს და კამკამებს. მას სურს მაკოცოს ტირანების, მკვლელების თვალწინ. მე კი მის კოცნას ვისურვებდი სიმარტოვეში, სადაც ყვავილობს სისპეტაკე, მკვიდრობს სიწმინდე. მან ცბიერება აირჩია შუამავალად. მე კი ჩვენ შუა მომრიგებლად მეგულება წმინდა ღვაწლი, უბიწოება.

ამქვეყნიურმა საზრუნავმა – რაყიფმა ჩემმა – თანდათან სატრფო დააჩვია მოთქმას, ვაებას. მე კი ვასწავლი მას ცრემლის ღვრას სულის თვალთაგან, გულმოწყალებას გავუღვივებ, ოხვრას და სულთქმას ნეტარებად შევუსხვაფერებ. ის საჩემოა და მე ვარ მისი.

სიმღერა ყვავილისა

მე სიტყვა ვარ, ბუნების ნათქვამი სიტყვა, მისგანვე უკან გამოხმობილი და გულის კუნჭულში გადამალული.

მე ვარსკვლავი ვარ, ლაჟვარდოვანი საბურველიდან ვარ ფირუზ მოლზე ჩამოვარდნილი.

მე ასული ვარ სტიქიისა. ზამთარმა გამაღვივა, გაზაფხულმა მშვა, ზაფხულმა გამზარდა, შემოდგომამ მიმაძინა.

მე სატრფოსათვის საჩუქარი ვარ, საქორწინო გვირგვინი ვარ, უკანასკნელი სახსოვარი ვარ მიცვალებულთა.

გამთენიისას სიოს მე ვშველი, რომ მზის ამოსვლა აუწყოს მიწას; შეღამებულზე ჩიტებთან ერთად ვემშვიდობები სხივს სინათლისას.

სულ ვღაღანებ და ვამშვენებ ველებს. ვისუნთქავ ჰაერს, სურნელებას ამოვისუნთქავ. ვეალერსები რულმორეულ ქვეყნიერებას. და ღამე მიმზერს უამრავი ციმციმა თვალით. მე კი სიფხიზლე მირჩევნია, რომ დღემ დამხედოს ერთადერთი ბრიალა თვალით.

ცვარ-ნამი არის ჩემი ღვინო. ყურს ვუპყრობ შაშვის ხმატკბილ გალობას და ავცეკვდები ბალახის ჩქამზე. მინდა ნათელი ვიხილო და სულ ვყელ-ყელაობ, ზევით ვიწევი, ვმაღლდები და შევყურებ ზეცას. და ველარ ვამჩნევ ჩემს საკუთარ ჩრდილს.

ასეთია სიბრძნე, რომელსაც ვერ ეზიარა ადამიანი.

სიმღერა ადამიანისა

მკვდარი იყავით და გაგაყოყხლოთ,
მერმე მოგკლავთ და კვლავ გაყოყხლებთ,
მერმე კი მასთან დაბრუნდებით.

ყურანი

უწინარეს ჟამისა ვიყავ მე, ვარ ახლა, ვიქნები ჟამის აღსასრულამდე და არ აქვს ჩემს ყოფნას დასასრული.

უსასრულობაში ვრიალებდი, ოცნებათა სამყაროში ვფრენდი, უზენაეს ნათელს ვეზიარე... და ახლა ხორციელების ტყვე ვარ.

მსმენია კონფუცის სიბრძნე, ყურს ვუპყრობდი ბრაჰმას მოძღვრებას, ბუდას ფერხთით ვმჯდარვარ სხივთმოფენის ხესთან. ახლა კი ვებრძვი უვიცობას და უარყოფას ყოველივესას. სინას მთაზე ვიყავ, როცა ღმერთი გამოეცხადა მოსეს; იორდანეს ნაპირას ვიყავ, ნაზარეველის სასწაულებს მე შევესწარი; მედინაში ვიყავ და არაბთა მოციქულის ქადაგება ვისმინე. ახლა კი ტყვე ვარ ეჭვისა და ორჭოფობისა. მიხილავს ბაბილონის ძალმოსილება, ეგვიპტის სიდიადე, ელადის დიდებულება. და მაინც... ვხედავდი და ვხედავ, რომ წარმავალია და ამაოა ესე ყოველი. ჯადოქრებსაც გადავყრივარ, ასურელ ქურუმთა და პალესტინელ წინას-

წარმეტყველთა გვერდით ვმჯდარვარ. მარად ვეძიებდი ჭეშმარიტებას. ეს მე შემოვინახე ღვთითბოძებული სიბრძნე ინდოეთისა; ეს მე გავიზეპირე არაბეთის ნახევარკუნძულის ბინადართა გულებიდან ამოხეთქილი ლექსები; გულში ჩავიტოვე ჰანგი, რომელშიც დასავლელთა გრძნობები გადმოიღვარა. და მაინც... ადრინდულად ბრმა ვარ და ვერ ვხედავ, ყრუ ვარ და არ მესმის. ხარბ დამპყრობელთა სისასტიკეს გავუძელი, თვითმპყრობელთა უსამართლობა ვიწვნიე, პირქუშ ტირანთა მონობა გამოვცადე... მაგრამ ადრინდულად მერჩის ძალა და ვებრძვი ჟამთა სვლას.

ვუმზერდი და ვუსმენდი ბალღობაში ამას ყოველივეს, ვუმზერ და ვუსმენ სიჭაბუკეში მომხდარს და მოვუსმენ იმასაც, რასაც მოწიფულობა მოიყოლებს. მერმე დავბერდები, მივაღწევ სიცოცხლის ზღვარს და უფალთან დავბრუნდები.

მარად ვიყავი, ვარ და ვიქნები ჟამის აღსასრულამდე და ჩემს ყოფნას არ აქვს დასასრული.

სარჩევი

მთარგმნელისაგან 3

იესო, ძე კაცისა

იაკობი, ძე ზებედესი 39
სასუფეველთა შესახებ

ანა, დედა მარიამისა 45
იესოს შობის შესახებ

ასაფი, ტვიროსელ მჭევრმეტყველად წოდებული 48
იესოს ქადაგებათა შესახებ

მარიამ მაგდალენელი 50
იესოსთან პირველი შეხვედრის შესახებ

ფილიმონი, ბერძენი ჯარაექიმი 54
იესო – ჩინებული მკურნალი

სიმონი, რომელსაც ეწოდა პეტრე 56
ოდეს იგი და ძმა მისი ხმობილ იქმნენ

კაიაფა, მღვდელთმოძღვარი 61

იოანა, ჰეროდეს ეზოსმოძღვრის ცოლი 63
ბავშვების შესახებ

რაფქა, პატარძალი კანიდან გალილეისა 65

სპარსი ფილოსოფოსი დამასკოდან 68
ძველი ღმერთები და ახალი ღმერთი

დავითი, ერთი მიმდევართაგანი 71
იესოს სიტყვათა ხორცშესხმა

ლუკა 72
მზაკვართათვის

მათე 74
მთის ქადაგება

იოანე, ძე ზებედესი 79
იესოს სახელთათვის

ახალგაზრდა მოძღვარი კაპერნაუმიდან 82
იესო – მოგვი

მდიდარი ლევიტელი ნაზარეთის შემოგარენიდან 84
იესო – შესანიშნავი ხურო

მწყემსი სამხრეთ ლიბანიდან 86
იგავი

იოანე ნათლისმცემელი 88
დილეგში ესაუბრება თავის მოწაფეს

იოსებ არიმათიელი 90
იესოს უმთავრეს მიზანთა შესახებ

ნათანაელი 96
იესო არ იყო ჯაბანი

საბა ანტიოქიელი 98
სავლე ტარსელის შესახებ

სალომე 100
აუხდენელ ოცნებას უმხელს მეგობარ ქალს

რაქელი, მოწაფე იესოსი 102
იესო – ზმანება თუ კაცი

კლეოპა ბეთროუნიდან 106
სჯულისა და წინასწარმეტყველთა შესახებ

ნაამან გადარენელი 108
სტეფანეს წამების შესახებ

თომა 110
ეჭვი, რომელიც მამა-პაპათაგან მოსდგამდა

ელმადამი, ლოგიკოსი 112
იესო – ბოგანო

მარიამთაგან ერთი 114
მისი სევდისა და მისი ღიმილის შესახებ

რომანოსი, ბერძენი პოეტი 115
იესო – პოეტი

ლევი, მოწაფე 117
იმათ შესახებ, ვისაც იესოს გამტყუნება სურდა

გალილეველი ქვრივი 120
იესო უკეთურებაა

იუდა, ბიძაშვილი იესოსი 122
იოანე ნათლისმცემლის სიკვდილის შესახებ

უდაბნოდან მოსული კაცი 125
მეკერმეთა გამო

პეტრე 127
იესოს მიმდევართა ხვალინდელი დღე

მელაქი გაბილონელი, ასტროლოგი 129
იესოს სასწაულები

ფილოსოფოსი 132
საკვირველებისა და მშვენიერების შესახებ

ურია, ბერიკაცი ნაზარეთიდან 134
იგი უცხო იყო ჩვენთვის

ნიკოდემოსი, პოეტი 136
უგუნურთა და გაიძვერათა შესახებ

იოსებ არიმათიელი ათი წლის შემდეგ 140
ორი ნაკადი იესოს გულისა

გიორგი ბეირუთელი 141
უცხოთა შესახებ

მარიამ მაგდალენელი 143
ბაგე მისი გაპობილ ბროწეულს ჰგავდა

ნაზარეველი იოთამი – ვინმე რომაელს 144
სიცოცხლისა და ცხოვრების შესახებ

ეფრაიმ იერიქონელი 146
სხვა ქორწილი

ბარკა, ტვიროსელი ვაჭარი 147
ყიდვა-გაყიდვის შესახებ

თუმია, სიდონელი ქალი, მღვდელთმოძღვარი 149
ხმობა

ბენიამინი, მწიგნობარი 152
აცალეთ მკვდართ თვისთა მკვდართა დაფლვა

ზაქე 154
იესოს ბედის გამო

იონათანი 157
შროშანთა შორის წყლისათა

ჰანა ბეთსაიდელი 159
გვიამბობს მამიდამისზე

მანასე, იერუსალიმელი მსაჯული 163
იესოს საუბრისა და იერის შესახებ

ჯეფთა კესარიელი 165
კაცი, იესოთი გაღიზიანებული

იოანე, საყვარელი მოწაფე 167
იესო – სიტყვა

მანუს პომპეელი ესაუბრება ვილაც ბერძენს 169
სემიტური ღვთაების შესახებ

პილატე პონტოელი 171
აღმოსავლური ღვთისმსახურებისა და კულტების შესახებ

ბართლომე ეფესოდან..... 176
მონათა და ბოგანოთა შესახებ

მათე..... 178
იესო დილეგის კედელთან

ანდრია 180
მეძავთა შესახებ

მდიდარი კაცი..... 184
ქონების შესახებ

იოანე კუნძულ პატმოსზე..... 186
იესო მწყალობელი

პეტრე..... 190
მოყვასის შესახებ

იერუსალიმელი მეწაღე 192
გულგრილი

სოსანა ნაზარეთიდან..... 193
იესოს სიყრმისა და სიჭაბუკის შესახებ

იოსები, იუსტუსად ხმობილი 204
იესო – ყარიბი

ფილიპე..... 205
და ოდეს მოკვდა იგი, მთელი კაცობრიობა მოკვდა

ბირბარა იამუნელი 207
იესო – დაუნდობელი

პილატეს ცოლი 208
მოუთხრობს რომაელ ქალს

ვილაც კაცი იერუსალიმის შემოგარენიდან 210
იუდას შესახებ

სარგისი _ ბებერი ბერძენი მწყემსი, შერეკილად მიჩნეული 215
იესო და პანი

ანა, მღვდელთმოძღვარი 218
იესოსა და მდაბიოთა შესახებ

მარიამის მეზობელი ქალი 220
მოთქმა

ბრგე აჰაზი, ფუნდუკის მეპატრონე 222

ბარაბა 225
იესოს უკანასკნელი სიტყვები

კლავდიუსი, რომაელი ასისთავი 227
წარბშეუხრელი იესო

იაკობი, ძმა უფლისა 229
საიდუმლო სერობა

სიმონ კვირინელი 236
იგი, ვინც ეზიდებოდა ჯვარს

სიბორეა, დედა იუდასი 238

გიგლოსელი ქალი 240
მოთქმა

მარიამ მაგდალენელი ოცდაათი წლის შემდეგ 242
აღდგომისათვის სულისა

ᲕᲘᲜᲛᲔ ᲚᲘᲑᲐᲜᲔᲚᲘ ᲪᲮᲠᲐᲛᲔᲢᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ 244

ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲘ

ᲓᲦᲔ ᲒᲐᲜᲨᲝᲠᲔᲑᲘᲡᲐ 255
ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ.....261
ᲥᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲐ.....264
ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ 266
ᲬᲧᲐᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲦᲔᲑᲐ.....268
ᲡᲐᲭᲛᲔᲚ-ᲡᲐᲡᲛᲔᲚᲘ 271
ᲨᲠᲝᲛᲐ-ᲒᲐᲠᲯᲐ 273
ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲔᲕᲓᲐ.....276
ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘ 278
ᲡᲐᲛᲝᲡᲘ.....281
ᲧᲘᲓᲕᲐ-ᲒᲐᲧᲘᲓᲕᲐ.....282
ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲯᲔᲚᲘ 284
ᲙᲐᲜᲝᲜᲔᲑᲘ 288
ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ 290
ᲒᲝᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐ 293
ᲢᲙᲘᲕᲘᲚᲘ.....295
ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲨᲔᲪᲜᲝᲑᲐ.....296
ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲐ.....298
ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ.....299
ᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲐ 301
ᲓᲠᲝ 303
ᲡᲘᲙᲔᲗᲔ ᲓᲐ ᲑᲝᲠᲝᲢᲔᲑᲐ 305
ᲚᲝᲪᲕᲐ 308
ᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲐ 310
ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ 314
ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲐ.....317
ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘ 319
ᲓᲦᲔ ᲒᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ.....321

წინასწარმეტყველის წალკოტი..... 333

სიმღერები

სიმღერა 387
სიმღერა ტალღისა 389
სიმღერა წვიმისა 391
სიმღერა სილამაზისა.....393
სიმღერა სიხარულისა.....395
სიმღერა ყვავილისა.....397
სიმღერა ადამიანისა.....399